ჰაკი აძბა

I

ეს მოხდა ქალაქ სოხუმში !9!? წელს, როცა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ უსასტიკესი სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა.

განსაკუთრებით სასტიკი და მძაფრი იყო ეს ომი სამხრეთ რუსეთში, სადაც რეაქცია უკანასკნელი პოზიციების შენარჩუნებას ცდილობდა. საბჭოთა ხელისუფლება ძლევამოსილად უტევდა მას და შავი ზღვისკენ ერეკებოდა, თავის საზღვრებიდან აძევებდა. შავ ზღვაზე და მის სანაპიროებში სისხლის თქეში იდგა კიდით კიდემდე.

აფხაზეთი მაშინ ამიერკავკასიის კომისარიატის ხელისუფლებას ემორჩილებოდა და ფაქტიურად რუსეთს მოწყვეტილი იყო.

და აღნიშნული წლის თებერვლის 27,_ ს, დილაადრიან ქალაქ სოხუმში ხმა გავარდა მოულოდნელად:

ბოლშევიკების კრეისერი «შმიდტი» ქალაქის ნავსადგურს უახლოვდება, ეტყობა, შემოსვლას აპირებსო.

პირველ ხმას მეორეც მოჰყვა დადევნებულივით:

წითელ კრეისერს მეთაურად «მრისხანედ» წოდებული ბოცმანი კუზმა კილგა ახლავსო.

სოხუმს არაერთხელ გაეგონა ეს სახელი.

ეს იყო ძველი მეზღვაური, !905 წლის მეამბოხე, ცნობილი შმიდტის თანამებრძოლი ბოცმანი, კუზმა კილგა, რომელსაც მეფის მთავრობამ შმიდტის ამბოხებაში მონაწილეობის მიღებისათვის უვადო კატორღა მიუსაჯა. !9!9 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ კილგა ისევ თავის საქმეს დაუბრუნდა და შავი ზღვის ფლოტში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. მისი სახელი მალე ცნობილი შეიქნა, როგორც ზღვაზე, ისე მის სანაპიროებში. მტრებმა მას მეტ-

სახელად «მრისხანე» შეარქვეს, რაც მის სახელს გვარის მაგიერ მიემატა და მერმე ისე შეეზარდა, როგორც აუცილებელი ეპითეტი: _ კუზმა_ მრისხანე.

საბჭოთა მთავრობამაც იგი უდიდესი ნდობით აღჭურვა: თავისი უძლიერესი სამხედრო გემის _ კრეისერ «შმიდტის» _ უფროსობა ჩააბარა, როგორც დამსახურებული ჯილდო კონტრრევოლუციის წინააღმდეგ თავდაუზოგველი ბრძოლისათვის.

სოხუმის ქალაქის თავს, სამსონ დავანაძეს, ბოლშევიკების სამხედრო გემის მოსახლეობის ამბავი ბინაზე მიუტანეს დილაადრიანადვე. ჯერ კიდევ ლოგინში იწვა. «შმიდტისა» და «კუზმა მრისხანის» გაგონებაზე შეფეთებული ადგა. მოულოდნელობისა და აჩქარებისაგან ძლივს მოასწრო ტანთ ჩაცმა და პირდაუბანელმა ქალაქის საბჭოს მიაშურა.

მაღალი კაცი იყო, ზორბა, წითური წვერი მკერდზე დაფენოდა. ქშენით მოალაჯებდა, თან ზღვისკენ იცქირებოდა.

_ აბა, მაჩვენეთ, სად არის?

თბილი დღე იყო და მზიანი, _ იშვიათი ამ მზითა და სითბოთი განებივრებულ მხარისათვისაც ზამთარში. დაწყნარებული ზღვის მოალერსე, მშვიდი კამკამი დაუჯერებელს ხდიდა ხმად დარხეულ ამბავს.

ჰორიზონტი ნათელი იყო. დავანაძის თვალებმა საეჭვო ნიშანიც კი ვერ შენიშნეს ნაპირიდან დაწყებული ზღვის შორეულ კიდურამდე.

«შიშისაგან თუ მოეჩვენათ» _ ფიქრობდა ქალაქის თავი და ბრაზი მოსდიოდა სოხუმელებზე. გულში ედვა, თუ განგაში ტყუილი აღმოჩნდებოდა, სასტიკად დაეტუქსა, ვინც ჭორს ავრცელებდა და ხალხში შფოთს იწვევდა. თვითონ თავი ძველ რევოლუციონერად მოჰქონდა და ბოლშევიკების არ ეშინოდა. _ მეფის დროს ციმბირში იყო გადასახლებული რევოლუციონერობისათვის.

ქალაქის საბჭოს წინ მოქალაქეებს კარგა ბლომად მოეყარათ თავი. ესენი მეტწილად სოხუმის მესაკუთრენი იყვნენ. აღელვება ეტყობოდათ. ორი_ სამი ბინოკლითაც შეიარაღებულიყო.

_ კი მაგრამ, რატომ დაიჯერეთ ასეთი ჭორი? საიდან სადაო? _ თავს წაადგა მათ სამსონ დავანაძე, _ ბოლშევიკების გემს ჩვენთან რა საქმე აქვს!

მოქალაქენი გარს შემოეხვივნენ. ცნობა დაუდასტურეს.

_ ნამდვილზე ნამდვილია. ჩვენი თვალით დავინახეთ. გაგრიდან ჩამოსულებიც ამბობენ, ის არისო. გემი რაღაც საეჭვოდ მიმოდის ზღვაში და ეს უნდა იცოდეთო.

_ ახირებულია, თქვენმა მზემ. გემი იმისათვის არის გემი, რომ ზღვაში მიმოდიოდეს. მაშ ხმელეთზე ხომ ვერ ივლის, _ აიმრიზა ქალაქის თავი, მოქალაქეებს შიში არაფრად ჩაუგდო და თავისი მოჭრილი პასუხით კმაყოფილმა საბჭოს შენობაში შესვლა დააპირა.

ამ დროს ვიღაცამ წამოიძახა:

_ აი, აი, ისევ გამოჩნდა! აი, ის არის!

ქალაქის თავი ფიცხლად შემოტრიალდა და აზრმიუცემლად იკითხა:

_ აბა, სად არის?

ერთმა მოქალაქემ ხელში ბინოკლი შეაჩეჩა.

დავანაძემ წვერი დაიფერთხა, კისერი წაიგრძელა და ბინოკლით შეიარაღებული თვალები ზღვას დაუმიზნა.

_ სწორია, რომ გემია... სამხედროსაც ჰგავს... მაგრამ რატომ არის მაინცდამაინც «შმიდტი», ეს ვერ გამიგია, _ თქვა მან, როცა ზღვის სივრცე შეათვალიერა, მაგრამ ხმაში წინანდელი რიხი და სითამამე აღარ ეტყობოდა. ჩანდა, რომ თავადაც ეჭვი აღძროდა.

_ მოგეხსენება, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, _ ყურში ჩასჩურჩულა მას ბინოკლის პატრონმა, სოხუმში კარგად ცნობილმა ვაჭარმა რაჟდენ თორიამ, რომელიც «შმიდტის» მოახლოებას ყველაზე უფრო შეეშინებინა. _ კარგი იქნება, თუ გაგრას გამოიძახებთ და ამბავს ჰკითხავთ. დაგვიანება არ ვარგა, თუ «ისინი» არიან მართლა, დროზე უნდა შევემზადოთ.

ეს რჩევა ქალაქის თავს ჭკუაში დაუჯდა, საბჭოში შეიჭრა და ტელეფონს მიაშურა.

გაგრის პასუხი ასეთი იყო:

_ ეს მესამე დღეა, კრეისერ «შმიდტს» შორიახლო ვამჩნევთ. გუშინ საღამოს თვალთაგან დაგვეკარგა. ამბობენ, ამ მხარეს იმისათვის დადის, რომ დამარცხებულ თეთრგვარდიელებს გზა გადაუჭრასო. ნამდვილად კი არავინ იცის, სახელდობრ, რა საომარი ამოცანა აქვს დასახული... ჩვენი დაკვირვებით თქვენკენ წამოვიდა. შეიძლება გეწვიოთ, მზად იყავით.

სამსონ დავანაძისათვის ახლა აშკარა შეიქნა, რომ ბინოკლში თვალმოკრული გემი უთუოდ «შმიდტი» იყო და მას მართლა ყოველ საათს შეეძლო, სოხუმს სტუმრებოდა.

სერიოზულად დაფიქრდა. მის წინაშე მთელი თავისი პირდაპირობით და აუცილებლობით დადგა საკითხი, როგორ მოქცეულიყო იმ შემთხვევაში, თუ კრეისერი სოხუმის ნავსადგურში შემოვიდოდა და ქალაქს რაიმე მოთხოვნილებას წაუყენებდა.

ადვილი არ იყო ამ საკითხის გადაჭრა.

დავანაძეს იგი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხად ეჩვენებოდა. მით უმეტეს, რომ პოლიტიკური ურთიერთობა მეტად დაჭიმული იყო ამ ხანად. ეჭვი არ იყო, ქალაქის თავის საქციელს ამ შემთხვევაში სათანადოდ შეაფასებდნენ და შედეგისათვის პასუხისმგებლობას მასვე თავს დაატეხდნენ.

_ თუ მოყვრულად დავხვდი, შენი მტერია, ბოლშევიკობას შემწამებენ. თუ მტრულად _ გაბედე, თუ ვაჟკაცი ხარ: ნავი კი არ არის, კრეისერია ნამდვილი, მერე ისიც ბოლშევიკების. რისი იმედით? ის კუზმა0მრისხანეც უთუოდ ტყუილად არ ატარებს თავის მეტსახელს.

საგონებელში ჩავარდა ქალაქის თავი.

პირველი ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა ყოველნაირი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, ეს იყო თბილისში საიდუმლო დეპეშის გაგზავნა: ასეა საქმე და როგორ მოვიქცეთო. მაგრამ ეს იყო უფრო ფორმალობის დაცვა მისი მხრით. კარგად იცოდა, რომ დროზე არავინ უპასუხებდა და თუ

მიიღებდა მაინც რაიმე პასუხს, იგი სახელმძღვანელოდ უთუოდ არ გამოადგებოდა.

მეორე ნაბიჯი კი ნამდვილ გამოსავალს წარმოადგენდა შექმნილი მდგომარეობიდან. ამავე დროს იგი სამსონ დავანაძის ჭკუამახვილობისა და ალღოს მაჩვენებელიც იყო.

მას სწორედ დეპეშის შედგენის დროს მოაგონდა, რომ სოხუმშიაც არსებობდა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომლის თავმჯდომარედ დავანაძის კარგი მეგობარი ნარიქ ეშბა ითვლებოდა. ესეც ძველი რევოლუციონერი, ნაციმბირალი და სხვა მრავალი ღირსებით შემკული კაცი იყო. რევოლუციის შემდეგ ფართო საზოგადოებრივი მუშაობის ასპარეზზე გამოსულ აფხაზთა შორის იგი ყველაზე უფრო წინდახედული, ჭკვიანი და მომქმედი იყო. სხვათა შორის, მას არსებული მთავრობის საწინააღმდეგო განწყობილებას სწამებდნენ, რუსეთის მომხრედ სთვლიდნენ, მაგრამ ეს უფრო ჭორის სახით იყო გავრცელებული, მითქმა-მოთქმის ფარგლებიდან არ გამოდიოდა და ხელს არ უშლიდა ეშბას, თვალსაჩინო და საპასუხისმგებლო თანამდებობა ჰქონოდა.

მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომელსაც ნარიქ ეშბა თავმჯდომარეობდა, ამჟამად თითქმის არ მოქმედებდა, _ მიყუჩებულივით იყო. მაგრამ ეს არ იყო ეშბას ბრალი. ბოლო დროს ამ ორგანიზაციის მოვალეობას ისღა შეადგენდა, რომ დროგამოშვებით, როცა მდგომარეობა გართულდებოდა, მომენტის შესაფერის რეზოლუციას მიაღებინებდნენ და გაზეთებში გამოაცხადებდნენ. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ამ ორგანიზაციას ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი რევოლუციური ავტორიტეტი და მისი გვერდის ავლა არ შეიძლებოდა.

_ ევრიკა! _ წამოიძახა დავანაძემ და წვერის დაფერთხით თავის თავს მიხვედრა მოუწონა. მის წინაშე მოქმედების მთელი გეგმა გადაიშალა: როგორც თვით მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭო, ისე მისი თავმჯდომარე ქალაქის თავს ახლა იმ სახით წარმოუდგენდნენ, თით-

ქოს ისინი თავიდანვე ამქვეყნად იმიტომ ყოფილიყვნენ გაჩენილები, რომ ამ დილას უცაბედად შექმნილი მდგომარეობისათვის მოევლოთ და ეპატრონათ.

_ აი, ნამდვილი რევოლუციური ორგანო. მე რა შუაში ვარ, მართალი რომ ვთქვათ. ნურავის დაავიწყდება, რომ ამ რევოლუციური ორგანოს ოფიციალური სახელწოდება შეიცავს არა მხოლოდ «მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატებს», არამედ «მეზღვაურთა» დეპუტატებსაც, რასაც ხშირად შემოკლებისათვის არ ხმარობენ, მაგრამ ყოველთვის კი გულისხმობენ... დიახ და, აი, ახლა მეზღვაურები მოდიან. კეთილი ინებეთ, მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატებო, დახვდით ამხანაგებს და შესაფერისი მასპინძლობა გაუწიეთ. მორჩა და გათავდა.

მაშინვე აფრინა შიკრიკი ნარიქ ეშბასთან და საბჭოში დაიბარა.

ეშბამ გულდასმით მოისმინა სამსონ დავანაძის წინადადება. რა თქმა უნდა, მაშინვე მიხვდა ქალაქის თავის განზრახვას. ცოტა ხანს დაფიქრდა და შემდეგ ასეთი მეგობრული პასუხი გასცა:

_ პასუხისმგებლობას ან შენ რატომ იკისრებ, ძვირფასო სამსონ, ან რატომ გინდა, რომ მე მაკისრებინო მაინცდამაინც. ხომ იცი, რა მდგომარეობაა. თუ პასუხისმგებლობამდე მივიდა საქმე, სჯობია, მისი ტვირთი ისე განაწილდეს, ყოველ შემთხვევისათვის, რომ ბრალი ყველას და ამავე დროს არავის არ დაედოს... ჩემის აზრით, ასე უნდა მოვიქცეთ: მოვიწვიოთ ქალაქის საბჭოს და მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმების სასწრაფო გაერთიანებული სხდომა პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების თანდასწრებით და იქ დავსვათ ეს საკითხი. შეიძლება, გავლენიანი მოქალაქეებიც მოვიწვიოთ, როგორც დაინტერესებული ხალხი. დეე, ამათ გადაწყვიტონ, თუ რა სახით უნდა დახვდეს ქალაქი სოხუმი ბოლშევიკების სამხედრო გემს. ასეთია ჩემი რჩევა და შენ, როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი.

ძალიან მოეწონა ეს აზრი ქალაქის თავს, შურითაც კი აივსო მისი ავტორისადმი, რომ მან ასე უცბად ასეთი მოხერხებული გამოსავალი ჰპოვა.

«აფხაზები ბუნებით დიპლომატები არიან, კიდევ მაჯობა, მგონია, ჭკუაში», _ გაიფიქრა თავისთვის, მაგრამ რაკი რჩევა ძალიან მოეწონა, ჯობნა არ სწყენია. საქმეს ფიცხლად შეუდგა. მთელი აპარატი ფეხზე დააყენა.

II

პრეზიდიუმების გაერთიანებული სხდომა ისე სწრაფად შედგა და საბჭოს დარბაზს იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ მუდამ ქვორუმის მონატრული ქალაქის თავის ყოველ მოლოდინს გადააჭარბა.

სხდომაზე არ გამოცხადდნენ ოფიციალურად მხოლოდ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ამ გარემოებამ დავანაძე, ცოტა არ იყოს, დააფიქრა.

_ უყურეთ, როგორ გაურბიან პასუხისმგებლობას. პოლიტიკაა. ალბათ, ასე სჯობია, _ გაივლო გულში და ამთავითვე გადაწყვიტა, პირში წყალი დაეგუბებინა და სხდომაზე კრინტი არ დაეძრა. _ რაღა მე ვიტკინო თავი!.. შემდეგ კი ვნახოთ. გარემოება რას გვიკარნახებს.

სხდომა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ გახსნა.

ეს იყო ბექირბი ჩაჩბა, აფხაზთა შორის მეტად პოპულარული პიროვნება, მისდამი პატივისცემას ყველასათვის სავალდებულოდ ხდიდა, გარდა დიდი გვარისა, რომლის უპირველეს წარმომადგენლად ითვლებოდა, მისი იშვიათი ტანადობაც და განსაკუთრებული აფხაზური იერით შემკული სახიერება. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ბექირბი ჩაჩბა ისე ატარებდა თავისი მოდგმის არისტოკრატიულ ნიშნებს, რომ ყოველი თავმომწონე აფხაზი მოვალედ თვლიდა თავს მიებაძნა მისი სიტყვა_ პასუხის, მოქცევისა და ჩაცმა_ დახურვისათვის.

სხდომის გახსნისთანავე მან საკითხი მამაშვილური პირდაპირობით დააყენა:

_ რა ვქნა, ბოლშევიკები კარს მოგვადგნენო.

სიჩუმე ჩამოვარდა.

დამსწრენი ენაწყლიანი ორატორების გამოსვლას მოელოდნენ. მაგრამ მათგან ახლა სიტყვის თქმის მსურველი არავინ გამოჩნდა.

მაშინ წამოდგა უპარტიო რაჟდენ თორია, ხმოსანი და მდიდარი მესაკუთრე, სხდომაზე საგანგებოდ მოწვეული, როგორც სოხუმის გავლენიანი მკვიდრთაგანი, და სიტყვა ითხოვა.

_ რაკი ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელები სდუმან, ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოგახსენოთ სოხუმის ყველა მცხოვრების სახელით შემდეგი: აქ არიან ბევრნი და კიდევაც დამეთანხმებიან. მე მგონია, ლაპარაკისათვის დროც არა გვაქვს, მაგრამ საკითხი ისედაც ნათელია. ახლა პოლიტიკური ანგარიშების გასწორების დრო არ არის. ჩვენ, უბრალო ხალხი ამ ანგარიშებში არც ვერევით. ეს ჩვენი საქმე არ არის. ღმერთმა დაგვიფაროს. არ მივცემთ არავის ნებას ისედაც გართულებული მდგომარეობა დღეს კიდევ უფრო მეტად გაგვირთულოს. ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი რამ: რადგანაც კრეისერი «შმიდტის» ერთი გასროლაც კი საკმარისია, რომ ჩვენი სახლები და მთელი ჩვენი სარჩო-საბადებელი, რაც კი გაგვაჩნია, ცეცხლმა თვალის დახამხამებაში ჩანთქას, ჩვენი ყოფაქცევაც ამ უეჭველი გარემოებიდან უნდა გამომდინარეობდეს: _ გემიც და მისი მეზღვაურებიც მთელმა ქალაქმა ისეთი პატივისცემით უნდა მიიღოს, რომ ეჭვიც კი არავის დაებადოს ჩვენს მათდამი თანაგრძნობასა და მეგობრულ განწყობილებაში. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ გემის ყველა მოთხოვნილება, რაც კი იქნება, დაუყოვნებლივ უნდა დავაკმაყოფილოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს მაინც... ვინც სხვანაირად გვირჩევს, იმას ალბათ ჩვენი დაღუპვა უნდა...

მთელმა დარბაზმა ერთხმად წამოიძახა:

_ მართალია. სწორია.

მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ნარიქ ეშბამ მოკლე დეკლარაცია წაიკითხა. იგი მაღალფარდოვანი და გრძელი პერიოდებისაგან შედგებოდა, რომლის სიტყვიერ

ლაბირინტში გარკვეული აზრის დანახვა შეუძლებელი იყო. მაგრამ დასკვნა წინდახედულად იყო მოზომილი და ავტორს ყოველგვარ ეჭვს გარეშე აყენებდა, რაგინდ თვალსაზრისით გაგესინჯათ იგი. აი, ეს დასკვნაც:

_ იმ ბრძოლაში, რომელიც ახლა მთელ რუსეთში წარმოებს, ჩვენ უთუოდ რევოლუციის მხარეზე უნდა ვიყოთ და ვართ კიდევაც. ასეთია ჩვენი მშრომელი მასების სულისკვეთება...

საწინააღმდეგო აზრი, რასაკვირველია, დარბაზში არც კი გაჭაჭანებულა.

თუმცა არავინ იცოდა დანამდვილებით კრეისერ «შმიდტის» მარშრუტი, მაგრამ ისედაც ყველამ უწყოდა, თუ რა ინტერესი უნდა ჰქონოდა ოქტომბრის რევოლუციას შავი ზღვის სანაპირო ადგილებში ახალისა და ძველ რუსეთს შორის გამართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს. _ არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, რომ მიუხედავად ყოფილი იმპერიის სამხრეთით ახლად შექმნილი რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა, მათი ტერიტორიები მაინც შედიოდნენ დიდი ოქტომბრის სადარაჯოს ფარგლებში, და ამ მხრით გამონაკლისს აფხაზეთიც არ წარმოადგენდა.

ბათუმიდან დაწყებული შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირის გაყოლებაზე მდებარე ქალაქებსა და დაბებში კიდევაც არა ერთხელ შემოჭრილან ზღვის ქარიშხალივით გაოცებისა და შიშის მომგვრელი ახალი სახელები:

_ წითელი კრეისერი «შმიდტი» და მისი უფროსი _ ბოცმანი კილგა, «კუზმა_ მრისხანედ» წოდებული.

დღეს კი სოხუმს თვით ამ სახელების მატარებლების პირისპირ შეყრა და უშუალოდ გაცნობა მოელოდა.

გემის საზეიმო დახვედრის საჩქაროდ მოწყობა და მისი წესიერად ჩატარება ორ კაცს დაევალა: მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეს ნარიქ ეშბას და ქალაქის თავს სამსონ დავანიძეს, რომელთაც თანაშემწეებად ათიოდე გავლენიანი და ენერგიული მოქალაქე დაუნიშნეს.

მათ შორის პირველი იყო რაჟდენ თორია.

...

ათი საათი იქნებოდა, როცა სოხუმის ქალაქის საბჭოს უკანასკნელი შემოწმებული ცნობა მოიტანეს: კრეისერ «შმიდტს» გეზი ნავსადგურისაკენ აქვსო.

მთელი ქალაქი უმალვე გამოიცვალა. ისეთი ფაციფუცი, მოძრაობა და განგაში ატყდა, რომ კაცს ეგონებოდა, შავი ზღვის ნაპირად ამ მზიან დილას სასწაული რამ მოვლინებულა და პატარა, წყნარი და კოხტა სოხუმის ადგილას საიდანღაც ვეება, აურზაურიანი ქალაქი გაშენებულაო. მივარდნილი, მუდამ სოფლური სიჩუმით მოცული უბნებიც კი ახმაურებულიყვნენ:

_ ბოლშევიკები მოდიანო!

ქუჩებში ეტლებისა და ცხენების თქარათქური გარეთ გამოფენილი ხალხის აყიჟინებულ ხმაურობას შერეოდა. ქალაქისა და ადგილობრივი მთავრობის მიმოსვლის მთელი თანამედროვე ტექნიკური საშუალება _ რამდენიმე სამგზავრო და ორიოდე საბარგო ავტომანქანა, _ ისეთი სისწრაფით დაჰქროდა უბნიდან უბანში, რომ სოხუმის ისედაც შეფეთებულ წვრილ ბურჟუებს ყველგან და ყოველ წამს მათი ცოფიანი ქშინვა, გიჟური სტვენა და ყვირილი ელანდებოდათ. ეგონათ, რომ მათი რიცხვი ათიათასსაც კი აღემატებოდა, და უკვირდათ:

_ ამდენი ავტომობილი დღეს ნეტავი ასე უცბად საიდან გაჩნდაო.

ეს საკვირველი მოვლენაც ზოგს «შმიდტის» და «კუზმა_ მრისხანის» გაუგებარ საქმედ ეჩვენებოდა და მიხვედრას იმახვილებდა, რომ თავდაცვის განსაკუთრებული და უტყუარი ზომები დროზე მიეღო.

_ იქნება, ავტომობილებითაც მოდიანო.

მოქალაქენი მეტწილად თავიანთ სახლებს უტრიალებდნენ და წითელი დროშებით ამკობდნენ. დიდი და პატარა ერთ სურვილს აეტანა: რაც შეიძლება მალე, საჩქაროდ მეზობლებზე უფრო ადრ გამოეკიდა თავის სახლის წინ წითელი დროშა და ამით ყოველი ეჭვი თავიდან აეცილებინა. ვისაც შინ დროშა არ

აღმოაჩნდებოდა, ბაზრისაკენ გარბოდა, წითელ ნარმას ყიდულობდა და უკან დაბრუნებული, გზადაგზა, დროს მოსაგებად, დროშას სახელდახელოდ ამზადებდა: ნარმას ჯოხზე ამაგრებდა.

მცხოვრებნი სახეზე კითხვის ნიშნის გამოსახვით ხვდებოდნენ ერთმანეთს. ზოგს საიდუმლო აზრის დამფარავი და ამავე დროს ამავე აზრის იდუმალ გამამჟღავნებელი ღიმილი უთამაშებდა პირზე, ზოგს კიდევ დაუფარავი შიში და დაბნეულობა უკრთოდა თვალებში.

_ მოდიან? ა?

_ მოდიან. «შმიდტისთანა» ძლიერი კრეისერი შავ ზღვაზე არ დადის. კუზმა_ მრისხანე თუ გინახავს?

_ ნახვით არა, მაგრამ, ნეტავი, თუ მართალია, რასაც მასზე ლაპარაკობენ?

_ რა ვიცი. ღმერთმა დაგვიფაროს... თავი უნდა მოვაწონოთ კი.

და ისევ გარბოდნენ.

ხელისუფლებაც დარბოდა, ღელავდა, ფაციფუცობდა და ემზადებოდა.

ქალაქის საბჭოს შენობის სახურავზე აფრიალებული დროშის გვერდით ორი დიდი ახალი წითელი დროშა აღემართათ, ხოლო თვითონ შენობა მთელ სიგრძე_ სიმაღლეზე პაწაწინა წითელი დროშებით მოეფინათ. საბჭოსთვის სხვა დაწესებულებებსაც მიებაძნათ, ამათთვის კიდევ _ კერძო სახლებს და სოხუმის ლამაზი შენობების თეთრი რიგები სულ ერთიანად წითლად აეჭრელებინათ.

ნავსადგურის მისადგომი ცოცხალი ყვავილებით მოერთოთ. ათიოდე დურგალი მის წინ ამართულ სამიტინგო კამარას შესეოდა შესაკეთებლად, რადგანაც ჯერ კიდევ შარშან თებერვლის დღეებში გაკეთებული, ამჟამად მოძველებული იყო, შენჯღრეული, და ძალიან უფერულად გამოიყურებოდა. სოხუმის გამოცდილი მებაღეები კი, იქვე, მის შესამკობად უცხო ნაირფეროვან ტროპიკული მცენარეებისა და ყვავილებისაგან გირლიანდებს სწნავდნენ.

ბაქანზე ორკესტრი წინასწარ გამოეყვანათ ყოველი შემთხვევისათვის, რათა არ დაგვინებოდა და შეხვედრა უმუსიკოდ არ მომხდარიყო.

ზღვის ნაპირის გასწვრივ გაშლილი პალმების ხეივანზე გამავალი დიდი სასტუმროს ქვედა სართული, რომელშიაც რესტორანი იყო მოთავსებული, წითელი არშიებით დაებლანდათ. არშიებზე ფერად_ ფერადი რევოლუციური წარწერები აეჭრელებინათ რუსულ ენაზე, ხოლო რესტორნის შესავალი თაღით დაემშვენებინათ და ზედ დიდრონი ასოებით აეთამაშებინათ:

_ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

შიგ რესტორანში სუფრას შლიდნენ ასი კაცისათვის...

III

ამავე სასტუმროს მეორე სართულზე, ფანჯრებდახშულ ოთახში, ხუთი კაცი ჩაკეტილიყო და წუხელ ნავახშმევს დაწყებულ ბაქარას თამაშს განაგრძობდა. ეს განცალკევებული ჯგუფი არა თუ მონაწილეობას არ იღებდა ქალაქის ციებცხელებიან სამზადისში, მისმა წევრებმა ამბადაც არ იცოდნენ, რაც ამ დილის აქეთ მათ გარშემო ხდებოდა, _ მათ შორის ორი აფხაზი იყო. დანარჩენები _ მეგრელი, აჭარელი და იმერელი, ხუთნივე ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელნი.

სათამაშო მაგიდას მხოლოდ ოთხნი უსხდნენ. ოთახში დამდგარი თამბაქოს ბოლი უძილობისაგან დაქანცულ და აზარტისაგან დაგლეჯილ მათ სახეებს დაორთქლილ სარკესავით აჩენდა.

მაგიდა ფულით იყო მოფენილი: _ ცალკე ეწყო რუსეთის იმპერიის გაუქმებული ასიგნაციები და ოსმალური ლირები, ცალკე სხვადასხვა კუთხის, ოლქის თუ რესპუბლიკის, მეტწილად ამიერკავკასიის «ბონები», «კერენკების» ჩართვით. ზოგი დასტა-დასტად ელაგა, ზოგი აშლილი ზვინივით უანგარიშოდ ეყარა, ქარაგმიანი, სარეკლამოდ მორთული ფურცლებივით. მათ საეჭვო ღი-

რებულებას, გარდა მდარე ქაღალდისა, ამჟღავნებდა არაბული ციფრებით გამოხატული ასეული ათასების და მილიონების ფანტასტიკაც, რომელიც არავის არ სჯეროდა. თამაში უწყვეტად, მაგრამ ჩუმად მიმდინარეობდა. გაისმოდა მხოლოდ დამრიგებლის მოკლე და მოკვეთილი წამოძახილი. უფრო მოკლე და მოკვეთილი იყო პასუხი პარტნიორისა. მერე იწყებოდა ფულის სწრაფი, უსიტყვო გადალაგება ერთი ადგილიდან მეორეზე.

მაგიდის ერთ კუთხეში მიყრილ_ მოყრილ პაპიროსის ნამწვავებსა, ჭიქებსა, ბოთლებსა და ლამბაქებს შორის წვრილი ვერცხლის ბალთებასხმულ ქამარში გაყრილი სატევარი იდო, ოქროთი მოჭედილი, მის გვერდით ღილშეხსნილი ბუდიდან ამოწეული რევოლვერის ოქრო_ ვერცხლით მოსალტული ტარი მოჩანდა, ხმარებისაგან დაფერილი და მოელვარე. თვითონ რევოლვერი დაეფარა ახლოს მიდგმულ სკამის ზურგზე გადაკეცილი თალხი ფერის ჩოხის სახელოებს, მაგიდაზე შემთხვევით გადმოფენილებს. სკამის ზურგზე კი ჩოხის სამხრეებიდან გამომზირალი ყაზახთა ოფიცრის ფორმის მბზინავი სირმის ეპოლეტები ბრჭყვიალებდა, და მათ ქვემოთ, ნაოჭთა ჩრდილს ქვეშ მიმალული, სამასრეზე მიკერებული წმინდა გიორგის ოქროს ჯვარი ციალებდა, მინანქრით მოოჭვილი.

როგორც მაგიდაზე დაწყობილი იარაღი, ისე სკამზე გადაკეცილი ჩოხა მოთამაშეთა ჯგუფის მეხუთე წევრს ეკუთვნოდა, რომელიც ამჟამად თამაშში მონაწილეობას არ იღებდა _ ფანრის ახლოს კუთხეში მიდგმულ მოგრძო სავარძელში იწვა წელში გადაკეცილი და ძილს მისცემოდა.

თავი სავარძლის ხავერდგადაკრულ ხელსაყრდენე ჩამოედვა, ქვეშიდან ხელებშემოწყობილი. შავ წუღა_ მესტებში ჩასხლეტილი ფეხები საზურგეზე შეესროლა გადაჯვარედინებულად. ახალგაზრდა ქერა სახე დალეწილი უჩანდა: ზოგან ნაოჭებს დაესერა, ზოგან კიდევ ჭრილობის ჩაღრმავებულ ზოლებს, რომელთაგან ერთი მარცხენა ლოყაზე აჯდა ირიბად.

მიუხედავად იმისა, რომ ეძინა, სახეზე რაღაც ღრმა წუხილის ლანდები მიმოურბოდნენ, რომლებიც დახუჭული თვალების საბუდეებში ღამის შავი

ფრთებით ეფინებოდნენ. ნისკარტივით მოხრილი მომცრო ცხვირის ნესტოები მოხშირებულ სუნთქვისაგან უფეთქავდნენ _ ეშლებოდნენ და ეკეცებოდნენ, როგორც ნატიფად ნაზარდ ჯიშიან ცხენს მძიმე, შეუფერებელ ტვირთს ქვეშ. შინდისფერი მოკლე ახალუხი ტანზე ბუნებრივი კანივით შემოკვროდა და უხორცო გულმკერდის ძვლის ზოდებსა და კუნთებს უჩენდა. წელის ნასკვს ორი თითი შემოწვდებოდა.

ეს იყო თავად უჯუშ ემხა, აფხაზი, მეფის დაშლილი ჯარის ოფიცერი, _ შტაბს_ როტმისტრი ჩერქეზთა რაზმის აფხაზური ასეულისა, რომელიც ომის დროს ავსტრიის ფრონტზე იბრძოდა.

დაშლილი ფრონტიდან წამოსული, მხოლოდ ახლახან დაბრუნებულიყო სამშობლოში. სამ თვეზე მეტი სამოქალაქო ომის ცეცხლში ეტრიალნა. აჯანყებული ჯარისკაცების შურისძიების გუგუნს გადარჩენოდა, წითლების იერიშების შმაგ ნავარდს გამოქცეოდა. ათასი საფრთხისა და განსაცდელისაგან თავი დაეღწია, განუყრელად მასთან მყოფი უერთგულესი მხლებელის, მისთვი მუდამ თავგანწირული ძიძიშვილის ჰაკი აძბას დახმარებით, რომელთანაც ერთად უვნებელი მშობელ კერას დაბრუნებოდა.

სიცოცხლის გარდა ორი რამ გნძი ჩამოყოლოდა, რომლებსაც სიცოხლეზე უფრო აფასებდა და უფრთხილდებოდა. ეს იყო სიყრმიდანვე მისი საოცნებო ოფიცრის ეპოლეტები და ოფიცრისავე წმ. გიორგის ოქროს ორდენი.

მგრამ ერთი რამ საჩუქარი მისთვის სამოქალაქო ომსაც გამოეტანებინა: ეს კი იყო მის პრიმიტიულ სულზე შიშის ლანდების უჩინარი დაღი, რომელიც ისევე არ შორდებოდა მის შინაგან არსებას, როგორც გიორგის ჯვარი მკერდს და მხრებს _ ეპოლეტები.

ახლაც, თუმცა სავარძელში იწვა და ეძინა, ისე ბორგავდა და იკრუნჩხებოდა, რომ ეტყობოდა, ამ ლანდებისაგან ძილშიაც მოსვენება არ ჰქონდა. მართლაც, უცნაური რამ ემართებოდა. დროგამოშვებით მთელი ტანის ცახცახი აუვარდებოდ და მერე უცებ მთელი ტანითვე ისე შეკრთებოდა, თითქოს უფსკრულს უნდა გადაჩეხილიყო და თავი ძლივს შეიმაგრაო. თან ტუჩებს

რაღაც საკვირველი ღრაკნით მუწავდა და შლიდა. უცხო, გაუგებარ სიტყვების ნაწყვეტები შიშინით ამოუდიოდა პირიდან და ისევ გაინაბებოდა, სუნქვაც კი შეუწყდებოდა და დასასრულ, ისეთი კვნესა აღმოხდებოდა მკერდის სიღრმიდან, რომ თავდავიწყებამდე აზარტში შესული მისი პარტნიორები ამის გაგონებაზე თამაშს შეწყვეტდნენ და გაოცებულები სავარძლისაკენ მოიხედავდნენ _ ეს რა საცოდაობის ხმა გაისმაო.

როცა ეს რამდენჯერმე განმეორდა, მოთამაშეებმა ვერ მოითმინეს და მძინარეს ერთხმად შესძახეს გამოსაღვიძებლად:

_ უჯუშ!

დაძახება და უჯუშის წამოვარდნა სავარძლიდან ერთი იყო.

ფეხზე დამდგარმა, მაგრამ ისევ მძინარემ ტანი ისე მოიმარჯვა, თითქოს მოსისხლე მტერს უტევსო _ წელზე წაივლო ხელები, სადაც სატევარი ეგულებოდა: მარჯვენით ტარს ეძებდა, მარცხენით _ ქარქაშს. როცა ვერც ერთი ვერ მონახა, ხელი რევოლვერისაკენ გააქანა. ესეც რომ არ აღმოჩნდა, კანკალი დაწყებინა, ბრაზისაგან გაიგუდა. ის იყო სასოწარკვეთილების გმინვა უნდა აღმოხდენოდა პირიდან, რომ ამ საოცრების შემყურე მოთამაშენი თავიანთი ადგილებიდან წამოიშალნენ და გარშემოერტყნენ, დაბალი, მოალერსე ხმით მიმართეს. ტკბილი სიტყვები უთხრეს.

_ უჯუშ! ჰა, უჯუშ! რა მოგივიდა? აქ ვართ, ნუ გეშინიაო.

ახლოს მისვლა საკვირველ მძინარესთან და ხელის მოკიდება მაინც ვერ გაბედეს.

ერთ ხანს შემდეგ უჯუშმა შეწყვიტა მოძრაობა და ტანი გაისწორა. მერე თვალებიც გაახილა და მის წინ მდგომ ოთხსავე მეგობარს ერთბაშად შეანათა.

მოწითალო მწვანე ფერით არაამქვეყნიური შუქი გამოკრთა.

ეს იყო შიში, რომლის მსგავსი არც ერთს იქ მყოფთაგანს მოჩვენებითაც კი არასოდეს არ მოჩვენებიათ.

უკან დაიხიეს ძალაუნებურად.

მაგრამ უჯუშმა, როგორც კი იცნო ამხანაგები, მაშინვე ისევ დახუჭა თვალები. ახლა პირთან ბავშვურმა ღიმილმა გაუციალა და ლურჯი ფერებით დასერილ სახეზე ნათელივით შეეფინა. ეტყობოდა, გონს მოეგო.

იმ ღიმილმა დამფრთხალი ამხანაგებიც გაახარა. ახლა თამამად მიუახლოვდნენ უჯუშს. გაბედეს და მკლავებზედაც ხელი შეუსვეს.

_ ამისთანა რა მოგეჩვენა, უჯუშ, რომ ასე შეგვაშინე. დაწყნარდი, შე კაცო, არაფერია... ბოლშევიკები ჩვენში ჯერ კიდევ არ არიან.

უჯუშმა ისევ გააღო თვალები. ახლა ბუნებრივად, ჩვეუებრივად იცქირებოდა. ერთხელ კიდევ შეხედა მის გარშემო მდგომთ და ისევ გაუცინა, თითქოს მათ წინაშე ბოდიში მოიხადაო.

_ მე კი სწორედ ისინი მომეჩვენენ... თითქოს... გემით მოვიდნენ... თითქოს... _ მაგრამ სიტყვა არ დაასრულა, ხელი ჩაიქნია და ტანის მოწყვეტით ისევ სავარძელში ჩავარდა თვალებმინაბული.

მაღლა აწეუმლი თავი სავარძლის საზურგეს მიაყრდნო და მეტი სიტყვა არ წამოსცდენია, ისე გაირინდა. ჩანდა, სიზმარში განცდილი შიშისათვის თავი ჯერ კიდევ ვერ დაეღწია.

მერე მოგვიანოდ იკითხა:

_ ჩემი ჰაკი არ მოსულა? ხომ არ ვუკითხივარ?

როცა უარყოფითი პასუხი მიიღო, სახეზე უკმაყოფილებამ გადაურბინა და ისევ თვალები დახუჭა, გაირინდა.

სწორედ ამ დროს ანაზდეულად გაისმა გარეთ საყვირის უჩვეულო ხმა ისეთი მკვეთრი და ძლიერი, რომ გეგონებოდა, დედამიწა ვერ დაიტევსო. _ ოთახში შემოიჭრა, ფანჯრის მინები ააწკარუნა და გაბოლილ მძიმე ჰაერში დევური მოქნევისაგან აწივლებული მახვილივით შეერჭო.

ვერ მოასწრო საყვირმა თავისი ფიცხი შეძახების სრულიად გაშლა, რომ მოულოდნელადვე მარსელიეზის მგზნებარე ხმებმა აღფრთოვანების ჟრუანტელი კიდით კიდემდე მიმოაბნიეს.

ოთახში მყოფნი ფანჯარას მივარდნენ. ფართოდ გააღეს და გადაიხედეს.

ხოლო უჯუშ ემხა თავის ადგილზე დარჩა, როგორც იყო, ისე გარინდებული. მისმა სმენამ რაღაც უცნაურად აითვისა საყვირისა და მუსიკის ხმები: უფრო მოჩვენებასავით, ვინემ სინამდვილე.

ქაღალდის მოთამაშეთ კი თვალწინ მოულოდნელი სანახაობა გადაეშალათ:

ნაპირიდან ცოტა დაშორებით, ვერცხლისფრად აციმციმებულ ზღვაში ვეება გემი ჩამომდგარიყო, ქალაქისაკენ განით მოქცეული. შავი მილით სქელი კვამლი ამოდიოდა, რომელიც თავზე და გარშემო ღრუბელივით ეხვეოდა. ჰაერში სამი თვალი შეემართა, ქალაქს დამიზნებული, _ სამი შავი წრე, სამივე ბრმაც და მხედველიც ერთსა და იმავე დროს.

ეს იყო ყელმოღერებული ზარბაზნების თლილი ტუჩები, კვამლიან ჰაერში შეყირავებული.

ნაპირზე კი აუარებელი ხალხი ირეოდა. მთელი ქალაქი გარეთ გამოფენილიყო.

ნიჩბებმომარჯვებული ნავები ზღვაში შეცურებულიყვნენ და, გადამფრენ წეროებივით ერთმანეთს მწყობრად დადევნებულები, კარგა მოზრდილ მოტორიან ნავს მწყობრად მისდევდნენ, რომელიც კრეისერისაკენ გზას მიიკვლევდა თუქთუქით.

_ რაღაც დიდი ამბავია, _ გაიკვირვეს ფანჯარასთან მისულებმა, _ კრეისერი უნდა იყოს... კი, ნამდვილად კრეისერია! მაგრამ ვისი უნდა იყოს ნეტავი, რომ ასეთი ამბით ხვდებიან?

კრეისერის ხსენებამ ემხა გარინდებიდან გამოიყვანა, მაგრამ სახის ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს სმენამ მოატყუა და შესამოწმებლად გაგონილს ხელმეორედ ყური მიუგდოო.

_ უჯუშ! _ მიმართეს მას ფანჯარასთან მისულებმა. _ მოდი აქ, თუ ძმა ხარ. იქნებ, შენ უფრო გამოარკვიო რა კრეისერია, ჩვენკენ რომ უშველებელი ზარბაზნები მოუღერებია. სამხედრო კაცი ხარ, მიხვდები.

უჯეშ უცბ გამოიცვალა. მის სახეზე საშინელი ეჭვი და უარესი გაკვირვება ერთმანეთს ბასრი კლანჭებივით შეებნენ.

ადგომა და ფანჯარასთან მისვლა დააპირა, მაგრამ შებორკილივით შეინძრა მხოლოდ, ტანი არ აჰყვა. მაშინ ფართოდ გაღებული თვალების ორივე გუგა ერთბაშად, თავის შეუნძრევლად, წინა კედლისკენ მიატრიალა და მის მიღმა, სადღაც შორს ნიშანში ამოღებულ წერტილს მიაპყრო, რომელიც ალბათ მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებობდა. _ რაღაცის მოგონება უნდოდა და მეხსიერებას ძალას ატანდა, რაღაც ტყვმა დგა ენაზე, მაგრამ ვერ ეთქვა.

უცებ ტუჩები შეუცახცახდნენ, მერე დაეჭიმნენ, დაელრაკნენ, ისე, როგორც ამას წინათ სიზმარში მოსდიოდა, და უცნაური, უხმო ჩაშიშინებით ჰაერში მოხაზეს:

«შმიდტ».

და უჯუშ კვლავ შეკრთა მთელი ტანით, თითქოს სიზმარს იმეორებენო.

უჯუშ, მოდი მალე, კაცო, _ მიმართეს მას ერთხელ კიდევ ამხანაგებმა, _ მოგვეხმარე გამოცნობაში. გემს რაღაც მუქსისხლისფერი წარწერა აქვს მთელ გვერდზე, მაგრამ კვამლის ნაფლეთები ახვევია და ვერ გავარჩიეთ. რუსულს ჰგავს. იქნებ შენ წაიკითხო.

_ «შმიდტია», ბოლშევიკების გემი, _ იყო ემხას პასუხი, ისე წყნარად და დამაჯერებლად წარმოთქმული, თითქოს ეს არის, მართლაც ის სისხლისფერი წარწერა ამოიკითხაო.

ფანჯარასთან მდგომთ მისი ხმა ძალიან შორიდან მომავალი მოეჩვენათ, მაგრამ ახლა ამ გარემოებას იმდენი ყურადღება არ მიაქციეს, რამდენადაც უცნაურ განცხადებას.

_ ეს შენ საიდან გაიგე, უჯუშ? მანდედან ხომ ვერაფერს ხედავ? _ ჰკითხეს და გაოცებულებმა მისკენ ნაბიჯი გდმოდგეს, შეხედეს.

ემხა ირიბად მოქცეული თვალებით ისევ სადღაც ოთახს მიღმა იცქირებოდა და უძრავად იჯდა თავის ადგილზე.

_ წეღან თუ დაგესიზმრა, ძილში რომ შფოთავდი? _ ჰკითხეს.

მაშინ უჯუშმა ნელა, აუჩქარებლად იმ შორეულ წერტილს თვალები მოსწყვიტა და მოახლოებულ მეგობრებზე ისეთი მნიშვნელობით შეაჩერა, თითქოს სიზმრის შესახებ მიხვედრა დაუდასტურაო.

თუმცა საიდუმლოებით იყო მოცული უჯუშის უსიტყვო პასუხი, მაგრამ მან მით უფრო შეაღო მისი გულის კარი და შიგ ამხანაგებსაც შეაჭვრეტინა.

ემხას შიშსა და საიდუმლო წინაგრძნობას ახლა მისი ამხანაგებიც ეზიარნენ. მაგრამ რადგანაც მათი აზრით, როგორც ერთი, ისე მეორე სინამდვილეში ყოველ საფუძველს იყო მოკლებული და უჯუშის წეღანდელი უცნაური სიზმრის მხოლოდ ანარეკლს წრმოადგენდა, საიდუმლოდ ნაგრძნობი ზერელედ განიცადეს. მით უმეტეს, რომ ნავსადგურში შემოსული გემის სახელწოდებისა და სადაურობის გამოცნობა ემხას მიერ რამდენადაც განსაცვიფრებელი მოეჩვენათ, იმდენად დაუჯერებელზე უფრო დაუჯერებელი.

_ უჯუშ, გენაცვალე, _ მიმართა უჯუშს მათ შორის უხუცესმა, _ შენ უთუოდ ისევ ის წეღანდელი სიზმარი გაწუხებს, ბოლშევიკების გემი რომ მოგჩვენებია, და გგონია, რომ ესეც ის არის. აქ რა უნდა მათ გემს! აბა, შენ თვითონ განსაჯე.

დანარჩენებიც შეეცადნენ ემხას ეჭვის გაბათილებას და მის მიერ შექმნილი მძიმე შთაბეჭდილების შენელებას.

ერთმა უდარდელად განაცხადა:

_ ამდენი თავის მტვრევა რა საჭიროა. გადავიდეთ ნაპირზე და საკითხი უბრალოდ გამოირკვევა. იქ გამოჩნდება, რამდენად მართალია უჯუშის მიხვედრა.

_ ეჭვი არ არის, _ ჩამოართვა სიტყვა მეორემ, _ უჯუშს დიდი შიში აქვს გამოვლილი ბოლშევიკების წყალობით. ალბათ ეს შიში ჯერ კიდევ გულში ჩარჩენია და ამიტომ ეჩვენება, თორემ საიდან სადაო? მეც მომხრე ვარ, წავიდეთ, გავიგონოთ, რა ამბავია და ჩვენს უჯუშსაც მართლი ამბავი მოვუტანოთ.

ასე გამოვიდა: წმინდა გიორგის ორდენის კავალერს, ნაომარ ოფიცერს და თავადს შიში დაწამეს.

გამოიცვალა ემხა. სავარძლიდან სახეშეკრული წამოდგა. ამხანაგებს ახლა სულ სხვა თვალებით გადახედა და შეკავებული ყივილის მსგავსი ხმით მიმართა:

_ მე და შიში ერთმანეთს არ ვიცნობთ. ვისაც არ სჯერა, შეიძლება გამომცადოს.

თქვა და სკამზე გადაკეცილ ჩოხას ხელი წაატანა. მაგრამ სანამ სახელოში ხელს გაუყრიდა, უცებ ისევ შეიცვალა სახის გამომეტყველება და უცნაურად დალბილებული ხმით ბოდიშისნაირად განაცხადა:

_ თუმცა, რა გითხრათ, იცით: არავის არ შეშვენდება თქვას, ვაჟკაცი ვარო, და ამ შემთხვევაში, შეიძლება თქვენ ხართ მართალი, წავიდეთ! მეც მოგყვებით, ვნახოთ რა ამბავია.

მაგრამ ხმის კილოზე მაინც ეტყობოდა, რომ თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა და თავისი წინანდელი გამომწვევი სიტყვების გამართლება გულში ედო...

სულ ერთ წამში ჩოხაც ჩაიცვა და ქამარ_ ხანჯალიც შემოირტყა.

IV

სოხუმის ნავსადგურში ჩამომდგარი კრეისერ «შმიდტის» მისაგებებლად წასულ ნავთა შორის მხოლოდ მოტორიანს მიჰყავდა რამდენიმე კაცი. დანარჩენებში მარტო მენიჩბენი ისხდნენ. ამათ სტუმრები უნდა გადმოესხათ ნაპირზე.

მოტორიან ნავში იმყოფებოდნენ: ქალაქის თავი სამსონ დავანაძე, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ნარიქ ეშბა და ხუთი მუშისაგან შემდგარი დელეგაცია, აფხაზეთში მცხოვრებ ეროვნებათა რიცხვის მიხედვით შერჩეული.

სოხუმის დელეგატებმა უკვე შორიდანვე შეათვალიერეს სამხედრო გემი. ყველა გააკვირვა ერთმა გარემოებამ: გემზე კაცთაგანი ვერავინ ვერ შენიშნეს. მხოლოდ მიახლოებისას და კარგა დაკვირვების შემდეგ მათ ძლივს გაარჩიეს ზარბაზნების ყელებსა და საფეხურებს შორის მიმალული ორი გუშაგის

უძრავი სილუეტების ნაკვთები, რომლებიც პირველად ზარბაზნების ბრინჯაოს ნაწილები ეგონათ.

წინა რიგზე, ზარბაზნების ერთ მხარეს, პირველი გუშაგის რკინისფერი პროფილი დაინახეს, ნიკაპს ქვემოთ ქიმის მოაჯირით დაფარული, რომელსაც ცხვირის წინ მზეზე მოლაპლაპე თოფის ლულა ასვეტოდა. პროფილი ისე იცქირებოდა ქალაქისაკენ, რომ მისი მხედველობის არეში უფრო ქალაქის შორეული ნაწილები იყო მოქცეული, ვინემ ნავსადგური და დელეგატების მოტორიანი ნავი.

ზარბაზნების მეორე მხარეს კი მეორე გუშაგის მხოლოდ ორი ნაკვთი მოჩანდა ზარბაზნების ყელს ზემოდან: შუბლწამოხურული სახე შავ ღრუებში ჩამხმარი თვალებით, რომლებიც ნავში მსხდომთ მაღლიდან ლარის სისწორით დასცქეროდნენ, ხოლო ზარბაზნის ყელს ქვემოდან ამავე გუშაგის უჩინარი ტანის გვერდის ხაზზე, მარჯვენა ბარძაყის თავთან მიმაგრებული კუნთებდაჭიმული მკლავი და მუშტი, რომლებიც თოფის კონდახს მუხრუჭივით შემოკვროდნენ.

ამ სანახაობამ დელეგატების სახეზე განსაკუთრებული, უსიტყვო გაკვირვება გამოიწვია, რომელშიაც გემის მოულოდნელი დისციპლინისადმი მორიდება და შიშიც იხატებოდა და ფარული ეჭვიც, ამ დისციპლინის ნამდვილ არსებობაში შეტანილი: იქნება ეს განზრახ, ჩვენთვის, არის მოწყობილიო.

მაგრამ «შმიდტის» მაღალი ფოლადისფერი კედელი მალე აიმართა დელეგაციის წინ და ნავიც დადგა.

უმალვე გემის ბანზე ჯაჭვმა გაიჩხრიალა და მაღლიდან რკინის კიბე დაეშვა, რომლის ბოლო საფეხური ზღვის ზედაპირს დაწვდა მომდგარი ნავის თავთან. არ გასულა ხანი, რომ კიბეზე შარვალგადმოშვებული ორი ჩექმა ამოძრავდა ერთი_ მეორის სწრაფი ცვლით და ნავის პირდაპირ საფეხურზე ორივე ერთად შედგა: სოხუმის დელეგაციის წინ, კიბეზე, დაბალი ტანის, მაგრამ მხარბეჭიანი მეზღვაური აიტუზა სამხედრო ყაიდაზე გამართული. მარჯვენა

ხელის ჰაერში შესროლით სალამი მისცა ნავში მსხდომთ უსიტყვოდ, ტანის შეურხევლად და ყველას სათითაოდ თვალი შეავლო.

გულამოღებული ხალათი ეცვა, განიერ შარვალში ჩატანებული. წელზე ფართო ქამარი ერტყა, რომელშიაც წინიდან ყელზე შავი თასმით შებმული ნაგანი ჩაერჭო. მზისაგან დამწვარ ძვლებამობურთულ ქოსა სახეზე შეუპოვრობის გამომხატველი იერი გადაკრავდა, ამჟამად დელეგაციის საპატივცემოდ შენელებული. წამოზნექილი გულმკერდი მთლიანად დატატუირებული ჰქონდა, კუნძივით სქელ და დაბალ კისრამდე, რომლის ჩაყოლებაზე, მკერდის შუა ადგილას, ბეჭედივით წრეშემოვლებული ნამგალი და ჩაქუჩი აჯდა, ერთმანეთს გადაჭდობილი.

შეათვალიერა თუ არა მოსულები, ვინაობა ჰკითხა, პასუხი რომ მიიღო, ჯერ თავისთვის გასინჯა, მერე ხმამაღლა თავისებურად განმარტა ისეთი რუსულით, რომელიც პირველ გაგონებაზე ნავში მსხდომთ გაუგებარ ენად მოეჩვენათ.

_ მაშასადამე, სოხუმის პროლეტარიატი და მისი რევოლუციური ხელისუფლება... _ დაასკვნა მეზღვაურმა და დელეგატები ერთხელ კიდევ შეათვალიერა.

შემდეგ რატომღაც სამსონ დავანაძეს შეხედა გამორჩევით და მის გრძელ წვერზე შეაჩერა ჟღალი თვალები, ჰკითხა:

_ თეთრგვარდიელები და სხვა ამისთანა არამზადები თუ გყავთ ქალაქში?

_ ჩვენ ასეთ მხეცებს არ ვაშინაურებთ, ამხანაგო! არ გვყოლია, არ გვყავს და არც გვეყოლება! _ ისეთი რიხით და გადამეტებულად მოწადინებული თავმოწონებით უპასუხა ქალაქის თავმა, რომ მეზღვაურის სახეზე ძალაუნებურად უნდობლობის ეჭვიანი ღიმილი გამოიწვია. ამ გარემოებამ შეხვედრას მოულოდნელად შეუცვალა ოფიციალური სახე: ამდენ ხანს მხედრულად გამართულმა მეზღვაურმა უცებ ტანი მოუშვა, გაღიმებულ პირისახეზე დამცინავი ნაოჭი აათამაშა, ტუჩების მარცხენა კუთხის მოჭიმვით უცნაური ტყაპუნი-

სებური ხმა გამოსცა და ცალი თვალი ცბიერად აახამხამა. მერე კატის სიმარდით მოწყდა კიბეს და ნავში ჩახტა. ქალაქის თავს მარჯვენა ხელი მხარზე ფამილარულად წაუთათუნა, მეგობრულად გაუცინა და შექებით უთხრა:_ აი, ყოჩაღ, რომ ჩვენიანი ყოფილხარ. ძალიან მომეწონე!

შემდეგ სერიოზული, საქმიანი გამომეტყველება მიიღო და ყველასადმი მიმართვით განაგრძო:

_ ახლა კი მითხარით, რაკი ამხანაგები ყოფილხართ, ეს რა ამბავი გაგიმართავთ ნაპირზე და ისიც მუსიკით. ძალიან ბევრი ხალხია. დროშებიც ძალიან ბევრი გქონიათ, სულ წითელი, რევოლუციური! ა? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ მეც და ამხანაგებიც დაგვაინტერესა ამ ამბავმა. მით უმეტეს, მე დღეს გემზე მორიგეთაგანი ვარ. ნება მომეცით, გამოგეცნაუროთ: ვასილი ხრიტანიუკ, არტილერისტი. მეგობრები კი ვასკა_ პირატს მეძახიან.

სამსონ დავანაძე აღარ იყო ახლა ლაპარაკისათვის განწყობილი. მეზღვაურის წელანდელი მოპყრობა და საქციელი მის მიმართ დამცინავად მოეჩვენა და ხალისი გაუფუჭდა. იმაზე ფიქრობდა, თუ რამდენად შეუფერებელი იყო მისი რიხიანი პასუხი მეზღვაურის პირველ შეკითხვაზე. გონებაში «შმიდტის» წითელი კაპიტნისათვის სათქმელად მოფიქრებულ სიტყვას სინჯავდა, კიდევ მარცხი რამ არ მომივიდესო, და ვასკა_ პირატის უკანასკნელ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ნარიქ ეშბას დაუთმო.

_ ქალაქ სოხუმის პროლეტარიატი, _ დინჯად და რუსული ისეთი სწორი გამოთქმით დაიწყო უკანასკნელმა, რომ მეზღვაური გაკვირვებით შეაჩერა სახეში, რუსი ხომ არ არისო, _ შავი ზღვის რევოლუციურ კრეისერს «შმიდტს» და მის გმირ მეზღვაურებს დღეს ზეიმით ეგებება, სასურველი სტუმრების მოსვლას დღესასწაულობს. ხოლო ჩვენ აქ მისთვის მოვედით, რომ მთელ ხელმძღვანელობას და, კერძოდ, მის სახელგანთქმულ მეთაურს ამხანაგ კუზმას უაღრესი პატივისცემა და ძმური სალამი გადავცეთ, ამას გარდა დავალებული გვაქვს, გთხოვოთ, ჩვენს დღევანდელ მიტინგს მთელი შემადგენლობით დაეს-

წროთ, მონაწილეობა მიიღოთ მასში და შემდეგ ამხანაგურ პურმარილზე გვეწვიოთ.

მეზღვაური მეტად კმაყოფილი დარჩა ეშბას ამ განცხადებით.

_ რატომაც არა! ძალიან დიდი სიამოვნებითაც... ჰმ... შეიძლება, რასაკვირველია.

თქვა და თავი უცბად მაღლა შეისროლა, ზურგისაკენ გადაგდებით. თვალები გადაატრიალა და მოკუმული ტუჩებით მკვეთრად დაუსტვინა.

_ ჰეი, ვინ ხართ მანდ? სმენა და გაგონება! გადაეცით უფროსებს, რომ ქალაქ სოხუმის დეპუტაცია მოვიდა და მათ ნახვას თხოულობს_ თქო, მოყვრები არიან_ თქო. ზეიმიც და მუსიკაც ჩვენთვის არის ნაპირზე გამართული_ თქო! ჰეი, არ გესმით, ჭილყვავებო, რას დადუმებულხართ?

მაგრამ გემზე სიჩუმე მაინც არ დარღვეულა, თითქოს მეზღვაურის ძახილს ყურადღებაც კი არავინ მიაქციაო. მხოლოდ კარგა ხნის პაუზის შემდეგ ჯაჭვის კიბე ისევ შექანდა და მის საფეხურზე ძალიან უცნაური სახის ადამიანი გამოჩნდა, რომლის დანახვამ სოხუმელები მეტად გააოცა. მეზღვაური ვასილი ხრიტანიუკი კი შეშინებული, უცბად ისევ ტანში გაიმართა მხედრულად, ყველა კუნთის ერთბაშად შეკვრით, და ისე მიაპყრო თვალები კიბეზე ჩამომავალს, თითქოს სიტყვის წარმოთქმამდე მისი სურვილის შეტყობა სწადია, რომ უმალვე შეასრულოსო. სოხუმის დელეგატებსაც ძალაუნებურად მიებაძნათ მისთვის და კისერწაგრძელებულები ქვემოდან შესცქეროდნენ უფროსის სიდინჯით მათკენ მომავალ საკვირველებას. ამათი გაოცების მიზეზი ის იყო, რომ ამ კაცის ერთ ტანზე ორ პირისახესა და სამ თვალს ხედავდნენ სრულიად გარკვეულად. იგი ნავს ორნაირი მიმართულებით დასცქეროდა: ერთთვალიანი სახით რომ დელეგატებს ათვალიერებდა, მეორე ორთვალიანი სახით ვასილი ხრიტანიუკს დასჩერებოდა რაღაც სასტიკი, რისხვიანი გამომეტყველებით, რომელსაც არ შეიძლებოდა შიში არ გამოეწვია. _ შავი ქურთუკი ეცვა, სახელოებზე ყაითანშემოყოლებული, რომლის კალთის ქვეშ მარჯვენა გვერდზე მოგრძო ლულიანი რევოლვერი ეკიდა ბუდით. ნავს რომ გაუპირისპირდა, შედგა.

_ შენ რად ღრიალებ აგრე, ხრიტანიუკ, ბატისტვინო! _ შემტევი ხმით მიმართა მეზღვაურს. ცოტა ხნის შემდეგ კი ეცებ ხმას აუწია და, თითქოს ტყვია სტყორცნაო, დაუმატა: _ წესს არღვევ!

«უთუოდ ეს არის «კუზმა_ მრისხანე» _ ერთდოულად გაიფიქრეს სოხუმელებმა და მართლა შეშინებულები მის შესახვედრად შეემზადნენ.

0ქალაქის დელეგატების მოსვლა მინდოდა მეცნობებინა... გთხოვ, მაპატიო, ამხანაგო უფროსო, _ შემკრთალი ხმით უპასუხა მეზღვაურმა უფროსს და დამნაშავის სახე უჩვენა.

უფროსმა ერთ ხანს კიდევ არ მოაშორა მას თავისი სასტიკი თვალები. მერე უცებ მთელი ტანით დელეგაციისაკენ შემოტრიალდა, ცალი ხელი ქუდისკენ აისროლა და მოკლედ წამოიძახა:

_ სალამი!

მისი ორთვალიანი სახე ახლაც ისეთსავე სასტიკ მრისხანებას გამოხატავდა, როგორც ამას წინათ, როცა მორიგე მეზღვაურზე ჰქონდა მიპყრობილი, ხოლო მეორე, ერთთვალიანი, იღიმებოდა, იცინოდა და დელეგაციის სახეზე პირველის მიერ აღბეჭდილ შიშსა და გაოცებას ანელებდა.

სოხუმელები ნავის თავთან მიქუჩდნენ, სალამზე სალმით უპასუხეს. პირმოცინარენი მიუახლოვდნენ.

მათ მხოლოდ ახლა გამოარკვიეს უფროსის გაორებული სახისა და გასამებული თვალების ნამდვილი ამბავი: _ ეს იყო შედეგი დიდი, ღრმა, ძლივს შეხორცებული ჭრილობისა, რომლის მოწითალო კვალი მთელ სახეზე გადაუდიოდა ირიბად, მარცხენა საფეთქელიდან დაწყებული ნიკაპის მარჯვენა კუთხემდე. მარცხენა თვალის ზედა ქუთუთოს ერთი ნახევარი შუაში გაჭრილ წარბს ქვეშ, ჩამოვლილი ჰქონდა და გაშიშვლებული. კაკლის ნაწილი ამ ადგილას მუდამ ღია ცალკე თვალის შთაბეჭდილებას სტოვებდა მეორე ნაწილის გვერდით, რომელსაც ქუთუთოს ნაგლეჯი შერჩენოდა. ამ თვალიდან ჭრილობა ლოყას მიყვებოდა და ნესტოჩამოკვეთილ ცხვირთან, შუაში გადაჭრილ ტუჩებზე გადავლით, ნიკაპის მარჯვენა კუთხეში წყდებოდა.

სახის მთელი ეს კანშემოჭიმული ნახევარი უძრავი და უცვლელი იყო, სულ ერთნაირი გამომეტყველების მქონე, რომელიც უცვლელად უსასტიკესი რისხვის გამოხატულებას ატარებდა, წინააღმდეგ მეორე მთელი ნახევრისა, რომელსაც მშვიდი, ღრმა და ხანდაზმულობის გონიერი იერით ამეტყველებული თვალი ამშვენებდა.

სარეთო მისალმების შემდეგ უფროსს სიტყვით ქალაქის თავმა სამსონ დავანაძემ მიმართა. მან არსებითად იგივე გაიმეორა, რაც ეშბამ პირველ მეზღვაურს უთხრა. მხოლოდ განსაკუთრებულად აღნიშნა დელეგაციის დიდი სურვილი «შმიდტის» წითელი კაპიტნის ამხანაგ კუზმას ნახვისა, რომლის შესახებ არა ერთი და ორი საკვირველი ამბავი ოხუმშიაც გაეგონათ (ეჭვი კი დაუმალა, რომ თავად იგი სწორედ კუზმა_ მრისხანედ ჰყავდა წარმოდგენილი).

_ ეს მე ვარ «შმიდტის» წითელი კაპიტანი, ამხანაგი კუზმა, მრისხანედ წოდებული. ალბათ ეს სახელწოდება მტრებისაგან მაქვს შერქმეული. სამწუხაროდ, ახლა ამხანაგებიც ასე მეძახიან. თქვენც, ვფიქრობ, ამ სახელით მიცნობთ, _ დაიწყო ორსახიანმა და სამთვალიანმა კაცმა ისეთი საამო ბოხი ხმით ისე უბრალოდ, რომ ძნელი დასაჯერებელი იყო, ამას წინათ მეზღვაურისადმი მიმართული შენიშვნის ავტორი ასეთი საამო, გულითადი ხმის პატრონი ყოფილიყო.

_ ამავე დროს მე ვარ კრეისერის ბოცმანთა რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეც. მაქვს სრული რწმუნებულობა ამ კომიტეტისაგან მისი სახელით გელაპარაკოთ. მოხარული ვარ თქვენი გაცნობის. მახარებს, აგრეთვე თქვენი ქალაქის რევოლუციური განწყობილება და ჩვენდამი გამოჩენილი სიმპათია, რომელსაც ნაპირზე გამართული მიტინგი ააშკარავებს. გარწმუნებთ, რომ ამ თანაგრძნობის ნიშნებს ჩვენ, ბოლშევიკები, სათანადოდ და თავის დროზე დავაფასებთ, ახლა კი ნება მომეცით, გაუწყოთ შემდეგი: ჩვენი კრეისერი ათ დღეზე მეტია, რაც ამ მხარეს იმყოფება რევოლუციური სამხედრო საბჭოს მიერ დავალებული ოპერაციების ჩასატარებლად. გარემოება გვაიძულებს კიდევ რამდენსამე ხანს დავრჩეთ ამ ადგილებში, რაც გათვალისწი-

ნებული არ იყო. სწორედ ამან გამოიწვია გემის თქვენს ნავსადგურში შემოსვლა ორი_ სამი საათით: თქვენს ქალაქში უნდა შევიძინოთ საჭირო სანოვაგე, რომელიც შემოგვაკლდა. ჩვენ გვაქვს თქვენებური ფულიც. ასე რომ, რასაც შევიძენთ, იმის ფასს ნაღდად გადავიხდით. რაც შეეხება მიტინგზე დასწრებას, «შმიდტის» მეზღვაურები სიხარულით მიიღებენ მასში მონაწილეობას. მით უმეტეს, რომ მიტინგი ჩვენი გემის საპატივსაცემოდ არის მოწყობილი, _ დაამთავრა ამხანაგმა კუზმამ და სახის მთელი ნახევარით ისე გულითადად გაუცინა სმენად გადაქცეულ დელეგატებს, რომ მათ სრულიად დაავიწყა სახის მეორე, მუდამ საშინელი ნახევრის არსებობაც კი.

გათამამებულმა სამსონ დავანაძემ ბოლომდის ვერ მოითმინა და მცირე ხნის გასაუბრების შემდეგ წითელ კაპიტნს გულახდილი ხუმრობით უთხრა, რომ მისი სახის მარცხენა ნახევარმა, რომელიც უთუოდ არ შეეფერებოდა ბოცმანთა რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარისა და სახელოვანი კაპიტნის იშვიათ ინტელიგენტურ თვისებებს, მთელი დელეგაცია და პირადად ისიც მეტად შეაშინა პირველ დანახვაზე, ხოლო ახლა კი იგი ბედნიერია მით, რომ ეს შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა, და მეტსახელი «მრისხანეც», მართლაც, მტრების უსინდისო მიქარვაა და სხვა არაფერი.

კუზმას გაეცინა. მაგრამ ეს სიცილი უფრო გულმკერდის სიღრმიდან ისმოდა, ზღვის შორეული ბობოქარივით, ვინემ მის სახეზე იხატებოდა.

_ ჭრილობაც მტრისაგან მჭირს, _ მიუგო მან დავანაძეს, როცა ყრუ სიცილი შეწყვიტა, და თითი ორთვალიან უძრავ სახეზე მიიდო, _ ამ სახეს მხლოდ მტრებისათვის ვატარებ. წარმოიდგინეთ: მეგობრები ვერც ამჩნევენ მას, ძალიან კმაყოფილი ვიქნები, თუ იგი თქვენი თვალების ნიშანს გარეშეც დარჩება.

V

მიუხედავად იმისა, რომ კუზმა_ მრისხანე თვითონ ნაპირზე არ გამოვიდა და სოხუმელების მიერ მოწყობილ ზეიმს არ დაესწრო, მიტინგი მაინც დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა.

ქალაქს ოცზე მეტი მეზღვაური ეწვია. მწყობრად დარაზმულნი და მორთულ_ მოკაზმულები, ნავებიდან გადმოსვლისთანავე პირდაპირ მიტინგზე გამოცხადდნენ. მხოლოდ ერთმა პატარა ჯგუფმა «შმიდტის» სამეურნეო ნაწილის გამგის მეთაურობით და ვასილ ხრიტანიუკის თანხლებით, მიტინგს გვერდი აუარა და გეზი ბაზრისაკენ დაიჭირა. სამსონ დავანაძეს ამ ჯგუფისათვის ხელმძღვანელად რაჟდენ თორია მიეჩინა, რომელსაც ყოველი ღონისძიება უნდა მიეღო გემისავის საჭირო სურსათ_ სანოვაგის დროზე დამზადების უზრუნველსაყოფად.

მიტინგზე გამოცხადებულ რაზმს დიდი ოვაციებით შეხვდნენ.

სოხუმის მოქალაქენი, რაკი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ «შმიდტის» მეზღვაურებმა მათ შიში არ გაუმართლეს, რომ ყველას მეტად წესიერად ეჭირა თავი და ქალაქის დარბევას თუ სხვა ასეთი საშინელების ჩადენას არავინ ფიქრობდა, სიხარულისაგან ცას ეწეოდნენ. არ იცოდნენ თავიანთი აღტაცება სტუმრებისათვის როგორ გამოემჟღავნებინათ და მათდამი უცბად აღძრული სიყვარული რა სახით გამოეფინათ. ყოველი მხრიდან გაისმოდა:

_ გაუმარჯოს «შმიდტს»!

_ გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციას!

_ გაუმარჯოს სოციალიზმს!

ყველა ცდილობდა რაზმთან ახლოს მისვლას. შორიდან ცქერა უკვე არავის აკმაყოფილებდა. საჭიროდ მიაჩნდათ თითოეულისათვის ქება ეთქვათ, სახეში თავაზიანი ღიმილით შეეხედათ და ხელი მეგობრულად ჩამოერთმიათ.

რამდენიმე კაცი მეზღვაურებს შორის ჩინებული და ენამახვილი ორატორი აღმოჩნდა. ამათ ისეთი ცეცხლშეკიდებული სიტყვები წარმოსთქვეს, რომ ადგილობრივი აგიტატორები სამუდამოდ ჩაჩრდილეს.

სანამ მიტინგზე ორატორი ორატორს სცვლიდა და მოსულთა და დამხვდურთა შორის დაძმობილებას საფუძველი ეყრებოდა, სურსათ_ სანოვაგის შესაძენად წასულ ჯგუფს სანაპირო უბანი გაევლო და ბაზარს უახლოვდებოდა. მხოლოდ ვასილ ხრიტანიუკი, ვასკა_ პირატად წოდებული, ორი

ამხანაგითურთ ამ ჯგუფს ჩამორჩენოდა. ისინი პალმების ხეივნის ერთ თავთან, მიტინგიდან დაშორებით, კუთხეში მიდგმულ ფარდულში შესულიყვნენ და ახლად მოხალულ მზესუმზირას დაწაფებოდნენ, თან ფარდულის პატრონ რუს დედაკაცთან მასლაათი გაებათ.

სწორედ ამ დროს, ანაზდეულად, ვასილ ხრიტანიუკმა ფარდულიდან ისეთ რაღაც უცნაურობას მოჰკრა თვალი, რომ გიჟივით თვალები დააბრიალა და თავის მაღლა აწევით გასავალს მიაშურა, გარეთ გაიხედა,

_ ლანდი თუ არის? ფუი ეშმაკს! _ ჩუმად ჩაილაპარაკა და ტუჩებში გაჩხირული მზესუმზირას მარცვალი გაუკვნეტელად პირიდან გადმოაგდო.

პალმების რიგის გასწვრივ, ქუჩის მხარეს უჯუშ ემხა მიდიოდა თავისი მეგობრების თანხლებით. სულ ხუთნი იყვნენ, მათი ფრთხილი, აჩქარებული ნაბიჯი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, რომ მნახველს უთუოდ მოეჩვენებოდა, სახიფათო ადგილიდან პარვით სამშვიდობოს მიიჩქარიანო.

ხრიტანიუკის თვალებს ცოფის ალი შეუკიდეს მიმავალ ემხას ოფიცრის ეპოლეტებმა, რომლებიც მაღალსა და განიერ მხრებზე ისე უბრჭყვიალებდა, რომ შემოქცეული ზურგიც კი ვერ უშლიდა ვასკა_ პირატს მათ უეჭველ დანახვას.

მეზღვაური მაინც თვალს არ უჯერებდა. ფარდულიდან გამოხტა და თითის ნიშნებით ამხანაგებიც გარეთ გამოიხმო. მიმავალი ოფიცერი დაანახვა.

_ ა? ვითომ ნამდვილი თეთრგვარდიელი ოფიცერია? თვალი ხომ არ მატყუებს.

_ კი... ყაზახთა ოფიცერს ჰგავს!

მაშინ ვასილ ხრიტანიუკმა რევოლვერის ტარს ხელი მაგრა ჩასჭიდა და მიმავალთ დაედევნა. მას ამხანაგებიც მიყვნენ.

_ ჰეი, შესდექ, უფალო ოფიცერო! _ შორიდანვე დაუყვირა ემხას ხრიტანიუკმა, «უფალზე» ხმის განსაკუთრებული აწევით.

ხუთივე ჩოხიანი ერთი კაცივით მოტრიალდა და დადგა. მეზღვაურები რომ დაინახეს, შეკრთნენ, ჩანდა, არ მოელოდნენ ასეთ შეხვედრას.

_ თავდაჭერილად იყავ, უჯუშ, ალბათ, შენ გეძებენ! _ დაბლად ჩაულაპარაკეს მეგობრებმა უჯუშ ემხას და უმალვე ჩამოცილდნენ. ჯერ შორი_ შორს დადგნენ და შემდეგ, როცა ვასილ ხრიტანიუკი ემხას მედგარი ნაბიჯით დაუახლოვდა, პალმებს შორის დაიფანტნენ, უჩინარნი შეიქნენ.

_ მინდა გამოგეცნაურო, უფალო ოფიცერო! კრეისერ «შმიდტის» მეზღვაური გახლავარ, ვასკა_ პირატი. აბა, მითხარი, შენ ვინა ხარ? _ მიახლოებისთანავე მიმართა გამომწვევი შეყვირებით მეზღვაურმა უჯუშ ემხას და ცხვირის წინ დაუდგა ტანის რაღაც უცნაური შემკვრივებით, რომელიც შეუპოვარ შეხლისათვის გამზადებას ნიშნავდა. მძულვარებითა და ზიზღით ანთებული თვალები გახურებული შანთებივით თვალებში გაურჭო და რევოლვერზე წატანებული ხელის დატატუირებულ შიშველ მკლავზე აგორებული რკინის კუნთები აათამაშა.

ემხა არ შენძრეულა. ხრიტანიუკის შანთებისათვის გაესწორებინა თვალები დ გარეგანი სიმშვიდის დაცვით მეზღვაურის შემდეგ ნაბიჯებს ელოდებოდა უხმოდ, უსიტყვოდ.

ბრაზი მოერია ვასკა_ პირატს. მოთმინება არ ეყო ოფიცრის ეპოლეტებისა და ოქროს ორდენისათვის კიდევ ეცქირნა.

_ პასუხი ჩქარა, ვინ ხარ_ მეთქი! _ შეჰყვირა ერთხელ კიდევ და მარცხენა ხელი ემხას მარჯვენა მხარს ხმალივით შემოუქნია. კლანჭებად მომარჯვებული თითები ეპოლეტში ჩაასო და მოსაგლეჯად მოსწია.

იმავე წამს რევოლვერი გავარდა და განგმირული ვასილ ხრიტანიუკი მიწაზე პირაღმა გაიშხლართა უსულოდ.

ეს მოხდა ისე სწრაფად, ისე მოულოდნელად, რომ ხრიტანიუკის ამხანაგები ერთ ხანს ვერც კი მიხვდნენ, რაც მათ თვალწინ დატრიალდა და როცა იმათგან დაწინაურებულმა მტრის პირისპირ რევოლვერი იძრო, ემხას ტყვიამ ისიც უმალვე ძირს დასცა პირველის გვერდით.

მესამე მეზღვაურს კი დამიზნებული რევოლვერი ხელში შერჩენოდა უაზროდ: უჯუშ ემხა მის წინ უკვე აღარ იდგა. მოულოდნელობითა და წარმო-

უდგნელი საშინელებით დაბნეულმა მისმა თვალებმა ვერც კი დაინახეს, თუ როგორ გადახტა ოფიცერი უკან, ხეივნის ბუჩქები იფარა, ქუჩა გადაჭრა და პირდაპირ, რომელიღაც სახლის ეზოში მიიმალა.

მაგრამ მეზღვაურმა თავისი რევოლვერი მაინც რამდენჯერმე დასცალა. მერე მიტინგის ადგილისაკენ პირი იბრუნა და ბღავილით შესძახა:

_ აქეთ, ამხანაგებო! გვკლავენ, თავს გვესხმიან!

რევოლვერის პირველი ხმის გაგონებაზე მიტინგი შეირხა. მერე ყურებდაცქვეტილი გაინაბა, გარინდდა, შემდეგი სროლის ხმა თითქოს არც კი გაუგონიაო, ისევ უძრავი და სულგანაბული დარჩა, მხოლოდ მეზღვაურის ყვირილმა უცებ გამოიყვანა გარინდებიდან. ყველამ იგრძნო, რომ რაღაც დიდი უბედურება დატრიალდა.

_ დაირაზმეთ! მხარი მხარს, მეზღვაურებო! _ გაისმა საერთო მიყუჩებაში რაზმის უფროსი მეზღვაურის ბრძანება და ოცი კაცი თვალის დახამხამებაში დანარჩენი ხალხისაგან განცალკევდა, ერთმანეთს მხარში ამოუდგა და საომრად გაემზადა.

ხალხში ჯერ შეკავებული, ყრუ ჩოჩქოლი გაისმა, მერე ბრბო შეიკუმშა, შექუჩდა და მეზღვაურთა რაზმის პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს, დუქნებსა და სახლების კედლებს დამფრთხალ ფარასავით შეეფინა.

მიტინგის დაცარიელებულ ადგილზე რამდენიმე კაცი დარჩენილიყო, რომელთაც არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ ან საით წასულიყვნენ. მათ შორის სამსონ დავანაძის ზორბა ტანი განირჩეოდა მკერდზე დაფენილი წვერით. იგი ქუდმოხდილი იდგა ერთ ადგილას და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა გაუგებარს. მოჩვენებას რასმე დამსგავსებოდა. მის გვერდით ნარიქ ეშბას ფართოდ თითებგაშლილი მარჯვენა ხელი ჰაერში აემართა, რომლითაც ვითომ ხან მეზღვაურებს აფრთხილებდა, დაიცადეთ, ნურაფერს მოიმოქმედებთო, ხან კი ვითომ ხალხს რაღაც გამოურკვეველ ნიშანს აძლევდა, რომლის შინაარსი ალბათ მისთვისაც გაუგებარი იყო.

ამასობაში ვასილ ხრიტანიუკის უვნებლად დარჩენილი ამხანაგიც გამოჩნდა. ის შემზარავად ღრიალებდა და ამხანაგებს მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ მოუწოდებდა.

რაზმის უფროსმა მეზღვაური თავისთან მოიხმო და ამბავი დაწვრილებით გამოჰკითხა. მისი ხმამაღალი ქლოშინით ნაამბობი სამსონ დავანაძის ყურებმაც ზედმიწევნით მოისმინეს: ნარიქ ეშბასაც არც ერთი სიტყვა არ გამორჩენია.

მეზღვაურებთან ერთად ამათაც შეიტყვეს, რომ ვიღაცა თეთრგვარდიელი, ყაზახთა ოფიცერი, გიორგის ორდენის კავალერი სამ მეზღვაურს თავს დაესხა ქუჩაში და მოულოდნელად სროლა აუტეხა. ერთი მათგანი, ვასილი ხრიტანიუკი მოჰკლა, ხოლო მეორე დაჭრა და მიიმალა.

დავანაძისა და ეშბას ყურადღება განსაკუთრებულად მიიპყრეს რამდენჯერმე ნახსენებმა სიტყვებმა: «ყაზახთა ოფიცერი», «გიორგის კავალერი».

«უჯუშ ემხას დავუღუპივართ», _ გაუელვა თავში ერთსაც და მეორესაც ერთდროულად, რადგანაც ამ ემხას გარდა ყზახთა ოფიცერი და გიორგის ორდენის კავალერი მთელ ქალაქში არავინ არ ეგულებოდათ. მიხვედრა ერთმანეთს გაუზიარეს და დაუმოწმეს.

თითქოს საიდანღაც ძალა და ღონე შეემატაო, ისე დატრიალდა ახლა სამსონ დავანაძე. რაკი გაიგო, რა მოხდა, და ისიც შეიტყო, თუ ვინ იყო, მან უკეთ იცოდა, როგორ უნდა ემოქმედნა. ერთიორად გამოიჭიმა მოედანზე. მილიციის უფროსი მოიხმო მისი თანაშემწეებით და ყველას გასაგონად სასტიკი ბრძანება მისცა ქალაქი ყველა მხრიდან შეეკრათ. არც ტყვია დაეზოგათ, არც ცეცხლი და არც მახვილი, ოღონდ ოფიცერი ემხა აღმოეჩინათ და მისთვის ცოცხალი მოეგვარათ. მერე თავისი მგრგვინავი ხმის კიდევ უფრო ამაღლებით ხალხს მიუბრუნდა და რუსულად მიმართა, რათა მისი ყოველი სიტყვა მეზღვაურებსაც კარგად გაეგონათ:

_ მოქალაქენო, ჩვენს ქალაქში ქურდულად შემოხიზნული ოფიცერი უჯუშ ემხაა ჩვენი დამღუპველი. იგი თავს დასხმია ჩვენს სტუმრებს ქუჩაში და

საშინელი მკლელობა ჩაუდენია. ემხა ჩვენი მკვლელიც არის, ამხანაგებო! შინ გვყოლია მტერი, მოღალატე და დროზე ვერ მივმხვდარვართ. ჩვენი ხსნა საშინელი წყრომისაგან, რომელიც უთუოდ დავიმსახურეთ, მხოლოდ ერთ რამეს შეუძლია: საკუთარი ხელით შევიპყრათ დამნაშავე და მივგვაროთ მოკლულის ამხანაგებს დამსახურებული სასჯელის მისაზღვად. თუმცა მილიციას ნაბრძანები აქვს არაჩვეულებრივ, ჯერ კიდევ გაუგონარ ღონისძიებებს მიმართოს მტრის ბუნაგის აღმოსაჩენად, მაგრამ ეს არ კმარა. თითოეულმა თქვენთაგანმა ხელი უნდა გამოიღოს. აბა, ვინც ვარგა, ახლა გამოჩნდება. დაგვიანება სიკვდილს უდრის, იცოდეთ ყველამ.

ეს თქვა და ხელისგულით შუბლზე სიმწრის ოფლი მოიწმინდა.

VI

«შმიდტის» ბანზე კიბის თავთან, კუთხეში, ქალაქ სოხუმის მრავალრიცხოვანი დელეგაცია შექუჩებულიყო ბექირბი ჩაჩბას მეთაურობით. დელეგაცია ვასილ ხრიტანიუკის გვამს და დაჭრილ მეზღვაურს წამოყოლოდა ქალაქიდან, რათა გემის უფროსისათვის ქალაქის უზომო მწუხარება გამოეცხადებინა და მოულოდნელად მომხდარი უბედური შემთხვევა სწორად განემარტა პასუხიმგებლობის თავიდან ასაცილებლად.

მისი მეთაური მხცოვანი თავადი ჩაჩბა დელეგაციის დანარჩენ წევრებზე წინ წამდგარიყო, ქალაქის თავის დავანაძისა და ნარიქ ეშბას თანხლებთ, და ბანის მეორე მხარეს ჩამწკრივებულ მეზღვაურთა რაზმის წინ დამდგარ კუზმა_ მრისხანეს ქუდმოხდილი შესცქეროდა მთელი თავისი ტანის დარბაისლური ახოვნებით და ჭაღარა თმების გვირგვინში ჩამჯდარი ნათლად გაშლილი პირისახით. მისი თვალები უაღრეს მწუხარებას გამოხატავდნენ. მას შავი ჩოხა ეცვა, სადა შავ ქამარ_ ხანჯალშემორტყმული.

კუზმა_ მრისხანე ჩაჩბასკენ ნახევრად მობრუნებული იდგა. თავადს თავისი გაორებული მარცხენა თვალის რისხვის მფრქვეველი შუქით ზომავდა.

ბანზე სიჩუმე იყო, რომელსაც დროგამოშვებით არღვევდა გემის ქვედა სართულში ჩამავალ კიბეზე გამართულად ფაციფუციანი მიმოსვლა დაჭრილი მეზღვაურის მოსავლელად მოსული სოხუმელი ექიმებისა. ხანდახან კიდევ ზღვის შორეული გუგუნი გემზე ჰაერს შეარხევდა და სოხუმზე წამოყუდებულ გორაკებს მიაწყდებოდა ისეთი ხმის გამოცემით, რომელიც ქარტეხილის მოახლოებას მოასწავებდა.

ბანზე მყოფნი მოუთმენლად და ჩუმი ცახცახით მოელოდნენ ერთმანეთის პირისპირ მდგომ გემის უფროსსა და დელეგაციის მეთაურს შორის გასაუბრების დაწყებას. მაგრამ არც ერთი მათგანი არ აპირებდა სიჩუმის დარღვევას, თუმცა თითოეულის პოზა იმას მოწმობდა, რომ სათქმელი სიტყვა პირზე ჰქონდათ მომდგარი.

ბექირბი ჩაჩბასათვის ენა ჩაეგდო კუზმა_ მრისხანის სასტიც შესახედაობას, რომელსაც მასზე ზებუნებრივ რამ მოვლენასავით ემოქმედნა. თუმცა ჩაჩბას გული წინასწარ ჰქონდა შემზადებული ბოლშევიკების გემის უფროსის საოცარ სახესთან პირისპირ შესაყრელად, მაგრამ მაინც მის ყოველ წარმოდგენას აღემატებოდა ის საშინელება, რომელიც კუზმა_ მრისხანის თვალთაგან შემოჰყურებდა. თავადი ცხადად ხედავდა, რომ მეზღვაურს დაფლეთილი ტუჩები ისე მოეკუმა, თითქოს დაუსრულებელი ზიზღისა და სიძულვილის ფურთხს დაურიდებლად მას შიგ პირსახეში უმიზნებსო.

ხოლო კუზმას მქშინავი სუნთქვა ისეთ შეურიგებლობას და შურისძიების წყურვილს ანთხევდა გარშემო, რომ არათუ ბექირბი ჩაჩბას წართმეოდა ხმის ამოღების უნარი, მის გვერდით მდგომი დავანაძეც და ეშბაც დამუნჯებულიყვნენ და გახევებულიყვნენ.

კუზმა_ მრისხანე კი ისე აღეშფოთებინა მის წინაშე რაღაც ჩლუნგი პირმოთნეობითა და უაზრო ცერემონიით დამდგარ დელეგაციას, განსაკუთრებით კი ბექირბი ჩაჩბას ბატონურს და ბრწყინვალე იერს, რომ მეამბოხე მეზღვაურის

ბუნება ყოვლად შეუძლებელს ხდიდა რაიმე სიტყვიერი კავშირის გაბმას ამ ყოველმხრივ მისთვის უცხო ადამიანებთან.

ბოლოს სიჩუმე აუტანელი შეიქმნა ორთავ მხრისათვის.

და უცებ მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა.

კუზმა_ მრისხანე მთელი ტანით მგლურად მეზღვაურებისაკენ მიტრიალდა და დელეგაციას ზურგი შეაქცია. არ გასულა ხანიც, რომ მისმა მჭექარე ხმამ გაწნულ სილასავით დაიწივლა დელეგატების ყურებთან:

_ ამათი დედაც... ცერემონიას მიწყობენ რაღაც სულელურს და მასულელებენ! მიმიფურთხებია მე მაგათი თავადური პრანჭვა_ გრეხისათვის. ჰეი, მორიგევ!

და მოწყვეტილი მოკლე ნაბიჯებით პირდაპირ კიბეს მიაშურა, რომელიც მაღლა კაპიტნის კაბინაში ადიოდა.

მორიგე მას უმალვე მიჰყვა კვალდაკვალ.ვერ მოასწრეს დელეგაციის წევრებმა შექმნილი მდგომარეობის მოაზრება, რომ მორიგე მეზღვაური კიბეზე უკანვე დაეშვა და მათ წინ შედგა ხელში რევოლვერმომარჯვებული7 მან შებორძიკებულად წარმოთქვა:

_ გემის უფროსი გიცხადებთ შემდეგს: გეძლევათ ერთი საათი ვადა მკვლელი თეთრგვარდიელი ოფიცრის წარმოსადგენად გემზე. ამ ვადის შემდეგ, თუ მოთხოვნა შესრულებული არ იქნა, გემი ისე იმოქმედებს, როგორც ამას საჭიროდ ჩათვლის. მანამდე გემი მძევლად იტოვებს ქალაქის დელეგაციის მეთაურს. დანარჩენებს ნება აქვთ წავიდნენ გემის უფროსის განკარგულების გადასაცემად.

განაცხადა თუ არა ეს, მორიგემ მეზღვაურთა რაზმიდან სამი კაცი გამოიხმო, რომელთაც უბრძანა ბექირბი ჩაჩბას გარშემორტყმოდნენ და საპატიმრო ოთახში წაეყვანათ, ქვედა სართულში.

სანამ დელეგაციის წევრები გაერკვეოდნენ იმაში, რაც მათ წინ ხდებოდა, თოფიანი მეზღვაურები ბექირბი ჩაჩბას გარშემორტყმოდნენ, თვალის

დახამხამებაში დანარჩენებისაგან განაცალკევეს და ქვედა სართულში ჩაიყვანეს.

იმავე მორიგემ სოხუმის დანარჩენ წარმომადგენლებს თითით გზა უჩვენა ზღვაზე დაშვებული ჯაჭვის კიბის ქვედა თავთან მომდგარი ნავებისაკენ.

...

სოხუმი უდიდეს ალიაქოთში გახვეულიყო: ქალაქში ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ გემი მოკლული მეზღვაურისათვის შურს იძიებდა. რა სახით და რანაირად მოხდებოდა ეს შურისძიება, არავინ არ იცოდა, მაგრამ რომ იგი მკაცრი იქნებოდა და ეს საათიც მოახლოებული იყო, ამას ყველა გრძნობდა.

ყველას ჰქონდა აგრეთვე შეგნებული ის გარემოებაც, რომ დამნაშავის ცოცხლად შეპყრობა მოსალოდნელ განსაცდელს თუ სრულიად არ მოსპობდა, დიდად მაინც შეანელებდა და ხალხს თავის მართლების საშუალებას მისცემდა.

და სწორედ ამ უკანასკნელი გარემოების შეგნებას სოხუმის მთელი მოსახლეობა, დიდიან_ პატარიანად, იმ განაპირა უბნისკენ დაეძრა, სადაც ოფიცერ უჯუშ ემხას სახლ_ კარი ეგულებოდათ.

განსაკუთრებული თავგამოდებით ახლაც მოქალაქეთა მესაკუთრული ნაწილი მოქმედებდა. ამ ნაწილს რაჟდენ თორია ხელმძღვანელობდა, პირდაპირი და გულადი ვაჭარი, რომელიც თოფითა და რევოლვერით შეიარაღებულიყო.

სოხუმის არისტოკრატიას კი, ცოტა არ იყოს, განზე ეჭირა თავი და საქმეში პირდაპირ არ ერეოდა. მას შეადგენდნენ აფხაზეთის ცნობილი და დიდი გვარების წარმომადგენლები, რომლებიც ნათესაობით იყვნენ ემხას გვართან დაკავშირებულნი. ამათგან ადათი კატეგორიულად მოითხოვდა, რაგინდ მდგომარეობა შექმნილიყო, მაინც უწინარეს ყოვლისა, სისხლის ინტერესისათვის ეზრუნათ. ამ შემთხვევაშიაც ამ ნაწილს უფრო უჯუშ ემხას გადარჩენა აინ-

ტერესებდა, ვინემ სოხუმელი ვაჭრებისა და მესაკუთრეების ქონების დაცვა, თუმცა ამას, რა თქმა უნდა, არაფრით არ ამჟღავნებდნენ.

მილიციისა და მოსახლეობის უდიდეს ნაწილს თავდაპირველად ქალაქიდან გასავალი გზები შეეკვრა. მეორე ნაწილი მახლობელი თემებისაკენ დაძრულიყო სოფლების ფეხზე დასაყენებლად და ემხასათვის გზის გადასაჭრელად, ვინიცობაა იგი ქალაქიდან გასვლას მოასწრებდა. მესამე ნაწილს კი თვითონ რაჟდენ თორიას მეთაურობით, სოხუმის განაპირას, მთის კალთის ძირში მიჩქმალულ ემხას სახლ_ კარისათვის ალყა შემოერტყა.

მილიციონერები და უფრო გაბედული შეიარაღებული მოქალაქენი ხუილით ემხას სახლში შეიჭრნენ. მაგრამ აქ მათ მხოლოდ ორი ადამიანი დახვდათ: ემხას მოხუცებული დედა, სამგლოვიარო ძაძებით მორთული ქვრივი შოუჰარი, და მისი თორმეტი წლის ქალი, ლილი, უჯუშის უმცროსი და.

მოულოდნელი უბედურებისაგან ზარდაცემულ დედას გვერდში ამოეყენებინა თავისი ქალი და მოსულიბს კართან შეგებებოდა.

_ ჩემი შვილი უჯუშ შინ არ არის, ალბათ მოვა და პასუხიც იმას მოსთხოვეთ, _ იყო მისი პასუხი ხალხისა და მთავრობის წარმომადგენლების შეკითხვაზე უჯუშის შესახებ.

ოდნავ შენაოჭებულ თეთრ სახეზე შიშის ფითრი დაფრქვეოდა და უჩინარი ცრემლით დანამულ დიდრონ თვალებში შეჩვეული თავდაჭერილობისა და დაჭიმული ნებისყოფის უკანასკნელი სიმტკიცე შემოეკრიბა. მაღალი ტანი ნაჩვევი მედიდურობით ეჭირა, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი ზრდილობითა და ქალური თავმდაბლობით უხვდებოდა მის სახლში შემოსულ მოულოდნელ ხალხს.

ყოველ შეკითხვაზე სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა შეუცვლელად:

_ ჩემი შვილი უჯუშ შინ არ არის. ალბათ, მოვა და პასუხიც იმას მოსთხოვეთ.

პატარა ქერა ლილი კი დედის კალთაში მიმალულიყო. მთელი მისი უაღრესად გაკვირვებული და შეშინებული არსება იმ ორ თვალში მოთავ-

სებულიყო, რომლებიც დაუდეგარად რბოდნენ უცხო ადამიანების ერთი სახიდან მეორეზე.

მოსულებმა ოთახები გაჩხრიკეს. მერე ეზოში მიმოფანტულ შენობებს შეესივნენ _ სამზარეულო, საჯინიბოს, სასიმინდეს, _ მაგრამ უჯუშ ემხას კვალი ვერსად ვერ აღმოაჩინეს.

ბრაზმორეული რაჟდენ თორია მაშინ ერთხელ კიდევ მიიჭრა შოუჰართან:

_ ის მაინც გეცოდინება, შენი ვაჟის ძიძისშვილი ჰაკი აძბა სად იმყოფება, _ უჯუშ უთუოდ მასთან იქნება.

შოუჰარმა თავი გააქნია. მერე შეგვიანებით მოკლედ უპასუხა:

_ არ ვიცი.

ხმას ისეთი კილო დაატანა, რომ თავხედ ვაჭარს აგრძნობინა: ჩემი პასუხის ღირსი არ ხარ, მაგრამ ახლა სხვა გზა არ მაქვსო.

თორია უფროს მილიციონერთან მიიჭრა. მათ შორის ჩუმი საუბარი გაიმართა. მერე უფროსმა განკარგულება გასცა ემხას დედა და და დაეპატიმრებინათ. ორი მილიციონერი ყარაულებად დაუდგნენ დედას და შვილს და აივნის კუთხეში მიამწყვდიეს.

ეს ის დრო იყო, როცა გემიდან დაბრუნებული დელეგატები ემხას მაძიებელ ხალხს შემოუერთდნენ და სამსონ დავანაძემ თავისი როყიო ხმით გამოაცხადა «შმიდტის» უფროსის შეურყეველი ულტიმატუმი და ბექირბი ჩაჩბას დატყვევების ამბავი.

ქალაქის თავის განცხადებამ უდიდესი აღელვება გამოიწვია ხალხში. მაგრამ მას ყველაზე ერთნაირად არ უმოქმედნია. ხალხის დიდმა უმრავლესობამ გემის სასტიკ ულტიმატუმს მიაქცია მთელი ყურადღება _ განსაკუთრებით კი ერთი საათის ვადას, რომელიც ძალიან მოკლე ვადად მოეჩვენა. ხოლო თავად ჩაჩბას დატყვევების ამბავი, თითქოს მის ყურთასმენას სრულიად აცდაო, არაფრად ჩააგდო. ერთი საათის ვადა ყველას ცეცხლივით შეეკიდა

და შიგ ტვინში აუვარდა. უმწეობისა და სასოწარკვეთილების გმინვა გაისმა ირგვლივ:

_ ერთი საათიო... მაშ, დავქცეულვართ.

რაჟდენ თორიას საშინელი მოწოდების ყიჟინაც გაისმა შურის საძიებლად:

_ უმალ ცეცხლი ჩვენი დამღუპველი ემხას სახლ_ კარს. უმალ სიკვდილი მისი ოჯახის წევრებს!

და ათასმა ხმამ დაიგუგუნა:

_ სიკვდილი! სიკვდილი ემხას!

მაგრამ ამავე ხალხში განცალკევებულად იდგა ერთი ჯგუფი, რომელზეც განსაკუთრებულად იმოქმედა ბექირბი ჩაჩბას ტყვედ და მძევლად წაყვანის ამბავმა. ულტიმატუმისათვის კი მას დიდი ყურადღება არ მიუქცევია. ჩაჩბას დატყვევების გაგონებაზე ეს ჯგუფი ისეთმა შიშმა მოიცვა, თითქოს კრეისერ «შმიდტის» ზარბაზნები უკვე აქუხდნენ და ქალაქს გამანადგურებელი სროლა აუტეხესო.

მასში თავი მოეყარათ სოხუმში კარგად ცნობილ თავადებს, რომლებიც მუდმივად ქალაქში ცხოვრობდნენ ან დღეს შემთხვევით აქ იმყოფებოდნენ. მათ შორის იყვნენ მთელ აფხაზეთში დიდი გავლენისა და ავტორიტეტის მქონე პირები, რომელთა საზოგადოებრივი მდგომარეობა თებერვლის რევოლუციას ჯერ კიდევ ვერ შეერყია. სანამ ეს ჯგუფი უწარჩინებულესი ბექირბი ჩაჩბას დატყვევებას შეიტყობდა, თავისი უმოქმედობით უჯუშ ემხას უთუოდ უჩინარ მფარველობას უწევდა, რასაც კარგად გრძნობდა და ამჩნევდა გამოცდილი რაჟდენ თორიაც.

შესაძლებელია, ზოგიერთმა თავადმა ემხას ბინაც კი იცოდა და უთუოდ ისე არ იქნებოდა, ერთს ან ორს მასთან საიდუმლო კავშირიც არ ჰქონოდა გაბმული ამ განსაცდელის დროს.

მოხუცებული შოუჰარისა და პატარა ლილის დაპატიმრება ამ თავადებისათვის ჯერ კიდევ არ წყვეტდა ემხას განწირვის საკითხს. დაპატიმრების

ატანა შეიძლებოდა. მგრამ ბექირბი ჩაჩბას დატყვევება დამნაშავე ემხას მაგიერ, უკვე საქმის სერიოზულ გართულებას წარმოადგენდა და უდიდეს საფრთხეს მოასწავებდა ჩაჩბას სიცოცხლისათვის.

ამ გარემოებამ უცებ შეცვალა მდგომარეობა და უჯუშ ემხას ბედიც გადასწყვიტა. არჩევანის დაშვებაც კი შეუძლებელი იყო ჩაჩბას და ემხას შორის.

უთუოდ ემხა უნდა განწირულიყო.

VII

უჯუშ ემხას სისხლიანი ეპიზოდებით აღსავსე ცხოვრებაში პირველი შემთხვევა იყო, როცა მას მტერთან სამკვდრო_ სასიცოცხლო შებმა მოუხდა ისე, რომ თავისი ერთგული ძიძიშვილი ჰაკი აძბა გვერდით არ ჰყავდა. ამიტომ ეგონა, თითქოს ეს ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ გულში გადარჩენის მტკიცე რწმენა არ ჰქონდა და ის იმედი აღარ ამხნევებდა, უარეს მდგომარეობაშიც რომ ლომის ძალას და ვეფხის შეუპოვრობას მატებდა.

ეზოებიდან ეზოებში ქარივით გადადიოდა. ქუჩებს ირმის ნახტომებით გადარბოდა და თან ჰაკის უკიოდა ხან ხმამაღლა, ხან კიდევ ჩუმად, თავისთვის:

_ ჰაკი! ა, ჰაკი! სად ხარ, ჰაკი?

სიკვდილზე უფრო მწარე იყო უიმედობის გრძნობა.

შიში კი არ იყო, სულს რომ ასე აუფორიაქებდა, და მის ცნობიერებას სიკვდილის შავ სახეს ალანდებდა. შიშზე სიხარულით გასცვლიდა მას, რომ შესძლებოდა. ეს იყო გაგრძელება იმ საკვირველი წინაგრძნობისა, რომელიც ჯერ კიდევ დილით, სასტუმროში, კრეისერ «შმიდტის» გამოჩენამდე, სიზმრად საშინელი სიკვდილით დაემუქრა მას და შეუვალი ბედისწერის სახით მის შეგნებაში შეიჭრა, როგორც გარდაუვალი ნებისყოფა მის გარეშე მოქმედი შეუცნობელი ძალისა.

მალე თავის ეზოს მიუახლოვდა. ჭიშკართან შედგა და სახლიდან ლილი გამოიხმო.

საყვარელი ძმის ხმის გაგონების უმალვე ლილი ჭიშკართან გაჩნდა გახარებული. შეხედა თუ არა უჯუშს, გაკვირვებისაგან სახე მოექცა, შიშით შეჰკივლა:

_ უჯუშ, შენი ჭირიმე, რა მოგივიდა?

უჯუშმა მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ რევოლვერი ხელში ეჭირა და ისე ქშინავდა, თითქოს მკერდიდან ხანძრის ალი ამოსდისო.

_ ჰაკი სად არის? ჩქარა მითხარი!

_ თავის ბიძასთან, კაცთან, გადავიდა დილიდანვე. სთქვი, რა მოხდა, უჯუშ?

_ რუსის მეზღვაურები შემომაკვდნენ. დედას უთხარი: რაც მოხდა, წერა არის_ თქვა. მდევრები მოვლენ. თოუხან მარშანს შეატყობინე, ჰაკისთან მნახოს. სხვასთან სიტყვა არ დასძრა.

მობრუნდა. ორი ნაბიჯი ხტომით გადადგა.

_ მშვიდობით, ლილი! _ გულზე მოიწყვიტა და დას ერთხელ კიდევ შე-მოხედა შეუჩერებლად. მერე უცბად ისე მიიმალა, რომ ლილიმ ძლივს შეასწრო ცრემლმორეული თვალები.

...

უჯუშ ემხას ძიძისშვილმა, ჰაკი აძბამ, ბოლშევიკების გემის შემოსვლისა და მიტინგის გამართვის ამბავი მხოლოდ ბიძამისისას გაიგო. თვითონ ბიძა, კაც აძბა, სოხუმში ცნობილი დალალი, შინ არ დახვდა. მისმა დედაკაცმა უთხრა:

_ ყველამ გაიგო და შენ რად არ იცი, ჰაკი, რომ ბოლშევიკები შემოსულან და დიდი მიტინგია ქალაქში. ბიძაშენიც იქ წავიდა. საოცარ ამბებს მოელიან.

_ ჰაიტ, უჯუშ რომ მარტოა! ახლავე უნდა წავიდე, მოვნახო. _ წამოიძახა ჰაკიმ ბოლშევიკების გაგონებაზე. სიტყვა ბოლშევიკი როგორც მისი გაზრდი-ლისათვის, ისე მისთვისაც თავისთავად უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა. ასეთი წარმოდგენა ბოლშევიკებზე ჰაკის უჯუშის წყალობით და ზეგავლენით

ჰქონდა შეთვისებული. მით უმეტეს, რომ ემხასთან ერთად გამოევლო რუსეთის სამოქალაქო ომის საშინელება. ბიძისას აღარ დაუყოვნებია, მაშინვე ნავსადგურისაკენ გასწია.

ავსტრიის ფრონტზე შეძენილი საყვარელი კარაბინი ხმალივით ეკიდა გვერდზე, კონდახით იღლიაში შეჩრილი. წელზე პატარა ზომის ხანჯალი ერტყა და მოგრძო, მაგრამ მცირე ყალიბის სმიტისა და ვესონის სისტემის რევოლვერი, სირმით მოქარგულ კოხტა ბუდეში ჩამჯდარი. ამ სამ იარაღს ჰაკი არასოდეს იშორებდა. ის იყო წლოვანებით უჯუშ ემხას ტოლი. აფხაზი გლეხი, რომელსაც მთელი აფხაზეთი იცნობდა როგორც ემხას ძიძისშვილს და მის განუყრელ მხლებელს. მორჩილი ტანის კაცი იყო, ხმელი, მაგრამ ნაკვთიანი, სწორად ასხმული, _ მარდი და მოქნილი, როგორც გარეული შავი კატა. თმაგადაპარსული თავი ზაფხულ_ ზამთარ შიშველი დაჰქონდა, ყაბალახი მუდამ ცალ მხარეზე ჰქონდა გადაგდებული. კუპრივით შავი წვერ_ ულვაში თითქმის მთელ სახეს უფარავდა. შავი წარბები გაშლილი ფრთებივით თვალებზე ჩამოწოლოდა. ლაპარაკის დროს ისინი მორიგეობით ეზნიქებოდა და მორიგეობით აჩენდნენ ბუდეებში ღრმად ჩამსხდარ პატარა თვალებს, რომლებიც საგნებს ისარივით ერჭობოდნენ.

კაცის სახლიდან წამოსულმა ჰაკიმ უჯუში ყველგან მოიკითხა, სადაც კი ეგულებოდა. სასტუმროში უთხრეს: წუხელ აქ იყო და ამ დილას წავიდაო. დაუსახელეს ვისთანაც იყო. ჰაკი მიტინგზე გამოცხადდა. ჩვეულებისამებრ, ხალხისაგან თავი შორს დაიჭირა აქა_ იქ ნაცნობებთან მივიდა და უჯუშის შესახებ ჰკითხა, მაგრამ კვალს ვერ მიაგნო...

ამ დროს გაისმა სწორედ რევოლვერის ხმაც და ის იყო მიტინგიც შეირყა. ჰაკიმ ყურთასმენა და თვალთახედვა გაიმახვილა. რაღაც წუხილი შეაფრინდა და უჯუშისათვის შიშმა გული მოფხაჭნა. ყოველ შემთხვევისათვის კარაბინი მოიმარჯვა და ტანში გაიმართა, მხარ_ ბეჭი შექანებით შეისწორა.

როდესაც სამსონ დავანაძემ ყველას გასაგონად უჯუშ ემხას ამბავი გამოაცხადა, ჰაკიმ უცბად სასიკვდილოდ დაჭრილივით ამოიგმინა და თვალის

დახამხამებაში თავის ადგილს მოსწყდა. ხალხის ტალღებს შორის გზა გაიკაფა შეუმჩნევლად და იქით გავარდა, საიდანაც რევოლვერების სროლა გაისმა.

ხალხისაგან სრულიად დაცარიელებული ხეივნის ბოლოში თვალი მოჰკრა მიწაზე გაშხლართულ ორ მეზღვაურს. ერთხელ კიდევ იყვირა შეკავებულად:

_ ჰაააააჰაიტ! _ რომელიც ნადირის უეცარი შეშინების ხმას ჰგავდა. წამით ნაბიჯი შეანელა. რამდენჯერმე შეავლო თვალი იქაურობას. იქნება, სადმე უჯუში დაელანდა. მერე წარმოთქვა:

წასულა...

თავში გაუელვა, უთუოდ ჩემთან წამოვიდოდაო და ფეხების აწყვეტით მახლობელ ქუჩაში შეუხვია.

ლილი ჯერ კიდევ ჭიშკართან იდგა, როცა ჰაკი გამოჩნდა. დაინახა თუ არა უჯუშის და, აძბამ შიშით შესძახა:

_ სად არის? _ ერთდროულად ხელის ქნევითაც ანიშნა, რას ეკითხებოდა.

ლილიმ უსიტყვოდ თითი იქითკენ გაუშვირა, საითკენაც უჯუში მიიმალა. ჰაკი არ შემდგარა.

სამიოდე ნახტომი და უჯუშს თვალი მოჰკრა. უჯუში მისკენ მიტრიალდა. ჰაკი მყისვე წინ დაუდგა. მაღლა შემართულ ორთავ წარბის ქვეშიდან შეხედა: ჯერ უსიტყვოდ შეეკითხა და მერე უსიტყვოდვე მთელი თანაგრძნობა დაანახვა თვალებით. უჯუშს გაუჭირდა ხმის ამოღება.

_ იცოდე: თავს დამეხსენ, ჰაკი... _ ძლივს წარმოთქვა ბოლოს.

_ ვიცი... აქედან შორს ახლავე, შენი ჭირიმე! მთებია ახლა ჩვენი დამხსნელი! მომყევი!

კარაბინი ხელში ეჭირა. შავი სხივივით მოძრაობდა. გეზი კაც აძბას სახლისკენ დაიჭირა, სადაც ცხენები ეგულებოდა.

ემხა უცბად დამშვიდდა. გული საგულეს იგრძნო. მიჰყვა ძიძისშვილს.

მალე კაც აძბას სახლს დაუახლოვდნენ. უცებ უკნიდან ცხენების ფეხის ხმა მოესმათ და ყიჟინა, მერე განგაში და ათასი ხმის ახმაურება, რომელიც ალყასავით გარს შემოერტყათ.

ჰაკი შედგა. მიმოიხედა და მიაყურა. ზღვის ნაპირიდან დაძრული ხალხის ტალღა უკვე მოსდებოდა ქუჩებს. ჰაკიმ დაინახა მისი აყრილი ქოჩორი.

_ ვაჰაჰაი, დავიგვიანეთ!

კაც აძბას ეზოში შევარდნენ. თავლას გაუპირისპირდნენ.

როცა კაცის ცოლმა მის ეზოში შემოჭრილი იარაღმომარჯვებული ჰაკი და მასთან უჯუშ ემხა დაინახა, შიშმა მუხლები მოკვეთა და შეჰკივლა, ეს რა ამბავიაო, ჰაკიმ ერთი ხელი პირზე მიიდო, მეორეთი კი კარაბინი დაუქნია და უსასტიკესად გამაფრთხილებელი ნიშნებით უბრძანა ხმა ჩაეკმინდა და სახლში შესულიყო, არავის დანახვებოდა.

მერე კაცის თავლაში თავი შერგეს და კარი მოიხურეს. გაინაბნენ.

ემხას შესაპყრობლად მისი სახლისაკენ დაძრული ხალხის ყიჟინა უცებ იმ მიდამოს რისხვიანი გუგუნივით მოედო და ერთ წამში მთელი უბანი ხალხით აივსო.

ახლა იმაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, რომ უჯუში და ჰაკი ცხენებით ქალაქიდან შეუმჩნევლად გასვლას შესძლებდნენ. სხვა გზა და სხვა საშუალება უნდა გამონახულიყო. მანამდე ბრძოლისათვის შეემზადნენ: თავლის კარი დაჯორგეს შიგნიდან და შერჩეულ ჭუჭრუტანებს მოესხდნენ იარაღით: ჰაკი თავისი კარაბინით, ემხა _ რევოლვერით. რასაკვირველია, ცოცხლად თავის დანებება ფიქრადაც არ მოსდიოდათ. მაგრამ ჰაკი აძბას თავი სხვა მიმართულებით მუშაობდა. იგი სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაეღწია თავი ამ თავლისათვის, რომელიც საიმედო თავშესაფრად არ მიაჩნდა. ყველაზე უფრო მოხერხებულად ეჩვენებოდა ტანსაცმლის გამოცვლა და ამ სახით ბრბოში გარევა, ჭკუასთან ძალიან ახლოს იყო, რომ დაფლეთილი სამოსელი მათ გარეგნობას შეუცვლიდა და შეუმჩნევლად გაიყვანდა ქალაქიდან.

უჯუშ ემხა კი იმედს თავის გავლენიან ნათესავებზე ამყარებდა, ნამეტურ კი ასეთ შემთხვევებში დიდად მოხერხებულ დეიდაშვილზე, თოუხან მარშანზე, რომელიც დის პირით ჰყავდა დაბარებული.

მალე ზღვის ნაპირიდან ხალხის ტალღას აქეთკენ გამოყოლილმა კაც აძბამაც შემოუხვია თავის სახლისაკენ. როცა ჰაკიმ თავის ჭუჭრუტანიდან იგი ეზოში შემოსული დაინახა, იმედი შეემატა, მაშინვე დაუსტვინა. მაგრამ საერთო ხმაურობაში, რომელსაც ამ უბანში ახლა ხალხის დენა ქმნიდა, ბიძის ყურადღება ვერ მიიპყრო. კაც გამალებული ნაბიჯით სახლში შევიდა. ცოლმა ქმარს ჰაკისა და უჯუშ ემხას თავლაში ყოფნის ამბავი დაახვედრა. ტყვიასავით მოხვდა ეს ამბავი ოჯახის პატრონს.

_ ჰაკიმ ასე როგორ გამწირა, რას მერჩოდა? _ თქვა და შიშის ზარი დაეცა. ფერი ეცვალა. გამოვარდა სახლიდან და თავლას მიაშურა.

ჰაკის თვალებს ჭუჭრუტანიდანაც შეუმჩნევლად არ დარჩა ბიძამისის ძალზე შეშინებული სახე. ამიტომ როგორც კი იგი თავლის კარს დაუახლოვდა, მიაძახა:

_ კაც, ნუ გეშინია, შენ არ გაგხდით ჩვენი ჭირის ზიარს. ყური დამიგდე: დაბრუნდი ახლავე უკან და რაც შინ ძველი, გამონაცვალი ტანსაცმელი მოგეპოვება, შეჰკარი და აქ მოგვიტანე. მაშინ ჩვენ წავალთ და შენს თავლასაც არა დაუშავდება რა.

_ თავლას თქვენი ჭირი წაუღია, ჰაკი, ოღონდ...

დაიწყო ხმის კანკალით კაცმა, მაგრამ ახლა თვითონ უჯუში ჩაერია მათ გასაუბრებაში.

_ კაც, თავი შევაფარე შენს ჭერს, მაგრამ შენ ეს არ იცოდი და ვითომც არც ახლა იცი... ნუ გაუწყრები ჰაკის.

_ ჩვენი გაზრდილი ხარ, უჯუშ, ვალდებული ვართ, შენს მაგიერ ჩვენ მოვკვდეთ ყველა... _ უთხრა კაცმა და სახლისაკენ მოტრიალდა ჰაკის თხოვნის ასასრულებლად. უჯუშმა კვლავ მიაძახა:

_ კაც, თოუხან მარშანი მყავს დაბარებული, რომ მოვიდეს, ენდე, მომიყვანე.

კაც სახლში შეიჭრა ფიცხლად. ცოლის დახმარებით რაც ძველი გადაგდებული სამოსელი ჰქონდა _ დაფლეთილი ჩოხა, ახალუხი, ყაბალახი, წუღები _ მოაგროვა, ერთად შეჰკრა, იღლიაში მოიგდო და ის იყო ჰაკისთან უნდა წაეღო, რომ მოულოდნელად სახლში სამმა კაცმა შემოაბიჯა. ესენი იყვნენ თოუხან მარშანი და უჯუშის ორი მოგვარეთაგანი _ ემხები.

_ კაც, უჯუში უნდა გვაჩვენო. _ მიმართა კაცს სირმით მოხატულ, ყავისფერ მოკლე ჩოხით გამოწყობილმა მარშანმა და თავზე წაადგა. ორივე ხელი სატევარის ტარზე შემოეჭდო. ღელავდა. კეხიანი კაუჭა ცხვირი ძლივს ატარებდა მოხშირებულ სუნთქვას, რომელიც ოდნავი სისინით ამოუდიოდა. სამასრეზე და სამაჯურად მორგებული სახელოების წინა ტოტებზე შაგრენის მუქ_ მოყვითალო ტყავი ჰქონდა დაკერებული.

_ უჯუში თვითონ მოელის თოუხან მარშანს, _ უპასუხა კაციმ და თოუხანის ორ მხლებელს საეჭვოდ გადახედა.

_ ჩვენებია, დაამშვიდა მარშანმა, _ გაგვიძეხ!

VIII

თვალცრემლიანები შეხვდნენ ერთმანეთს უჯუში და თოუხან მარშანი. კარგა ხანს შერჩათ გადაჭდობილად ჩამორთმეული ხელები. გულითადი თანაგრძნობით გულაჩვილებული მარშანი ტირილს ძლივს იკავებდა.

დიდხანს სდუმდნენ.

_ რა მექნა, თავს დამესხნენ, _ თქვა ბოლოს უჯუშმა და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

_ შოუჰარ და ლილი შეიპყრეს, უჯუშ, _ წარმოთქვა თოუხანმა და უჯუშს თვალი აარიდა.

_ ჰაიტ, რა დიაცურად მოქცეულან ის ძუ ძაღლები, _ წამოიძახა ჰაკიმ, მაგრამ თავის ჭუჭრუტანასათვის თვალი მაინც არ მოუშორებია.

უჯუშმა უცებ ხელი შეუშვა მარშანს. ერთი ნაბიჯი უკან გადადგა და მთელი ტანით გაიმართა.

_ მოხუცებული დედაჩემი შეიპყრეს! ლილიც! _ ხელების გაშლით წამოიგმინა მან და თოუხანის არიდებული თვალები რომ დაინახა, ემხებს გადახედა, თითქოს მათგან ცნობის დადასტურებას თხოულობსო.

_ მისმინე კიდევ, უჯუშ, ბოლშევიკებმა შენს მაგიერ ბექირბი ჩაჩბა დაატყვევეს. გემზე ჰყავთ, ერთი საათი ვადა მოგვცეს, რომ...

ამის გაგონებაზე ემხა ისევ მივარდა მარშანს. მკლავებზე ხელები შემოავლო.

_ მერე? _ ჰკითხა სულშეხუთულად და შეანჯღრია, _ მერე_ მეთქი, თოუხან?

თოუხანი გაჩუმდა.

მცირე ხნის საერთო სიჩუმის შემდეგ ერთ_ ერთმა ემხამ წარმოთქვა:

_ ვაჰვაჰაი, უჯუშ, შენმა ახლობლებმა და აფხაზეთის რჩეულმა თავადებმა ასე იფიქრეს: ბექირბი ჩაჩბას განწირვა არ იქნებაო, და შენთან ეს სიტყვა დაგვაბარეს. ესეც თქვეს: მთელი აფხაზეთი ჩაერევა ამ საქმეში და უჯუშს სიკვდილისაგან იხსნისო.

სულ მცირე ხნის სიჩუმე ჩამოვარდა კვლავ. ყველა უჯუშს შეჰყურებდა სულმოუთქმელად.

_ მესმის, ძმებო, ყველაფერი. დაფიქრებაც კი პატივს ამყრიდა თქვენს თვალში. საჭირო არ არის ზედმეტი სიტყვა. მზად ვარ გამოვცხადდე, _ წარმოთქვა უჯუშმა და აქამდე გაფითრებულ სახეზე სისხლი წამოაწვა.

ახლა კი ჰაკი აძბამ თავის საფარი დააგდო და უჯუშს და თოუხან მარშანს შუა ჩადგა. მთელი ტანით დაიგრიხა და დაიკლაკნა. მიწისფერ ტუჩებში თეთრი კბილები გამოაჩინა:

_ სიტყვა... სიტყვა მათქმევინეთ. აჩქარება ჭკუას არ ეწყობა. მომისმინეთ: ჯერ არ ყოფილა ქვეყანაზე ისეთი კანონი, რომ ნამდვილი დამნაშავის მაგიერ სრულიად უდანაშაულო კაცი დაესაჯათ. ბექირბი ჩაჩბას არა უშავს რა. ის მთელი აფხაზეთის თავკაცად ითვლება და დიდი თავადიც არის. მას ხელს ცუდად ვერავინ ვერ შეახებს. მართალია, შეწუხება არ აცდება და ერთ ხანს, შეიძლება ტყვედაც დარჩეს, მაგრამ სიკვდილი კი არ მოელის. მერე თქვენ ბრძანებთ, მთელი აფხაზეთი საქმეში ჩაერევაო, და ხომ ცხადია, რომ უდანაშაულო ბექირბის დახსნა უფრო ადვილად მოხერხდება. უჯუშს კი ბოლშევიკები მაშინვე დახვრეტენ, როგორც კი ხელში ჩაუვარდებათ. ეს მართალია, როგორც მზე, რომელიც დედამიწას ანათებს, ბატონიშვილო თოუხან, და მე ვიცი, რომ უჯუში შენ გიყვარს. უჯუშმაც იმისთვის დაგიბარა, რომ გასაჭირში მოხმარებოდი. შენ კი იგი სასიკვდილოდ გაგიმეტებია. გთხოვთ, აპატიოთ მის ძიძისშვილს საყვედური.

_ ჰაკი! _ შეწყრომით მიმართა ჰაკის უჯუშმა, _ მე ვთქვი, ზედმეტი სიტყვა საჭირო არ არის_ მეთქი. შენც დაჩუმდი.

_ კადნიერებაა, რომ მდაბიო კაცი ბრწყინვალე თავადების წინაშე სიტყვის თქმას ბედავს, მაგრამ მე არ შემიძლია შენი თავი სიკვდილს დავუთმო, უჯუშ, სანამ ცოცხალი ვარ, შენმა გამზრდელმა მამაჩემმა მიანდერძა, როცა კვდებოდა: უჯუში შენი მზე არის, ეს იცოდეო. სიცოცხლე იმისათვის მომიცია, რომ იგი უჯუშს შესწირო, როცა ამის საჭიროება დადგებაო. დედაჩემმაც გაიგონა ეს სიტყვები და შენი ძიძა დღესაც ცოცხალია.

უჯუშმა ხელი მოჰკიდა ჰაკის. თოუხანს მოაშორა. გვერდზე ამოიყენა.

_ დაჩუმდი, ჰაკი, _ ბრძანებისა და თან მოფერების კილოთი უთხრა და სიტყვა თოუხანზე გადაიტანა.

_ კარგად მესმის, თოუხან, რისთვის მოსულხარ. ალბათ ეს არის ერთადერთი გამოსავალი. სხვა რომ არსებობდეს, უკეთესი, შენც იმას მირჩევდი... ეს მე მწამს, როგორც შენი ძმობა. აპატიე ჰაკის. შენ ხომ იცი მისი ამბავი. _ მცირე ხნით სიტყვა შეწყვიტა, მერე ისევ განაგრძო:

_ მე ახლა მაწუხებს მხოლოდ ერთი ამბავი, თოუხან, ჩემი იარაღი მტერს არ მინდა მივცე ნებაყოფლობით, გთხოვ, შენ ჩაიბარო იგი.

თოუხან მარშანმა პასუხად მკლავები ფართოდ გაშალა, უჯუშს მხრებზე მოხვია და მწარედ აქვითინებული მთელი ტანით გადაეჭდო, გულში ჩაიკრა.

...

თოუხან მარშანმა და ემხებმა შუაში ჩაყენებული უიარაღო უჯუშ ემხა მის ეზოში შეიყვანეს, სადაც ხალხი ირეოდა და მილიცია ჯერ კიდევ ჩხრეკას განაგრძობდა.

_ უჯუშ ემხა! უჯუშ ემხა! _ გაისმა ყველა მხრიდან გაკვირვებული ხმა.

და უცებ აწივლებული ბავშვის ტირილი შეერია საერთო ახმაურებას:

_ უჯუშ! ძმაო უჯუშ! წადი აქედან. არ მოხვიდე. წადი, უჯუშ, შენი ჭირიმე! _ ეს იყო ლილი, რომელიც ძმის დანახვაზე სახეს იკაწრავდა და ჰკიოდა.

უჯუშ ემხას ნათესავები ჭიშკართან მოეგებნენ. გარს შემოერტყნენ, გაამხნევეს, საქციელი და ვაჟკაცობა მოუწონეს, რომ უფროსების სიტყვა დაიჯერა და გამოცხადდა.

_ სხვა გამოსავალი არ იყო, უჯუშ. მაგრამ შიში ნუ გაქვს: სიკვდილით არაფერს გაგიჭირვებთ.

სამსონ დავანაძეც დიდი რიხით მივიდა უჯუშთან. ქუდის მოხდით სალამი მისცა. მერე ხელიც ჩამოართვა. მადლობა უთხრა ქალაქის სახელით, რომ დროზე გამოცხადდა, და შემდეგ ასე მიმართა:

_ ძალიან ვწუხვარ, თავადო, რომ ეს მეტად საწყენი საქმე შეგემთხვათ და ჩვენც იძულებულები ვართ, სასტიკი აუცილებლობის წინაშე ქედი მოვიხაროთ. დარწმუნებული იყავით, რაც გაგვივა, ცდას არ დავაკლებთ, რომ მდგომარეობა შეგიმსუბუქოთ.

და თანაგრძნობის გამომხატველი სახე უჩვენა როგორც უჯუშს, ისე მთელ მის ნათესაობას.

ამ დროს მილიციის უფროსიც მოუახლოვდა თავადების წრეს. სანამ უჯუშ ემხასთან მოვიდოდა, უცებ წინ საიდანღაც იქ გაჩენილი ჰაკი აძბა აესვეტა და შეაყენა. თავი მდაბლად დაუკრა, მერე ხელი გაიკრა თოფზე, საკვირველი სისწრაფით გადაიძრო მხრიდან, ორივე ხელისგულზე გადაიდვა და გაკვირვებული მილიციის უფროსს გაუწოდა.

_ მე ვარ ჰაკი აძბა, ბატონო უფროსო, უჯუშ ემხას ძიძისშვილი, რომელსაც აქ ყველა იცნობს, ვისაც ემხას ბრწყინვალე სახელი გაუგონია. მაპატიე, რომ შეგაჩერე, მაგრამ განცხადება მაქვს ფიცს ქვეშ მოსაცემი და გთხოვთ, მომისმინოთ. უჯუშ ემხას მე ვახლდი იმ დროს, როცა მას მეზღვაურები თავს დაესხნენ. იმისათვს ვატარებ იარაღს და დედაჩემის გაზრდილს იმისათვის ვახლავარ დღედაღამ, რომ ის ყოველი ხიფათისაგან დავიცვა. თავდამსხმელებს მე ვესროლე რევოლვერი და ჩემმა ტყვიამ ორი მათგანი იმსხვერპლა. უჯუშ ემხას კი იარაღისათვის ხელიც არ უხლია. დიახ, მე ვარ მკვლელი მეზღვაურებისა, ბატონო უფროსო, დამიჭირეთ და წარმადგინეთ, სადაც საჭიროა. ჰა, ჩემი თოფი, ეს რევოლვერიც და ესეც ჩემი სატევარი. ჩაიბარეთ, უჯუშ ემხას კი არა დაუშავებია რა. გთხოვთ, მას ხელი არ ახლოთ.

და გაკვირვებულ მილიციის უფროსს ჰაკი აძბამ ფეხებთან დაულაგა თავისი კარაბინი, რევოლვერი და სატევარი.

უცებ ჩამიჩუმიც კი შეწყდა ირგვლივ და სულგანაბული დუმილი ჩამოწვა ხალხში.

დუმილის ჯაჭვი პირველად გაწყდა თავადების ჯგუფთან, რომელიც უჯუშ ემხას გარს შემოკვროდა. ჰაკი აძბას ჯერ კიდევ სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ იქ ჩოჩქოლი ატყდა და თოუხან მარშანი უჯუშს უცებ მთელი ძალ_ ღონით შეეტოტა. მკლავები შეუკრა და ადგილიდან დაძვრის საშუალება მოუსპო. ეს მოხდა იმ წამში, როცა ემხამ ჰაკის სიტყვების გაგონებაზე ადგილიდან მორღვევა დააპირა და ძიძისშვილის სიტყვების გასაბათილებლად შეემზადა. მან მხოლოდ მოასწრო ერთი სიტყვის წამოყვირება საშინელი დამუქრებით:

_ ჰაკი!

მაგრამ ახლა ხუთიოდე თავადის ხელისგული პირზე აეფარა და სუნთქვა შეუკრა.

_ უჯუშ, ხმა არ ამოიღო.

და ისე ვიწროდ შეჰკრეს წრე მის გარშემო, რომ გასაქანი არ მისცეს, შებორკეს და შეხუთეს.

_ ძიძისშვილი რომ არის, თავიც უნდა გასწიროს შენთვის. კარგად იქცევა, იცოდე სიტყვა არ დასძრა.

_ მით უმეტეს, რომ ჰაკი მდაბიოა, ბოლშევიკები ბატრაკად ჩასთვლიან და, იქნება არც დახვრიტონ. შენ კი ოფიცერი ხარ და თავადი, სიკვდილი არ აგცდება. აცალე ჰაკის, ხელს ნუ შეუშლი.

ეუბნებოდნენ უჯუშს ყოველი მხრიდან.

მაგრამ უჯუში მაინც არ ცხრებოდა. როცა ჰაკიმ ეს ამბავი ანიშნა, უკანდახევით მიუახლოვდა თავადების ჯგუფს, კისერი უცნაურად წაიგრძელა, თავი უჯუშის პირისახესთან მიიტარა და კბილების ღრჭიალით დაუსისინა დორბლიანი პირით:

_ ვფიცავ შენს მზეს, უჯუშ, ჩემი ხელით დაგკლავ და მერე ჩემს ხორცს ცოცხლად ძაღლებს შევაჭმევ, თუ არ გაჩუმდი.

ჰაკის განცხადებაში პირველი ეჭვი არავის არ შეუტანია. ვისაც ამბავი გაეგონა ან მისი ცნობა ჰქონდა პირადად, იმისთვის არაფერი იყო დაუჯერებელი ან არაჩვეულებრივი ამ განაცხადში: ჰაკი უჯუშისათვის ათასსაც მოჰკლავდა და წარბს არ შეიხრიდა. მაგრამ თავადების ჯგუფში უჯუშ ემხას გარშემო შექმნილმა ჩოჩქოლმა და ჩურჩულმა, მერე თვითონ უჯუშის წამოყვირებამ და ჰაკის უკანასკნელმა საქციელმა ბევრს ის აზრი დაუბადა, რომ აძბა იბრალებდა ემხას დანაშაულს, რათა იგი სასჯელისაგან დაეხსნა. არც ეს ეწინააღმდეგებოდა ჰაკის ხასიათს და მის საყოველთაოდ ცნობილ თავგანწირულ ერთგულებას უჯუშისადმი.

ჰაკი აძბას მოქმედება ახლა სულ სხვა აზრით გაიგეს. განსაკუთრებით თავადების ჯგუფთან ახლო მდგომთათვის ცხადი შეიქნა ემხას ერთგული ძიძისშვილის მანევრი.

სამსონ დავანაძე და ნარიქ ეშბაც მიხვდნენ, თუ რა განზრახვით ჩაიდინა ეს ამბავი აძბამ. არც ესენი იყვნენ ჰაკის თავგანწირვის წინააღმდეგნი. მაგრამ ამ ახალი მომენტის მოსაზრებამ ისინი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ჰაკის ხერხი ვერ გავიდოდა და კუზმა_ მრისხანეს ოფიცერი ემხას ნაცვლად ჰაკის ვერ წარუდგენდნენ, როგორც მეზღვაურების მკვლელს, შესაძლებელი იყო ამას უარესი სკანდალიც კი გამოეწვია: ჰაკი არაფრით არ ჰგავდა მეფის ჯარის თეთრგვარდიელ ოფიცერს, რომელიც, ალბათ, კარგად დაინახეს და გაიცნეს, როგორც უვნებლად გადარჩენილმა მეზღვაურებმა, ისე დაჭრილმა _ შეტაკების ცოცხალმა წევრებმა.

ბოლოს თვითონ უჯუშ ემხამ გაუადვილა ხელისუფლების წარმომადგენლებს საკითხის გადაჭრა. იგი ხელიდან დაუსხლტა ნათესავებს და მილიციის უფროსისა და ქალაქის თავის წინაშე წარსდგა.

_ აქ ვარ მეზღვაურების ნამდვილი მკვლელი და გნებდებით. გთხოვთ, ახლავე გაათავისუფლოთ ბექირბი ჩაჩბა და დედაჩემი. მოგყვებით, სადაც საჭიროა.

ჰაკი ახლაც არ დაიბნა.

ჩემი გადარჩენა უნდა და დანაშაულს თავის თავზე იღებს, რადგანაც მეზღვაურები მისი გულისათვის მოვკალი, _ ყვიროდა იგი და უჯუშის დედას უხმობდა, რომ შვილისათვის ჩაეგონებინა თავის შეკავება.

ძალიან ბევრისათვის ბოლოს მართლა გაურკვეველი შეიქნა, ვინ იყო ნამდვილი მკვლელი და რომელი მათგანი იბრალებდა დანაშაულს.

მაშინ სამსონ დავანაძის ჩაგონებით მილიციის უფროსმა გამოაცხადა, რომ სოხუმის მთავრობა ორსავე ერთად წარუდგენდა კრეისერ «შმიდტის» უფროსს და მათ დავასაც ეს უკანასკნელი გადასწყვეტდა.

IX

საღამო მოახლოვებულიყო, როცა სამსონ დავანაძემ და ნარიქ ეშბამ ნავში ჩასვეს უჯუშ ემხა მისი ძიძისშვილითურთ და უკანმოუხედავად კრეისერ «შმიდტისაკენ» გააქანეს.

აფხაზეთის ცვალებადი ამინდი უკვე შერყეულიყო და ზღვის მხარეს ავდრის მომასწავებელი ფოლადისფერი ღრუბლები შექუჩებულიყვნენ. ამდენ ხანს ზღვის მშვიდად მინაბულ ზედაპირს ქოჩორი აეყარა. შორეული სივრცეებიდან შხუილიანი ყრუ ხმაური მოდიოდა, რომელიც დროგამოშვებით სადღაც ჩაღმუილებით ჩაინთქებოდა.

ავდარი იყო მოსალოდნელი.

ოფიცერ ემხას გემზე გამოჩენამ «შმიდტის» მეზღვაურთა შორის დიდი აღელვება გამოიწვია. უჯუშ ემხა შეხვედრისთანავე იცნო ვასილ ხიტანიუკის უვნებლად გადარჩენილმა ამხანაგმა.

_ აი, ეს იყო, რომ გვესროდა. ამხანაგებო, ამ არამზადამ მოჰკლა ჩვენი ვასკა_ პირატი. სიკვდილი მას! _ იყვირა მან ემხასკენ თითის გაშვერით და თვალები სისხლით აევსო.

და უცებ ერთად შექუჩებული ათეული მეზღვაურის ბრაზმორეულმა ხმამ მეხივით იჭექა:

_ ჰკა მაგათ! ზღვაში გადავუძახოთ ყველა, ამხანაგებო. _ აუსვით ხელი მაგ ბურჟუაზიის კერძებს. ყირამალა, ზღვაში, ამხანაგებო.

მუშტებმოღერებული მეზღვაურები ადგილიდან მოირღვნენ და სოხუმელებისაკენ მუქარით წამოვიდნენ.

ათასნაირმა გინებამ ჰაერი შესძრა.

_ ამხანაგებო, შესდექით, _ ვედრების ხმით იყვირეს დავანაძემ და ეშბამ.

_ თქვენ უფროსთან ვართ მოსული. გვაცალეთ! _ და უმალ განზე გადახტნენ, რომ მეზღვაურების იერიში აეშორებინათ.

ჰაკი აძბას სიკვდილის ფერმა გადაჰკრა. მოულოდნელად ხაფანგში გამომწყვდეული ნადირის თვალებით მიმოიხედა გარშემო. რა ნახა, რომ მდგომარეობიდან არავითარი გამოსავალი არ იყო, ტანი შეიმკვრივა, მკერდი გამოზნიქა და წინ წახტომით უჯუშს მთელი ტანით ფარივით აეფარა.

_ მოგლიჯე ეპოლეტები მაგ არამზადას! _ აირია ერთხელ კიდევ ერთმანეთში ხმები.

და ათეული დაკარწახებული ფოლადის მკლავი ემხას თავზე დატრიალდა.

ჰაკი ამ მკლავებსა და უჯუშს შუა მოექცა. საცეხველებივით მოქნეულ მუშტებს საოცარი სიმარდით ხან თავს უხვედრებდა, ხან მხრებს, მკლავებს, რომ უჯუშისათვის აეცილებინა და ეშვებივით გადმოყრილი კბილების ღრჭენით იღრინებოდა. დაიზილა და დაიბეგვა. თავპირი გაუსისხლიანდა. მაინც არ დაცხრა.

მაშინ ერთმა გოლიათივით ახმახმა მეზღვაურმა გაოცებით შეხედა და წამოიყვირა:

_ ეს კიდევ ვინ ეშმაკია, რომ სოლივით ჩაგვერჭო და ცემას არ გვანებებსო, _ გაშალა მკლავები და ჰაკის მორჩილი ტანი ერთი მოსმით შებღუჯა, ბურთივით შეამრგვალა, აიტაცა და გემის ქიმის კიდურისაკენ გადასაგდებად გააქანა.

მაგრამ ამ დროს ბანზე კუზმა_ მრისხანის ბრძანების ხმაც გაისმა:

_ დადექ!

და დოინჯშეკრული მეზღვაურები ერთ ადგილზე გაქვავდნენ.

ჩოხაჩამოგლეჯილი ემხა და ზღვაში გადასაგდებად გამზადებული ჰაკი აძბა სიკვდილს გადარჩნენ.

შიშით ზარდაცემული სამსონ დავანაძე და ნარიქ ეშბა კუზმას მივარდნენ. მფარველობა სთხოვეს.

გემზე სიჩუმე ჩამოვარდა.

ქანდაკებასავით, გულზე ხელებდაკრეფილი იდგა ემხა თავის ადგილზე. თვალები ძირს დაეხარა, ცოცხალის ფერი არ ედო. ფირფიტასავით თხელი ნესტოები ამხელდნენ მხოლოდ, რომ ის სუნთქავდა.

კუზმა_ მრისხანეს თავისი ორივე სახე და სამივე თვალი მიეპყრო მისთვის.

სიჩუმე გრძელდებოდა.

გოლიათი მეზღვაურის მკლავების მარწუხებიდან გათავისუფლებულმა ჰაკი აძბამ მხოლოდ ახლა დაინახა, რომ უჯუშ ემხა ცოცხალი იდგა თავის ადგილზე. სიხარულის ნიშნად დაიღრიჭა, გადმოყრილი კბილები უფრო მეტად გამოაჩინა და გულშემზარავი ხრიალისებური ხმა გამოსცა. ეს უთუოდ მისი გაღიმება იყო ახლა, უჯუშის დანახვით გამოწვეული. მაგრამ ნამდვილად სასიკვდილოდ დაკოდილი მხეცის დაღრინებას ჰგავდა მისი ახრიალებული სიხარული. მერე უცებ ფეხი მოინაცვლა, აიდგა და მეზღვაურთა რიგის გასწვრივ ჩაიარა თავისი მსუბუქი ნაბიჯით. უჯუშ ემხას მიუახლოვდა და კუზმა_ მრისხანის პირისპირ თავის გაზრდილს ხელმეორედ მთელი ტანით წინიდან აეფარა.

კვლავ ტანი შეიმკვრივა და მიჩლუნგებული, უმეტყველო თვალები «შმიდტის» სამთვალიან უფროსს გაუსწორა.

შმიდტელებმა ძალაუნებური გაკვირვებით შეათვალიერეს უცნაური ადამიანი.

სამსონ დავანაძეს თავისი ზორბა ტანი გაეჭიმა, კისერი წაეგრძელებინა და თავი და ზედატანი კუზმასაკენ გადაეხარა. იგი დაბალი ხმით მოხსენებას უკეთებდა მას ოფიცერ ემხას და ჰაკი აძბას შესახებ. მერე, თითქოს სიტყვებს შორის შეაპარაო, ბექირბი ჩაჩბას განთავისუფლების დაპირებაც მოაგონა.

_ ნამდვილი დამნაშავე რომელია? _ შეაწყვეტინა ქალაქის თავს კუზმამ.

_ ამხანაგო უფროსო, ეს ოფიცერი იყო ნამდვილად, რომ გვესროდა, _ მიმართა კუზმას მკვლელობის მოწმე მეზღვაურმა. სანამ დავანაძე წაბორძიკებულ ენას გაისწორებდა, _ ეს ვიღაც კაცია თუ ეშმაკი, იქ სულ არ ყოფილა.

_ ჰეი, კაპიტან, _ გაისმა უცებ ჰაკის აფხაზურ კილოზე წარმოთქმული რუსული, _ მე მოვკალი შენი მეზღვაურები და ააჰა! _ და ხელისგული დანის მაგივრად ყელთან გაისვ_ გამოისვა, ვითომ უთხრა: სამაგიეროდ თავს მოსაჭრელად გაძლევო, _ მეტი რა გინდა? მაშინ კუზმა_ მრისხანემ დავანაძეს გადახედა.

_ იბრალებს, თუ მართალია?

დავანაძემ თავი ჩაქინდრა რაღაც ორაზროვნად.

კუზმა ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ჰაკის.

ახლა ემხამაც დაარღვია თავისი დუმილი.

_ ჭკუაზე არ არის. თავი დაანებეთ. გთხოვთ, დააბრუნოთ უკან. მე ვარ ის, ვისაც თქვენ მოითხოვდით.

კუზმამ თითი გააქნია უხმოდ ემხასკენ, მეზღვაურებს უბრძანა გემის ქვედა სართულში ჩაეყვანათ იგი და ჩაჩბას ადგილას დაემწყვდიათ, ხოლო უკანასკნელი გაენთავისუფლებინათ.

როცა უჯუშ ემხას მეზღვაურები ორივე მხრიდან ამოუდგნენ, ჰაკი აძბა კუზმას წინ ორთავ მუხლებზე მოწყვეტილად დაეცა, მკლავები გულზე გადაიჯვარა და ვედრებით ამოიკვნესა:

_ ჰეი, დიდო კაპიტან!

და თვალთაგან ცრემლი გადმოანთხია.

კუზმამ ერთ ხანს უცქირა ჰაკის. სახის მრისხანე გამომეტყველებაში წამით ზიზღი შეექსოვა, რომელიც უნებლიე სიბრალულმა შესცვალა.

_ შენ ხარ მონა, აფხაზო. კრეისერი «შმიდტის» სახელით განიჭებ თავისუფლებას. წადი და დაივიწყე შენი ბატონი.

ჰაკიმ კი კვლავ ვედრებით მიმართა:

_ ერთი თხოვნა, დიდო კაპიტანო, დამტოვე შენს გემზე, სხვა არაფერი მინდა. დამტოვე შენს გემზე. ჰოი, კაპიტან!

ეს იყო მაინც ვაჟკაცის ხმა, თუმცა ვედრების კილოს იგი გაესაწყლებინა და დაემსხვრია.

პაუზის შემდეგ კუზმამ წარმოთქვა:

_ დატოვეთ.

... არ გასულა ხანი მას შემდეგ, რაც სოხუმელები ბექირბი ჩაჩბათურთ გემიდან გაიკრიფნენ, რომ საყვირმა ფიცხელი განგაში ატეხა: ეს იყო ნიშანი ნავსადგურიდან დაუყოვნებლივ გასასვლელად მზადებისა.

X

მშვიდი და წყნარი დღე ავდრიანმა ღამემ შეცვალა.

ბნელში გახვეული ზღვა ახლა ისე ბობოქრობდა და ღმუოდა, თითქოს მთელ ქვეყანას წარღვნით და დანგრევით ემუქრებაო.

ზეცა არ ჩანდა.

კიდით კიდემდე მხოლოდ შავი ღრუბლები მიმოქროდნენ, მხრჩოლავი გაზების ბოლივით ზღვის ზედაპირზე გართხმულები.

მთებივით მაღლა აზიდული ტალღები ნაპირებს გრიალით ეხეთქებოდნენ, თითქოს დედამიწას ყუმბარებს უშენენო.

კვამლსა და ბოლში გახვეული ტანკების შემოტევას ჰგავდა მათი მრისხანე იერიში.

უფსკრულის ლაყუჩებით ამონაბერი შავი გრიგალი ზღვის შუაგულიდან გიჟური სტვენითა და ბღავილით იმუქრებოდა. წყლის ვეება, ჰაერში ატაცებულ ლოდებს ბურთივით ათამაშებდა. სად ნგრევისა და ტეხის შემზარავი გრიალით ჩაიგუგუნებდა, სად რისხვის ჭექასა და ქუხილს აყენებდა და ბნელი სივრცის კიდურებზე შავი ელვის ბოძალივით გაეკვრება.

პირველყოფილი ქაოსის სუნთქვის ნახლეჩების ბრმა სრბოლას ჰგავდა დაუსაბამო უკუნეთში მისი აწყვეტილი თარეში.

შუაღამე გადასული იქნებოდა, როცა აღვირახსნილი სტიქიის ორომტრიალს გაშლილ ზღვაზე უცხო გუგუნი შეერია ბრძოლაში გამომწვევ შეძახილივით და წყვდიადის ამძვინვარებული ტანი სინათლის ლარივით სწორ-

მა სვეტმა შეაპო და შეანგრია, ღრუბლებისა და ტალღების შავ ლაშქარს შიგ შუაგულში შეეჭრა და ოთხივ კუთხით უგზო_ უკვლოდ მიმოაბნია.

ეს იყო რკინისა და ფოლადისაგან შეკრული კრეისერი «შმიდტი», რომელიც ზღვის სიღრმისაკენ შეუპოვრად გზას მიიკვლევდა ცეცხლით, ორთქლით და მებრძოლ ადამიანთა უდრეკი ნებისყოფით აღჭურვილი.

ტალღების გორგალზე ქანაობით გადადიოდა. ხან თავით უფსკრულს ჩაინთქებოდა, ხან გვერდიდან გვერდზე წვებოდა, მაგრამ მაინც უვნებელი რჩებოდა და უწყვეტი ქშენითა და გუგუნით წინ მიწევდა.

კაპიტნის საგუშაგოზე კუზმა_ მრისხანე იდგა. მარცხენა ხელით რკინის სვეტს ჩასჭიდებოდა, მარჯვენით პროჟექტორს მართავდა. მკერდმაღალი ტანი წინ, სივრცეში შეემართა, თავი მაღლა ჰაერში შეეგდო და თავდამსხმელი სტიქიონის ბნელ ძალებს პირდაპირ შესცქეროდა პირიქით შეტევით.

დროგამოშვებით ზღვის გრიალში მისი ბრძანების ხმაც გაისმოდა და გემის ყოველ კუნჭულს ცეცხლის ალივით ეკიდებოდა.

_ სმე_ ე_ ნა! მე_ დგრად წინ!

ან:

_ მესაჭევ, ფრთხილად!

მის ხმას გემის სხვადასხვა კუთხიდან მეზღვაურების გამოძახილი ეხმაურებოდა.

კუზმას საგუშაგოზევე პატარა კუთხეში, რომელსაც პროჟექტორის უკანა ფარიდან გამონაკრთობი სინათლის ანჩხლი შუქი ხვდებოდა და მოყვითალოდ ანათებდა, ჰაკი აძბა მიჩქმალულიყო, ძრწოლვით და ცახცახით. ორივე ხელი მოაჯირისათვის ჩაევლო და ზედ მთელი ტანით მიკვროდა, რომ თავის ადგილს არ მოსწყვეტოდა. ჩოხის ამარა იყო და, როგორც ყოველთვის, ახლაც თავშიშველა.

ამღვრეულ სახეზე ყვითელი ფერი მისდგომოდა და მისი წკვარამი თვალები ყვითლად შეეღება. შიგ ყვითელივე ფერის შიში უკრთოდა და კიდევ რა-

ღაც საიდუმლო ელვარება, მისი შეგნების მიუგნებელი სიღრმიდან ამომავალი, რომლის გამორკვევა არ შეიძლებოდა.

კუზმას ყოველ ბრძანებაზე მეზღვაურთა მიმართ, იგი თვალებს აახამხამებდა, კაკლებს გადაატრიალებდა და მერე გულჩათხრობილად მინაბავდა. შემდეგ, თითქოს ღმერთს შეღაღადებსო, «შმიდტის» უფროსს ლოცვის კილოზე მიმართავდა:

_ შენ დიდი კაცი ხარ, კაპიტან, ჰო, დიდი, ძალიან დიდი.

მის ხმაში სასტიკად დაფარული პირფერობა ისმოდა და გულზე ნაძალადევად მოწყვეტილი თაყვანისცემა, ერთგულებისა და მორჩილების გრძნობით აჟღარუნებული.

_ მე შენ გემორჩილები, კაპიტან, სხვას არავის, შენ გემორჩილება ქარიშხალიც. კაპიტან, ჰო, დიდი ხარ, ძალიან დიდი, იმსახურე საწყალი გლეხი ჰაკი აძბა, რომელიც მუდამ შენი ერთგული იქნება.

ჰაკი პაუზით ლაპარაკობდა, დროს შერჩევით, ქარის ზუზუნსა და ზღვის ღრიალს შორის და კუზმას სმენას თითოეულ სიტყვას ისევე სწორად და ზუსტად უმიზნებდა, როგორც ამოღებულ ნიშანს თავის საყვარელ კარაბინს, რომელიც თავის სიცოცხლეში ერთხელაც კი არ აუცდენია.

კუზმას არ ეცალა ახლა ამ უცნაური აფხაზისათვის, მაგრამ რადგანაც ჰაკის სიტყვები მისგან პასუხის გაცემას ან საქმისაგან მოცდენას არ მოითხოვდნენ, არ უშლიდა ლაპარაკს, მაგრამ «შმიდტის» უფროსს ამას გარდა სხვა მოსაზრებაც ჰქონდა, რომ ჰაკი აძბა დაეახლოვებინა და გაეთამამებინა.

საქმე ის არის, რომ კუზმა_ მრისხანე თავიდანვე დიდად გააკვირვა ჰაკის ამბავმა. თავდაპირველად არც დაიჯერა მისი თავგანწირულება და თეთრგვარდიელი ოფიცრისადმი გამოჩენილი ერთგულება: ეგონა, რომ ეს იყო ძალდატანება და ჩაგონება თავადების მხრით, რომლებიც შეუგნებელსა და ერთგულ გლეხს ავალებდნენ საკუთარი სიცოცხლის განწირვით ბატონის დახსნას სიკვდილისაგან. მაგრამ როცა საქმის ნამდვილ ვითარებას გაეცნო, მისი რევოლუციური შეგნება ისე აღშფოთდა, რომ ჰაკის კლასობრივი სიბრმავე საკუთარ შე-

ურაცხყოფად მიიღო და გულში გდაწყვიტა, ამ იშვიათ ტიპს ახლოს გაცნობოდა, რათა ეცადნა მისი «დამუშავება». კუზმას შეუძლებლად მიაჩნდა, რომ აფხაზი გლეხის შეგნებაში არ აღმოჩენილიყო სულ მცირე ნიადაგი მაინც ელემენტარული რევოლუციური იდეის შესათვისებლად. ძველი მეზღვაური რევოლუციური იდეის ერთგვარი შეჯიბრების გრძნობამ მოიცვა.

და სანამ ზღვაზე უცბად ამოვარდნილი ქარტეხილი საშიში გახდებოდა, კუზმა ბევრს ესაუბრა ჰაკის. დაწვრილებით გამოჰკითხა ყოველი მისი ამბავი. მოეფერა. ერთთავად დაიახლოვა და დაიმოყვრა კიდევაც.

ჰაკი აძბა მიხვდა კუზმას განზრახვას, მაშინვე დაჰყვა ნებას. მისი გულის სიღრმეში ისევ იმედმა გაიბრჭყვიალა, რომელიც გემზე ამოსვლისას და მეზღვაურების განწყობილების გაცნობისთანავე სრულიად დაჰკარგა, სიტყვის სითამამე შეემატა და გონების ბუნებრივი სიმახვილე გაუორკეცდა. კუზმას მოპყრობა შეიგრძნო წილადხდომილ ზღაპრულ ბედივით, რომელსაც თავისი გმირები ყოველი განსაცდელისაგან უვნებელი გამოჰყავს.

რაც კი ცხოვრების გამოცდილების მარაგი ჰქონდა, ყველას თავი მოუყარა, თუ რამე ნიჭი გააჩნდა, _ მიხვედრის, განჭვრეტის თუ მოაზრების _ ყველა ერთად დარაზმა და კუზმას გულისა და ნდობის მოსაგებად აამოქმედა.

...

_ მე ვიბრძოლებ შენს მხარეზე, კაპიტან, _ განაგრძობდა ჰაკი აძბა ისევ გრიგალის ღმუილის ინტერვალებში ისეთი ფრთხილი, მოზომილად შემპარავი ხმით, რომ იგი კუზმას ხელისშემშლელ ტვირთად არ მოჩვენებოდა და მისი სმენა ტალღებთან ბრძოლისათვის საჭირო თადარიგს არ მოწყვეტოდა. მისი სიტყვები კუზმას ყურამდე მართლაც სხვათა შორის აღწევდნენ, როგორც უმნიშვნელო რამ წვრილმანი, რომლის უყურადღებოდ დატოვება შეიძლებოდა, _ როგორც ტალღას მოწყვეტილი ერთი წვეთის გაშხაპუნება ან უკუქცეული ქარის ფრთებშეკვეცილი შემობერვის გაშრიალება.

_ ბევრი გყავს მტერი, კაპიტან, ძალიან ბევრი. მე ეს ვიცი და ძალიან კარგი იქნებოდა, რომ შენს ძალას ერთი_ ორი კაცი კიდევ შემატებოდა, უფრო ძლიერი იქნებოდი. ომში ყოველი კაცი ძალაა, კაპიტან. უნდა იანგარიშო. ოღონდ უნდა ვარგოდნენ კი... უბრძანე, დავალება მიეცი, მტერს მიუსიე და თუ არ გაიმარჯვეს, ზედ შეაკალი. რა გენაღვლება... თვალი ისე უნდა უჭრიდეთ, როგორც მახვილი. გული და მკლავი უფრო მაგარი უნდა ჰქონდეთ, ვინემ რკინაა. ვინ იცის, სად და როგორ გამოგადგებიან. კარგია, კაპიტან, ძალიან კარგი, თუ ომში გამოცდილი ერთი_ ორი კაცი შემოგემატა.კუზმა მრისხანე მაინცდამაინც ვერ გარკვეულიყო ჰაკი აძბას «ერთი ორი კაცის» შემატების ბუნდოვან ფილოსოფიაში. აფხაზის აზრის ბუნდოვანებას მის უცნაურ რუსულს უფრო აწერდა, რადგანაც არ ეცალა მეტი დრო და ყურადღება დაეთმო მის სმენას დამიზნებული სიტყვებისათვის, ჰაკის ასე გაეხმაურა:

_ შენ კი აქამდის ჩვენს მოსისხლე მტერს მხარს უჭერდი, ჰაკი, მაშინაც კი ეხმარებოდა, როცა მან ერთი მებრძოლი ამხანაგი ვერაგულად მოგვიკლა, ხოლო მეორე დაგვიჭრა... ორივე შენისთანა ხალხის, მუშების და გლეხების თავისუფლებისათვის იბრძოდა... ჩვენი მტერი _ შენი მტერიცაა, ეს უნდა იცოდე!

_ ჰაააჰაიტ, ბრმა კაცის ამბავია, კაპიტან, სიკვდილის ღირსი ვარ.

კუზმამ განაგრძო:

_ თავის განწირვაც კი გინდოდა ვერაგი მტრისათვის, რომ იგი პასუხისმგებლობისაგან გაგეთავისუფლებინა. თავი ძმების მოღალატედ გამოაცხადე... ის, ვინც შენმა თავადმა მოჰკლა, გლეხი იყო უბრალო, მერე შავ მუშად მუშაობდა ქალაქებში. ძლივს ირჩენდა თავს და წვრილ ცოლ_ შვილს გაჭირვებით კვებავდა... ორი შვილი დარჩა, რომელთაგან უფროსი მხოლოდ სამი წლის არის...

_ ჰაააჰაიტ, რა დიდი უბედურება მოხდა, კაპიტან. დამიჯერე მტკივა მისთვის და უზომოდ ვწუხვარ. ძმასავით მენანება. ვიტირო მინდა, მე კი არასოდეს არ მიტირია, კაპიტან, ახლა კი ვტირი... ვაჰაჰაია, ძმაო, ვაჰაჰაია, ჩემო ძმაო.

და ჰაკიმ ხელისგული რამდენჯერმე შუბლზე ტკაცანით შემოიკრა. ზედ ზმუილი და ქვითინი მოაყოლა. მერე ვაიუიანი მოთქმა დაიწყო მოტირალი ქალივით.

გაკვირვებულმა კუზმამ უცებ მისკენ თავი მოატრიალა, უნდოდა თვალით შეეხედა, რადგანაც ყურს არ დაუჯერა.

ჰაკის სახე ღრეჯით მოექცია: წარბებით დაჩრდილულ შავ ჯურღმულებში ჩამსხდარი ყვითელი თვალები უღრმესი მწუხარების შუქით აეციმციმებინა და ქუთუთოებზე, ორთავ ღაწვის გაყოლებით, ცხარე კურცხლებს ბრჭყვიალა მძივები ჩამოეკიდნა.

_ ვაჰაჰაია... ვაჰაჰაია, ჩემო ძმაო, _ მოთქვამდა იგი აფხაზურ ვაჰის კილოზე და თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

კუზმა გაოცებით შესცქეროდა უცნაურ აფხაზს. არ იცოდა, რა ეთქვა, რა ეფიქრნა, ან როგორ მოქცეულიყო...

XI

«შმიდტი» გაშლილ ზღვაში მშვიდობით შევიდა. უკან დატოვა ქარიშხლის მძვინვარე ნავარდისა და ტალღების აღვირახსნილი თარეში არე. აქ მხოლოდ მათი რიცხვისა და მუქარის ხმა აღწევდა, როგორც ნადირის კვალს აცდენილი ლომის წყრომა და ბუხუნი, შორიდან მომავალი.

განთიადიც მოტანებულიყო. აღმოსავლეთის შორეული კიდურით ამომავალი დღის წინამორბედი სინათლე ღამის წყვდიადის ძალებს ფრთხილად ზვერავდა, ჯერ კიდევ დახუჭული თვალებით იცქირებოდა და თავისი ბასრი მახვილის ამოსაწვდენად ემზადებოდა.

კრეისერ «შმიდტს» დევური ქშინვა შეენელებინა, დაჭიმული კუნთები მოეშვა და გამარჯვებულის ლაღი, თავმომწონე გამომეტყველებით წინ დინჯად მიიწევდა.

მეზღვაურები ისევ თავიანთ ადგილებზე იდგნენ. ერთხელ შემოღებული ერთმანეთის ცვლის წესით, უხმოდ, უსიტყვოდ მუშაობასა და სიფხიზლეს განაგრძობდნენ. მხოლოდ დროგამოშვებით მორიგის შეძახება მოულოდნელ გაფრთხილებასავით ჰაერში შეიჭრებოდა და რომელსამე კუთხეში ფიცხელ გამოხმაურებას იწვევდა, როგორც გამოძახილის ხმას:

_ არის!

კუზმა კაპიტნის საგუშაგოდან ძირს ჩასულიყო გემის გაშლილ ბქანზე. თავისი ადგილი ახლა მორიგე ბოცმანისათვის დაეთმო და გულჩათხრობილად კუთხიდან კუთხეში მიმოდიოდა ზურგს უკან ხელებშემოწყობილი.

უძინარ სახეს განთიადის ლურჯი ღანდები უსერავდნენ. მისი სახის უძრავი ორთვალიანი ნახევრის ჭრილობას ახლა ათასი სხვა მიმატებოდა, ერთმანეთის წამდაუწუმად შემცვლელი.

პირში ჩაჩრილ ჩიბუხის ტარს კბილებით ძიძგნიდა შეუსვენებლად. ხანდახან ქიმის მოაჯირთან შედგებოდა, თვალს აღმოსავლეთის კიდურს მიაპყრობდა, თითქოს განთიადის გადმოსაშლელად გამზადებულ ფრთებს სიგრძე_ სიგანეზე ზომავსო, და ისევ ბანის სიღრმეში მიეშურებოდა. მოუთმენლობა ეტყობოდა. ფარულად ღელავდა. ჩანდა, განთიადს ელოდებოდა.

უცებ დადგა. ცას ერთხელ კიდევ შეავლო ვალი და შემდეგ რომელიღაც მეზღაურის სახელი მოკლე ხმით წამოიძახა.

მისკენ ხმელი ტანის, მაღალი მეზღვაური წამოვიდა მხრებაწურული, ჭოლოკივით მოაქნევდა გრძელ მკლავებს. კუზმას წინ დაუდგა, მკლავები ფრთებივით შეიკეცა.

კუზმამ თვალებში შეხედა და, სანამ რასმეს ეტყოდა, კარგა ხნით სიჩუმე ჩამოაგდო.

_ გადაეცი ამხანაგებს: დაკრძალვა მოხდება როგორც კი ინათებს. შეემზადეთ, რევოლუციური სამხედრო პატივი: სამი ზარბაზანი თითოჯერ ისვრის. გუნდმა სამჯერვე თოფი დასცალოს.

_ არის!

კუზმა ერთ ხანს კვლავ დაჩუმდა. მერე დაბალი ხმით განაგრძო:

_ შენ გევალება: ხრიტანიუკის ცხედარს თეთრგვარდიელი ბანდიტი მიაყოლე. ქიმთან დააყენე. მიწყნარდება თუ არა სალუტის ხმა, უმალვე დახვრიტე და ზღვაში გადაუძახე.

_ არის! _ წარმოთქვა მეზღვაურმა და მერე ბორძიკით დაამატა:

_ ამხანაგო უფროსო, მიტკა გორბაჩი ითხოვს, ოფიცერი მე დამახვრეტინეთო.

_ ეს ის არის, ხრიტანიუკს რომ ახლდა?

_ ის არის.

_ ჰო, დროზე არ მომაგონდა. ბრძანება გამეცა, გადაეცი, რომ ლაჩარი ვუწოდე... მივადგებით თუ არა ნაპირს, სადაც უნდა იყოს, ჩვენს კრეისერს სამუდამოდ თავი დაუკრას. ამუნიცია შენ ჩამოართვი და ბრძანების ასრულებას თვალყური ადევნე.

_ არის!

...

თენდებოდა.

«შმიდტის» ბანზე მეზღვაურთა გუნდი ორ რიგად ჩარაზმულიყო, ერთი-მეორის პირისპირ.

მძიმე დუმილი იდგა და უხმო მგლოვიარებას მოეცვა ყველანი.

ზღვა მაინც გმინავდა. ტალღები დაუცხრომლად შხუოდნენ და კრეისერიც თავის დევურ ქშინვას განაგრძობდა, მაგრამ გემის ბანზე გამეფებული ადამიანთა სამგლოვიარო დუმილი მათგან მაინც შეუვალი რჩებოდა.

კუზმა_ მრისხანე განცალკევებით იდგა გემის წინათავის მოაჯირთან. მარცხენა მხრით გუნდისკენ მიბრუნებულიყო. თავისი სახის უძრავი ნახევრის ორივე თვალი მეზღვაურებისათვის მიეპყრო, თითოეული მათგანის ნიშანში ცლ_ ცალკე ამოღებით.

მის მარჯვნივ, ხუთიოდე ნაბიჯის სიშორეზე, ჰაკი აძბა გაჩერებულიყო. მასაც მეზღვაურებისათვის მიებაძნა და თავისი მორჩილი ტანი სამხედრო ყაიდაზე გაემართა. ხელები ძირს დაეშვა, სახე ძალზე გაკვირვებული ჰქონდა, თვალებს გაუგებრად აქეთ_ იქით აცეცებდა: ხან კუზმას შეხედავდა ფარული ცნობისმოყვარეობით, ხან მეზღვაურთა გუნდს გადახედავდა.

ჰაკიმ არ იცოდა, ეს დუმილიანი საზეიმო დარაზმულობა ასე დილაადრიან რას მოასწავებდა და საშინელი ეჭვი გულს უკაწრავდა.

ნუთუ ეს უჯუშის აღსასრულის მოახლოებას ნიშნავს და კუზმამ ჩემს ცრემლებს ანგარიში არ გაუწიაო, _ ფიქრობდა იგი. მაგრამ ეს არ სჯეროდა, რადგანაც კუზმას სახის მეორე, ლმობიერებით აღსავსე მთელი ნახევარი მას ისევ მეგობრული, ყოვლის მიმტევებელი გამომეტყველებით შემოსცქეროდა, და მშვიდობას უმოწმებდა.

გემის ქვედა სართულიდან ვიწრო კიბეზე უცებ ერთმა მეზღვაურმა ამოირბინა. უკანასკნელ საფეხურზე შედგა და ფიცხლად ისევ კიბისკენ იბრუნა პირი. მერე დაიღუნა და ხელები რაღაც თეთრ შეკვრას შეაგება, რომელმაც ქვემოდან თავი ამოჰყო.

_ გამოუშვი, მიჭირავს! _ ჩასძახა ძირს მეზღვაურმა, შეკვრის წინა თავი მკლავებზე მოწიწებით დაისვენა და ზევით ამოიტანა.

ჰაკი აძბა მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რას წარმოადგენდა ეს მოგრძო თეთრი შეკვრა და მეზღვაურთა მგლოვიარე დარაზმულობასაც თუ რა დანიშნულება ჰქონდა.

მისთვის ცხადი შეიქნა, რომ ამხანაგები, მეზღვაურთა წესისამებრ, ზღვაში გადაგდებით კრძალავდნენ უჯუშ ემხას მიერ მოკლულ ვასილ ხრიტანიუკის თეთრი ტილოთი შესუდრულ ცხედარს.

ასეთი წესის არსებობა ჰაკის გაეგონა, მაგრამ არ ენახა კი.

შვება იგრძნო, რომ სხვა ეჭვი არ გაუმართლდა. მაგრამ თავისი მდგომარეობა მაინც არ დავიწყებია.

ამოასვენეს თუ არა ბანზე ხრიტანიუკის ცხედარი, მაშინვე გულამოსკვნით წამოიყვირა სლოკინით:

_ ვაჰაჰაია... ვაჰაჰაია, ძმაო!

და მუხლებზე დაეცა, მთელი ტანით ჩაიკეცა, თავით იატაკზე დაემხო და სახეზე ორივე ხელი აიფარა.

_ ტირილი არ იქნება, _ ჩაესმა ყურში კუზმას მოჭრილი ხმა.

ჰაკიმ სუნთქვა შეიკრა და ხმა გაკმინდა.

თავით იატაკზე დამხობილს არც კი შეუნიშნავს, რომ იმავე კიბით, რომლითაც ხრიტანიუკის გვამი ამოასვენეს, ორმა რეოლვერმომარჯვებულმა მეზღვაურმა მალე უჯუშ ემხა ამოიყვანა და, მეზღვაურთა რიგებს შუა გავლით, ცხედრის კვალდაკვალ, გემის ქიმისაკენ უხმოდ გაატარა.

ემხა თავაწეული მოაბიჯებდა, დინჯად და ნელა. მაღალი ტანი სწორად ეჭირა. განიერი ბეჭები ოდნავი რხევით მოჰქონდა. გემის ბანს იქით იცქირებოდა მაღლა შემართული თვალებით. გახევებულ და უმეტყველო სახეს მხოლოდ ერთი ხაზის მკრთომარება უცხოველებდა, რომელიც უძრავად თვალებში შეფინებოდა: ეს იყო ნაღვლიანი ღიმილის ძლივს შესამჩნევი ციმციმი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დარდს გამოხატავდა, უნდო შეგნებით დაძლეულს. პირდაპირ, ცის კიდურზე გართხმულ მოწითალო სინათლის კრთომას შეჰყურებდა, სადაც ნათელი დღის კარი უნდა გაღებულიყო.

უჯუშ ემხასაც არ დაუნახავს ჰაკი აძბა, რომელიც კუზმას გვერდით თავქვე დამხობილიყო ხმაგაკმენდილი.

ჭოლოკმკლავებიანმა მეზღვაურმა იგი ქიმის კიდესთან დააყენა და ზურგს უკან დაუდგა.

ემხამ მხოლოდ ირიბად შეასწრო თვალი მის წინ ჰაერში შეტყორცნილ თეთრი ტილოს შეკვრას, რომელიც მაღლიდან ძირს დაქანდა, ჰაერში მრუდი ხაზის გავლებით და ზღვის ტალღებში ჩაინთქა.

სამმა ზარბაზანმა უმალვე ზედიზედ ქუხილივით ჩაიგრუხუნა. მერე თოფებმაც გაიტკრციალეს.

ჰაკიმ ახლა თავი ასწია. წელში გაიმართა და მიმოიხედა.

უცებ, საერთო დუმილსა და უძრაობაში, ქიმზე გადამდგარი უჯუშ ემხა დალანდა.

სანამ აზრს მოიკრეფდა, ყურთასმენა რევოლვერის მკვეთრმა ხმამ შეუნგრია და მისმა თვალებმა აღბეჭდეს უჯუშის კეფაზე მიყენებული რევოლვერის ლულა, რომლის პირიდან ცეცხლმა იელვა.

რევოლვერის ხმაც და უჯუშ ემხაც სადღაც უფსკრულს ჩაინთქნენ.

_ ვაჰაჰაი, ჩემო თავო! უჯუშ! _ იყვირა ჰაკიმ და თავის ადგილიდან პირდაპირ მეზღვაურთა რაზმს ეკვეთა. შეგლიჯა, შეარღვია და გემის იმ მხარეს მოექცა, სადაც მისმა თვალებმა უკანასკნელად უჯუშის სახე დალანდეს.

_ რა უნდა? შეაყენეთ! _ გაისმა კუზმას ხმა.

რამდენიმე მეზღვაური წინ გადაეღობა ჰაკის. მაგრამ მისი შეყენება ვერ შეძლეს. მაშინ დაიჭირეს, ხელები მარწუხივით ჩასჭიდეს და გაქაჩეს.

_ უჯუშ, უჯუშ! _ ყვიროდა ჰაკი გიჟივით და ახლა კბილებით კბენდა მეზღვაურებს, სადაც მიუწვდებოდა.

კუზმა მიუახლოვდა. შეხედა.

_ ჰაკი! _ დაუძახა ჩაგონებით. _ რას სჩადი? რა გინდა?

_ კაპიტან, მე შენი მეზღვაური ძმასავით ვიტირე. მით ძმობა შემოგფიცე... შენ კი უჯუში მომიკალი. ძაღლი ყოფილხარ, კაპიტან... ჰო, სისხლი! სისხლი!

წამოიყვირა და ერთხელ კიდევ მთელი ძალ_ ღონით გემის მოაჯირისკენ დაიძრა.

_ ვაჰაი, შენს ჰაკის, უჯუშ!

მისი თვალები შეურიგებლობის ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდნენ გარშემო და პირიდან ცოფის დორბლი სცვიოდა.

კუზმაც კი შეზარა მისმა შესახედაობამ, ზიზღი და ბრაზი სახეზე შეუკიდა, სახის მუდამ უძრავი ნახევარიც კი მოუქცია და აუკანკალა.

ერთ ხანს ასე უცქირა.

_ გაუშვით! _ თქვა შემდეგ.

ჰაკის ხელი შეუშვეს მეზღაურებმა.

იგი ერთი ნახტომით გემბანის მოაჯირთან გაჩნდა. ცხადი იყო მისი განზრახვა. და თვალიც ვერ შეასწრეს, რომ აქაფებულ ტალღებში გადაეშვა.

გემბანზე წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

_ სულ ერთია, ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა...

ნაღვლიანი ხმით წარმოთქვა კუზმამ და მოკლე, მაგრამ ბეჯითი ნაბიჯით თავისი კაბინისკენ გაემართა.

თავადის ქალი მაია

შავი ზღვის მიმართულებით, ერგეტას გზაზე, სამეგრელოში, მარია-მობისთვის შუადღის სიცხეში, გადაფარდაგებული ურემი მიჭრიალებს.

ფერდებჩავარდნილ ხარებს კარგა დაწინაურებული ყმაწვილი გლეხი მიუძღვის, ფეხშიშველი და მუხლებამდის აკაპიწებული. მას გაცვეთილი მოკლე ახალუხი აცვია, უქამრო, მკერდზე შეხსნილი. ქამარ-ხანჯალი ხურჯინივით მხარზე გადაუგდია: წინ რევოლვერი, უკან ხანჯალი. იღლიაში კი გრძელი სახრე ამოუჩრია. ზანტად მიიმართება. განიერ ბეჭებს მიარხევს. მზისაგან შერუჯულ შიშველ წვივებზე კუნთების ჯაჭვი უთამაშებს.

გზა ტყიან ჭაობით მიიკლაკნება. მარჯვნივ და მარცხნივ გზის კიდეებს ლაყვებში ჩამდგარი წუმპე ლოშნის. შორიახლო, ლიანებით დახლართულ ღრუებში თხემლის მოწითალო ფესვები და მათი გველის მსგავსი ლანდები ლაღლაღებენ. ჭროღა-ზურგიანი ბაყაყების მთელი ხროვა ხავსის ზედაპირზე ყრუ ყიყინით მიმობნეულა. აქა-იქ გუბეებიდან ამოჩრილ ძელებზე კუზიანი თავწვრილა კუები უძრავად შესკუპულან.

ჰაერი შმორის სუნითა და სიცხის ბოლით გაგუდულა. ციების მთქნარებით გაორთქლილ გარემოს ნაადრევი ზრობის ფერი გადაჰკვრია და ზედ ძირს დაშვებული ცის გობი გადახურვია.

სული ეხუთება მეურმეს. თითქოს გადადგამს ნაბიჯს თუ არა, ქვეყანაც მყისვე გათავდებაო, წინ ჰორიზონტი არა აქვს. ეჩვენება: მიდის, მაგრამ არაფერს არ უახლოვდება. უკან რომ მოიხედავს, ჰგონია, არაფერს არ შორდება. სულ იგივეა, რაც იყო: არც ფერი იცვლება, არც სახე.

სულ ასეთია გზა. სულ ასეთია გარემო.

- მოოოჰ... - შესძახა ბოლოს ყმაწვილმა გლეხმა ხარებს, შესდგა და ურმისაკენ პირი მოიბრუნა.

სახეზე ოფლი ხვითქით გადმოუდის და გადაღეღილ მკერდის ფიცარზე ეღვენთება. მძიმედ სუნთქავს. - გამოხედვა ფოლადიანი აქვს. აღნაგობა - კაჟიანი.

- მოოოჰ!.. ჩელა, ნუ ჩამორჩი! - აუწია ხმას, როცა ხარები დაუახლოვდნენ და ნამიანი თვალები ურმის კოფოზე შეისროლა.

ფარდა-გადაფარებულ კოფოზე თავწაკრული ხნიერი ქალის სახე შეჰქანდა, და მუთაქას მკლავებით ჩაყრდნობილ ღია მკერდზე კანმოშვებული ხორცის სიმჭკნარეზე ჩამოეკიდა.

გუნდა-ლახოსტაკით შეფერილ წარბ-წამწამებით შავმა თვალებმა გამოანათეს და ხანდაზმულობის უმარილით შეფერფლილ სახეზე მოუთმენლობის ლანდები მიმოაბნიეს.

- კიდევ არ ჩანს ეს ოხერი ზღვა? ხარებთან მოდი, ბიჭო ამბაკო» ბუსკასაც შესძახე ერთი, სახრე გადაჰკარ. გული მიღონდება, ბიჭო, და თავის ტკივილი მკლავს. რა გზა ყოფილა ეს დასაქცევი»

გაისმა ქალის დანჟღრეული ხმა აკივლებით და ურმის ჭრიალს ისე შეეწყო, როგორც მოულოდნელი უცხო რამ მოძახილი.

თქვა და ურემში შეწოლილი ტანი მოხდენით ისე მოიმარჯვა, რომ მუთაქაზე ჩამოჯდა. თავსაკრავი მოიხსნა, დაფერთხა. ხელახლად დაკეცა და კვლავ შუბლის გასწვრივ შემოიკრა.

მარცხენა ხელის თითებზე მომსხოთვლიანი ბეჭდები აუბრჭყვიალდნენ, ხოლო მარჯვენაზე ფართო სამაჯურის ბრინჯაოს ფერმა გაიკიაფა.

- ჰე, მაია უბედურო, რა დრო დაგიდგა?.. ბიჭო ამბაკო, მითხარი მაინც, ეს ზღვა ასე შორს ბოლშევიკებს ხომ არ გაუწევიათ? შენ გეცოდინება. საიდუმლო გამანდვე, ნუ დამიმალავ»

მეურმემ ლმობიერად ჩაიღიმა.

«ბოლშევიკებს ხომ არ გაუწევიათ» - გაიმეორა მან ჩუმი დაცინვით და მოახლოებულ ურემს ცოტა განზე გაწევით წინ დაუდგა.

- ვითომ რათ უნდა გაეწიათ?

- ჩემი ჯინისთვის» აქაო, და, თავადის ქალს მაიას სული არ ამოხდა და, იქნება, ამ გზამ მაინც ბოლო მოუღოსო. მაშ» განა არ ვიცი, რაც ბრძანდებით.

- ამას კი არავინ არ დაიჯერებს და...

ჩაიცინა ამბაკომ და, ურემი რომ გაუთანასწორდა, თავადის ქალსა და კოფოზე ჩამოწეულ ფარდაგს შუა ცალი თვალი ურმის სიღრმეში შეაცურა.

თვალი შეასწრო მაიამ.

- ნუ გეშინია, შე უბედურო: აქ არის... ნურც გერიდება: ორივე თვალით შეიხედე და გაიხარე. აი... - და ქალმა ზედატანი ისე დახარა, რომ ურემში შესახედი ადგილი გაანთავისუფლა.

მეურმის თვალებმა ერთდროულად აღბეჭდეს: წინ, პირველ რიგზე, კოფოზე გადმოხრილი მაიას ღია მკერდის გაცვეთილი სამკაულები, მის უკან კი - შავი ვარსკვლავივით ანთებული ყმაწვილი ქალის გამწყრალი თვალების ელვარება.

- გაიხარე, აი... - გაიმეორა თავადის ქალმა და ორაზროვანი ხმის უსირცხვილო კილოს ისეთი ავხორციანი გამოხედვა დაატანა, რომ გლეხი ვერ მიხვდა, მეორედ წარმოთქმული «გაიხარე, აი» რას ეკუთვნოდა: მაიას გულის

პირით უცაბედად გადმოშლილ უტევნო, დაწურულ მკერდს, თუ ურმის სიღრმეში შემალულ შავგვრემან გოგონას - ამბაკოს ნამდვილ ცოცხალ სამკაულს.

- დაფინო გოგო, გამოიხედე. ამბაკოს უნდა დარწმუნდეს, რომ უვნებელი ხარ» ეჩვენე-მეთქი ახლავე»

რა მინდაო? ხომ არ გაგიჟდა ნეტავ? ვაი, უბედური» - იყო მეურმისკენ მიმართული, შეკავებული წყრომის სიმებზე აწყვეტილი დაფინოს მორცხვი პასუხი.

ამ დროს ხარებმაც ჩაიარეს. ამბაკო მათ გვერდით მიჰყვა, ურემს კოფოს პირდაპირ აედევნა.

- ამბაკო, მითხარი: ძალიან გიყვარს ჩემი დაფინო? - ახლა ცბიერმა ცნობისმოყვარეობამ გაუთამაშა თვალებში მაიას. - ძალიან თუ გიყვარს, სულ ძალიან, ძალიან, მაშინ... - და თავადის ქალმა თვალები მინაბა... - თუმცა მოიცა, მერე გეტყვი... ჯერ პაპიროსი მოვსწიო. დაფინო, მოგვაწოდე პაპიროსი» ამბაკოსაც გაუკეთე. მაგრამ მას მსხვილად, იცოდე. მე კი - ჩვეულებრივზე უფრო წვრილი. თავი მტკივა, არ შემიძლია. ჩქარა» ჰოდა, იმას ვამბობდი... ძალიან გიყვარს-მეთქი, ბიჭო, დაფინო? ა? მაგრამ ბოლშევიკი რომ ხარ? ღმერთი არ გწამს და ეკლესია, გაგიწყრათ ორივეს მადლი... არც გვირგვინი გწამს ხომ? როგორ გინდა ახლა? ვერა, ვერ მოგცემ, ძამია, ჩემს დაფინოს... ტყუილი იმედი გაქვს.

ჩაიხრიალა ამაზე ამბაკომ, ვითომ ხუმრობა არისო, რასაც მაია ამბობდა.

- მართლა ვამბობ, კი არ გეხუმრები, მაგრამ... ამოდი, ამბაკო, ურემზე» აქ დაჯექი, და მოვილაპარაკოთ... დავეტევით, ნუ გეშინია. ხარებსაც აქედან უკეთ გარეკავ და არც დაიღლები. კისერი მეღრძობა მგონია, რომ ასე გელაპარაკები. ამოდი... დაფინოც ხომ ახლოს გეყოლება. საქმე გავათავოთ.

დაფინომ ნემსის ოდნად დახვეული, მაგრამ დაუწებებელი პაპიროსი გამოაწოდა მაიას.

- ამბაკოს?

- იმას ღვთის წყრომა, ქალბატონო. თვითონ გაიკეთოს, თუ მოწევა უნდა.

- გაუკეთე-მეთქი, გიბრძანებ»

- არ გავუკეთებ, ქალბატონო» ყალიონი აქვს.

- მაშ, მომეცი აქ ქისა. თუ არ შეგრცხვება, მე გავუკეთებ.

მაგრამ აქ ამბაკოც ჩაერია დავაში.

- ტყუილა შეწუხდები: მე მართლა ყალიონი მირჩევნია. შენი თუთუნი გამხმარ ბაიას ყვითელ ყვავილს ჰგავს და უძალოა, - ყალიონი ამოიღო, დაფერთხა, კბილებში გაირჭო. - მე ეს მირჩევნია... შენი გოგო მართალია... ოღონდ ცეცხლი კი მომაწოდოს, აი, ეს უბრძანე»..

- შენ არ იცი, ამბაკო, ჩემს მიერ დახვეული პაპიროსის გემო. ჩემი ხელიდან არ მოგიწევია. სცადე ერთი. შიგ ტვინში იცის შესისინება და გულზე ისე ტკბილად დაგეხვევა, როგორც ფიქრი ჩემს დაფინოზე... აჰა... მოსწიე-მეთქი.

გამოართვა მაინც ამბაკომ. ყალიონი ჯიბეში ჩაიდვა.

გააბოლა პაპიროსი და ჯერ შეღრანჯვით კომლს გაეთამაშა, მერე დაფინოსკენ გაიხედა თვალების შეუფერებელი, ვითომდა ეშმაკური ახამხამებით.

- არ მოგწონვარ, გოგო? - და ისეთი სახე უჩვენა, თითქოს უთხრაო: შენ თუ არა, შენს ქალბატონს, ხომ ხედავ, რომ მოვწონვარო.

- მიწა კი გაგისკდა» - ესროლა დაფინომ ურმის სიღრმიდან და თვალები აარიდა.

გამარჯვებულივით თავმომწონე ამბაკომ თვალები მოსწყვიტა უკადრის გოგოს და მაიაზე გადაიტანა. - მაია კი, თითქოს მონადირე უცხო ნადირს თოფს უმიზნებსო, ისე დასცქეროდა კოფოდან მერუმეს და მის არშიყობის უშნო ხერხებს უთვალთვალებდა.

გლეხი შეფეთდა, ეს რომ დაინახა. სახეზე ღიმილი უნებლიედ ჩამოსცილდა. არ მოელოდა: თავადის ქალის თვალებიდან ყველა ხვეულით გამომზირალი, ყოველი მოკრძალებისაგან გამარცული, ნდომის ურიცხვი ქარი პირდაპირ სახეში უბერავდა.

შერცხვა მეურმეს. ნაბიჯი შეანელა. მერე ურემსაც ჩამორჩა.

ფარდას მიეფარა მაიას სახე.

«ჰო, რა კაპუეტია» გამიგონია, სისხლი უყვარსო» მძიმედ წარმოსთქვა ახალგაზრდა გლეხმა, როცა ურმის უკან მარტოდ დარჩა.

წინ კი, კოფოზე, თითქოს ურმის დანჟღრეული უსაპნო ბორბლის მორგვის შიგნით გაისმაო, ქალის ხმამ ყრუდ დაიჭრიალა:

«უბედურო თავადის ქალო მაია, ეს რა დროება დაგიდგა»

...

მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა, და მგზავრებს სინესტის სიომ შემოუქროლა.

შორიახლო, გზის პირად, აქა-იქ გაბნეული ჯარგვლის სახლები გამოჩნდნენ და შემოღობილი ეზოების წინ მაღალი ალვის ხეების რიგებმა ჩაიშრიალეს.

ურმიდან კარგა დაშორებით წინ მიმავალ ამბაკოს მგლისფერი ძაღლები ყეფით დაესივნენ.

უცებ ერთ მხრით, გზის ლარის გაყოლებაზე, შორს, ტყის ფარდა გადაიშალა და დაქანებულ ცის თვალმიუწვდომელ კიდურს ქვემოდან ლურჯი არშია უეცარი ალივლივებით შეეფინა.

- გათავდა, მგონი, ჩვენი ტანჯვაც, დაფინო... აბა, ერთი დააკვირდი, ზღვის არშია არის, რომ მოჩანს, თუ არა?

დაფინო მუხლებზე წამოდგა. ფარდაგიდან თავი გამოჰყო, და გრძლად გაწვდილი ხელის გულით კოფოზე მდებარე მუთაქაზე დამყარებულმა, წინ გადაშლილი ჰორიზონტი ნიშანში ამოიღო.

ტუჩების ზევით, საულვაშეზე, მოშავო ფიფქი ებნია და ოდნავ აფეთქილ ღაწვებზე ჯერ უჩინარი ეშხის კამკამა თრთვილი მირონივით ეპკურა.

- ზღვაა, ქალბატონო» - უეცარი გახარებით წარმოსთქვა და მოულოდნელმა სიწითლემ სახე აულეწა. მაიამ უნებლიეთ ყურადღება მიაქცია დაფინოს უეცარ გახარებას. ჯერ მთელ ტანზე უსიტყვოდ თვალები შეავლო მას და მერე სახეში შეაცქერდა.

- მოვედით, მადლობა ღმერთს» - თავისთვის ჩაილაპარაკა ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაფინომ და თავის ადგილს დაუბრუნდა.

მაიამ განაგრძო მისი დაზვერვა.

მერე თითქოს შორეულმა ეჭვმა გულის ყურში უთქმელი რამ საიდუმლოება ჩასჩურჩულაო, სახე მოკუმა და შეტევით ჰკითხა:

- დაფინო, შენს გულს ასე რა გაუხარდა?

არ მოელოდა დაფინო ასეთ შეკითხვას. თვალები ასწია და გაუბედავი გაკვირვებით შეხედა ქალბატონს.

- ის, რომ მოვედით, ქალბატონო» - უპასუხა მორჩილებით.

მაიამ თითქოს ერთი ხნით მძიმე სიჩუმე ჩამოაგდო.

- უკანასკნელად ბონდო რომ ნახე, რა დამაბარაო მითხარი? მომაგონე: კარგად არ მახსოვს... - თვალები საცდელად დაიპატარავა სიჩუმის შემდეგ მაიამ და ნელი, შემპარავი ხმით შეეკითხა შემკრთალ დაფინოს.

- ან იქ დაგხვდებითო... ან მეორე-მესამე დღეს მაინც უთუოდ ჩამოვალო» ასე მითხრა მაშინ.

- ასე თქვა: «დაგხვდებითო, თუ... დაგხვდებიო? კარგად მოიგონე»

- დაგხვდებიო, ქალბატონო, შემეშალა.

- მეტი რა გელაპარაკა?

- მეტი არაფერი.

და დაფინო სახეზე ახლა უფრო შეწითლდა.

- სულ, სულ არაფერი?

- არაფერი,ქალბატონო.

- პირდაპირ გელაპარაკა ხომ?

- კი.

- მერე?

დაფინო გაჩუმდა.

- არ წაგხუმრებია?

- ბატონ ბონდოს ხუმრობა უყვარს, ქალბატონო.

- ჰო და, როგორ წაგეხუმრა-მეთქი?

- აქ ორი თითი წამითათუნა... - და დაფინომ ნიკაპის ქვეშ ოდნავ მოხაზულ ღაბაბზე თითი მორცხვად მიიდვა.

სული ვერ მოითქვა მაიამ. სიტყვაც გაუწყდა უცებ. თითქოს თვალებშიც დაუბნელდაო.

მაგრამ არ შენძრეულა, სახეც არ შეუცვლია, ისე ნელა, მოდუნებით ამართა ხელი და სალოკი თითი ნიკაპს ქვეშ მოისვა.

თითქო რაღაცა მოინახულა და ვერ იპოვნაო, გულდაწყვეტილად ხელი ისევ ძირს დაუშვა.

- მაჩვენე, აბა, შენი... - მიმართა მერე ჩუმი ხმით გოგოს.

დაფინომ შინაური შვლის ნუკრივით ქალბატონს ყელმოღერებული სახე გაუწვდინა.

სწრაფი შეხებით, ელვის ხაზივით, გაითამაშა მაიას თითმა დაფინოს ღაბაბზე.

- ბედნიერი ხარ, გოგო, რომ ახალგაზრდა ხარ... - თქვა და თვალები დაფინოს მიღმა სადღაც შორს სივრცეში შეაჩერა. უცნაურმა სევდამ სახე დაუჩრდილა.

- ჰოდა, მერე რა მოხდა, როცა ასე მოგეალერსა... რა გითხრა მაშინ? - იდუმალი ხმით ჰკითხა დაფინოს სიჩუმის შემდეგ.

- იხუმრა, ქალბატონო.

ახლა უცებ შეიცვალა მაია, თითქოს მოთმინების ფიალა აევსოო.

- ჰო, ვიცი» სიტყვები მითხარი ჩქარა» - შეუპოვრად მიმართა გოგოს და თითქოს ხანჯლის გალესვას შეუდგაო, ისეთი სახე მიიღო.

- «ის გლეხის წუნკალი ბიჭი, ამბაკო რომ ჰქვიან, ზღვაზედაც თუ დავინახე, უთუოდ შემომაკვდებაო'‘... ეს მითხრა მხოლოდ.

მაია შეკავებული სიჩუმით შეხვდა ამ განცხადებას.

- შენი აზრით, რა უნდოდა, რომ ამით ეთქვა? - ჰკითხა მერე და თვალებში ნალესი ხანჯლის პირმა გაუელვა.

- მე რა ვიცი, ქალბატონო? - უპასუხა შეშინებულმა დაფინომ და თავი ძირს დახარა.

- სტყუი, გველის წიწილავ» - ერთი წამით მოთმინება დაჰკარგა მაიამ. სახე რისხვამ მოუქცია და შიშველი მკერდის ნაფერფლი კანი გულით ნაწურმა სისხლმა ლურჯად დაუდაღა.

მაგრამ მეორე წამშივე საკვირველად გამოიცვალა: თითქოს ორმა, სრულიად მოწინააღმდეგე ფიქრმა მის თავში ელვის სისწრაფით გაიბრძოლა და ერთმა მეორის ადგილი დაიჭირაო, - გაუგონარი თავისმორევით მოთმინების ძალა მოიკრიბა მან და აფეთქებული რისხვით ტყვიები აზრის გაკრთომის უმალესად უჩინარ ადგილს მიჰმალა.

ახლა სულ სხვა სახით შეხედა გოგოს და ისე გაუცინა, თითქოს ამასწინანდელი გაწყრომა ხუმრობად მოეჩვენაო.

- ვერ მიმხვდარხარ, სულელო გოგო, თუ ბონდო ასე რატომ გეხუმრა... მე კი მივხვდი, რა აზრი ჰქონდა მის სიტყვებს, თუმცა იმ დროს იქ არ ვყოფილვარ. მითხარი მართალი, დაფი: ბონდო მოგწონს თუ არა? შენი მოყვარული ქალბატონისთვის, აბა რა დაგიმალავს, რომ ეს დაუმალო» გულზე ხელი დაიფარე... აი ასე... თვალებში პირდაპირ შემომხედე... აი, ასე... და სთქვი, რაც მაგ პაწია გულში საიდუმლოდ დამარხული გაქვს?

სახე დაუახლოვა თავადის ქალმა დაფინოს, თვალი თვალთან მიუტანა, და ეს სიტყვები როგორც გველმა ისე შეუსისინა.

მისმა ხმამ ჟრუანტელივით დაუარა მთელ ტანში დაფინოს: - მაიას ხმა ლბილად ისმოდა, ალერსიანად, მაგრამ რაღაც ფარული კილო ახლდა გამოუცნობი, როგორც სიკვდილის დაუნდობელი მოალერსება.

- რატომ გაჩუმდი? მითხარი-მეთქი, გოგო: ის წყეული ვაჟი მოგწონს თუ არა?

- რას ბრძანებ, ქალბატონო»

- რატომ? შენ უკვე დიდი ხარ, დაფი. ჩემს ხელში გაიზარდე და აი, ამოტელა გახდი. მე ვიცი, შენ უკვე სიყვარულზე ოცნებობ. მე ვიცი ეს, რადგანაც

შენი ვარდი გაშლილია და ვაჟის ალერსის ნამი სწყურია. გინდა, ბონდოს უდიდესი საიდუმლო გაგანდო? შენ მას მოსწონხარ, ჩემო ლამაზო, და მოსწონხარ ისე, როგორც არავინ, ა? რატომ შეკრთი? შეგეშინდა? ეს ხომ სიყვარულის ნიშნებია, ჩემო გოგონავ, და სიყვარულის ამბებს მე ისე ვიცნობ, როგორც ჩემს თითებს ორსავე ხელზე.

- რა სიტყვებს ამბობ, ქალბატონო? რატომ გნებავს, ასე მეხუმრო? მე ხომ შენი მოსამსახურე ვარ. - და დაფინოს წამწამებზე ცრემლმა გაიციალა.

- მაშ დავიჯერო, ამბაკოზე ხარ შეყვარებული?

- ხომ სიტყვაც მიმაცემინე.

გაჩუმდა მაია, თითქოს თავში ერთი აზრი უცებ გაუწყდა და მეორემ, უცხომ, გაუელვაო.

მერე ასე დიდხანს უცქირა მტირალ დაფინოს.

რაღაც სათუთი და მოულოდნელი, რაღაც წმინდა და შორეული, ძლივს შესამჩნევი ზოლის სახით თვალებში კრთომით შეეფინა და ცოდვის დაღებით დასერილ სახეზე უმარილს შიგნიდან გადაეფარა.

უცებ მთრთოლვარე ხელი გაშალა, დაწვდა დაფინოს ხელს და ისეთი სახით ჩაიკრა გულში, თითქოს მიუწვდომელი განძი მოიტაცა და გულთან დაიმალაო.

- საბრალო ჩემო გოგონავ... მაპატიე... დამნაშავე ვარ.

...

შავი ზღვის ნელი სუნთქვა ზაფხულის მიწურულში. ლურჯი ქარგები სამეგრელოს ნაპირებისა და მიბნედილი სიმშვიდე შორეული ჰორიზონტების.

საღამოს მოახლოვება. - ლურჯი ქვიშა და ლურჯი ზღვა. ლურჯივე ცა და ამავე ფერის ტყეები. შორს კიდევ ზმორებით გადმომცქირალი მთების ნისლიანი ლანდები და მათ შორის დაკარგული ზღაპრების ლურჯი ზმანება.

ზღვის პირად: ნააბანოებ მოაგარაკეთა ერთი ჯგუფის მიწურული დღის სითალხეში გახვეული მდუმარება. ორიოდე ბალღი ქვიშაზე და მოშორებით ფინია, რომელიც სადღაც გართხმული ღრუბლის უცნაურ სახეს უყეფს.

შორიახლო ოციოდე გვიმრით გადახურული წკნელის კარავი. აქა-იქ, კარვების წინ აყირავებულ ურმებს ქვეშ მბჟუტავი ცეცხლი და ბებრების ნელი ფუსფუსი.

სოფლის მხრიდან კარვებში შემომავალი გზის თავში ახოვანი ვაჟკაცი სდგას და გზის გაყოლებას გასცქერის. წყლის ფერი ჩოხა აცვია და გულისპირით თეთრი ახალუხი უჩანს. დარაიას თეთრი ყაბალახი მხარზე გრძლად აქვს გადაგდებული. ხელები ხანჯალზე უწყვია.

ლარივით სწორია მისი ტანი, შუაში წელთან გადანასკვული.

სდგას და ჩონგურის კილოზე რომელსაღაც ნელ მოტივს უსტვენს. ხან-დახან კიდევ იმავე მოტივზე თავისთვის ჩაიღიღინებს.

უდარდელია.

მაგრამ დიდი ხანი არ გაივლის, რომ უცებ შესწყვეტს სტვენას და ღიღინს: - ანაზდად გზაზე მოახლოვებული ურმის ჭრიალი გაისმა და ხეების დაზნექილი ტოტების სიმწვანეში შეცურებული ნაცნობი ფარდაგის სიჭრელე გამოჩნდა.

- აჰა, ახლანდელი ტახტრევანიც ჩემი დიდი დედოფალისა... - ჩაილაპარაკა გაღიმებით ვაჟმა და ურმის შესაგებებლად დინჯი ნაბიჯით გაემართა.

- მოვედით» დააყენე ხარები, ამბაკო» ჩამოსვლა მინდა» ახლა ფეხითაც გავივლი. - გაისმა კოფოზე მაიას ხმა.

- ჩემი სალამი, თავადის ასულო» მომილოცავს მშვიდობით ჩამოსვლა.

- აჰა, ბონდო» ჩემო მშვენიერო ყმაწვილო» მოდი მომეხმარე, ჩამომსვი.

- როგორ გიკითხო, დედოფალო? - მიეახლა მაიას ბონდო.

- ახლა კარგად ვარ, ბონდო. შენთან რომ ვარ, ყოველთვის კარგად ვარ, ჩემო რაინდო. მაშ, მომელოდი, გასხოვდი? ჯავრობდი, რომ დავაგვიანე? აჰა, ჩქარა, მომეცი ხელი... ჩამომსვი მალე.

გამოცდლი იყო ბონდო: ძალა და საქმის ცოდნა შესწევდა, მსუბუქად ჩამოსვა თავადის ქალი და ისიც მოახერხა: სანამ მიწაზე ფეხს დაადგმევინებდა, ორსავე ხელზე აკოცა.

მერე, როცა მაიას უკან გადმოსახტომად გამზადებული დაფინო დაინახა, გახარებული თვალები მისკენ გასტყორცნა.

- დაიცა, ჩემო ლამაზო» მოგეხმარები.

მაგრამ მაიას ხელები ისე შემოეკვრნენ მკლავებზე ბონდოს, რომ ფეხი ადგილიდან არ მოაცვლევინეს.

ბონდომაც, ვითომ უნებლიე გაკვირვებით, დაფინოსაგან თვალები მაიაზე გადაიტანა: ეს რას ნიშნავსო.

და როცა შეხედა, -

ჩუმად, შემღიტინებლად გაუცინა, თითქოს აგრძნობინა: ეჭვს მიგიხვდი და ეს რა შენი საკადრისიაო.

მაიამ პასუხად იგი თავისკენ მიიზიდა.

- ბონდო... - ძლივს გასაგონად უთხრა მხოლოდ.

დაფინო კალმახივით ჩამოსხლტა ურმიდან და თავის ქალბატონს უკან დაუდგა.

ურემს ჩაუარეს.

ამბაკო ამ დროს ხარებს ედგა წინ, ჰაერში შემართული სახრით ხელში.

- შენთვის მუშტარი მყავს, ბიჭო ამბაკო: ერთი ნაცნობი უკან ბრუნდება. კარგ ფულს მოგვცემს, თუ ხვალ დილითვე წაიყვან. შენც ხარები არ გაგიცდება. ბარგი კი ცოტა აქვს. პასუხი ამ საღამოსვე შემატყობინე... თუ არა, სხვა მეურმეებიც არიან. - სალამის მიუცემლად უთხრა ყმაწვილ გლეხს ბონდომ, როცა გაუპირდაპირდა.

- მე არ მცალია» - მოკლედ ესროლა ამბაკომ პასუხი და ხარებს სახრე გაუტყლაშუნა: - მე არ მცალია და... - მიუკარებლობის გამომხატველი ხმით გაიმეორა და მიმავალთ ზურგი შეაქცია.

მწარე ღიმილი ფარულად მოსწყდა მაიას ტუჩებს.

- ამბაკო ჩემთან დარჩება» ამბაკო ჩემთან დარჩება ბოლომდის, ბონდო»

თითქოს იერიშს იგერიებსო, ისე წარმოსთქვა მან დ ნაბიჯს აუჩქარა. ტუ-ჩებზე იკბინა ბონდომ.

ასე ჩაიარეს.

უკან მიმავალმა დაფინომ კი ურემთან შეიგვიანა, სადაც ამბაკო იდგა.

- გაიგონე, რა მითხრა? - გაჯავრებული შეეგება დაფინოს ამბაკო. - «ბიჭოო'' დამიძახა. ხომ დაინახე, ზურგი შევაქციე და სიტყვა მოკლედ მოვუჭე-რი. ჰმ... ჯერ კიდევ ვერ გაუგია, რომ ბიჭოს დრო გადასულია. - ამბობდა ამბაკო და რისხვისაგან ანთებული თვალებით იქით იმზირებოდა, სადაც მიმა-ვალი ბონდო ეგულებოდა.

- იცი, რა გითხრა, - მოეფარა გაჯავრებულს დაფინო, - ისე გაისმა შენს ხელში სახრის გატლაშუნება, მეგონა, რომ იმ კადნიერს გადაკარი. შემეშინდა, ჩხუბი არ ატყდეს-მეთქი.

- მერე რა, რომ ამტყდარიყო. დიდი ხნის ჯავრს ამოვიყრიდი.

- სუ» რომ არაფერი დაუშავებია»

- მაშ, რა მისი დახმარება გინდოდა? დედაბერი ხომ არ იყავი, რომ ურმი-დან ჩამოსვლა გაგჭირვებოდა?.. მე ვიცი მისი ამბავი, ვინცა ბრძანდება.

...

წელსაც ზღვაზეა თავადის ქალი მაია.

წელსაც ზღვაზეა თავადის ქალი მაია, მაგრამ ნეტავი არ დაჩვეოდა ზღვის აბანოებს, როცა მდიდარი იყო და მართლა თავადობდა. ახლა მისთვის კურორტები არ არსებობენ და გაყაჩაღებულმა ცხოვრებამ მას ყველა გზა შეუკ-რა, რომლებითაც წინათ დადიოდა.

ცხოვრებას ხანიც აჰყვა - ეს მეორე ყაჩაღი - და... აჰა, გაბარცულია თავა-დის ქალი ყოველნაირად: ქონება და დიდებასთან ერთად გაჰქრა მისი ახალ-გაზრდობაც.

შერჩა მხოლოდ ერთი მოახლე და ერთადერთი კიდევ ნუგეში. პირველი არის მისი გაზრდილი ობოლი გოგო დაფინო, ხოლო მეორე - ოდესღაც შმაგი მისი მიჯნური, განთქმული არშიყი ბონდო თავადი - უკანასკნელი სიყვარული და მიზანი მაიას ცხოვრების.

- აჰა, ზღვა... დიდი, ლურჯი ზღვა» ჩემი საყვარელი ზღვა» და შენ ჩემთან ხარ, ბონდო, ჩემო გიჟო ყმაწვილო» აჰა, წელსაც ზღვაზე ვარ, და შენც ჩემთან ხარ. ხომ ჩემთან ხარ, ბონდო, შენი ჭირიმე და სხვასთან არავისთან? რატომ გაჩუმდი და მოიწყინე? წამოდი, დავსხდეთ ზღვის პირად. შეხედე კარგად, რა წყნარად სუნთქავს დღეს ჩემი საყვარელი, საოცნებო ზღვა, თითქოს ჩვილ ბავშვს ოდნავ დარწეულ აკვანში ტკბილად სძინავსო... აი, მისი ნაპირებიც როგორ მეგებებიან ჩუმი ალერსით, და ცის შორეული ტატნობის გაღიმებული სიმშვიდეც როგორ მესალმება თავადის ასულს... ასე მგონია, რომ ნიავის ფარფატი ყურში საიდუმლოდ ბედნიერებას ჰპირდება ჩემს ესოდენ დაკორტნილ გულს... გაიხედე, აი, შორს, ძალიან შორს ჩემი მშობელი ზვიადი მთები მოჩანან. მათ შორის მე ვჭვრეტ ჩემს დაკარგულ ახალგაზრდობას, რომელიც თითქოს დაბრუნებულაო, ისე მივსებს გულს იმედებით, თითქოს მეძახის, მიხმობს სიცოცხლესა და ბედნიერებისათვის სწორედ ისე, როგორც ოდესღაც იყო სინამდვილეში... და შენც ხომ ჩემთან ხარ, ბონდო» ჩემთან ხარ, აქ ჩემი გულისთვის ჩამოსული... ჩემს სიყვარულს დანატრებული... მაშ, ასე: ზღვაზე ვარ. და შენც ჩემთან ხარ... ასე ვიყოთ მარტო, სულ ერთად, ბონდო. ზღვა, რომელიც დიდია და ლურჯი, შენ, რომელიც მზე ხარ ჩემი ცხოვრების, და მე, რომელსაც სწყურია შენი სითბო» ასე ვიყოთ სამნი: ზღვა, შენ და მე.

- თავადის ასულო, დაგავიწყდა სათვალავში ერთიც ჩაგეგდო და... შეგეშალა. კიდევ არის ვინმე, რომელიც გამოგრჩა.

- ვინ? რას ამბობ, ბონდო? რას ამბობ-მეთქი, ბონდო?

და მაიას თვალებს უცებ დაფინოს სახე მოელანდა.

ამ მოლანდებას ბონდომაც მოჰკრა თვალი.

- ვინ და, ამბაკო. მეურმე, ბატონო, აი, ის, ჩემთან ბოლომდის აქ დარჩებაო, რომ მიბრძანე... სხვა ვინ იქნებოდა, რომ გაიკვირვე»

სიხარულის ღიმილმა დააფრთხო დაფინოს ლანდი მაიას სახეზე, - ბონდოს სიტყვებმა გაახარეს თავადის ქალი.

- მე მაინც წამსვლელი ვარ, და ის ჩასთვალე... დეე, ის იყოს, რა გაეწყობა»

- როგორ თუ წამსვლელი? სად? რატომ? - და მაიას თვალები ისე დიდრონი გაუხდნენ, თითქოს ზღვას გადაწვდნენო.

შეაგვიანა პასუხი ბონდომ, თავი ცივად დაიჭირა.

- რევკომს ჩემი ცხენ-უნაგირი ჰყავს ერთ თვეზე მეტია... შემატყობინეს, დაბრუნებას აპირებენო. ახლა უნდა მივაკითხო.

- ჩემზე იყოს რჩეული ცხენ-უნაგირი, ბონდო, ოღონდ ახლა ნუ წახვალ.

- აუცილებელი არ უნდა იყოს ჩემი აქ ყოფნა» ისევ დავბრუნდები თქვენი აქედან წასვლის დროისთვის. ახლა კი უთუოდ უნდა წავიდე.

ბონდომ ძალიან მტკიცე სახე მიიღო. ოღონდ თვალებიდან, როცა ამ სიტყვებს ლაპარაკობდა, ორაზროვნების ცბიერი სხივი ანკესივით ისე გადმოისროლა, რომ თავადის ქალის მიხვედრა ზედ უთუოდ უნდა წამოგებოდა.

მაგრამ მაიას ანკესი არ სჭიროდა. მან ისედაც იცოდა, თუ რა აწუხებდა მის არშიყს ბონდოს და რატომ იყო ასე გამწყრალი.

დაფინოს გზაზე ნაამბობის შემდეგ მაიასთვის ცხადი იყო: ბონდოს ამბაკოს ხარების გაცდენა კი არ აინტერესებდა, რომ მეურმის უკან დაბრუნება ასე ფიცხლად მოიწადინა.

- არა, შენ არ წახვალ აქედან, ბონდო»

- ჩემო დედოფალო, მაპატიე, მაგრამ არ შეიძლება... უთუოდ უნდა წავიდე: ხვალ დილითვე გზას გავუდგები... შენაპირები ხომ აგისრულე: დაგხვდები-მეთქი და დაგხვდი კიდეც. აქედან წასვლას რომ დააპირებ, ისევ ჩამოვალ და გაგაცილებ. ამის სიტყვა მომიცია.

- შენ ხუმრობ, ბონდო»

- არა, ჩემო თავადის ასულო.

შეუვალი იყო ბონდოს ხმა. მის გადაწყვეტილებასაც თითქოს ბეჭედი აზისო, ასე დაანახვა იგი მაიას.

- მართალია, მე ის არა ვარ, ბონდო, რაც ვიყავი... მაგრამ ჯერ კიდევ არ მოვხუცებულვარ და ჩემი სიყვარული ახლა უფრო მძაფრია, ვინემ ოდესმე იყო... თუ ჩემი ტანის სურნელი აღარ გაგონებს ახლად მოწველილი, გაუწურავი რძის სურნელს, რომელიც ოდესმე ასე გხიბლავდა, სამაგიეროდ მას ხომ ძველი ღვინის ძალა აქვს ახლა, რომელიც ნამდვილი ვაჟკაცის სასმელია, ვაჟკაცის ნამდვილი დამათრობელი... თუ ჩემი პირის ბაგე ვარდის მორცხვი კოკორივით არ ფშვინავს, მას ხომ, სამაგიეროდ, მოუკლავი ნდომის ძალა აქვს შემატებული, რომელიც ყოველი მორცხვობის საზღვრის გადამლახველია, და ისეთი ვნების, აღმძვრელი, რომელიც სიცოცხლესა და სიკვდილს მიჯნავს. თუ ჩემს ალერსს მოკრძალება არა აქვს, როგორც ტანგადმოშლილ სავსე მთვარეს, თუ მან გამოუცდელობის აცახცახება არ იცის და ვაჟის წინაშე თვალთა მინაბვაც მისთვის უცნობია, - სამაგიეროდ მოურიდებელია იგი და ყველა წესის დამრღვევი, როგორც უკანასკნელი ტრფიალის გიჟური წყურვილი და ხორცის აღტკინება ვნების მიწურვის წინ... არა, ბონდო, შენ კიდევ არ იცი ძალა ჩემი სიყვარულისა, თორემ ადვილად მას ვერ დასთმობდი. მითხარი, ხომ არსად წახვალ, ვიდრე მე აქ ვარ და შენი სიყვარული მწყურია.

- კარგი, მაშ, მხოლოდ სამი დღით წავალ... ამისი ნება კი უთუოდ უნდა მომცე.

- არც ერთი დღით, ბონდო»

- ცხენ-უნაგირი დამეკარგება, ჩემო საყვარელო ქალბატონო...

- ჩემზე იყოს» აკი გითხარი.

- ის დრო სად არის, თავადის ქალო, როდესაც გეშოვებოდა. კარგი, ორ დღეში უკან დავბრუნდები, შენ მზესა ვფიცავ»

- ჰო, რით დაგაკავო ჩემთან, ბონდო, რომ აღარ ვიცი» რა გსურს, რა გინდა?

კენჭებზე მოკლედ გაიარა. ხელებზე თითები დაიმტვრია. თითქოს მხლოდ ახლა იგრძნოო, რომ ბეჭდები ჰქონდა, თითების შეხებით მოინახულა. მერე ზედ დახედა, წაიძრო ერთი ლალის თვლიანი. ხელისგულზე შეათამაშა.

ბონდო მალვით თვალს ადევნებდა მაიას. მიუხვდა, რაც განზრახვა გულში აღეძრა. მივიდა, ბეჭდიანი ხელი დაუჭირა. ჯერ ზედ აკოცა. მერე ბეჭედი გამოართვა და ისევ თითზე წამოაცვა.

- შენი სიყვარული ყველა საჩუქარს მირჩევნია, მაია» - წასჩურჩულა ალერსით.

- მაშ, არ წახვალ ხომ? ახლავე მითხარი.

- ორი დღით... და ნუ გაჯავრდები. შენი მოღალატე ვიყო, თუ დროზე არ დავბრუნდი.

- რომ არ დაბრუნდე?

ბონდომ ხელი შეუშვა მაიას. მოხდენილად დასწვდა ქვიშაზე ერთ კენჭს და აიღო, ჰაერში ასიროლა, მერე მარჯვედ დაიჭირა, მხარგაშლით შეტრიალდა, მკლავი შურდულივით მოიქნია და ასე ზღვაში შეისროლა.

- შენი მოღლატე ვიყო-მეთქი, გითხარი... - დაუჯერებლად უპასუხა შემდეგ მაიას და ისევ მიუახლოვდა. ხელი დაუჭირა, ორაზროვანი თვალები გაუსწორა.

- ბონდო, - სულ ჩუმად, იდუმალ მიმართა მას მაიამ, - ბონდო, მომიახლოვდი. ყური მათხოვე, მინდა რაღაცა გითხრა.

ბონდო ცერზე შესდგა, თავი ოდნავ დახარა და გამახვილებული სახით ყური პირთან მიუტანა მაიას.

- დარჩი-მეთქი და... დარჩი-მეთქი და... გინდა, აგისრულო, მალულად გულში რომ სურვილს ატარებ?.. გინდა, აგისრულო-მეთქი, შე სამაგელო?

- ყურს უთხარი, მე არა» აი, ყურს, თავადის ასულო.

- მაშ, აჰა... დარჩი და თვალს დავუხუჭავ ამიერიდან მე ჩემს სიფხიზლეს. დაფინოს მფარველად არ ვეყოლები.

უცნაური რახრახიანი სიცილი ასტეხა უცებ ბონდომ. კბილები მთელ ნაპირზე თეთრ რაზმებად გაშალა. ველური ხმები ააყვირა. მერე მოგონილი გაოცების ამოძახილი დაუფარავი გახარების ჭიხვინში არია და მიწყნარებული ლურჯი გარემოს სიმშვიდემ დიდი ხნით შეკავებული აღტკინების თოფები დასცალა.

- ეს რა დაგიწამებია ბონდოსთვის, თავადის ასულო? არა გრცხვენია? ეს რა დაგიწამებია ბონდოსთვის, ყველა საიდუმლოების დედოფალო, თავადის ქალო მაია»

თავადის ქალი მაია კი გაუცინებლად იღიმებოდა და ისე შესცქეროდა აჭიხვინებულ ვაჟკაცს, როგორც შურით ამღვრეული თვალები სასიკვდილოდ გამეტებულ მტერს.

...

მარიამობის წინაღამის თევა იყო ზღვის პირად გამართული.

შეღამდა თუ არა, მახლობელი სოფლებიდან ხალხმა თავი იქ მოიყარა, სადაც გაშლილი სააგარაკო ადგილი მდებარეობდა.

ჩამოსული მოაგარაკეებიც ადგილობრივ ხალხს შეუერთდნენ. სოფლის წესისებრ, ბოროტი სულების დასაფრთხობად, ამათაც თავიანთი კარების წინ ჯვრიანი ჭოლოკები ამართეს და კოცონები ააბრიალეს.

ღამის მთეველი ხალხის ყურადღებას მოაგარაკეთა შორის ჩამდგარი თავადის ქალი მაია იპყრობდა მისი მოახლითურთ, დაფინოთი, და მათი შორიახლო ლანდივით მოლასლასე შავ ნაბადში ჩაყურსული, უცხო ვინმე ვაჟკაცი, რომელიც იყო ბონდო, მაიას არშიყი.

თავადის ქალი მაია ტრადიციული პატივისცემით იყო გარემოცული. ათასი გაკვირვებული თვალი რიგრიგობით ნიშანში იღებდა მის ჩაცმულობას, ტანადობას, თავდაჭერილობას, სახეს, თვალებს, ხელებს და კოცონების ალზე აბრჭყვიალებულ მისი თითების ბეჭდებს სამაჯურითურთ.

მოდიოდნენ. უახლოვდებოდნენ. ნიკაპზე თითებს მიიწყობდნენ და შორიახლო შედგომით ათვალიერებდნენ. ესენი იყვნენ სოფლის დედაკაცები.

- თავადის ქალი მაია... - გაისმოდა გაოცებული ჩაჩურჩულება. - ხედავ, თავადის ქალი მაია»

- ბატონიშვილის ქალი მაია» რას მოვესწარით»... არ გიკვირთ, სად მოსულა?

- ა? როგორი ყოფილა» უცქირე, უცქირე: რა გული უნდა ჰქონდეს, რომ კიდევ იცინის ეს სასიკვდილე და სახე მხიარული აქვს. გამიგონია, თითქოს მის კვალზე სიკვდილი დაიარებაო.

- ახალ კანონს თურმე ყველაფერი ჩამოურთმევია... აღარაფერი გააჩნიაო.

- არაფერი გააჩნიაო, ამბობ? ხელის თითებზე დააკვირდი ერთი. ან ვერ ამჩნევ, რა შალი აქვს მოსხმული? ყველას გვიყიდის»

- ვინ თქვა, მოხუცდაო» რომ არ ეტყობა?

- ისეთ წამლებს ხმარობს თურმე... და როგორც ამბობენ, თილისმაც უნდა ჰქონდეს ხნიერობის წინააღმდეგ. თორემ რა ხნისაა» დედაჩემისაგან გამიგონია: მე იმ წელიწადს გამათხოვესო, როცა სააფხაზოდან მაგის მამას მთავრის შვილმა მოციქულები მიუგზავნა, შენი ქალი მომათხოვეო.

- უი, რას ამბობ?

ღამის თევა კი თავისი წესით მიდიოდა.

ტყისა და ზღვის ნაპირის გასწვრივ დანთებული კოცონები მალე გაღვივდა და ცის ტატნობს ალის ენები შეეკიდა.

გაჰქრნენ ცაზე ვარსკვლავები.

კოცონების გარშემო უჩვეულო როკვა გაიმართა და გაგიჟებულ ფერხულში თავდაუზოგველად ჩაება ქალი და კაცი, დიდი და პატარა.

ჯვრით დადაღული ვაჟები ცეცხლის ალში გაეხვივნენ.

თმებში სანთელშეწეპებული გოგო-ბიჭების წივილ-კივილმა ტყის სიღრმეში შემალულ ღამის საშიშ მდუმარებას გასაფანტავად წვრილი კენჭები დაუშინა შუილით.

ალაგ-ალაგ საცეკვაო წრეებიც შეიკრა და რაშა-რერას ათამაშებულმა ხმებმა კიდით კიდემდე მიმოაბნიეს ცეკვის რიტმის «ეჟვნები''.

წესიერებისათვის მახლობელი თემის რევკომიც ჩამოსულიყო - ახლად დამყარებული მთავრობა, - და შეიარაღებული ძალის - ორი მილიციონერის - თანხლებით კარვებს შორის მეთვალყურეთ ჩამდგარიყო, შეუპოვარი გამო-მეტყველებით.

მეურმე ამბაკო, მობოლშევიკე ყმაწვილი გლეხი, რევოლვერით წელზე რევკომს გვერდით ამოსდგომოდა სამხედრო ყარაულივით, და ცალი თვალი ფარულად იმ წრეში შეემართა, სადაც ფერად შალში გახვეული დაფინო იდგა მაიასთან ერთად, და მისგან დაშორებით, რაღაც საეჭვოდ განცალკევებული, მაღალი შავი ლანდი მიმოდიოდა ღამესავით გულჩათხრობილი.

შუაღამემაც მოაწია.

ახლა სოფლის მამაკაცობა - თავკაცების მეთაურობით - ღამის თევას სა-თავეში ჩაუდგა.

გაიმართა «მხარდამხარის'' დევური ცეკვა და ჰაერი ხალხის კრებულის მეხურმა დაგუგუნებამ შეაზანზარა:

«ჰოი, ძაბრა, ძაბრალე...''

მხარბეჭებითა და მკლავებით ერთმანეთს გადაეჭდო გლეხობა და ჯაჭ-ვივით შეკრული წრე ცოცხალ ციხეს დაამსგავსა. ერთი კაცივით, მაგრამ მძიმე მთასავით, შექანდა იგი და დაიძრა ადგილიდან.

«ჰოი, ძა-ბრა, ძა-ბრა-ლე-ე-ე»
აშო მო-მი-სარ-გა-ლე-ე-ე...''

აქუხდა ხალხი მაღლა ჰაერში შეხტომით და მუხლების ტანზევით შეს-როლით.

რამდენსაც მაღლა აუწევდა ხმას ხალხი, იმდენს უფრო მაღლა შეხტებოდა და მუხლებს ჰაერში შეისროდა.

ამ გუგუნისა და როკვისაგან ბოლოს მიწა შეინძრა და ტყეში ხეები წამოსაქცევად შექანდნენ.

დაფრთხნენ კუდიანები, მზაკვრები და მესიაკონები. ტყის მეორე განაპირას გაიქცნენ ღამის მთავართან - დიდ მენცართან. მოახსენეს ხალხის სიფხიზლისა და სიმტკიცის ამბავი.

უბელო მგელზე იჯდა მენცარი და კუდიანების ფერხულს მართავდა.

ათასი ხელის ჩხირებზე დამყარებულ ასკოკიან საწნახელზე თმაგაშლილი უკბილო როკაპი ვაჟკაცივით გადამჯდარიყო ასკილის შოლტით შეიარაღებული.

ხელების ჩხირებზე საწნახელი ისე ტრიალებდა, როგორც წყალმიშვებული დოლაბი, და მის გარშემო ათასი ხმა რაღაც ქაჯურს გაჰკიოდა.

ყველაზე მაღლა საწნახელზე გადამჯდარი როკაპის ხმა გაისმოდა:

«ტაბაკონაშა» აბა, ტაბაკონაშა...''

მგელზე იჯდა მენცარი და ყველაზე უფრო მაღალი ხის წვერს შეჰყურებდა მოუთმენლად. ხის წვერზე ერთი ვინმე მესიაკონი შესკუპებულიყო და ბუს თვალებით გასცქეროდა ზღვის პირად ციხესავით შეკრული ხალხის ცეკვასა და მოძრაობას.

ის დრო იყო, როცა მიწა შეინძრა «ძაბრალეს'' ქუხილისაგან და ხეზე შესკუპებული მესიაკონიც ძირს ჩამოვარდა, მგელზე შემჯდარ მენცარს თავს დაეცა.

«ტაბაკონაშა, აბა»''

დასჭექა მაშინ მენცარმა და შიშისზარდაცემული კუდიანების მაყრიონი სტვენითა და კივილით მოსწყდა თავის ადგილს.

როკაპმა შოლტი გაატყლაშუნა.

«ტაბაკონაშა»‘‘

დასჭყივლა მან უკანასკნელად და ფერხულიც ტაბაკოსაკენ დაიძრა უკანმოუხედავად.

- კუდიანების ღამეა ეს ღამე, ბონდო... და შენც ისე გიჭირავს თავი, თითქოს როკაპმა სასიკვდილოდ დაგდაღაო... კუდიანების ღამეა ეს ღამე, ბონდო, რა სთქვი, რა გსურს, რომ აგისრულო? ასე ნუ მოგიწყენია... სანამ როკაპი ტაბაკონას წავიდოდეს და მენცარის მეუფებას ბოლო მოეღებოდეს...

- მე თავი მტკივა, თავადის ასულო, უქეიფოდ ვარ. მომეცი ნება, წავიდე კარავში და დავისვენო. არ შემიძლია»

- ვიცი, რა სატკივარი გაწუხებს. გინდა, მოგარჩინო, უბედურო ჩემო არ-შიყო?

- ხუმრობის გუნებაზე ვერ ვარ, თავადო...

- უნდა შენი პირით გათქმევინო, რაც ასე გაწუხებს» სანამ დამიმალავ? ხომ გითხარი, ამ ღამეს ყველაფერი შესაძლებელია-მეთქი»

- გარდა ერთი რამისა, ჩემო ქალბატონო.

- რას გულისხმობ ამ ერთ რამეში? მითხარი: ჩემს დაპირებას ხომ არა? სთქვი, ნუ გერიდება» მინდა, რამ გასიამოვნო... ძალიან მინდა რომ გაგახარო.

- ღამე მშვიდობისა. უნდა წავიდე. ავად გახლავარ... არ შემიძლია.

ნაბადზე აეკრა ბონდოს მაია. ხალხს აარიდა, განზე გაიყოლია. თვალი თვალში გაუყარა და გულამდის ჩააწვდინა.

მერე უცებ შესდგა და ერთი ნაბიჯით დაწინაურდა...

- ბონდო, მობრუნდი, შემომხედე.

ბონდო მობრუნდა. თვალები აახამხამა და შეხედა. მერე ბავშვივით გაიბუტა და სახე აარიდა, განზე გადგა.

- წადი, ბონდო, - ჩემს კარავში წადი, ნება მომიცია. ჩემს ლოგინში დაწექი. მომვლელს გამოგიგზავნი: მოგარჩენს, შიში ნუ გაქვს. უკვდავების წამალს დაგალევინებს. მაშინ მაინც მიხვდი, მაშინ მაინც გაზომე, გულქვაო ვაჟო, თუ რა დიდია მაიას სიყვარული შენდამი... წადი, ლოდინი არ დაგჭირდება.

მარტო რომ დარჩა, მაიამ დაფინოს გასძახა. ნაცნობთა წრიდან გამოიყვანა.

გიჟური ანთებით იმზირებოდნენ თავადის ქალის თვალები.

სახეზე ღრაკნილი ელვის ხაზები მიმოუქროდნენ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

მკერდიდან დაგლეჯილი სუნთქვის ხრიალი სცვივოდა.

მიუწვდომელი, დაფარული განზრახვის ცეცხლი მთელ ტანზე შეჰკიდებოდა და ბედის ცდის სურვილს ისე შეეპყრო, როგორც სიკვდილს.

- მცივა, დაფინო» შენი შალი უფრო თბილია... მომეცი ჩქარა... შენ კი ჩემი წაიღე, ჩქარა-მეთქი» ასე. ახლა წადი და იქ, კოცონთან მომიცადე... - მერე ხელი უბიძგა დაფინოს, თავიდან მოიშორა: უკან, ისევ ნაცნობთა წრეში დააბრუნა.

თვითონ კი სირბილით კარავს მიაშურა.

კართან შესდგა. სული მოითქვა.

მერე ყურები დასცქვიტა და მიაყურა. ნელა შეაღო კარი.

კვლავ მიაყურა და შემდეგ ტანი ბნელ კარავში ქურდივით შეასრიალა.

მაგრამ ზედ კართან, მოულოდნელად, თრთოლვით ატანილმა ხელმა მკლავზე თითები მარწუხის კბილებივით შემოაკრა და თვალის დახამხამებაში სადღაც გაიტაცა, როგორც ქორმა წიწილი.

ეს იყო ის, რისთვისაც ბედს სცდიდა თავადის ქალი მაია.

თითქოს დავიწყებული ქალწულობა დაუბრუნდა და პირველი სიყვარულის გაუმეორებელი ტკბობის წუთები გაუცხოველდაო, ისე მიჰყვა იგი ვაჟკაცის ხელებს, ფოთოლივით მსუბუქი და დარხეული.

- დაფი, შენ ხელშია ჩემი სიცოცხლე: გინდა დამარჩენ, გინდა მომკლავ...

ბნედა შეკიდებულ ხმაზე უჩურჩულებდა ბონდო მქშინავ მკერდზე მიკრულ მაიას.

დეე, იყოს მოტყუილებით გამოწვეული ეს ვაჟკაცური გახელება. დეე, იყოს სხვისადმი მიმართული ეს ნდომა მამაკაცური, ოღონდ მაიას ტანმა ერთი წამით მაინც იგრძნოს ეს ცეცხლი. ალესილი ვნებისა, ეს ძალოვანი ლტოლვა სქესური ნებისყოფისა.

მაგრამ უცებ, თითქო მეხი გავარდა და ბონდოს გული გაუპოო, ისე შეჰქანდა ვაჟი. გულზე მიკრული ქალი ხელის ძლიერი კვრით მკერდიდან მოიგლიჯა და ჩვარივით განზე გაისროლა, კუთხეში მიაგდო.

- ჰო, საზიზღარო, ეს რა მიყავი? მომშორდი-მეთქი ახლავე» - დაიყვირა მან და გულიდან შხამიანი ზიზღი გადმოანთხია.

მაია კედელს მიეხეთქა. შალი გადაძვრა. თავზე თმა აეშალა.

და ბნელ კარავში უცებ სიჩუმე დამყარდა.

მერე სიჩუმეში ბონდოს ქშინვა გაისმა.

თავადის ქალი მაია კი, თითქოს სადღაც გაჰქრაო, ხმას არ იღებდა, სულსაც კი არ ითქვამდა.

მაგრამ უცებ გიჟური სიცილი გაისმა კარავში, და მაიას ლანდი მსუბუქი რხევითა და კისკისით, თითქოს იქ არაფერი მომხდარაო, ბონდოს მიუახლოვდა.

- ეს ხუმრობა იყო, ბონდო» და შენ რად გეწყინა ასე საშინლად? სულელო, გეხუმრე. გეხუმრე-მეთქი.

- არ მომეკარო, გთხოვ. მე ასეთი ხუმრობა არ მწამს»

მაიას სიცილი ისევ ისე უცბად შესწყდა, როგორც გაისმა.

- გეხუმრე-მეთქი, სულელო» - დაიწყო მან ახლა სულ სხვა კილოზე - შენ კი შეურაცხყავ თავადის ქალი მაია, რომელმაც პატიება არ იცის. შენ შეურაცხყავ სიყვარული, ბონდო»

გაბზარული ზარის ხმაზე დაასრულა მან და ბონდოს წინ შესდგა.

- ნუ მელაპარაკები ასე, მაია. არ შეიძლება» - ბრაზით შეუტია ბონდომ.

მაია დადუმდა.

- კარგია, რომ ბნელა კარავში და შენს სახეს ვერ ვხედავ, ბონდო»

- მე კიდევ შენსას, ქალბატონო»

თითქოს ერთმანეთი ტყვიით დასჭრესო და მერე იარა გაისინჯესო, ისე დადუმდნენ.

- შენ ჩემთვისაც გითქვამს: «გინდა დამარჩენ, გინდა მომკლავ»‘‘

- მერე?

- თავადის ქალს მაიას შენამდე სხვებისგანაც ქონებია ეს უფლება მინიჭებული... მით უსარგებლნია კიდევაც»

მორიელივით დაჰკბინეს ამ სიტყვებმა ბონდო.

- ჩემთან კი ვერ ისარგებლებ მაგ უფლებით: დაგაგვიანდა... დრო გასულია»

- განწირვისათვის ყველა დრო ერთია. მაგრამ ეს იმან იცის, ვისაც ნამდვილად გაუწირავს» უბედურო, ამღამინდელი ღამე მზაკვრების ღამეა: შეურაცხყოფილი ქალის გულის იარას ნუ აღიზიანებ» გამათენებინე, იქნება, დღემ ჭრილობა მომიშუშოს.

- მე ის გოგო მიყვარს. რა დღეს, რა ხვალ - ჩემი იქნება» აი, გეუბნები: შენი მზაკვრობის კი არ მეშინია»

უცებ გაშიშვლდა სიძულვილი ორივე მხრივ, და ბნელ კარავში ყვითელი ფერის კოცონები დაენთნენ.

მაგრამ მაიამ, მაინც გონება შემოინახა.

გარინდებული დუმილის შემდეგ, მან მოულოდნელად ხმა შეალბილა და სიტყვები სულ სხვა ჰანგზე მომართა, რომელთა მიღმა, ბონდოსთვის უჩინოდ, საბედისწერო განაჩენის მოქნეული ხმლის ლანდი ელვარებდა.

- კარგი, ნუ ღელავ, ჩემო რაინდო. ჩემს ბედს შევრიგებულვარ: მიშორებ - წავალ. ვხედავ აღარ გსურს ჩემი სიყვარული... პატიოსანი. უკანასკნელი იყოს ჩვენი შეხვედრა, მაგრამ არ მინდა იფიქრო, რომ მე სიტყვის პატრონი არ ვარ, და დანაპირები არ შეგისრულე, სანამ ერთმანეთი გვიყვარდა... ჩემი თავის-

თვის არ მიღალატნია და ახლაც არ მინდა მას მოღალატე გავუხდე... იმისთვის, რაც ჩვენს შორის აქამდე იყო, მომეცი ნება, ისეთი ჯილდო მოგართვა, რომელიც სიყვარულის დედოფალს, თავადის ქალს მაიას შეშვენის. დეე, ასრულდეს, რაც ბედისწერისაგან განაჩენია: ჩემი ადგილი ამ ღამიდან დაფინოსთვის დამითმია. ოღონდ, ბონდო, როცა ამ განაჩენის სისრულეში მოყვანის საათი დარეკავს და შენ მას გაიგონებ ან იგრძნობ, ან დაინახავ, მომიგონე მე - მაია, თავადის ქალი, შენი განწირული სიყვარული, და ეს საშინელი ამაღამინდელი ამბავი, რომელიც აქ, ამ კარავში, ჩვენს შორის მოხდა.

...

ღამის თევა გრძელდებოდა. კვლავ ენთო კოცონები ზღვის პირად და «ძაბრალეს'' ხმა კიდით-კიდემდე გმინავდა ცამდის აწვდენილი.

თავადის ქალი მაია დინჯი ნაბიჯით დაუბრუნდა ნაცნობ მოაგარაკეთა წრეს, სადაც დაფინოც იმყოფებოდა.

მისმა დანახვამ გაკვირვება გამოიწვია. ყველა გააოცა, რომ თავადის ქალი უშალოდ იყო.

ჰკითხეს, თუ სად ბრძანდებოდა, შალი რა უყო, ან სადმე ხიფათს რასმე თუ გადაეყარა.

დაფინომ შალი მიაწოდა თავის ქალბატონს.

- მადლობელი ვარ, დაფინო» მე შენი შალი კარავში დამრჩა, ლოგინზე. ნუ დაიზარებ, ჩემო მშვენიერო, გაიქეცი, მომირბენინე...

დედოფალივით მშვიდი იყო მაია. თავაზიანობის თავადური ღიმილი ფარულად აჯდა ტუჩებზე.

- ახლავე, ქალბატონო» მანამ კი ეს მოიხურე. - და დაფინომ წასასვლელად ნაბიჯი გადადგა.

მაგრამ მაიამ უცებ ხელი დასტაცა მკლავზე დაფინოს. შეაყენა, არ გაუშვა.

- გითხარი თუ არა, რომ ლოგინზე დამრჩა-მეთქი? - ჰკითხა და სახეში შეხედა გოგოს.

თითქოს ჯოჯოხეთს თავიდან ბოლომდის გალავანი ახსნაო, - ისე დააბრიალა შავი თვალები.

- კი, ქალბატონო. ახლავე მოვიტან.

მაიამ ხელი მაინც არ შეუშვა მკლავზე დაფინოს.

შეაგვიანა. მერე უცებ:

- მაშ, კარგი, გაიქეცი.

და ხელი მოსხლიტა. ხოლო როცა დაფინო წავიდა, თითები ჰაერში ისე გაასავსავა, თითქოს რაღაც გაუგებარი ნიშნები დაადევნაო: ისევ უკან უხმობს და არც სურს, რომ დაბრუნდესო.

- ჰო, წადი... ასეა გადაწყვეტილი» - ჩაილაპარაკა თავისთვის და უმალვე განშორდა ნაცნობთა წრეს.

მთვარეულივით ქანაობდა თავადის ქალი, ისე მიდიოდა.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა თუ არა, მოულოდნელად მეურმე ამბაკო წინ შეეჩეხა.

- ამბაკო ხარ, ბიჭო, მართლა, თუ მეჩვენება?

- მაშ, ამბაკო ვარ, ვერ მიცანი? მენცარი ხომ არ გეგონე ამ კუდიანების ღამეში, რომ შეგეშინდა»

უცნაურად შეაშტერდა მაია მეურმეს.

«საიდან გაჩნდა აქ ეს მეურმე? როგორ მოხდა ეს სასწაული?'' აათვალ-ჩა-ათვალიერა.

- ეს რა არის, რომ გკიდია? - ჰკითხა მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ და რევოლვერზე მიუთითა.

- რევოლვერი...

- რად გინდა? ნამდვილი ხომ არ არის?

- მაშ, ხისას ხომ არ დავიკიდებდი? - გაეცინა ყმაწვილ გლეხს.

- ტყვიები მაინც არ გექნება. ალბათ, ცარიელია»

- ხუთივე შიგ ზის, თავის ალაგზე. რატომ დაეჭვდი?

- მაინც რად გინდა? კაცს ვერ გაიმეტებ»

- კაცს არა... მტერი კი არ გადამირჩება.

- ააცილებ. გლეხს სროლა საიდან გეცოდინება?

- ნასალდათარიც რომ არ ვიყვე, თვალი არა მაქვს, გული თუ ხელი?

- მტერმა რომ დაგასწროს?

- ეს შემთხვევაზე ჰკიდია: გამარჯვება მართლა დასწრებაზეა.

- გამოცდილი ყოფილხარ. ეს ამბავი გცოდნია.

- უცნაურ კითხვებს მაძლევ. მეც საკითხავად მოვდიოდი შენთან: დაფინო კოცონთან იდგა მთელი ღამე... ახლა სად წავიდა, აქ ვერ ვხედავ. სად არის შენი გოგო, რომ ვერ დავინახე.

- ჰო, რა დაწყობილია ბედისწერის კანონები, ამბაკო. შენ რომ დაფინოსთვის თვალი გიდევნებია, ძალიან მომწონს. ამ დროს რომ მომიკითხე, ეს უკვე განგება არის. მაგრამ ამას შენ ვერ გაიგებ... დროზე მოსულხარ ჩემთან, სწორეა» დაფინო ავად შეიქნა და კარავში წავიდა. კარგს იზამ, რომ მიაკითხავდე. იქნება, რამე სჭირია»

- მართლა? - შეიცხადა ამბაკომ - ალბათ, გაცივდებოდა. ვაი, ჩემო თავო» - და შეყვარებული მეურმე სწრაფად გაიჭრა მაიას კარავისაკენ.

- მივდივარ» ამ წუთში იქ ვარ.

მაია კი ცერებზე შესდგა და ოდნავ აკივლებული, მაგრამ წამქეზებლური ხმით კვალდაკვალ დაადევნა მიმავალს:

- ივარგე, ჩემო ამბაკო» ივარგე, ბიჭო იცოდე»

...

მაიას კარავში ზედიზედ სამჯერ გავარდა ერთი და იგივე რევოლვერი...

შეირყა ღამის დაწყობილი თევა ზღვის პირზე. დაირღვა ფერხული. დაიშალა საცეკვაო წრეები. დიდი და პატარა თავადის ქალის მაიას კარავს მიაწყდა, საიდანაც მოულოდნელი სროლა გაისმა.

სულ მცირე ხანში ყველამ გაიგო, რომ ყმაწვილმა გლეხმა ამბაკომ სამი ტყვიით მოჰკლა თავადის ქალის მაიას არშიყი, უცხო ვაჟკაცი ამ კუთხის უცნობი ვინმე, ყოფილი თავადი...

ალვის ხესავით ტანავარდნილი, წელში ვიწროდ გადასკვნილი, ზღვაზე სატრფიალოდ ჩამოსული თავის საყვარელთან.

დილამდის არ შეწყვეტილა მისვლა-მოსვლა, ბჭობა, გამოძიება.

გათენებულზე მოკლულის გვამი ნაბადში გაახვიეს, საკაცეზე დაასვენეს და მახლობელი თემის რევკომის კანცელარიისკენ წაასვენეს.

დააპატიმრეს მეურმე ამბაკო, და ორი მილიციონერის თანხლებით იმავე გზით გაისტუმრეს.

შუადღისათვის იმავე კანცელარიაში, გამომძიებლის ჩამოსვლის დროისთვის, მთავარ მოწმეებად დაიბარეს დაფინო და თავადის ქალი მაიაც.

...

დილის მზემ მთელი ორი მხარის სიგრძის დღე გაშალა საქვეყნოდ და დედამიწას ნისლით შეკრული სახე გაუხსნა.

განვლილი ღამის ნაფეხურებში სიცხადე ჩადგა ხმალამოწვდილი.

დასაწყისი სიზმრის კოშმარებს ცის მნათობმა უკანასკნელი თვალები ამოსწვა.

დროს ბრუნვას ზურგს უკან ამოეფარა წუხანდელი ამბები.

დადგა დღე მშვიდი და პატიოსანი.

ოდნავ დარწეული ლურჯი ზღვის ზედაპირზე ვერცხლის ქოჩრები აიშალნენ და რაზმებად დაწყობილნი ნელი შუილით ნაპირს მოაწყდნენ. სადაფის შუბები ამართეს და გარემო ლურჯი თვალებით დაზვერეს.

- ვინ არის აქ ისეთი, ვინც აღარ უნდა იყვესო» - იკითხეს.

ნაპირზე, საბანაო ადგილას, თეთრი ტილო იყო კენჭებზე გაშლილი. ტილოზე იწვა თავადის ქალი მაია, ცალ გვერდზე, პირით ზღვისაკენ მიბრუნებული, გახდილ ტანზე ზეწარი ჰქონდა გადაფარებული.

თავთან პერანგამარა დაფინო უჯდა და თმას უვარცხნიდა.

მოთენთილი სახე ჰქონდა თავადის ასულს და მოუკაზმავი. უძილობით დაფლეთილ კანზე ნაოჭები ეყარა და განაცრებული უმარილის დაღები აჯდა.

თვალებში ნაღველის ფერი ჩასდგომოდა და მის მიღმა კიდევ სხვა რაღაც ფერი შეუცნობელისა და შორეულის, რომელიც სიკვდილის ლანდს ჰგავდა.

- «ვინ არის აქ ისეთი, ვინც აღარ უნდა იყვეს?'' - იკითხეს მეორედ ზღვის ზვირთებმა და მაიას რომ თვალი მოჰკრეს გაოცებით შესდგნენ და წამით სული განაბეს.

მერე შეცხადებისავით ერთი დაიწივლეს გულამოსკვნილად და ბრილიანტებად დაიმსხვრნენ იქვე ნაპირთან.

... უბედური თავადის ქალი მაია''... - თითქოს ზვირთებს შეკითხვაზე უპასუხაო, ისე ხმამაღლად დაასრულა ფიქრი მაიამ.

და დაფინომაც მალულად ჩაისლოკინა.

თავადის ქალს მაიას თითქოს დავიწყებოდა დაფინოს იქ ყოფნა. გაუხარდა მისი ხმის გაგონება.

- დაფი? შენ კიდევ ჩემთან ხარ, ჩემო დაფინო? ჩემს მარტოობას იზიარებ, ჩემო ერთგულო გოგონავ. დაანებე თავი თმას. მოდი აქ, წინ დამიჯექი. ნუთუ არ გინდა ფარად მყავდე ამ განსაცდელის დროს? გესმის, როგორ მემუქრებიან ტალღები? ნუ ხარო ამ ქვეყანაზე. მეძებენ. მოტაცებას მიპირებენ. მოდი, წინ დამიჯექი. უთუოდ დაფრთხებიან უფსკრულის მოციქულები, როცა შენ დაგინახავენ. დაფრთხებიან, დაფი, რადგანაც სიკვდილზე უფრო ძლიერია სიცოცხლე, რომელიც შენი თვალებიდან გამოანათებს... მოდი, წინ დამიჯექი.

- აქ ვიყო, ქალბატონო. თმის დავარცხნას გავათავებ.

- ნუ გაათავებ, ჩემო დაფინო. აღარ მჭირია. შიში დამიფრთხე მხოლოდ, ის მირჩევნია. აი, გაიხედე, როგორ ამოდიან ზღვის უფსკრულიდან უცნაური ტალღები. შავები, ლურჯები, შეუპოვრები. შეხედე, ჩემსკენ მოდიან, შემომცქერიან. ყური დაუგდე, რა ხმაზე გაიძახიან ჩემს სახელს კიდით კიდემდე»

მიხმობენ. დაფი. მოდი თავადის ქალო, დროა ეზიარო არყოფნის მარადიული სიჩუმის საიდუმლოებასო. ნუთუ არ გესმის, დაფინო? მოდი, წინ დამიჯექი. როგორ დავიჯერო, არ გემეტება ჩემთვის შენი უმწიკვლოების ნათელი, რომელიც შენს ცოდვილ ქალბატონს წინ გაუძღვება ცხოვრების უკანასკნელ გადასავალზე.

დაფინო ადგა. მაიას წინ დაჯდა.

- ასე... ოღონდ პირი ზღვისკენ გეჭიროს. მინდა, რომ ზღვას უცქეროდნენ შენი თვალები. მე კი შენს ჩრდილს ვეფარებოდე... აი, ასე.

მერე ერთხანს დადუმდა თავადის ქალი. მალე თითქოს დაწყნარდა კიდეც დაფინოს მოფარებული.

- შენც ყოველივე ისე უამბე გამომძიებელს, როგორც მოხდა, ჩემო დაფინო, როცა დაგკითხავს. ერთი სიტყვა ტყუილი არ უთხრა. რა საჭიროა? მე გაგაგზავნე კარავში შალის მოსატანად. კარავში კი ვიღაც დაგხვდა... და... მაგრამ ამ დროს შენი საქმროც იქვე გაჩნდა. შენი დაცვა რომ მოინდომა... თუ როგორ იყო? შემოვიდა თუ არა, მაშინვე ესროლა ამბაკომ?

- მე არც გამიგია მისი მოსვლა. ის იყო დამიჭირა თუ არა ბონდომ...

- მოიცა: საცა გინდა, სთქვი მისი სახელი. ჩემთან ნუ ამბობ» განაგრძე.

- მე შიშისაგან ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულიყავი, რომ... ამ დროს ვიღაცამ ხელი დაჰკრა და... მიწაზე დაანარცხა. «ახლა კი არ გადამირჩები»‘‘ შეჰყვირა. ხმაზე ვიცანი, რომ ამბაკო იყო. რა მექნა, არ ვიცოდი... და როცა იგი წამოდგა იატაკიდან. უცებ სამჯერ გავარდა რევოლვერი და...

- წამოდგა იმისთვის, ალბათ, რომ ამბაკო მოეკლა, ხომ?..

უცებ ორივე დადუმდა.

დაფინო სტიროდა.

- ამბაკოს მალე გაანთავისუფლებენ. შეიძლება, როცა დაგკითხავენ, გამოგაყოლონ აქეთ კიდევაც. თუ არა და იცოდე, მის ხარებს მოუარე. დროზე აჭამე, დროზე გარეკე, დროზე დააბი. რა მამულ-დედულის პატრონები ხართ: ამ ხარებმა უნდა გარჩინონ..

უცებ წამოდგა თავადის ქალი მაია. მეორე მკლავიც მოხვია დაფინოს და გულში ჩაიკრა. სახე თმაში ჩაუმალა და ჩუმი ქვითინი დაიწყო გულამოსკვნილი.

კარგა ხანმა გაიარა.

მერე ისევ უცებ ხელი შეუშვა ერთგულ გოგოს.

- შუადღეც მალე მოაწევს. არ დაგაგვიანდეს: წასასვლელი ხარ რევკომში. დროა მაბანაო, ჩემო დაფინო.

ადგნენ. მაიამ ზეწარი მოიხვია.

- მომეხმარე, კენჭებზე ვერ დავდივარ.

დაფინო შეებჯინა.

ზღვის პირთან ქვიშაზე შესდგა მაია. დაფინოს მთელი ტანით დაეყრდნო.

კიდევ ჯარად აიშალნენ ზღვის ვერცხლის ზვირთები. მწყობრად წამოვიდნენ და ნაპირზე გამოიფანტნენ შუბებით.

მაიას წინ ყალყზე შესდგნენ.

- «ვინ არის აქ ისეთი, ვინც არ უნდა იყვეს?‘‘ - კვლავ იკითხეს.

- ჰო, ეს ზღვა დღეს რა რიგ მაშინებს, დაფი» მეჩვენება, თითქოს სიკვდილსაც ლურჯი ფერი აქვს, როგორც ზღვას. და როგორც ზღვა ისე დიდია, ისე ღრმაა სიკვდილი. ნეტავი შემეძლოს მისი გული მოვიგო» რა შევწირო, ან რა აღუთქვა, რომ არ მაშინებდეს? რა გამაჩნია?» აი, ეს ბეჭდები შემრჩა მხოლოდ და ეს სამაჯური» მათ თვლებში ჩემი ბედის ყველა საფეხურია აღბეჭდილი და... სიცოცხლე და სიკვდილი იმდენი ვაჟკაცის, რამდენიც ხელზე ბეჭედი მაქვს და სამაჯური.

- ამ სამაჯურით მე დავინიშნე სულ პირველად, დაფინო, როცა შენი ხნისა ვიყავი. აფხაზი იყო ჩემი პირველი საქმრო, სახელად ჰაიდბეი და გვარად ჩაჩბა, მთავრის შთამომავალი. მე მას არ ვიცნობდი. არ მენახა. ამბობდნენ, ღამით მთვარეს ჰგავს და დღისით მზესაო. მოციქულები გამოუგზავნია მამას. როცა თანხმობა მიიღო, ძღვენი მოართვა: მის მორთმეულ ოცდახუთ ცხენში

ორი წმინდა არაბული ერია, ახალი თოვლივით თეთრები და ჭკუიანები, როგორც ადამიანი. თავადის ძღვენს ასი ქალი და კაცი მოჰყვებოდა მისი უფროსი დის მეთაურობით, რომელმაც ეს სამაჯური გადმომცა ძმის სახელით. მითხრა, აფხაზეთის შვიდი დედოფლის ნაქონი არისო და ისეთი ძველი, როგორც ჩვენი ქვეყანა არისო. და ასი რჩეული, დინჯი და ზრდილი აფხაზი თავადის ასულს სიტყვას უდასტურებდა. დრო დაინიშნა ქორწინებისა. წამოვიდა ჰაიდბეი, ბრწყინვალე ჩაჩბა, ოდიშისაკენ. მაგრამ, დაფინო, ყური დამიგდე... მე ის, როგორც მანამდე, შემდეგშიც აღარ დამინახავს... ზამთარი იყო: ინგურში ფონით გადმოდიოდნენ. მამამ უბრძანა ვეფხი ჩიჩუას ძვირფას სიძეს ინგურზე შეგებებოდა რჩეული ვაჟკაცებისაგან შემდგარი ამალით. პატივი ეცა. ხლებოდა. ვეფხი ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო. მთელ ჩვენს მხარეში არავინ იყო ისეთი, მას რომ ვაჟკაცობით და თვალტანადობით გატოლებოდა. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა ფარულად. ეახლა ვეფხი სტუმარს. შინ კი ამ დროს საქორწინო მზადება იყო დიდი და გაუგონარი. საზეიმოდ დანიშნული სუფრა მთელი ეზოს სიგრძეს წვდებოდა. ძვირფასი ნოხებითა, ფარდაგებით და ფარჩით იყო სეფა მორთული... და, დაფი, გაიგონე კარგად, რასაც გეტყვი. არავინ იცის, თუ როგორ მოხდა, რომ ხუთასი კაცის თვალწინ ინგურში დაიღუპა ჩემი თავადი ჰაიდბეი ჩაჩბა. ჩემს წინ მუხლმოყრილი იდგა ვეფხი, ამ საზარელი ამბის მომტანი. თავად ხმას არ იღებდა. მის მაგიერ მხლებელი შემომცქეროდა. პირველად ვხედავდი მე ისეთ თვალებს, რომლებით მე მაშინ ვეფხი მიმზერდა. მათგან რაღაც საშინელი ძალა გადმოიღვრებოდა. მაგრამ ამავ დროს მიმზიდველნიც იყვნენ ისინი. დედაჩემს ვყავდი მკერდზე თავით მიხუტებული. მეფერებოდა. გარს მეხვივნენ საზეიმოდ მორთული ტოლმეგობრებიც. ყველა ტიროდა და ქვითინებდა. მე კი ვეფხის თვალებს ვყავდი დატყვევებული. ვკრთოდი შეშინებული. ცრემლი კი ჩემს თვალებს არ ეკარებოდა... და ეს სამაჯური ჩემს დასანიშნად იმ უბედური ჰაიდბეის მორთმეულია. ჩემს მაჯას იგი მას შემდეგ არასოდეს მოშორებია, დაფი. მე მას ამიერიდან ზღვას ვწირავ» შეხედე კარგად: მიიღებს თუ არა ზღვა ამ ჩემს შესაწირავს?

- უიმე, ქალბატონო»

- სუ... აი, ზღვა როგორ დაწყნარდა. დაყუჩდა. შევდგათ შიგ ფეხი. გამთბარა კიდევაც. მომყევრი, დაფი. ჰო, და მერე ჩემი ცხოვრება გამოიცვალა, ჩემო პატარავ. მამა მომიკვდა. მერე დედაც... დავრჩი გაუთხოვარი. ეს ბეჭედი, დაფინო, ოდიშის თავადს ეკუთვნის, ვეფხი ჩაჩუას. მე ის მიყვარდა. მაგრამ მე სხვას ვუყვარდი და იმ ხსვამ არ მოითმინა, რომ მე თავადი ვეფხი მიყვარდა... და მოჰკლა... აჰა, ესეც ზღვას ჰქონდეს: იშვიათი ლალია, დიდი ოჯახის საგვარეულო განძი».. დააკვირდი: შეიწირა თუ არა შესაწირავი ზღვამ?.. ჰა, უფრო დაწყნარდა ზღვა. წელამდის გვიწევს წყალი, მაგრამ... მუდამ ალერსით სავსე ჩემი ვეფხი ჩიჩუას ტრფიალს მაგონებს მისი შეხება. მომყევი, ჩემო ერთგულო გოგო» ნუ გეშინია. ის «სხვა'', რომელმაც ჩიჩუა მოჰკლა-მეთქი, ნამდვილად სხვა კი არ იყო, არამედ ჩემიანი... ნათესავი. მე ის მძულდა, გარწმუნებ, დაფინო... მის სახელსაც არ ვიტყვი, რადგან ახლაც მძულს... და ეს ბეჭედი ძველი ალმასით დამშვენებული, ახლაც რომ მკითხო, ვერ მოგცემ პასუხს, თუ მას ამდენ ხანს რად ვატარებ? აჰა, ესეც ზღვას ჰქონდეს, ჩემო დაფინო. იგი მოჰკლა ჩვენმა ახალმა მოურავმა, უბრალო ლაკადელმა აზნაურმა, ჩემი სიყვარულისთვის, ჯოტო იყო მოურავის სახელი. მისგან მე არაფერი დამრჩენია გარდა მისი უერთგულესი სიყვარულის მოგონებისა. მაგრამ მის უბედურ სიკვდილს შენც მოსწრებიხარ, დაფი.

- ქალბატონო, ძალიან შორს მიდიხარ; ზღვის სიღრმე აქ საშიშია. გნებავს, დავბრუნდეთ?

- მეც სიღრმეს ვეძებ, დაფინო» ზღვის სიღრმეს, რომელსაც შეუძლია ისე დამმალოს, ისე დამფაროს... რომ ეს ჩემი ტანი...

- დაბრუნება სჯობია, ქალბატონო.

- რატომ? აქ ხომ კარგია» მაგრამ თავსაკრავი რომ არ წამომიღია». ეს როგორ მოხდა? შენი ბრალია... უნდა გაგიწყრე» ტკივილი ვიცი, თუ თავი შეხვეული არა მაქვს. დაბრუნდი დაფი, თავსაკრავი მომირბენინე. ახლავე. როგორ გაბედე და დაგავიწყდა» მალე-მეთქი, გიბრძანებ. გესმის? თავსაკრავი მჭირია»

შეშინებული დაფინო სწრაფად წავიდა ნაპირისკენ.

აჩქარებისაგან ფეხი სწრაფად ეშლებოდა. წყალსაც ვერ სჭრიდა.

როცა ნაპირს მიაღწია, უკან მოუხედავად გაიქცა, სადაც მაიას ტანსაცმელი ეწყო. დასტაცა ხელი თავსაკრავს და უმალვე ისევ უკან გაბრუნდა.

გაიხედა:

აღარსად იყო თავადის ქალი მაია...

ალმასგირ კიბულან

ინგურზე, ხუბერ-ჭალას შესართავთან, ლენხერში, სვანები ხე-ტყეს ამუშავებდნენ. სულ ათამდის იქნებოდნენ. მათ შორის იყო კალას თემის შორეული სოფლის ხალდეს მცხოვრებიც, ალმასგირ კიბულან. იგი თავისი დევური აღნაგობით ისე განირჩეოდა დანარჩენებისაგან, როგორც ძველებური სვანური კოშკი სვანების ჩვეულებრივი სადგომებისაგან.

ამ ალმასგირ კიბულანს თან ახლდა თხუთმეტი წლის ვაჟი, სახელად გივერგილა, საკვირველი მონადირე, რომელსაც თავის სოფელში «დალი გეზალ'‘-ს უწოდებდნენ, რაც დალის შვილს ნიშნავს.

იგი პირველად იყო ხე-ტყის დამზადებაზე.

მამა-შვილი ხუბერზე სამუშაოდ მათ ნათესავს ბიმურზოლა მარგველიანს გამოეწვია ხალდედან. თვითონ ბიმურზოლაც ხალდეელი იყო, მაგრამ ამჟამად ლენხერს ესახლა. მას ჯერ კიდევ შარშან პირობა დაედო ხის მოიჯარადრე კაუზა ფიფიასთან, რომ წელს ზაფხულის დამდეგს ამ სატივედ

გამზადებულს, განსაზღვრული ზომის ხეს - სულ ფიჭვსა და ნაძვს - სოფელ ჯვარში ჩააბარებდა, საქართველოს ხე-ტყის ტრესტის რწმუნებულის კანტორის სატივესთან.

გარიგებისთანავე ბიმურზოლას ფიფიასაგან ბე და მეტყევის სათანადო მოწმობა მიეღო. ალმასგირ კიბულანსა და მის შვილს გარდა, კიდევ რამდენსამე მეზობელს, ხის გამოცდილ მუშებს, შეთანხმებოდა, და ამნაირად იმავე ზამთარს სვანები ხუბერ-ჭალას ნაპირებზე ამართულ ფიჭვის ტანაყრილ დევებს შესჭიდებოდნენ. წამოექციათ ასი რჩეული, იქვე ფერდობებში, მდინარის გასწვრივ, ჩაერიგებინათ საზამთროდ, რომ ადრე ზაფხულზე ადიდებული ხუბერით ინგურის ტანწყლისკენ დაეცურებინათ და ასე სოფელ ჯვარში დანიშნულ ადგილს ჩაერეკათ.

და მთელი კვირა იყო, რაც ახლა, გაზაფხულის მიწურულზე, ისინი ისევ ხუბერს მისულიყვნენ და მუშაობას შესდგომოდნენ.

...

ნიაღვრიან გაზაფხულს ხევები ნაკადულებით დაესერა, მთების გულმკერდი ღელეების თეთრი აბრეშუმის არშიებით დაებლანდა და აქაფებული ჩანჩქერები შმაგი ხევებისათვის ცალკე მდინარეების შნო და ძალა შეემატებინა, ხოლო ღარავსილი ხუბერ-ჭალა მათ შორის გაენადგურებინა.

ერთი კვირის განმავლობაში სვანები საერთო ღონითა და მომარჯვებული ოწინარებით ძელებს ფერდობებიდან სძრავდნენ და თავდაქანებულთ აღმუილებული ხუბერის ზვირთებში ნთქავდნენ. მათ დაჯახებაზე კლდეებს თეთრი ნაპერწკალი სცვიოდა და მაღლა ავარდნილი ქაფის ალები მზეზე მოქნეული ხმლებივით კიაფობდნენ.

ძირს, ინგურის შესართავთან, მაღლიდან დაქანებულ ხეებს ალმასგირ და გივერგილა დარაჯობდნენ გრძელი ჭოლოკებით აღჭურვილები. - ინგურის მორევში ჩაყვინთულ ძელებს ზედაპირზე ამოტივტივებისთანავე ისინი ჭოლოკებით ეძგერებოდნენ და მიწოლით მდინარის მარცხენა ნაპირისაკენ მი-

რიყავდნენ; აქ კი, კლდის ჩიხისებურ ღრუში მოქცეული, მთავარ კალაპოტს აცდენილი წყალი დამდორებით ტორტმანობდა და ისევ მარჯვნით უხვევდა მთავარ ტანთან შესაერთებლად.

ეს ადგილი ინგურზე ხეების ნავსადგურად იყო მიჩნეული. აქ აქუჩებდნენ მოდენილ ძელებს, რომლებსაც შემდეგ სათითაოდ, მწყობრად სოფელ ჯვარისკენ ისტუმრებდნენ. ნაპირ-ნაპირ აედევნებოდნენ, სადაც ეს შესაძლებელი იყო, და გზას უკაფავდნენ.

ალმასგირსა და გივერგილას დიდძალი ხე მოემწყვდიათ ამ ჩიხში.

ცხვრის განაჭირ ფარასავით ქლოშინით ისვენებდნენ აქ ძელები. ცახცახით ეკვროდნენ ერთმანეთს და კლდეებთან ბრძოლაში მიღებულ ჭრილობებს იშუშებდნენ.

ამ ადგილიდან დაშორებით, უნაგირივით მაღლიდან გადმოზნექილი ნაპირის ძირში, ჩამონაპობი კლდის კედელთან, სვანებს სახელდახელოდ კარვისებური საჩრდილობელი სადგომი აეგოთ, ოთხსვეტიანი, ნაბდითა და ნაძვის წიწვიანი ტოტებით გადახურული. ეს იყო მათი ღამის სათევი და დასასვენებელი ბინაც.

ამ კარვის წინ თანაბარი სიდიდის სამ ქვას შუა მუდამ ცეცხლი ენთო გაუქრობლად და ქვებზე პატარა კარდალა იყო შედგმული. ხელმარჯვე გივერგილას წყალობით სვანებს თითქმის ყოველდღე ჰქონდათ ნანადირევის ხორცი, უფრო კი კაკბისა, რომელიც მრავლად ბუდობდა მახლობელი ხევების ხრიოკ კლდეებზე. კარვის სვეტებზე ტყაპუჭები ეკიდა, გუდანაბდები და მოკლე სვანური ჩოხები ქამრებითა და ყამებით. წინ, ცალკე, ზემო ბოყვთან, ჯიხვის ტყავის «ქვირქზე'' თასმით გადაკიდებული ერთლულიანი ფილთა ბზინავდა, ძველებური ვერცხლით შემოსალტული.

«ქვირქიც'' და თოფიც გივერგილას ეკუთვნოდა. ერთი იყო მის მიერ პირველად მოკლული ჯიხვის ტყავისა, მეორე - მისი სიამაყე, სანადირო ძველი ფილთა, დალის მიერ საკუთარი ხელით სამჯერ ნაფერი და ამდენჯერვე დანალოცი.

...

საღამოვდებოდა, როცა ალმასგირმა ხუბერის ღარით ჩამოქანებული უკანასკნელი ხე ჩიხში დააბინავა, ჭილოკი მხარზე გადიდო. კორძიანი კაუჭა სალოკი თითი ჰაერში შეარჭო და ძელების ჯოგს თვლა დაუწყო.

მალე ბიმურზოლაც დაეშვა მაღლიდან დანარჩენი მუშების თანხლებით. ალმასგირთან ნაპირზე მოქუჩდნენ. უხაროდათ, რომ მძიმე სამუშაოს მორჩნენ: აქედან ხეებთან ჭიდილს ინგურის ტალღებს უთმობდნენ. ახლა ბიმურზოლამაც დაიწყო თვლა. მას სხვებიც დაეხმარნენ. სრულად ასი აღმოჩნდა, რაც ერთმანეთს დაუმოწმეს.

მერე კარვის ცეცხლთან მოგროვდნენ.

ტანი დაიფერთხეს. ნაბდები მოისხეს. ყალიონი გააბოლეს.

ღერღლიანი სვანური მასლაათი წამოიწყეს.

გივერგილამ სვეტზე ჩამოკიდებული თავისი «ქვირქი'' და ფილთა ჩამოხსნა. «ქვირქი'' ზურგზე მოიგდო, თოფი იღლიაში და შეუმჩნევლად, ბოკვერის ნახტომით, როგორც ცხენს, აღმართის ზურგს ისე შეახტა.

ერთი გაინაბა და ხევებზე გადმოწოლილ ხრიოკ კლდეებს თვალი მიმოავლო.

ასაფრენად გამზადებულ შევარდენივით შეკუმშულიყო.

ნისკარტივით მოკაუჭებული ცხვირის ორთავე მხარეს მოწითალო შუქთა მფრქვეველი ჟღალი თვალები უელავდნენ.

კაჟისფერ მკლავსა და მკერდზე შვილდივით მოჭიმული კუნთები უკრთოდნენ.

თვალი შეასწრეს უფროსებმა. ამაყად ჩაიღიმეს და ცოტა განზე კლდესთან აყუდებულ ალმასგირს შურით შეხედეს.

ბიმურზოლამ ჭაღარა წვერი დაიბერტყა, ახმიანდა და კიბულანის ვაჟს სიმღერის კილოზე წარმოთქმული მონადირეთა ლექსით მიმართა წასაქეზებლად:

ვოიდა ლემჩილ იჰავოდა იაკამ,

ვოიდა გივერ იჰავოა გილა,

ხითხვიიარე ჭანგულისგა

კოჯას ფივერს დემ ხაცური.

გივერგილაც მოსწყდა თავის ადგილს და, თითქოს ჰაერში აფრინდა, ისე გაქრა.

ალმასგირს მოულოდნელად სახე მოეღრუბლა:

- გვიან არის. აქ ადგილიც უცნობია.

მას სიფრთხილე უსაყვედურეს. მონადირე შვილის ქება უთხრეს და მოაგონეს, რომ გივერგილას ნადირობაში განსაკუთრებული ბედი წყალობდა დალის სახით.

მხრები აიწურა ალმასგირმა. თავის გასამართლებლად ჩაილაპარაკა:

- დედაკაცმა დამაბარა, ბიჭს გაუფრთხილდიო, წამოსვლის წინ სიზმარი ენახა. ახლა მენიშნა რაღაც, თორემ არც მახსოვდა.

ჩაიხარხარა ამაზე ბიმურზოლამ. იგი ქალაქებში ნამყოფი იყო და წერა-კითხვაც იცოდა.

- ბევრი სძინავთ ჩვენს დედაკაცებს, ალმასგირ. მეც ასე მეტყვის ჩემი, მაგრამ ცოცხალი ვარ ამდენი ხანია, სიზმრის ნუ გჯერა: ძველ დროში შეიძლებოდა, ახლა კი ცხადიც სიზმარია.

ალმასგირმა არაფერი უპასუხა, მაგრამ ბიმურზოლას სხვები შეეკამათნენ.

ერთმა კამათს გრძელი ამბავი მოაბა. შიგ ყველა სვანური საშინელება არია: «ცხეკი დაავ'', «ჰეერია'', «შაშშარ'' და «ლახავარ''.

უცებ, თითქოს ზღაპარს მოჰყვაო, დღემ ფრთები შეკეცა და მთებში ფერთა აღრევის დრო დადგა.

აიმრიზა ალმასგირ კიბულან, დევის ლანდივით საშინელი, და იმ აღმართს შეეფინა გულჩათხრობით, რომლითაც გივერგილა სანადიროდ გაიჭრა.

მზისაგან შერუჯულ კლდეებს შორის თვითონაც გვერდებშელეწილ კლდეს ჰგავდა, რომელსაც სასწაულებრ სული ჩადგმოდა და ამოძრავებულიყო.

ახმახი იყო, უსწოროდ ნაგები, უხორცო, კუთხეებ-ჩამოხეთქილი. ნაკვთსა და ნაკვთს შორის შეღრუებული, მხრებსა და გულმკერდში სვანური რკინით შესალტული.

გამოხედვა ირიბი ჰქონდა, უნდობი და მალი. ჩამოზნექილ შუბლზე წარბები შავი ფრთებივით ესხა, რომლებიც მოყვითალო, ხორბლისმარცვლისფერ თვალებს უჩრდილავდნენ.

აღმართზე რომ შედგა, ბარისოდენა ხელისგული თვალებზე ჩამოიფარა და მზის უკანასკნელ სხივზე ოქროსფრად მოხამხამე შორეულ მთებს გახედა. სახის ძვალზე დაბეგვილი აბედივით გადაკრული კანი ჩაღრმავებულ ნაოჭებს დაესერა და ზედ გაურკვეველი შიშის ლანდი გადაფენოდა.

- გივერგი-ილ»

მაგრამ ამ დროს თოფიც გავარდა და ფეხზე წამოცვივნული სვანები ხრიალით წამოვარდნენ.

«ვოიდა გივერ იჰავოდა გილა''

მეორედაც გაისმა თოფის ხმა და სერზე გივერგილაც გამოჩნდა.

ფერხულით შეეგებნენ გამარჯვებულ მონადირეს სვანები. კაკბიანად შუაში ჩაიყენეს. დარაზმეს ფეხები და ტანის საზეიმო რხევით გარს შემოუარეს.

ბიმურზოლა იყო პირველი, რომელმაც ინგურის გმინვის ხმაზე შემოსძახა:

«ვოიდა ლილევო ისგვანი დიდაბ ბინგოშია, ვოიდა ლილე''‚

მეორედ უკვე თვითონ გივერგილას კამკამა ხმამ მაღლა ასწია:

«ვოიდა ლილევო დიდება თარინგლეზერის, ვოიდა ლილე'‘

ალმასგირის ბანმაც ბოლოს მეხური ძლევამოსილებით ჩაიგუგუნა...

...

ძირს ინგურს ნისლიანი საბანი წამოეხურა.

მაღლა ნაპირებს საღამოს ბინდის ლურჯი ლაშქარი შემოსეოდა.

უფრო მაღლა, მახლობელ მთებზე, ღონედალეული მზის ოქროსფერი ლივლივი ქრებოდა.

შორს კი თვალშეუწვდენელი «ჩოხა-თვალაშ'‘ უშბა თავისი უბადლო ალმასების აბრჭყვიალებით დედამიწის საზღვარს გაცილებულ მზეს შორეულ გზას უნათებდა, ხოლო თავის მოძმეთ, სვანეთის გუშაგთ, თეთრგვირგვინიან თეთნულდსა და ჭაღარა ლაჰლას, ღამის მოახლოების ნიშნებს აძლევდა...

ასე მიიწურა დღე ხუბერზე ფერხულში ჩაბმული სვანების გარშემო.

გათენებისას, ისევ ჭოლოკებით შეიარაღდნენ სვანები აიკიდეს გუდანაბადი, აიყარნენ და ინგურის ვიწრო ღარის გასწვრივ ჩამწკრივდნენ ხელფეხაკაპიწებულები. ჩიხიან მაღალ ნაპირთან მირიყული ძელები რიგ-რიგად ადგილიდან დასძრეს.

ჯერ კიდევ ნისლი ბურავდა გარემოს და მოახლოებულ განთიადს ღამის ბინდი ვერ გაეფანტა. მაგრამ ინგურს უკვე ეგრძნო დღის გამარჯვება, მკლავები გაეშალა, სადაფის არტახები დაეგლიჯა და ნისლის საბნის ნაფლეთები შორს, მთის კალთებისაკენ გაეტყორცნა.

ყველაზე წინ მდინარის მარჯვენა ნაპირით ალმასგირ კიბულან მიუძღვოდა ხეების აშლილ ჯოგს, მის პირდაპირ, მეორე მხარეს, კლდეებსა და ტალღებს შებრძოლებული გივერგილა ჭოლოკს ხმალივით იქნევდა და ნისლის ღრუბლების აკაფვით წინ მიიწევდა მამის თანაბრად.

მისი ჯიხვის «ქვირქით'' ბეჭებში შეკრული ტანი, რომელსაც მხრებს ზემოდან ჰაერში შემართული თოფის ლულა გადმოჰყურებდა, დროგამოშვებით ქაფის თეთრ დუღილში ბრინჯაოს ქანდაკებასავით გამოიკვეთებოდა და ისევ კლდეებსა და მათზე ნასხლტომ ზვირთებში იმალებოდა.

- გივერგ-ი-ილ» იმე ხარი?»

გაისმოდა მაშინ ალმასგირის ძახილი და ინგურის ღმუილში უცხოდ შეჭრილი მისი დაგმინება მთების თაღოვანი კალაპოტით მაღლა ცას მამის გულის ფარულ ძრწოლას შეღაღადებდა.

ასე განვლეს კარგა დიდი მანძილი.

უკვე დილა იყო, როცა სვანეთის საზღვრებიც გადალახეს და ხუდონს დაუახლოვდნენ.

ხუდონს ზემოთ ანაზდად წინ გარდაუვალი დაბრკოლება გადაეღობათ - უფსკრულს ჩაძირული ინგურის შუა ტანში წყლიდან ვეება კლდე ამოზიდულიყო და ხეებისათვის გზა შეეკრა. კლდეს თავზე შეყენებული ძელების ხროვა მაღალი ჯიხურივით დადგომოდა და ახლად მოდენილებსაც იჭერდა.

ალმასგირისა და გივერგილას ხეებიც ტალღებმა ამ ჯებირს დაატაკეს. უკუიქცნენ შეტორტმანებით. მაშინ მორევმა ისინი ნაფოტივით შეატრიალა, ხოლო შემდეგმა წამოსწრებულმა ტალღამ ზე აიტაცა და ზოგი ჯებირის ღრუში შესტყორცნა, ზოგიც მის ზემო სართულში აისროლა.

განაპირას, ამ ორომტრიალის პირდაპირ, ალმასგირმა ადამიანების ჯგუფი შენიშნა. მათ შორის მოიჯარადრე კაუზა ფიფია დაინახა. ორიოდე ნაცნობი სვანიც შეამჩნია. სმენა ინგურს ჰქონდა წართმეული, მაგრამ თვალმა კი მიახვედრა, რომ ხალხი კაუზა ფიფიას უყვიროდა და ემუქრებოდა.

ფიფიას კი ერთ ხელში დახვეული თოკი ეჭირა, მეორეში - ოთხკუთხიანი თეთრი ქაღალდი, რომელსაც ხშირად შლიდა და კეცავდა. აღელვებულ ხალხს ამშვიდებდა და რაღაცას ბეჯითად უმტკიცებდა. თანაც ქაღალდიან ხელს კლდისკენ აშვერდა, რომელიღაც ძელზე უთითებდა, თოკსაც მისკენ აქნევდა და გაუგებარი ნიშნებით ახსნაგანმარტებას იძლეოდა.

მალე ბიმურზოლაც გამოჩნდა. მოვიდნენ ალმასგირის სხვა ამხანაგებიც.

- კაუზამ მოგვატყუილა: კლდეს ტრესტი ააფეთქებსო. ასეთი იყო დაპირება.

განაცხადა ბიმურზოლამ. აიყოლია სვანები და კაუზასკენ გაემართა.

გამოირკვა, რაც უნდოდა მოიჯარადრე ფიფიას და ის ოთხკუთხიანი ქაღალდიც რას წარმოადგენდა.

იგი ერთ ჩერვონეცს პირდებოდა იმას, ვინც გაბედავდა ჯებირზე გასვლას და კლდეზე განით მიჯოგრილ ძელებში ყველაზე უფრო ძირში მოქცეულს თოკს გამოაბამდა.

ადვილი ჩანდა ამ ნაძლევის მოგება, განსაკუთრებით ტანმსუბუქთათვის. ნაპირსა და კლდეს შუა დიდი მანძილი არ იყო. ისიც წყალზევით ხეებს ხიდივით დაეფარა, რომლის თავები აქეთ-იქით კლდეებს მტკიცედ მიბჯენოდა.

მხოლოდ იქ თავმოყრილ მუშებს ნაძლევის რაოდენობა ეცოტავებოდათ და მომატებას მოითხოვდნენ.

ბოლოს ერთი ტანთხელი ყმაწვილი ხის მუშა დათანხმდა ჯებირზე გასვლას. კაუზამაც ფული მის არჩეულ კაცს გადასცა.

ყოველ შემთხვევისათვის, გაბედულ ყმაწვილს თოკის ერთი თავი წელზე მაგრად გამოაბეს, მეორე რამდენსამე კაცს მისცეს ხელში ნაპირზე და ასე გაისტუმრეს.

მაგრამ ხეების მრგვალი ზედაპირი ლიპიანი აღმოჩნდა. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაღა მოასწრო ყმაწვილმა, ფეხი დაუსხლტა და ძელებზევე დაეცა. ხელი იტკინა. ისევ ნაპირზე გადმოიყვანეს.

ცდამ დაამტკიცა, რომ ხეები მაგრად იყო შეკრული და ხიდი ამ მხრივ მართლა უშიშარი აღმოჩნდა. მაგრამ ფერწასულმა ყმაწვილმა ცდის განმეორებაზე უარი განაცხადა. ხელის ტკივილი მოიმიზეზა.

მაშინ გივერგილამ ბიმურზოლას ყურში ჩასჩურჩულა, რომ იკისრებდა ძელზე თოკის მობმას.

ბიმურზოლამ ხელი დასტაცა გივერგილას, კაუზა ფიფიას წინ დაუყენა და მისი სურვილი საჯაროდ გამოაცხადა.

გაჯავრდა ალმასგირ. შვილს მკლავები ფრთებივით გადააფარა და განზე გაიტაცა. შეუწყრა ბიმურზოლას ასეთი საქციელისათვის. ეგონა, რომ გივერგილას ის აქეზებდა.

გივერგილას თავის გამოჩენის სურვილით ანთებული თვალები ისევ ჩაუქრნენ.

აჩოჩქოლდნენ ნაცნობი სვანები, გივერგილას გამბედაობა მოუწონეს. ალმასგირს ზოგი საქმის სიადვილეს უმტკიცებდა, ზოგი კი ფულს აბარებდა.

უცნობებმაც, როცა გივერგილა შეათვალიერეს, გადაჭრით სთქვეს:

- ეს ნაძლევი ამ ვეფხვს მოუგიაო.

გივერგილას წინააღმდეგ ახლა სხვა არავინ გამოჩნდა მსურველი.

ბოლოს იმდენი იყაყანეს, რომ ალმასგირიც ჩააჩუმეს.

გახარებულმა მოიჯარადარემ ფულიც უმალვე მას გადასცა. მეტი გაფიქრება არ აცალა, ისევ უარი არ სთქვასო, თავისი ხელით უბე გაუხსნა და შიგ ჩაუჩარა.

გივერგილამ თოფი ჩამოიხსნა, მამას მხარზე ჩამოჰკიდა.

შეაბეს თოკი. მეორე თავი ალმასგირმა სხვებს არ დაანება, ჩასჭიდა ხელი და კლდის კიდურზე ფეხის მიბჯენით მთასავით დაეყუდა ჯიხურის გალია პირდაპი.

ხელები ფრთებივით გაშალა გივერგილამ. ტანის სიმძიმე მხრებიდან შემოიბოჭა და დარხეული წონასწორობით თვალის დახამხამებაში გალიამანძილი ჯებირამდე.

ყველანი სულგანაბულნი შესცქეროდნენ.

არავის ესმოდა ყრუ, ჩანთქმული ძახილი, რომელიც ალმასგირს გულის სიღრმიდან ჯლოხინივით ამოსდიოდა:

- გეყოფა, გივერგილა... ახლა დაბრუნდი.

გივერგილა ჯებირს ჩაჰყვა ზევიდან ქვევით. მარჯვედ შეაჯდა ერთს მოხდენილად გამოწეულ ხეს, გადაიღუნა და იმ ძელს მისწვდა, რომელიც დასათოკად იყო მიჩნეული.

- აი, ბიჭი» ყოჭაღ» - დაიგუგუნა ნაპირმა.

და ერთდროულად რაღაცამ მდინარეში საშინლად გაიხრიალა. მისგან მთების კედლები შეჰქანდნენ და გარშემო მიწაც შეინძრა.

დაინგრა ჯებირი და საკვირველი ძლიერებით გამოტყორცნილმა ისარივით სწორმა ძელებმა, ზევით ჰაერში, დაბლა კიდევ წყალში, თავზარდამცემი ჭმუილ-შუილით თვალით უნახავი დოღი გამართეს. მათმა სიმრავლემ კიდევაც ჩამოაბნელა ვიწრობში.

ერთ წუთში ვერავინ ვერ გამორკვეულიყო.

უცებ ჯებირის ნგრევის ხმაზე არანაკლებად შემზარავი გმინვაც გაისმა ნაპირზე:

- გივერგილ, იმე ხარი?

იქ მყოფთ ახლა ამ ხმისკენ მოიხედეს.

ალმასგირ კიბულან წყლის პირად დამდგარიყო მხარბეჭგაშლილი, მარჯვენა ხელში თოკის ერთი თავი ეჭირა, მარცხენაში - მეორე თავი. ხან ერთს დახედავდა, ხან მეორეს და ცოფმორეული მხეცივით ღმუოდა:

- გივერგილ, იმე ხარი?

ახლა ხალხიც გამოერკვა.

- გივერგილ» გივერგილ» - გაისმა ჩოჩქოლით.

მაგრამ გივერგილა არსად იყო.

ალმასგირმა ახლა ნაპირი შეათვალიერა.

- გივერგილ» - დაიყმუვლა და შემოტრიალდა.

ნაპირზე მყოფთ შემზარავი თვალები შეანათა.

ხალხის დანახვა ეოცა, თითქოს პირველად დაინახაო.

- გივერგილ... - შესძახა კიდევ.

- სად არის, ძმებო, გივერგილა? - იკითხა მერე და თვალების ცეცხლზე ცრემლი გადაეღვარა.

კლდის კედელთან შეშინებული კაუზა ფიფია აწურულიყო.

ალმასგირ მას მივარდა. თოკი ხელიდან გააგდო.

- კაუზა, აჰა, შენი ფული» დამიბრუნე ჩემი გივერგილ»

ფული ამოიღო, გაუწოდა. მერე უბეშივე ჩაუდო საკუთარი ხელით.

- აჰა, ძმაო...

ორთავე მკლავებზე ხელები მოჰკიდა. შეევედრა, შეანჯღრია.

- აჰა, შენი ფული» წაიღე. ჩემი შვილი დამიბრუნე, - კვლავ ვედრებით მიმართა. მაგრამ რაკი კაუზა ფიფია ხმას არ იღებდა, ერთხელ კიდევ შეანჯღრია და შეაქანა.

უცებ კაუზას ზურგს უკან ამართული მაღალი კლდის შავი კედელი წითლად შეიღება. ზედ ტვინგარეული სისხლი შეექცა. წინწკლებად დადინდა. ალმასგირს სახეზე შეეშხაპუნა.

ცოცხალი ფიფიას ნაცვლად ახლა კიბულანს ჩოხის მოგლეჯილ სახელოებში გაყრილი უტანო მკლავები ეჭირა. ძირს კი მის ფეხებთან მოიჯარადრის უთავო ტანი ეგდო.

ალმასგირი ხან ერთ ხელს მიიტანდა თვალებთან, ხან მეორეს. გაოცებული დასცქეროდა ხელებში შერჩენილ სისხლიან მკლავებს. ეტყობოდა, ჩადენილის აზრი და მნიშვნელობა ვერ გაერკვია.

- ალმასგირ, რას სჩადიხარ? - მოესმა მოულოდნელად ბიმურზოლას ხმა, მაშინ ალმასგირმა ხელები შეუშვა კაუზას მკლავებს და მთელი ტანით შექანდა.

- ბიმურზოლ» - შესძახა საშინელი ხმით და მოტრიალდა.

მის ხმაში ახლა სისხლის წყურვილი ჰკიოდა.

მიმოიხედა. გარშემო არავინ იყო. ბიმურზოლაც არ ჩანდა, რომელსაც ეძებდა. ყველანი შიშით მიმალულიყვნენ.

ალმასგირმა ისევ ინგურს მიმართა.

კლდის ქვემოთ, სადაც ჯებირი დაინგრა, წყლის ზედაპირზე რაღაც ნაცრისფერი ამოტივტივდა და ზვირთში გაერია.

- გივერგილ»

გადასძახა ინგურს ალმასგირმა და დევის ლაჯებით მიჰყვა მის გაშმაგებულ მდინარებას...

...

წყლის ყოველი აქოჩრება შვილს ალანდებდა. ზვირთის ყოველი გაქანება გივერგილას სახეს წარმოუდგენდა.

შვილის ფილთა შერჩენოდა მხარზე, მაგრამ მას არ გრძნობდა. თავში, გულში, ტანში, თვალებში - მხოლოდ გივერგილა ჰყავდა. ხმაც პირიდან ამ სახელის სახით ამოდიოდა, მიდიოდა, საცოდავად მიბღაოდა. კლდეებზე აბიჯებდა, ქვებს ახტებოდა. საკუთარი ძალისათვის ახლა გივერგილას სიმარდე მიემატებინა.

სადღაც გულში იმედი უღვივოდა, რომ გივერგილა თავს არ დაიღუპავდა. ვერ წარმოედგინა მისი დაღუპვა. ამ იმედით ეგონა, რომ გივერგილა მდინარეს გამოყოლილი სადმე წყლიდან ამოსული დახვდებოდა ნაპირზე მდგარი.

მეორე ფიქრით კი სასოწარკვეთილებას გრძნობდა, მაგრამ ცოცხალის თუ არა, მკვდრის ნახვის იმედი მაინც ჰქონდა. ამ შემთხვევაში თვალებს ხუჭავდა და შუბლს ხელისგულით იფარავდა, რომ საშინელი სურათი არ წარმოედგინა და მკვდარი შვილის სახე არ მოჩვენებოდა, რადგანაც გაგიჟების ეშინოდა და გონების ძალა არ ჰყოფნიდა.

დილა უკვე დღეში გადადიოდა, როცა ალმასგირის წინ სოფელი ჯვარიც გამოჩნდა.

ჯვართან ინგური გაშლილიყო. თითქოს სვლაც შეენელებინა, აქამდე მაღალი ნაპირები დავაკებულიყვნენ.

ამ ადგილებსაც იცნობდა ალმასგირ. მაგრამ ამ მხრივ სოფელი ჯვარი იყო დასასრული მის მიერ ხილული და ნაცნობი ქვეყნიერების.

თემის აღმასკომის შენობის პირდაპირ ჩავლის დროს მან შენიშნა, რომ იქ შეკუჭებული ხალხი მის დანახვაზე ახმაურდა და მისკენ ხელების გამოშვერით ინგურისკენ გადმოდგა. ხალხს რამდენიმე ბიჭი გამოეყო და ყვირილით ნაპირისკენ დაეშვა. - გაკვირვებოდათ დანახვა მთიდან უეცრად გადმოვარდნილი საკვირველი შესახედაობის სულიერისა, რომელიც ძველი ზღაპრების დევგმირივით, ამ დღის სიცხადეში, ცეცხლის მთასავით მოაბიჯებდა და პირიდან მუგუზლებს, ხოლო თვალებიდან ნაპერწკლებს ჰყრიდა.

მისკენ გამოქანებული ბიჭების დანახვაზე გული აუჩქროლდა ალმასგირ კიბულანს, შედგა. ერთს მათგანს სვანური ქუდი ეხურა და გივერგილასავით ტანასხლეტილი იყო.

- გივერგილ» - დაიღმუვლა ალერსიანად ალმასგირმა.

მაგრამ ბავშვები დაფრთხნენ, უკუიქცნენ და მიიმალნენ.

მაშინ სიმწრისაგან გულზე მოქნეული მუშტი ისე მაგრად დაირტყა ალმასგირმა, რომ მაღალმა მკერდმა ღრმად ჩაიგუგუნა და მიდამოს შემზარავი ზმუილი მოსდო:

- გივერგილ» ვაიმე, გივერგილ...

და თვალებიდან ცრემლი ღვარად დადინდა.

მალე ისევ ინგურს მიმართა და მის მსრბოლავ ტალღებს კვლავ შეუსვენებლად მისდია.

მთები თანდათან უკან რჩებოდნენ. წინ მინდვრები და ველები იშლებოდნენ. ინგურიც საკვირველად იზრდებოდა, დიდდებოდა და ტოტებს ისხამდა. გარშემო ჰაერი მძიმდებოდა და ალმასგირს სულს უხუთავდა. ვაკეს შეუჩვეველს სწორი ხაზებისაგან თვალები სტკიოდა.

არ იცოდა რა ადგილი იყო, სადაც შემოაღამდა.

ძლივს მიდიოდა. ჭაობში იფლობოდა. მყარ ნიადაგს ვერ ჰპოვებდა. ეკალი ჰკაწრავდა. ოფლი და სისხლი ერთად სდიოდა.

გზას მდინარის ტანით მიიკვლევდა, რომელსაც თითბრის ცის სინათლე ადგა.

როცა მთვარე ამოვიდა, გულს ესალმუნა: იგი ერთადერთი ნაცნობი იყო ამ უცხო, შმორიან არემარეში.

უსიტყვოდ შეჰღაღადა მას გულისტკივილი.

მთვარემ პასუხად უცებ ოქროს დალალები გადმოშალა და დალის სახე მიიღო. მერე დაირხა, მოწყდა და ძირს დაეშვა ალმასგირის პირდაპირ, საკვირველად ახლოს.

ალმასგირმა კარგად დაინახა, რომ დალის ჭირისუფლური სახე დაკაწრული ჰქონდა და მოესმა, რომ ისიც გივერგილას სახელს გაჰკიოდა.

- დალი, დაა-ლი» - მაგრამ ხმა არ ჰქონდა. მხოლოდ ხრიალი ამოსკდა მკერდიდან.

იმედი მაინც მიეცა ალმასგირს. ღონე მოიკრიბა და მუხლების ქნევით კვლავ წინ გაეშურა.

მაგრამ ამ დროს ანაზდად ალმასგირის არეულ თავში ჯერ საიდანღაც მოვარდნილი საშინელი ძალის ღმუილიანი ჩაშუილება შეიჭრა და შემდეგ თვალწინ გაუგებარი საკვირველება გადაეშალა. - ჰაერისა და წყლის უსაზღვროება ერთმანეთში არეულიყო და უსახოებას ქვეყნიერება ჩაენთქა. ეს იყო ზღვა ინგურის შესართავთან.

სადღაც კიდევ დაიგუგუნა და ატორტმანებულ სივრცეში ყალყზე შემდგარმა წყლის ტალღამ ალმასგირს გზა გადაუჭრა.

განგმირულივით შედგა შიშით ზარდაცემული ალმასგირ. მას ზღვა არასოდეს არ ენახა.

პირველ წამს საშინელმა დაგუგუნებამ მის ყურთა სმენას ხუდონთან ინგურის კედელზე მიჩიხული ჯებირის დანგრევის ხმა მოაგონა.

«ნუთუ კვლავ უნდა განმეორდეს საშინელება და მის თვალწინ გივერგილა აქაც უნდა დაიღუპოს?

- დალი... უშველე შენს გივერგილას» - უკანასკნელი ღონის მოკრებით დაიღრიალა ალმასგირმა და წყალში შესდგა ფეხი.

წინ აციალებული ზღვის სიღრმეში მან მართლა დაინახა მთვარის შუქმფენი სახე, რომელიც თითქოს ზედაპირისაკენ მოისწრაფოდა. ეს გივერგილას მფარველი დალი იყო, რომელიც ამას წინ ზეციდან ძირს დაეშვა, სადღაც ახლოს. ოქროს თმებში თვალგახილული, მოღიმარი გივერგილა გაეხვია და ალერსით გულში ჩახუტებული უფსკრულიდან ამოჰყავდა.

- გივერგილ» - არაადამიანური გახარებით შესძახა ალმასგირმა, მძიმე ტანი აიმჩატა, ჰაერში შემართული ხელების დიდრონი, კაუჭა თითები მოლანდებული შვილისკენ გააშვირა, წყალი შეაპო და ზღვაში შეიჭრა.

მაგრამ მას ზღვა არ უგრძვნია.

და არც სიკვდილი უგრძვნია სიკვდილის წინ, რადგანაც თვალგახელილი შვილის მომღიმარი სახე თვალთაგან არ მოშორებია.

ᲮᲝᲣᲢᲘ

თითქოს ნაკვერცხლებზე წოლილიყო, ისე ბორგავდა და შფოთავდა მთელი დღე ბაადური. დედაკაცს მოსვენებას არ აძლევდა, ჭირვეულობდა, წამდაუწუმ უძახოდა და ერთსა და იმავეს ეკითხებოდა:

- აბა, ერთხელ კიდევ გაიხედე, დედაკაცო, და მითხარი ჩვენი წინა ეზოს ღობე მართლა აღებულია თუ არა? მგონია, თვალი გვატყუებს.

სიბერისაგან დასნეულებული თვითონ ლოგინად იყო ჩავარდნილი და ველარ დგებოდა.

რუსუდანს გარეთ გახედვა არ სჭირდებოდა. ქმარს სულ ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა:

- აღებულია, რამდენჯერ უნდა გითხრა, შე კაცო? შენც ხომ დაინახე და ისაა.

- ბაადურს სახე მოექცეოდა. ზედ ღრმა წუხილის ლანდი დააფრინდებოდა და ტუჩის ერთ კუთხეში უმწარესი გულისტკივილის გამომხატველი ცახცახი ჩაუდგებოდა.

- მერე როგორ მოგივიდა, შე ქალო? რატომ მიუშვი: შენ მაინც ფეხზე ხარ, გარეშე ხალხს ჩვენს ღობესთან რა ხელი ჰქონდა. ბესოს ეს რომ არ უთქვამს?

- აკი გითხარი, თვითონ მისი განკარგულება იყო-მეთქი. შენი თანხმობაც ხომ იყო, როცა იმ კოლექტივში ჩაგვრიცხეს. დაგავიწყდა?

ბაადური აქ ერთი ხნით ხმას ჩაიგდებდა, უნდობელი გულ-ჩათხრობილობით შეხედავდა რუსუდანს და ისევ თავისას მოყვებოდა.

- ვთქვათ, იმ მანქანას ჩვენი მიწა უნდა მოეხნა, მაგრამ ღობე რა შუაში იყო, კარით შემოსულიყო, მოხნა კი მართლა?

- კი, ნახევარზე მეტი...

მაინც არ ცხრებოდა ბაადური. შვილის შინ დაბრუნებას ელოდებოდა. მაგრამ რუსუდანმა ეს იმედიც გაუქარწყლა. _ სხვაგან არის წასული და დღეს და ხვალ ვერ დაბრუნდებაო.

ბაადურის შვილს ბესოს მთელ რაიონში კოლექტივიზაციის კამპანიის ჩატარება ჰქონდა დავალებული. დღედაღამ ამ საქმეზე მუშაობდა. დედ-მამასთან კვირაში ერთხელ თუ შემოივლიდა.

სანამ თავის სოფელში კოლექტივის ჩამოყალიბებას შეუდგებოდა, ბესო დავრდომილ მამასთან მოვიდა და მთელი საღამო ესაუბრა. დაწვრილებით აუხსნა, თუ რას ნიშნავს კოლექტივი, და ის უპირატესობაც გასაგებად განუმარტა, რაც კოლექტიურ მეურნეობას კერძოს წინაშე აქვს. აუწერა ტრაქტორი. გააცნო მისი საკვირველი შემძლებლობის ამბავი.

- ჩვენს წინაეზოს ტრაქტორი დილიდან შუადღემდის მოხნავს, შენ კი, მამა, თუმცა მთელ კუთხეში გამოჩენილ მუშად ითვლებოდი, მაგრამ მაინც სამი-ოთხი დღე უნდებოდიო. ძველი წესები ახლა არ გამოდგება. წინადაც არ იყვნენ ისინი გამოსადეგარი, მაგრამ მაშინ არაფერს ახალს არ გვანებებდნენ.

შენ ძველი წესით მუშაობდი. მე კი, ახალით მინდა ვიმუშაო. კლექტივში უნდა გადავირიცხოო.

ბაადურს შვილის დიდი დაჯერება ჰქონდა. თავი მოსწონდა, რომ ის მთელ სოფელს მეთაურობდა და ამხანაგებში თავკაცობდა.

ბესოს ნათქვამი მოიაზრა, ცოტა დაფიქრდა. მერე ჰკითხა:

- ჩვენ რომ ნადი ვიცოდით, იმას ხომ არ ჰგავსო?

ძველი კაცი ძველი წარმოდგენებით და ცნებებით აზროვნებდა. ბესო მიუხვდა. შედარება დაუდასტურა. ბაადურს ეს ძალიან გაუხარდა, მაშინვე მოუწონა ღონისძიება. მერე სიტყვა «კოლექტივი» რომ სწორედ გამოეთქვა, ასჯერ მაინც გაიმეორა და ბესოს ასწორებინა, სანამ კარგად არ გამოტეხა. რუსუდანსაც დააზეპირებინა, _ გამხიარულდნენ ბებრები.

მერე ის იყო, რომ კოლექტივში მოყოლილი მოსახლეობა საგაზაფხულო მუშაობისათვის გააერთიანეს. ბესომ მაგალითი მისცა, და ბაადურის საყანე მიწა _ წინაეზო, რომელიც ბაადურს საგანგებოდ ჰქონდა შემოღობილი, ამ გაერთიანებაში პირველადვე მოექცა. ამას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ეს მიწა ზედ მიკრულიყო საკმაოდ ვრცელ მინდორს, რომელიც კოლექტივის მფლობელობაში გადავიდა.

როგორც კი ზამთარი მიიწურა, კოლმეურნეების შეერთებულმა ძალამ თვალის დახამხამებაში აშალა და დაარღვია ბაადურის წინაეზოს ღობე.

შეიტყო თუ არა ბაადურმა ღობის აშლის ამბავი, მოულოდნელად შეიცვალა. თითქოს დიდი უბედურება თავს დაატყდაო, ისე შეიცხადა, მერე არ დაიჯერა. ჩემს შვილს ასე არ უთქვამსო.

რუსუდანმა ისე მოახერხა, რომ ქოხის კარით პირდაპირ ლოგინიდან გაახედვინა, გარღვეული ადგილი დაანახვა.

ბაადურს მაინც არ უნდოდა დაეჯერებინა.

შუადღემდის იწვალა ლოგინში, ნაშუადღევიდან ერთი აზრი აეკვიატა.

- ისევ უნდა შევღობოვო, _ მაგრამ ეს ცოლსაც არ გაუმხილა.

რამდენჯერ შეეკითხებოდა რუსუდანს ღობის შესახებ და მისი დაშლის დადასტურებას გაიგონებდა, იმდენჯერ გულში ფარულად გაივლებდა.

- ისევ შევღობავ. მალე უნდა მოვკვდე. მამასთან რა პირით წარვსდგე, გარღვეული ეზო რომ დამრჩესო.

თან ღონეს ისინჯავდა, თუ რამდენად შესძლებდა ამის შესრულებას. ძალიან ეჭვობდა, რომ მკლავებსა და ფეხებში საჭირო ძალა აღმოაჩნდებოდა. ამიტომ იყო, რომ ასე დაჟინებით ცდილობდა ღობის დაშლის ფაქტის უარყოფას და ცოლისაგან ამასვე მოითხოვდა. მაგრამ ვერ ახერხებდა.

საღამომ რომ მოაწია, ველარ მოითმინა, რაც ღონე გააჩნდა, მოიკრიბა და წამოდგა. გრძელი მოკაუჭებული ჯოხი ყავარჯენივით მოიმარჯვა და მოშვებული ძვლების ჭახუნით ძლივს კართან მილასლასდა.

ახალი გაზაფხულის ოდნავ შენისლულ გრილ ბინდში მისი მოშენებული ეზო ლურჯად მოჩანდა. ამ ბოლო დროს ბაადური იშვიათად ხედავდა მას ასე ფართოდ, მთელ მის სიგანესა და სიგრძეზე. როცა კი საშუალება მიეცემოდა მისი ხილვისა, თითოეულ საგანს ცალკე ათვალიერებდა, შორიდან ჩიფჩიფით ეალერსებოდა, ესაყვარლებოდა. ახლა ყურადღებაც კი არ მიაქცია. პირველადვე თვალი იქ მოახვედრა, სადაც დიდ მინდორთან თავისი წინაეზოს საზღვარი ეგულებოდა. სულ დაღამებულიც რომ ყოფილიყო, მის თვალს ამ პატარაობიდანვე შესისხლორცებულ მანძილზე უბრალო წკირიც კი შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, ისე შეგრძნობილი ჰქონდა ყოველი მისი ხაზი და წვრილმანი. _ ღობე მართლაც არსად იყო. მხოლოდ დაძრობილი სარები ერთად მოექუჩებინათ და ყორესავით კუთხეში დაეწყოთ. წინაეზო კი უშუალოდ უერთდებოდა კოლმეურნეობის ვრცელ ფართობს, რომლის დასასრული ახლოს არ ჩანდა.

- ჰუჰ! _ შეოცებით წამოიძახა ბაადურმა, თითქოს ნახულს სრულიად არ მოელოდაო. მისმა გაკვირვებამ შიშის სახე მიიღო, როცა საზღვარს აქეთ მან თვალი მოჰკრა შავად დაყუდებულ რაღაც საგანს, რომელიც ვერ იცნო.

სახე შეკრა, აიძაგრა და უცებ ელდანაკრავივით წამოიყვირა:

- დედაკაცო, ეზოში სხვისი კამეჩი შემოსულა თუ ეს რა ამბავია?

ზარდაცემული რუსუდანი ქმართან მიიჭრა. გაიხედა. მაგრამ შეშინებული სახე გახედვისთანავე გაეხსნა და დამშვიდებულმა ბაადურს საყვედურით მიმართა:

- შემაშინე, შე კაცო! კამეჩი კი არა... ის არის... მაშინა, უხაროდ რომ ხნავს, _ და უკან დაბრუნდა.

სწორედ ამ დროს იმ შავ საგანს მოულოდნელად ალი ავარდა და გარშემო უცებ ისეთმა ტკრციალმა შესძრა და შეაქანა, თითქოს ზედიზედ რამდენიმე თოფი ერთად დაიცალაო. მანქანამ მალე მძიმედ მოიქშინა და თავისებური გუგუნი გააბა, მერე ზლაზვნით ფეხი აიდგა და წაგრუხუნდა.

ბაადურს ენა ჩაუვარდა მოულოდნელობისაგან, მაგრამ მალე გამოერკვია.

მეორეჯერ ხედავდა ტრაქტორს. გუშინ მთელი სოფელი ეხვეოდა და ეცნობოდა ამ ახალსა და საოცარ მოვლენას. ბაადურმა მაშინ თავისი ლოგინიდან თვალიღა მოავლო მას. კარგად ვერც კი დაინახა. ახლა მის დასათვალიერებლად უკეთესი შემთხვევა მიეცა, თვალს ძალა დაატანა და ყურთასმენა გაიმახვილა. მისი ყურადღება დღეს განსაკუთრებით ტრაქტორის გუგუნმა მიიქცია. მის ხმაში შეუცნობი რამ ძალა იგრძნო, რომელსაც სინჯვა დაუწყო. უნდოდა გამოერკვია, თუ რა შესაძლებლობის შემცველი იყო იგი. მაგრამ შესადარებლად გამოსადეგი საგანი თავისი გამოცდილების საგანძურში ვერ აღმოაჩინა: _ ვერაფრით ვერ აწონა, ვერაფრით ვერ გაზომა. მაგრამ ერთი რამე კი მისმა მიხვედრამ სრულიად გარკვეული აზრის სახით მოკვეთა:

ამ შეუპოვარსა და უცხო ძალას მისი ღობე მაინც წინ ვერ დაუდგებოდა.

და ეს ბაადურის გულმა რაღაც განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნო და აღნიშნა.

მინდვრის თავთან მისი ძაღლი მეზობლის ძაღლებს შეერთებოდა და მათთან ერთად გულმაგრად უტევდა თვითმავალ საკვირველებას.

სადღაც ბავშვების სტვენაშერეული კივილი და ყიჟინიც ისმოდა და მისალმების მსგავსი შეძახება, რომელიც სიხარულს გამოხატავდა.

მაგრამ მანქანის მძლე გუგუნი ისე გლეჯდა, ფლეთდა და ფანტავდა ამ აურზაურიან ახმაურებას, რომ მისგან ახლო მანძილზედაც კი არაფერი რჩებოდა. ხოლო ბაადურის ფარული გადაწყვეტილება კი მას მაინც ვერ მოეშალა. მოხუცის საიდუმლო გულისთქმა _ «ისევ შევღობავ» _ მაინც მკაფიოდ ხმიანობდა მის გულში და დაჟინებით ექსოვებოდა ტრაქტორის გუგუნის რიტმს.

და როცა მანქანა ბაადურის მიწას გასცილდა, მოხუცის თვალმა გადალახული საზღვრის ხაზზე ის ადგილი ბეჯითად შემოფარგლა, სადაც აღდგენილი ღობის პირველი სარი უნდა ჩარჭობილიყო. _ ბაადურს ახლა საბოლოოდ გადაეწყვიტა, რომ ამავე ღამეს, როცა ყველანი დაიძინებდნენ, მუშაობას ფარულად შეუდგებოდა და თავის ღია ეზოს კვლავ შემოარაგვავდა.

ამ გადაწყვეტილების მიღებამ ისე ააღელვა ბებერი, რომ მუხლებში კანკალი ჩაუდგა და იგრძნო, რომ უკანასკნელი ღონე ღალატობდა. _ იგი იმისთვისაც კი არ ყოფნიდა, რომ ცოტა ხანს კიდევ ფეხზე მდგარიყო. სასოწარკვეთილება ლოდივით დააწვა გულს და უფრო დაამძიმა. ძლივს მოშორდა კარს და უიმედო ლასლასით ისევ თავის ლოგინს დაუბრუნდა.

ფიქრებს მისცა თავი.

ჰეე, დროზე არ მოკვდა ბაადური. ახლა ნაღვლობს საბრალო, რომ ზამთარი გადაიტანა, გაზაფხულამდე მიაწია. რა სიცოცხლეა ასეთი სიცოცხლე, თუ ცოცხლებში არ ურევიხარ. სწორედ ასეთ ყოფაში ჩააგდო ბაადური სიბერემ.

კარგამოხურულ ქოხში, შუაცეცხლის პირას წოლამ მთელი ზამთრის განმავლობაში კიდევ უფრო დააძაბუნა ბაადური. უქმად გდების სევდამ კი, როგორც ჟანგმა რკინა, გული ისე შეუჭამა. არ მოელოდა, რომ სიბერე ასე მოერეოდა. თავი დევი ეგონა. ვინ მოსთვლის თავის სიცოცხლეში რამდენი ყანა მოუშენებია, რამდენი კორდი გადაუთხრია და მთის მიუვალი კალთები გა-

დაუბარავს. რამდენი ტყე გადაუჩეხავს, ამოუბუგავს, კლდე გაუპია და დედა-მიწის წიაღის მადლი ზედაპირზე ამოუტანია.

ახლა კი ღონეგამოლეული წევს. მაგარი ძვლები მოკრუნჩხვია, მაღალი მკერდი ჩაფუშვია. კანზე კაჟის კორძები დალბილებია და ოდესღაც სალივით მაგარი მკლავები თასმასავით მოქნილი კუნთებითურთ ორხესავით ჰკიდია, _ ერთი მტკაველი ეზოს შესაღობადაც არ გამოადგება.

იმას ვერ იტყვის, რომ შრომა, ამაგი არ დაუფასეს. იქნება, ეს იყო მიზეზი, რომ სიცოცხლე ასე გაუგრძელდა. ასეთი პატივი დასდვეს ჯერ შვილმა, მერე მეზობლებმა და მთელი სოფლის ახალმა მეთაურობამაც, რომ ხელმეორედ სული ჩაედგა.

ბაადურს აგონდება ის ამბავი, რომელიც ამ ორიოდე წლის წინათ მოხდა:

ერთ დღეს სოფლის თავკაცებმა მის ქოხში თავი მოიყარეს, ყველანი იყვნენ თითქმის, ვისთანაც ბაადურს ჭირი თუ ლხინი გადახდომია. _ მისი თანამებრძოლნი, შავი მიწის მუშები, _ თოხის, ბარის, წალდ-ნაჯახის ფალავნები. სალამი მისცეს. მოიკითხეს. დღეგრძელობა უსურვეს. მერე წამოდგა მისი ვაჟი, მამის ლოგინს მიუახლოვდა და ეს სასიხარულო ამბავი აუწყა:

- ჩვენი სოფლის მშრომელი გლეხკაცობის შუამდგომლობით, ხანგრძლივი, შეუწყვეტელი და პატიოსანი შრომისათვის, რომელიც შენი სიცოცხლის განმავლობაში გაგიწევია, მუშათა და გლეხთა სახელმწიფომ პატივი დაგდო და საცხოვრებელი პენსია გაგიჩინა, რადგანაც ღრმად მოხუცდი და მუშაობა კვლავ არ შეგიძლიაო.

მერე დაბეჭდილი, ბეჭედ-დაკრული ქაღალდი წაუკითხა და სასთუმალს ქვეშ ამოუდვა.

მეზობლებმაც მიულოცეს დიდი სიხარული გამოთქვეს.

არა, მადლიერია ბაადური. სიბერე უზრუნველყოფილი აქვს. ბედნიერიც არის: შვილი კაცი დადგა.

მეტი რაღა უნდა?

მაგრამ ღობეს მაინც რომ ვერ სთმობს, იმ მიწასაც რომ ვერ ელევა?

რა ქნას ბაადურმა?

ფიქრმა მოღალა.

...

ნავახშმევს კი ბაადურმა ცოლს ასე მიმართა:

- ნუღარ ფუსფუსებ, დედაკაცო, გეყოფა, დაწექი და დაიძინე, _ მოსვენება მინდაო.

თვითონ თვალები მილულა. ძილი მოიგონა.

დიდხანს იფხიზლა. საიდუმლო გადაწყვეტილების _ ღობის აღდგენის _ სისრულეში მოსაყვანად ემზადებოდა. გულს იმაგრებდა, ეჭვებს ებრძოდა და ღონეს იკრებდა. სხვანაირად არ შეეძლო მოქცეულიყო: ღობის აშლას მისი ბუნება ვერ შერიგებოდა.

ერთი ხნის შემდეგ ჩასთვლიმა.

მაშინვე მამა გამოეცხადა, _ კაცი სასტიკი, მრისხანე და ძლიერი.

ვითომ საღამო ჟამი იყო, როცა ღობემოხსნილ საზღვარზე დევივით გადმოალაჯა. მხარზე უშველებელი ძელი გაედვა, რომელსაც უღელი ხარკამეჩიც კი ადგილიდან ვერ დასძრავდა. ქამარში წინდაწინ წალდი ჰქონდა გარჭობილი.

შესდგა. საშინელი თვალებით მიმოიხედა. კარმიდამო შეათვალიერა. მერე ქოხისკენ აჩქარებით წამოვიდა. შიგ ღია კარით შემოვიდა, ძელი კუთხეში ჯოხივით მიაყუდა და ბაადურს წინ დაუდგა. ისე შეანათა თვალები, თითქოს წალდი დასცაო.

- ეს რა დაგმართია, ლაჩარო, რომ ღობისთვის ვერ მიგიხედავს? ასე როგორ დაგლახაკდი? შვილი სადა გყავს? ადე, ძაბუნო, მომყევი, შემოვღობოთ, მოგეხმარები. _ თავისებურად როხინობდა, თითქოს ციდან გრგვინვა ისმისო.

ბაადურმა სირცხვილისა და შიშისაგან თვალები დახუჭა, ვითომ პასუხის მოსაფიქრებლად, რომ მამის წინაშე თავი ემართლებინა. როცა გაახილა,

სასტიკი მამა მის წინ აღარ იდგა. ძელი ისევ მხარზე გაედვა და წინაეზოსკენ გაქანებული მიაბიჯებდა.

შეფაცურდა ძილში ბაადური, რათა საჩქაროდ წამომდგარიყო და მამას გაჰყოლოდა. _ ღონეს რომ ნატრობდა მთელი დღის განმავლობაში, ახლა სრულიად შემატებოდა. მის სიჭარბესაც კი გრძნობდა, ისე საკვირველად გამოცვლილიყო. ლოგინიდან ფეხები გადმოდგა.

სწორედ ამ დროს გამოეღვიძა. მაგრამ ამას არაფერი შეუცვლია. _ დაწყებული საქმე ბაადურმა ახლა უფრო ფიცხლად განაგრძო. მამის ხმა და სიტყვები ყურში ახლაც ისე ჩაესმოდნენ, რომ მათ სიცხადეში ეჭვი არ შედიოდა. _ მოხუცის თავში ცხადი სიზმარს გადაბმოდა.

«მამა, ალბათ, იქ მიცდისო», გაიფიქრა და ფეხზე დადგა.

არც კი გაკვირვებია, რომ ტანი მჩატედ აჰყვა. სიზმრად რომ მუხლებსა და მკლავებში ძალა იგრძნო, ახლაც, ცხადშიაც, ჰქონდა.

კუთხეში მიყუდებულ გრძელტარიან წალდს ხელი წაავლო და გასავალ კარს გამართული ნაბიჯით მიაშურა.

ეზოში ძაღლი დახვდა. გაუკვირდა პატრონის ნახვა: რამდენი ხანია გარეთ გამოსული არ უნახავს. წალდი ხელში დაუნახა. კუდის ქნევით მიეგება, გახარების გამომხატველი წკავწკავით ფეხებს ქვეშ გაეგო და მერე თამამის ყეფით წინ გაუძღვა ღია საზღვრისაკენ, თითქოს განზრახვას მიუხვდაო.

ბაადური, თითქოს მამას ბაძავსო, სასწაულებრ გაქანებული მიდიოდა. ერთ აზრად ქცეულიყო, ერთი ბრმა და უკანასკნელ სურვილად გრდაქმნილიყო, რომელსაც მისი სხეული ახლა ისე გაეტაცნა, როგორც ქარს ბუმბული.

ნაღობარ ადგილს რომ მიაწია, სადაც მისმა თვალმა დღეს ტრაქტორის გავლისას პირველი სარის ჩასარჭობი ადგილი დანიშნა, წალდი მოკლედ მოიქნია და მიწაში ჩაასო. მერე მოტრიალდა, ღობიდან გამოღებული სარების ყორე მონახა. ერთი ყველაზე უფრო მსხვილი და დიდი ამოარჩია. მხარზე გაიდვა და ისევ წალდს დაუბრუნდა. აქ შესდგა. სული მოითქვა.

მერე ორივე ხელით სარი მაღლა შემართა და მთელი ტანის ძალის მიყოლებით მოქნეული მიწაში ჩაარჭო.

მაგრამ თვითონაც, თითქოს ვიღაცამ მაღლიდან ძირს დაანარცხაო, ჩარჭობილი სარის ძირში პირქვე დაემხო მუხლებმოყრილი, წელში გადატეხილი.

და უცებ ისევე უძრავი შეიქნა, როგორც მის მიერ ჩასობილი სარი.

ერთგულმა ძაღლმა ერთხანს უცქირა, როდის წამოდგებაო. მოთმინება რომ არ ეყო, ყეფით რამდენჯერმე გარს შემოუარა და შემდეგ წინ დაუცუცქდა გაოცებული.

მაგრამ არც ბაადური და არც მისი სარი ოდნავადაც არ შენძრეულან.

დახურული წარმოდგენა

ჩემი მეგობარი რეჟისორის დრამატიულმა სტუდიამ ერთ საღამოს თავის მორიგ წარმოდგენაზე მიმიწვია. მოსაწვევ ბარათზე სხვათა შორის ეწერა: «წარმოდგენა დახურულია». უკანასკნელი სიტყვა ხაზგასმული იყო. მაგრამ მე ისედაც ვიცოდი, რომ სტუდია თავის წარმოდგენებს საჯაროდ ჯერ კიდევ არ მართავდა.

ამ სტუდიას ერთი რამ ახასიათებდა: პიესებს მაინცდამაინც არ ეტანებოდა. წარმოდგენას უმეტეს შემთხვევაში იმპროვიზებულ მასალაზე აგებდა. მე ყოველთვის მაკვირვებდა ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მასალა თითქმის ყოველთვის საეჭვო იყო დრამატურგიულად, ხოლო ლიტერატურულად ხშირად მიუღებელი, საღამო მაინც მეტწილად მეტად ორიგინალური და უდავოდ საინტერესო გამოდიოდა. რა თქმა უნდა, ამით იმის თქმა არ შეიძლება, რომ დრამატურგიის და ლიტერატურის კანონები თუ წესები ზედმეტი ბარგია შემოქმედებისათვის. სტუდია ამ შემთხვევაში უთუოდ რასმე აშავებდა. სახელდობრ რას, ეს მსჯელობის სხვა საგანია და ამას ახლა ვერ შევეხებით.

სხვა ღირსებათა შორის, ერთი უეჭველი ჰქონდა სტუდიას, რომელიც პირადად მე განსაკუთრებით მომწონდა: _ მისი წარმოდგენა დიდი-დიდი 1-1$^{1/2}$ საათს გრძელდებოდა, უანტრაქტო იყო და ამ ხნის განმავლობაში დამსწრეთ ერთხელაც არ მოაწყენდა.

საქმე არ მქონდა და წავედი.

...

ცოტა დამაგვიანდა. ის იყო თეატრის დარბაზს აბნელებდნენ, როცა შეველი. მოვასწარი მაინც და პარტერს თვალი გადავავლე. ამდენს საზოგადოებას არ მოველოდი დახურულ წარმოდგენაზე. დარბაზი თითქმის სავსე იყო. მინდოდა ნაცნობები დამენახა, რომ მათ შორის მოვთავსებულიყავ, მაგრამ უცებ ისე დაბნელდა, რომ ნაბიჯიც კი ვერ მოვინაცვლე. რომელი სკამიც მომხვდა ხელში, იმაზე ჩამოვჯექი, რომ სიბნელეში არ მეხეტიალნა და ვინმე არ შემეწუხებინა. სინათლის გაქრობა და მუსიკის დაწყება ერთი იყო.

ჩემი ყურადღება მაშინვე უცხო ჰანგებმა მოიტაცეს. ორკესტრი მეტად ნაზსა და იდილიურ რასმე უკრავდა. ნამდვილი ჩონგური მომაგონდა. პირველად რაღაცა მეუცხოვა. ჩონგურის ამბები დიდი ხნის დავიწყებული მქონდა. მერე კი ისეთი სიამოვნებით მივუგდე ყური, რომ თვალებიც კი დავხუჭე, რომ ტკბობა უფრო ინტიმურად განმეცადა.

სოფლის ორმა-სამმა ლირიულმა სურათმა გამირბინა თვალწინ. ბავშვობა გამახსენდა. სოფლად ყოფნა მომენატრა.

არ ვიცი რამდენ ხანს გაგრძელდ ასე. როცა თვალი გავახილე, ფარდა უკვე ახდილი იყო და ორკესტრის ადგილის გაღმიდან ღამეზე უფრო შავი სცენა შემომყურებდა.

მალე მუსიკამ თავისი ნელი და საამო მოტივი უცებ შესცვალა და დარბაზში მოუთმენლობით აწივლებული ჰანგები მიმოაბნია. ამავე დროს დაბნელებული სცენის ერთ კუთხეში სინათლის მქრთალმა შუქმა გაიკრთომარა და მოულოდნელად გამოაჩინა წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით დაჯორ-

გილი მაგიდა. მაგიდაზე ზემოთ აბაჟურ-ჩამოფარებული პატარა სანათური იდგა ანთებული. მის წინ ღრმად ჩაფიქრებული, ჭაღარა თმააბურძგნული კაცი იჯდა და იდაყვებზე თავით დაყრდნობილი საწერ ქაღალდს დასცქეროდა.

სიღრმეში კი ძლივს გასარჩევი კონტურების სახის, რომლებსაც მაგიდის პატარა სანათურის ანარეკლი შუქი კანტიკუნტად აჩენდა, მოდიდო შირმას მოვკარი თვალი და მის იქით კიდევ საწოლი ოთახის მორთულობას, ორი თუ სამი უფრო გარკვეულად მოხაზული ლოგინითურთ. ერთზე მძინარე ქალის სილუეტი ესვენა, მეორეზე ბავშვს ეძინა.

მაგრამ ის, რაც შირმას იქით იყო, ჩემმა თვალებმა მხოლოდ სხვათა შორის აღნიშნეს... მთავარი ყურადღება კი იმ ჩაფიქრებულმა, საწერად გამზადებულმა კაცმა მიიპყრო, რომელიც ძალიან მკაფიოდ მოჩანდა. მეტად დამახასიათებელი გრიმი ჰქონდა გაკეთებული, ისიც ისე მოხდენილად, რომ შეხედვისთანავე თავში გამიელვა:

- ეს კაცი უთუოდ პოეტია-მეთქი.

სინათლის წრე ახლა სცენის შუა ადგილას შეიკრა. მისგან ერთი შუქი წამოლივლივდა. გზადაგზა ელვის ხაზივით დაიღრაკნა, რამდენსამე ადგილას გადატყდა და პატარა, ლმოკიდებული ისრებივით ბნელში გაიფანტა. ძალიან ბევრი იყო. ვარსკვლავებივით ბჟუტავდნენ და ცახცახებდნენ. როგორც მუსიკის აწივლებულ ჰანგებს, ამ შუქის ისრებსაც მოუთმენლობა ეტყობოდათ.

არ გასულა ხანი, რომ მუსიკა საზეიმო მოტივზე გადავიდა, თითქოს იერიშის მიმტან ჯარს ამხნევებსო, და შუქის ისრებიც ამის კვალობაზე ამოძრავდნენ. ჯერ ერთად შეჯგუფდნენ, დარაზმდნენ, მერე სათითაოდ ერთიმეორის დადევნებით სცენის სიღრმისკენ გაექანენ და აქ სადღაც, ერთ წერტილში თავგანწირვით შეერჭვნენ.

შუქმიყენებული ადგილი თანდათან განათდა და ბნელში ბეჭედივით ამოჭრილი დიდი სურათის სახით წარმოგვიდგა.

ველის ყვავილების ფერებმა თვალები მომჭრეს.

ღელის პირად ერთი ისეთი ტირიფის ხე იდგა, რომ შიშველსა და თმაგაშლილ ქალსა ჰგავდა. მის ძირში ყმაწვილი ქალი დამდგარიყო, გულმკერდღია და მოკლეკაბიანი. ეტყობოდა, უბრალო სოფლელი გოგო იყო. ცოცხალს ძალიან ჰგავდა. თვალები შავად უციალებდნენ. ღაჟღაჟა ლოყები ჰქონდა და ტუჩები, როგორც მიხაკი.

მისგან ცოტა დაშორებით, ხის ძირის არეშივე, იმ გოგოს ხილვით გახარებული ვინმე ვაჟი შეყენებული ჩახმახივით იდგა და ამ სახით ლამაზ გოგონას აღტაცებით სალამს აძლევდა.

ვერ მოვასწრი სურათს კარგად დავკვირვებოდი, რომ სინათლემ წამდაუწუმ ფერის ცვლა დაიწყო, და იმ ქალისა და ვაჟის სურათი ისე აამოძრავა, რომ ცოცხალს დაამსგავსა.

- ალბათ, მსახიობები არიან, ჩარჩოში ასე მოთავსებულები და მათ შორის მალე დიალოგიც გაიმართება-მეთქი, ვთქვი გუნებაში. მაგრამ მერე ასეთი ილუზიის მიზეზად ნაირფერი შუქთა ხშირი ხამხამი მივიჩნიე.

მხოლოდ ახლა მივაქციე ყურადღება ერთ გარემოებას: ბედნიერი ვაჟი, რომელიც ტირიფის ძირში მდგომ გოგოს აღფრთოვანებით სალამს აძლევდა, უთუოდ ჰგავდა ამ წამებლ პოეტს, სცენის კუთხეში რომ პატარა სანათურის წინ იჯდა და ღრმა ფიქრებს მისცემოდა.

იმ კუთხისკენ რომ მივიხედე, ამაში სრულიად დავწმუნდი: მაგიდას უჯდა სიბერისაგან შენაცრებული და წამებისაგან დალეწილი სახე, ხოლო ტირიფის ძირში იდგა იგივე სახე, ახალგაზრდა და ბედნიერებით ანთებული. ამ გახედვამ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც გამოააშკარავა: პოეტსა და სურათს შორის გამართულმა შუქის კონების შეუწყვეტელმა მოძრაობამ მაგრძნობინა, რომ პოეტსა და იმ ყმაწვილს შორის უხილავი კავშირი იყო გაბმული. დასკვნის გაკეთებაც არ დაუყოვნებია ჩემს მიხვედრას. ტირიფის სურათი ქალიან-ვაჟიან პოეტის ფიქრის უშუალო ანარეკლს წარმოადგენდა.

სცენაზე რაღაც კვანძისებური ინასკვებოდა.

... ნელ მუსიკას პოეტის ხმა შეერია. იგი საიდუმლომ ოგონების კილოზე იყო მიმართული, ინტიმურ განწყობილებას ჰქმნიდა და უაღრესად წვდებოდა გულს. პოეტი ისე ლაპრაკობდა, თითქოს თავისთვის, გულზე დაწერილს კითხულობსო:

- მე ვეძებ ქალწულს, რომელიც მიყვარს მას შემდეგ, რაც თავი კაცად მახსოვს და რომელსაც დღიდან აჟღერებისა ჩემი ჩანგი ამკობს. ვეძებ და ვერ მიპოვნია... პირველად აი, ამ ტირიფის ძირში ვნახე... დიდი ხანია, რაც ეს მოხდა... მას შემდეგ დავკარგე... ვეძებ და ვერ მიპოვნია.

- ახალგაზრდა ვიყავი, ჭაბუკი. არც კი მახსოვს რამდენი წლისა. მახსოვს სოფლად ვცხოვრობდი მარტო. დავდიოდი ტყედ და ველად და ყრმის ოცნების აბრეშუმის წმინდა ძაფით ვქსოვდი საიდუმლო ზღაპარს ტყის მშვენიერ დედოფალზე. ვერც კი ვარჩევდი კარგად: მე ვამბობდი, თუ გარემო იყო, ჩემ მაგიერ რომ მეტყველებდა. ასე ვამბობდი:

«ერთხელ ერთმა ჭაბუკმა ღელის პირას ტყის დედოფალი დაინახა, ველის ყვავილებით შემოსილი. როგორც კი დაინახა, მაშინვე შეუყვარდა».

- სწორედ ამ დროს თმაკულულებიანი ტირიფის ძირში მე მას პირველად თვალი მოვკარი. ვითომ ვიცანი... ვითომ დაბადებამდე ვიცნობდი... გაოცებული შევდექი!

ამ დროს მოულოდნელად სინათლე ჩაქრა, პოეტს რომ ანათებდა. პოეტის მაგიერ ახლა ტირიფის სურათზე დახატული ჭაბუკი სასწაულებრ ამოძრავდა და დარბაზში ისეთი აჟღერებული ხმა გაისმა, რომ გული მომტაცა.

- «გამარჯობა შენი, სულიკო! _ მიმართა ჭაბუკმა ტირიფის ძირში მდგომ გოგონას და მოკრძალებით თავი დაუკრა.

- «რატომ გგონია, რომ სულიკო მქვია? შენ ვინ ხარ? _ უპასუხა შეკითხვით გოგომ.

- «გამარჯობა შენი, სულიკო!

- «დედა მყავს ძლიან ავად. მეუბნებიან უბედურს, არ გადარჩებაო. მე მამინაცვლის ხელში ვრჩები ობოლი და უთუოდ დავიღუპები. ის საშინელი კა-

ცია. არავინ არ მყავს _ არც და, არც ძმა... ახლა კიდევ დედა ავად გამიხდა. რატომ მეუბნებიან არ გადარჩებაო? მე მაინც მის მოსარჩენ წამალს ვეძებ. ერთი უსახელო ყვავილი ყოფილა, სამყურა ბალახის მსგავსი, მაგრამ თურმე ოთხი ყური კი ასხია. მითხრეს, დედას ის ყვავილი მოგირჩენსო. შენ, იქნება, იცი ის უსახელო ყვავილი სად იზრდება. მასწავლე, თუ იცი, დედა ნუ მოგიკვდება. დედა ხომ გყავს?.. ასე რად გაჩუმდი? ხომ არ დამუნჯდი? სთქვი, თუ იცი, ხომ ხედავ, რომ არ მცალია. ძალიან მეჩქარება. ავადმყოფ დედას უნდა მივუსწრო.

- «მე არ დავიჯერებ დედაშენის სიკვდილს, ისეთი მშვენიერი ხარ. მოგეშველები. ორნი უკეთ დავძებნით. გინდა?

- «რატომ არა? მადლობელი ვიქნები. დედაჩემი ყველას უყვარს, ისეთი კეთილი არის. მაგრამ რა გითხრა, იცი: რომ ვნახოთ, შენ არ უნდა მოწყვიტო. მე რომ შვილი ვარ ჩემი დედის, მოწყვეტა მე მეკუთვნის. თუ არა _ არ გამოდგება».

გოგომ ჭაბუკს ზურგი შეაქცია. პატარა მინდორი გადაირბინა და ტყისკენ გაიქცა. ჭაბუკი კვალდაკვალ მიჰყვა. გაუთანასწორდა. გვერდში ამოუდგა.

ამდენ ხანს მიყუჩებულმა მუსიკამ ხმა ამოიღო.

ის გოგო და ჭაბუკი ძალიან შორს წავიდნენ. გზადაგზა შესდგებოდნენ, ყოველ ბუჩქთან მუხლს მოიყრიდნენ. დაიხრებოდნენ და უსახელო ყვავილს ეძებდნენ. ასე ტყეში შევიდნენ. ბევრი იარეს. ძლივს მოსჩანდნენ.

ეს როგორ არის-მეთქი, რომ ასე შორს წავიდნენ. ასეთი დიდი სცენა სად გაგონილა-მეთქი.

ეჭვი არ იყო, წარმოდგენა ახლა ეკრანზე გრძელდებოდა.

კარგად იყო მოწყობილი. შევაქე გუნებაში ოსტატობა ჩემი მეგობარი რეჟისორის.

... ეკრანზე გადიდებულად: ბუჩქი და მის ძირში ორი უცხო ყვავილი, წყვილად. გოგომ დაინახა. გახარებული მოსაწყვეტად მივარდა. დაიხარა. უბიდნა ორი ძუძუს კოკორი გამოუჩნდა, წყვილადვე, იმ ყვავილების ტოლები

და მაგვარები, ჭაბუკიც ხან ბუჩქის ყვავილებს შეხედავდა, ხან გოგოს გულის ყვავილებს.

როცა გოგომ უცხო ყვავილების მოსაწყვეტად ხელი ბუჩქისკენ წაიღო, ჭაბუკის ხელი მის გულის ყვავილებს მიწვდა.

და ეკრანიდან სცენაზე:

- უიმე, ამას რას შვრები? _ ფეხზე წამოიჭრა გამწყრალი გოგო.

- ყვავილები შემეშალა!

- აკი გითხარი, მე უნდა მოვწყვიტო-მეთქი! ხელი რატომ შემიშალე?

- შენ მხოლოდ შენი დედა გეცოდება, სულიკო.

- არც კი მესმის, რას ამბობ! მართლა გგონია, იქნება, რომ სულიკო მქვია?

- შენ ჩემი სულიკო ხარ!

- როგორ თუ შენი? პირველად გხედავ. თავი დამანებე, ვიღაცა ხარ. მაგ-ვიანდება. სად იყო ყვავილი? აი, აქ დავინახე და აღარ არის. რა იქნა? რა ვქნა, სად გაჰქრა! შენი ბრალია! იქნება, ეს ბუჩქი კი არა, ის იყო, მეორე...

ეძებს. მეორე ბუჩქთან მიდის. ჭაბუკი არ შორდება.

სცენიდან ეკრანზე:

ტყის სიღრმეში ის გოგო და ჭაბუკი უსახელო ყვავილის ძებნას განაგ-რძობენ.

...

მუსიკამ უცებ საშინელი კივილი მორთო, თითქოს სადღაც მეგრელმა ქალმა სიკვდილი შეიცხადაო.

გოგო ზარდაცემული შესდგა. მიაყურა. შიშისაგან თვალები გაუფარ-თოვდნენ.

- ვაიმე! _ თმაში ხელი იტაცა და თავის ადგილს მოწყდა. გაიქცა. ისე სწრაფად გარბოდა, რომ ყმაწვილმა თვალი ვერ შეასწრო.

გოგომ ტყე გაირბინა. სოფლის შუკაზე გავიდა.

შუკის პირად პატარა ქოხი იდგა ეზოიანი. ეზოში ხალხი შექუ-ჩებულიყო, უფრო მეტწილად ქალები.

ვიღაცა დედაბერი ქოხიდან გამოვარდა და თმის გლეჯით და ლოყების კაწვრით კივილი დაიწყო.

ამ დროს ჭაბუკის მიერ სულიკოთი წოდებული გოგოც შემოიჭრა ეზოში. ხალხი მოთქმით, კივილით მიეგება მას. გოგონა შეუჩერებლივ შეიჭრა ქოხში.

კერიასთან დაბალი ლოგინი გამოჩნდა, რომელზედაც გულზე ხელებ-გადაჯვარედინებული და თვალებდაწკურული მიცვალებული ქალი ესვენა. შემოსვლისთანავე გოგონა მიცვალებულს გულში ჩაეხუტა. გადაეხვია. ზედ დაეკრა. კოცნა დაუწყო.

ქოხი მგმინავი ხალხით აივსო.

სწორედ შემზარავი სურათი იყო. მუსიკის მოთქმასა და ქვითინს გულმა ვერ გაუძლო.

მაგრამ სურათი მალე გაჰქრა და მუსიკა შეწყდა.

დაბნელებულ სცენაზე ხანგრძლივი სიჩუმე დამყარდა.

ამ სიჩუმესა და სიბნელეში დარბაზის სმენა პოეტის მოულოდნელმა და აქვითინებულმა ხმამ შეარხია:

- შენი მეორე უბედურების მოწმეც ვიყავი მე, სულიკო. ის კიდევ უფრო საშინელი იყო. მან ჩვენი ბედი სამუდამოდ გადაწყვიტა.

...

სცენის ერთ კუთხეში, წინა რიგზე, ტყით მოსილი მთიდან ჩამომავალი ბილიკი გამოჩნდა. ბილიკზე: შუახნის გლეხი, მხარზე ხურჯინგადაკი-დებული. ხელში ჯოხი. გვერდით გოგონა მოყვებოდა, შავად ჩაცმული. თავ-წაკრული. აცრემლებული. ხელში კალანჩხა ეჭირა ბარგიანი.

- მე რა, შვილოსა... რა მდიდარი მნახე. ჩემი საკმარი პური არ გამაჩნია და შენ კი საიდან გარჩინო? დედაშენს რაც დარჩა, კარგად იცი. წელს კიდევ ჭირნახული არ მოვიდა. ძროხა უნდა გავყიდო.

- დედის ძროხა?

- აბა, დედისა ახლა საიდან იქნება, სულელო? შენ კი, შვილოსა, რახან ობოლი ხარ, ღმერთიც გიპატრონებს. ხომ გაგიგონია, ობოლს ღმერთი წყალობსო. ჰოდა, არაფერს გაგიჭირებს. ესეც არ იყოს, ამოტელა ქალი ხარ: ყოველ საქმეში გამოდგები. ა? ხომ ასეა, ნინიკავ! აი, ვარდებიც კი გამოგესხენ გულზე. ქალი ხარ, მაშ! მოიტა, ერთი შეგისრისო, უფრო მალე დაგიმწიფდება... ხი-ხი-ხი.

- ხელი გამიშვი!

- დაიცა, საით გარბიხარ? გადიჩეხები. ვერ ხედავ, ხრამია და მერე უფსკრული. სხვების გეშინოდეს, შვილოსა, სხვების! მე რა? ქალაქში ბევრნაირი ხალხი ცხოვრობს. იქნება, ისეთ მდიდარს მოეწონო, რომა სულ ჩემზე ილოცო, რომ სოფელს მოგაშორე. მაშა! თუ არა და, შენი სამსახურის სხვა მსურველიც გამოჩნდება, თავს კარგად ირჩენ და ქალაქის ხალხშიაც გაერევი... იფ, როგორ მოგრთავენ, რომ იცოდე. სულ პეპელას დაგამგზავსებენ! არ გიხარია, გოგო? რას გაჩუმებულხარ! როცა იქაურობას შეეჩვევი, არც კი მოგაგონდება ჩემს ქოხში დაბრუნება. კარგი რომ ყოფილიყო, არც დედაშენი მიატოვებდა, მაშ! შენც დაივიწყე, შვილოსა. გული იმას მეუბნება, ისეთი ბედი გელის, რომ, იქნება, მეც რამეს გამოგრჩე... დაიცადე-მეთქი, ნინიკავ, წინ ნუ გარბიხარ! რა გექჩარება? ბედი არსად წაგივა, ნუ გეშინია. მანამ აქ მოდი ჩემთან ახლოს. ჩემს გვერდით იარე. მანდ, ქვემოთ, ტყე იწყება და შეგეშინდება... ჰო, ზაქრომ იხუმრა: ეს ჩვენი ლუკმა რაღა სხვის ჯამში ჩავარდესო! ხე-ხე-ხე... მოსწონხარ. მაგრამ ზაქროც რა ჩვენი ჯამია, არა, გოგონავ? ხე-ხე... გოგო-მეთქი, ი შენი უცხო კურო, ლანდივით კუდში რომ დაგდევდა, საიდან გადმოვარდა, არ იცი? ჰუ, ისე დაუფეთე ანგელოზი, რომ... ჰეე, შე კუდრაჭავ შენა, დაიწყე?

მიუახლოვდა. მკლავზე ხელი წაატანა. გოგო დაფრთხა. გაქცევა მოინდომა. გლეხი უცბად გაჯავრდა. ცალი ხელი მაგრად ჩასჭიდა მკლავში, ცალით ხურჯინი მოიხსნა და მიწაზე დააგდო.

- პირძაღლო, არ გესმის, ჩემთან მოდი-მეთქი!

და ორივე ხელი ტორებივით მოავლო.

გოგო შეეჭიდა, შეებრძოლა, ამან გლეხი უფრო გააბრაზა.

წამი და, შებღუჯული, შეკუმშული გოგო მიწაზე დაანარცხა, ზედ მოექცა.

საშინელი ჭიდილის სანახაობა ახლა მიწაზე გაგრძელდა.

ამ სურათს შეუმჩნევლად ეკრანის ვიწრო და გრძელი არშია გადაედება, რომელზედაც შეყვარებული ვაჟის ფიგურამ გაიელვა, ქარის ტალღას დამსგავსებულმა. ხელები დაემუშტა. თვალები გადმოეკარკლა და თავგანწირულად მორბოდა.

და სცენაზე გლეხის და გოგოს ჭიდილი ელვის უსწრაფესად ვაჟისა და გლეხის ჭიდილად შეიცვალა.

ვაჟის თავგანწირვამ სძლია: გაგუდული გლეხი უფსკრულს გადაეშვა.

განზე გამდგარმა, შეშინებულმა გოგომ არ იცოდა, რა ექნა. თვალებში ისეთი შიში უკრთოდა, რომ გეგონებოდა, უთუოდ გაგიჟდებაო. როცა ბედნიერებით ანთებულმა გამარჯვებულმა ვაჟმა მისკენ ნაბიჯი გადადგა და ხელები ისე გაშალა, თითქოს გულში ჩაკვრას უპირებსო, გოგო უცებ უკან გადახტა. გარშემო ისე მიმოიხედა, თითქოს თავსაფარი ადგილის მონახვა სწადიაო. მაგრამ რაკი ვაჟი შეუჩერებლად მიიწევდა მისკენ ხელებგაშლილი, თავსაფარის ძებნას თავი დაანება და ნამდვილ რისხვას დაემსგავსა. მოქნილი ტანი შეიმკვრივა, ბრძოლისათვის გაემზადა. ვაჟს საშინელი ხმით შეუტია:

- შესდექ!

ისე შესძახა, რომ ნაბიჯი შეუკრა.

ჩანდა, გოგოს მოეჩვენა, რომ ვაჟიც მისკენ ისეთივე განზრახვით მიიწევდა, როგორც მამინაცვალი.

ვაჟი მიუხვდა შიშსა და ეჭვს. ამან საშინლად იმოქმედა მასზე. გაშლილი ხელები მოიკეცა და სახეზე აიფარა: მისმა თვალებმა ეს სანახაობა ვერ აიტანეს.

ამით ისარგებლა გოგომ. შეტრიალდა და ისე სწრაფად გაიქცა, რომ უმალვე მიიმალა, _ სადღაც გაჰქრა.

როცა ვაჟი გამოერკვია და გამოიხედა, გოგო აღარსად იყო. აქეთ ეცა, იქით ეცა. მაგრამ კვალიც კი ვერსად აღმოაჩინა.

მაშინ სასოწარკვეთილი მიწაზე პირქვე დაემხო და ბავშვივით ბღავილიანი ტირილი მორთო.

სურათი უცებ ბნელმა დაფარა.

...

მუსიკამ საყვირების ხმების ნამდვილი კორიანტელი დააყენა.

ეკრანზე დიდი ქალაქის სანახაობა გადაიშალა.

მაღალ გადასახედზე ვაჟისაგან გამოქცეული გოგონას შავი ლანდი გადმოდგა. თმაგაშლილი, კაბა-შემოგლეჯილი, და ქალაქს შეშლილივით ცქერა დაუწყო.

ქალაქმა გველეშაპის სახე მიიღო. ასეთი არც ზღაპარში გაგონილა, ტანზე ათასი თვალი უბრჭყვიალებდა წითელნარევი ყვითელი ფერისა. ათიათასი ხელი მაღლა ჰაერში შეემართა, და ნესტოებით ამონასუნთქი სქელი, შავი ბოლი ამოსდიოდა. საშინლად ქშინავდა. იკლაკნებოდა.

უცებ ყველა თვალი გადმოიკარკლა და გადასახედზე გადმომდგარ გოგოს მიაპყრო. მერე ყველა ხელი ამავე გოგოსკენ გამოაშვირა.

გოგოს შეაჟრჟოლა. მაგრამ გველის თვალებით დატყვევებული ჩიტივით ადგილიდან ფეხი ვერ მოინაცვლა.

მუსიკამ უბედურების აწივლებული წინაგრძნობის ჰანგებით შესძრა დარბაზი.

სადღაც, შორს ვაჟის თვალებმა დაიბრიალეს.

გაისმა შემზარავი, გულიდან ამოხეთქილი ძახილი:

- სულიკო!

რომელიც მუსიკამ აიტაცა და ისე გააქანა, თითქოს მთელ ქვეყანას მოსდვაო.

და ერთბაშად ყველაფერი გაჰქრა.

მუსიკაც შეწყდა.

...

პაუზამ სული მომაქთმევინა.

მაგრამ არ გასულა ერთი ხანიც, რომ სინათლის ორმა კონამ სცენაზე ისევ გამოაჩინა:

მარჯვნივ, კუთხეში _ პოეტის სახე, ალშეკიდებული თვალებით. ხოლო პირდაპირ სიღრმეში, _ ქალ-ვაჟი ტირიფის ძირში, როგორც ეს თავდაპირველად იყო წარმოდგენილი. დარბაზში პოეტის ხმა დაირხა:

- განვლეს წლებმა, საუკუნეებივით გრძელებმა. ჟამთა ნაკვალევში აიმართნენ დროთა სრბოლვის ნაფეხურები, როგორც საფლავები ოდესმე ცოცხალ სახეების, მოქმედ აზრების და წარმტაც მოჩვენებების... ჩამოდგნენ ახლები მათ კვალობაზე. შეიცვალა ჩემი ნაცნობი ქვეყნიერება: გარდავიდნენ ზნენი, ჩვეულებანი... უცვლელი დარჩა მხოლოდ ეს სურათი და ჩემი სიყვარულის ყივილი ქალწულისადმი, რომელიც დავკარგე...

დიდი ხნის პაუზის შემდეგ:

- იქნება, ისევ სოფელს დაუბრუნდა და თავი ტყეს შეაფარა, მტაცებელ ადამიანებს თავისი სიტურფე განარიდა. გაქელვას, გაძარცვას გაექცა.

იქნება, მართლა ქალაქმა ჩანთქა შეუბრალებლად და დაიღუპა, როგორც ათასი, ათი ათასი და მილიონი. მეძავმა ქუჩამ წაუბილწა მშვენიერება და შერყვნა მისი სახიერება.

და სცენაზე ელვის სისწრაფით გაიმართა ოქროსფრად მოვარაყებული ტყე. ფოთლებმა ჩაიშრიალეს.

მერე ღამე ჩამოწვა, რომელსაც მთვარით და ვარსკვლავებით ანთებული ცა ზემოდან გადმოეხურა.

მთვარის შუქზე ტყეში ათასმა სახემ გაიკრთომარა. ყველა სულიკოს ჰგავდა.

ტყეში პოეტის ლანდი შემოვიდა გულჩათხრობილი.

ეს უკვე ის ყმაწვილი აღარ იყო, ტირიფის ძირში რომ იდგა. ეს ის პოეტი იყო, რომელიც სცენის კუთხეში მაგიდას უჯდა სანათურის წინ.

იგი დიდხანს იდგა უძრავი და მდუმარე. გულზე ხელები დაეკრიფა და ხეებს შორის მიმობნეულ სახეებს უთვალთვალებდა, რომლებიც სულიკოს ჰგავდნენ.

მერე ნელა, მუსიკასთან ერთად:

- ყოველთვის მიყვარდით, ტყეო, ღამევ და მთვარეო. ცაო, ვარსკვლავებით ანთებულო და ლაჟვარდო იდუმალო... და, აჰა, კვლავ თქვენთან მოველი. აჰა, კვლავ თქვენთან ვარ, თქვენებრ ფიქრიანი და საიდუმლოებით აღსავსე. ჩემი სულიკო თქვენი ფიქრების ანარეკლია, თქვენი სახეა და საუნჯე. თქვენს წიაღში ვიხილე იგი პირველად. ეს იყო ხილვა სიყვარულისა, სულს რომ მუდამ სწყურია. ვიცი, ახლაც თქვენს შორის არის ჩემი სულიკო. მე კი გზადაბნეული სად არ ვეძებდი. ეჭვმა გული დამისერა. სული წვალებამ დამიფლითა. და ისევ თქვენთან მოველ გასამართლებლად. აი, უკვე დავინახე კვლავად, ვისაც ვეძებ. აი, სულიკო! მიახლოვდება, ოჰ, როგორ მინდა მისი ხმა გავიგონო. ჩემს გულს მხოლოდ ეს ხმა აჟღერებს. იგი არც უნდა შეწყდეს ერთი წუთითაც ამ ქვეყანაზე, სანამ ყურთასმენა არსებობს და სიყვარული ერთადერთი გრძნობაა, რომელიც სიცოცხლეს ამართლებს. მაგრამ მე აქ იმისთვის მოველ, რომ სულიკო ჩემთან წავიყვანო, ჩემს პატარა, მყუდრო კუთხეში, რომელიც ჩემთან ერთად სულ მას მოელის. ამქვეყნად ყველაზე უფრო მან უწყის ჩვენი დიდი სიყვარულის ამბავი... იქ, იმ ჩემს თავშესაფარ კუთხეში თავს იყრის ყველადროს ოცნება, რომელიც კი ოდესმე ან სადმე დაბადებულა, და ყველა სამკაული, რომელსაც ოდესმე ცხოვრება დაუმშვენებია. იგი დიდია თავისი შინაგანი მოცულობით. მასში წირვასავით გაისმის ყოველი ჟამი, რომელიც ქვეყნად ირეკება, როგორც წამი, წუთი, საათი, დღე, წელიწადი თუ საუკუნე. ჩემი სული იქ გუნდრუკს უკმევს ყველა ცხადებას, ხილულად თუ უხილავად რომ მევლინება, მათ შორის პირველი სულიკო არის და ყველაზე უფრო მიყვარს, რადგან ყველაზე უფრო საკვირველია და სასურველი...

პოეტის სიტყვებს ბოლოში საიდანღაც ჩუმი მოთქმის კილო შეერია. თვითონ პოეტის ხმა იძლეოდა ასეთ კილოს, თუ მუსიკა მოთქვამდა, ძნელი გასარკვევი იყო.

ეს კილო შემდეგ ნამდვილ ტირილად გადაიქცა და მუსიკამ უკვე გარკვეულად ისეთი ზარი ააგუგუნა, რომ შემკრთალმა პოეტმა უმწეოდ დაიწყო აქეთ-იქით ცქერა.

ტყეს უცნაურად სახე შეეცვალა, თითქოს შავი სუდარა გადაეფარაო.

ღამემ, ცამ, მთვარემ ისეთი პირი გამოაჩინეს, თითქოს გულამოსკვნით სტირიანო.

და ტყის შუა გულიდან პოეტისკენ მომავალი სამგლოვიარო პროცესია დაიძრა, საიდუმლოებით მოცული.

წინ, მაღლა ჰაერში შემართული, ყვავილებისაგან შეკონილი კუბო მოჰქონდათ. კუბოს უკან მოჰყვებოდა მთელი დასი სულიკოს ორეულებისა, _ სახედაკაწრული, თვალცრემლიანი, თმაგაშლილი, თეთრი ძაძებით შემოსილი.

საშინელმა წინათგრძნობამ პოეტს შიშის ზარი დასცა. წინ წარსდგა ნაბიჯი და პროცესიას გადაეღობა. ხელი ამართა. დადგომის ნიშანი მისცა. მიუახლოვდა. კუბოში ჩაიხედა.

კუბოში უსულო სულიკო იწვა შესუდრული.

და ამ დროს გაუგებარი რაღაც მოხდა სცენაზე:

რაც ყვავილები იყო პოეტის გარშემო, ყველა ელექტრონის სანათურებად გადაიქცა და ნაირფერად დაენთო. _ თვითონ კუბოს ორი დიდრონი ელექტროთვალი გამოესხა, რომლებმაც ისეთი ძლიერი სინათლე გამოსტყორცნეს, რომ მთელი არე დღესავით გაანათეს.

ტყის ადგილას ახლა დიდი ქალაქის ქუჩა გამოჩნდა, უზარმაზარი სახლებით, ხმაურობით, თავბრუდამხვევი მოძრაობით.

პოეტის წინ მდგომმა კუბომ მქშინავი ავტომობილის სახე მიიღო.

გარშემო ათასმა საყვირმა ათასნაირი ხმა გამოსცა. გაიმართა ავტომანქანების გიჟური რბენა მარჯვნით და მარცხნით. მათ შუა კიდევ მოციალე ლიანდაგივით ტრამვაიმ გაიგრუხუნა.

პოეტის წინ ავტომობილი უცებ შეტრიალდა. პოეტს უკან სანათურიდან მოწითალო სინათლე შეაფრქვია და ისეთ კილოზე შესტვინა, თითქოს დაუძახა: მომყევიო.

ვერ გავარკვიე, ეკრანზე ხდებოდა ეს ყველაფერი, თუ სცენაზე, მაგრამ ამის მოსაზრების დროც არ მქონდა, ისე სწრაფად სცვლიდა ერთი სახე მეორეს და მოვლინება მოვლინებას.

აფორიაქებული ქუჩებით პოეტი იმ ავტომობილს დაედევნა.

საშინელი შესახედაობა ჰქონდა საწყალს: სახეზე _ შეშლილი თვალები, თავზე _ აშლილი თმა. ნამდვილ გიჟს ჰგავდა.

ავტომობილმა მრავალგზის მიუხვ-მოუხვია, სად ბნელი ქუჩა გაიარა, სად მოედანი გადაჭრა. ბოლოს ერთი ქუჩის კუთხეში დადგა.

...

გაიღო ავტომობილის კარი და იქიდან ვინმე ქალი გადმოხტა უცხოდ მორთული. მოკლე ნაბიჯებით მცირე მანძილი გაიარა და ერთი გაჩირაღდნებული სახლის შესავალში შევიდა.

პოეტიც იმ სახლს მივარდა. ჯერ გარედან შეათვალიერა. მერე შესავალში შეიჭრა.

აქაც შესდგა წამით და შემდეგ კიბეზე აირბინა.

სცენაზე უცებ აბრჭყვიალებული დარბაზი გაიშალა, ფოქსტროტის მსგავსი მუსიკით ახმაურებული და უცნაურად მოცეკვავე ქალ-ვაჟთა მორთულობით აჭრელებული.

მე ასეთი მუსიკა არსად გამიგონია და არც ასეთი ცეკვა სადმე მინახავს. ორთავე რაღაც ვაკხიურ სიგიჟეს გამოხატავდა. ცეკვა კი არა, უფრო როკვა იყო, ხვადთა და ძუთა აღმრევი, ხურაობისათვის შემამზადებელი.

ვაჟების ველურ ყიჟინადატანებულ ნახტომებს წინ ქალების შიშველი მუცლების ღრაკნილი რხევა უხვდებოდა შეწივლებით, და...

ალისფერი სქესური ვნება, წარღვნის ზვირთივით აგორებული, კუთხიდან კუთხეში გადადიოდა.

დარბაზში პოეტი შემოიჭრა.

- სულიკო! _ გაისმა მოულოდნელად და როგორც სიტყვა, ისე ხმაც ისე შესხლტენ დარბაზში გამეფებულ რიტმის ტალღაზე, რომ უკუიქცნენ და ისევ პოეტს დაუბრუნდნენ. მაგრამ დარბაზი მაინც შესდგა შეკვირვებით და პოეტისკენ მოიხედა. მუსიკაც შეწყდა ერთი წამით.

მერე ისეთი ხარხარი გაისმა, რომელიც ფოქსტროტს ჰგავდა. მას ისევ მუსიკა აჰყვა.

ერთი ჭრელად ჩაცმული ქალი, წელს ზევით თითქმის სრულიად შიშველი, თავის ტყუპ მამაკაცს გაშორდა და პოეტისაკენ ბარბაცით წამოვიდა.

- რაო, რაო? შენ, მგონია, სულიკო დაიძახე, უცნობო! გაიმეორე ეს სახელი ერთხელ კიდევ. მე გთხოვ.

- სულიკო! _ ახლა ნამდვილი გიჟივით წამოიყვირა პოეტმა.

- ჰეე... გაიგონეთ, ხალხო! ეს სახელი რაღაც ისე ტკბილად მაგონდება, როგორც ბებიას ზღაპრები. ბებიამ ისეთი კარგი, ისეთი მშვენიერი ზღაპრები იცოდა, რომ ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. მაგრამ შენ, ჩემო მეგობარო, ძალიან მკაცრად გმოსთქვამ ამ სახელს. ასე არ შეიძლება. აი, ასე უნდა: სუ0ლი0კო... ჰმ... აბა ერთი შემომხედე? ა? რას მეტყვი? მოგწონვარ თუ არა? თუ იმ მაჯლაჯუნაზე უფრო მეტი ფული გაქვს, შენი გავხდები. მორჩა და გათავდა. თუ არა და, ქარმა წაგიღოს ისე, როგორც შემოგიტანა. თუმცა არც ასეა საქმე. დამაცადე, კარგად შეგხედო... მგონია, მომწონხარ, შეჩვენებულო!

- ჯუდა, რას მიქარავ? ღალატია? ნებას არ მოგცემ, იცოდე, ვინ არის? ერთი მისი სიფათი მაჩვენე, _ თავი გამოიდვა ქალის მიერ მიტოვებულმა ვაჟმა.

- დამაცადე, კაცო, თავი ნუ მომაბეზრე. ეს კაცი რაღაც მომწონს. ძალიან უცნაურად იცქირება. ვიღასაც მაგონებს და ვერ კი მომიგონებია. იძახის: სულიკო...

- ფი, რა სულელური სახელია.

- სულაც არა! მე ძალიან მომწონს. ისე მახსოვს, მეც ბავშვობაში ვიღაცა სწორედ ამ სახელს მეძახდა... ჰო და, მითხარი, უცნობო, სად დაჰკარგე ეს შენი სულიკო? დიდი ხანია?

- თავი დაანებე, ჯუდა, გეუბნები. ახლა სოფელშიაც კი არავის ჰქვია ეს გაცვეთილი სახელი.

- დამაცადე-მეთქი, კაცო. თავი ნუ მომაბეზრე. მე ეს კაცი შენზე უფრო მომწონს. გიჟსა ჰგავს, თუ ნამდვილი გიჟი არ არის. მე კი, ხომ იცი, გიჟები მიყვარს. მეგობარო, აქა ვარ შენი სულიკო. მე ვარ ის, ვისაც შენ ეძებ.

- სადაური ხარ?

- ერთი სოფლიდან ვარ.

- დედა გყავს?

- დედა? არა, გენაცვალე.

- არა?! დიდი ხანია, რაც მოგიკვდა?

- ჰო, ძალიან დიდი. არც კი მახსოვს.

- მაინც რამდენი?

- სულ პატარა ვიყავი, რომ ობლად დავრჩი. ეს ნამდვილად ვიცი.

- ფეხშიშველი დადიოდი, მოკლეკაბიანი... სოფლის პატარა გოგონა. დედა ავად გყავდა და მის მოსარჩენად უსახელო ყვავილს დაეძებდი ტყედ და ველად... და ერთხელ ტირიფის ძირში, ღელის პირად... აბა, მოიგონე, რაც მოხდა, უთუოდ უნდა გახსოვდეს.

- მახსოვს. მახსოვს, როგორ არა!

- რა? რა გახსოვს, აბა მითხარი.

- რა ვიცი, ასე მგონია, რომ რაღაც კი მახსოვს. მოიცა, მოვიგონო...

- ქალაქში როგორ მოხვდი?

- ერთმა კაცმა წამომიყვანა...

- სად იყავი? რას აკეთებდი? როგორ ცხოვრობდი? ვინ გპატრონობდა ობოლს, პატარას და გამოუცდელს ამ უცნობ ქალაქში?

- ვინ მპატრონობდაო, ამას მეკითხები?

- ჰო, ვინ-მეთქი, ჩქარა მითხარი.

- ვინც კი მოისურვებდა, ჩემო კეთილო.

- შორს-მეთქი ჩემგან! მატყუარავ! შენ სულიკო არ ხარ!

- ვარ! აბა, კიდევ მკითხე და ახლა უფრო სწორად გიპასუხებ. მიგიხვდი, რაც გაწუხებს... გეუბნები მე ვარ სულიკო-მეთქი! დამიჯერე და ნუღარ მაჯავრებ! ცუდი ხასიათი მაქვს, როცა გამაჯავრებენ!

- ჰო, ასე რამ დაგილურჯა ეს თვალები და ეს სახე რამ შეგიცვალა ასე სასტიკად! დიდი ქალაქის დიდი ქუჩის მსგავსად რამ გაგითელა ეგ გულმკერდი და საროსკიპო სახლის აბრის წარწერასავით რამ შეგიჭრელა ეს ტანი, ეს საცმელი? რამ გაგიელამა ეს მიმქრალი თვალთა მზერა და გადასაგდებ ნახმარ ჩვარივით რამ გაგიცვითა ეგ ღაწვ-ბაგენი, ეგ კისერი და მკლავები? ვინ აგაფარა სახეზე ეს ზარდამცემი კოშმარების სანავარდო ნიღაბი მეძავისა და გარყვნილების ლაქით ვინ მოგითხუპნა, მოგიშალა ადამიანის სახიერება მაგ პირისახეზე?

- სთქვი, რაღა, გარკვეულად: მოგწონვარ, თუ არ მოგწონვარ. ნუ მიედებ-მოედები, მე ეს არ მიყვარს. მართლა გიჟი ხომ არა ხარ! ღმერთს გეფიცები, მეცოდები, და მინდა სურვილი აგისრულო, თუ ძალიან არ გამაჯავრებ. მოდი ჩემთან. დაწყნარდი. აჰა, მოგეფერები.

- შორს! შორს! შოორს-მეთქი, საძაგელო ქმნილებავ!

მოისმა საშინელი შეძახება სცენის იმ კუთხიდან, სადაც სანათურის წინ პოეტი იჯდა. უმალვე გაჰქრა ზემოაწერილი სურათიც და გამოჩნდა პოეტი, რომელიც ისევ თავის მაგიდას უჯდა და ხელებს ისე ასავსავებდა, თითქოს მაჯლაჯუნას ებრძვისო.

პოეტის უკან კი, სიღრმეში, შირმას იქით, ამდენხანს ყურადღების გარეშე დარჩენილი საწოლის კუთხის მორთულობის კონტურთა შორის მძინარე ქალის სილუეტი შეინძრა ლოგინზე. შეფეთებულმა, გამწყრალმა თვალებმა გამოანათეს სულ ერთი წამით და ისევ ჩაჰქრენ.

..

სცენაზე კი ამავე დროს ქალაქის ქუჩა მოეწყო. განაპირა უბნის ქუჩას ჰგავდა, რიჟრაჟი იწყებოდა. მაღალმილებიანი, კვამლით შემურული ქარხნები იღვიძებდნენ.

და თეატრის ორკესტრმაც საყვირების ხმები აათამაშა.

შუა ქუჩით, ქარხნების გასწვრივ, უცებ აუარებელი შავი ხალხი ამოძრავდა, ჯერ გუნდ-გუნდად, მერე ერთ მთლიან ზღვად. მცირე ხანი და ისეთი ბობოქარი ატყდა რისხვის, შურისძიების და მძულვარების, რომ ზღვის საშინელი ქარტეხილიც კი ვერ შეედრებოდა მის სიძლიერეს.

ერთი მუშა მაღალ ადგილზე შედგა, ხელი ამართა და პირიდან ცეცხლი ამოაფრქვია:

- ბარიკადებზე, ამხანაგებო!

აფრიალდნენ დროშები. ათასმა ხმამ მეხივით დაიჭექა:

- ბარიკადებზე!

და მარსელიეზის ალშეკიდებული სიტყვების ტალღამ მთელი მიდამო სისხლისფერად შეღება.

ერთ-ერთ ქარხნის კედელზე, მოულოდნელად, დიდზე უდიდესი ლანდი აეკრა ადამიანისა, ამომავალი მზის სხივებით საიდანღაც გამოტყორცნილი.

ფანტასტიკური იყო მისი მოძრაობა. ხან სახურავზე გაიელვებდა ჩარაზმულ მილებს შორის. შენობიდან შენობაზე გადადიოდა. ხან ძირს დაეშვებოდა და ამბოხებული მუშების თავზე გადაივლიდა. ზოგან მარტო თავი გამოჩნდებოდა, ქარისაგან აშლილი თმით. ზოგან ფეხები, რომლებიც რბოდნენ. ზოგან ორი დამუშტული ხელი, საშინელი მუქარის გამომხატველი.

ეს იყო პოეტის ლანდი.

ამასობაში მუშებს ჯარმა ალყა შემოარტყა.

მებრძოლთა მიერ ამართულმა ბარიკადებმა შენობები დაფარეს.

და შეუწყვეტელი მარსელიეზის გუგუნის ფონზე ბრძოლა გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო თავისი შემზარავი ეპიზოდებით.

შუაში გაჩეხილი ადამიანები. გაპობილი თავები. განგმირულთა უკანასკნელი ამოსუნთქვა სისხლიანი. ტვინშერეული სისხლის თქრიალი. სიცოცხლის ხმალი და სიკვდილის ცელი, ერთმანეთს გადაჭდობილი.

ბარიკადების თავზე ქალის სახე აენთო, რომელსაც ხელში წითელი დროშა ეჭირა.

მის ზევით ცა იყო მხოლოდ და ზედ ღრუბელის ერთი ნაფლეთი.

- წინ!

ეს იყო ისეთი ძლიერებით მოქნეული რისხვა, მტრის შემმუსვრელი, რომლისათვის დაბრკოლება არ არსებობს ამ ქვეყანაზე და ბრძოლამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს ამ ქალისთვის სწარმოებსო.

ძირს გართხმულ, დაპატარავებულ ლანდს მალე თვითონ პოეტი მოჰყვა ბარიკადებთან.

იგი მებრძოლთა შორის დროშიან ქალისკენ გზას მიიკვლევდა. მისკენ ხელები გაეწვდინა და წამდაუწუმ უხმობდა:

- სულიკო.

მაგრამ ტუჩების მოძრაობაზე ეტყობოდა. ხმა კი არ ისმოდა.

პირველად ყურადღება არავის მიუცქევია. გზა შეუმჩნევლად გამიკვლია და იმ ქალს დაუახლოვდა.

სწორედ ამ დროს ერთმა მებრძოლთაგანმა შეამჩნია. გაკვირვებით შეხედა, შეათვალიერა. შემდეგ სახეშეკრული წინ გადაეღობა.

შეჰყვირა:

- შესდექ!

და ორი ნაბიჯი უკან გადადგა. თოფი მოიმარჯვა და პოეტს შიგ გულში დაუმიზნა.

- უცხო ხარ! სთქვი მართალი, აქ რა გინდა?

პოეტი დაიბნა. ხმა ვერ ამოიღო.

- სთქვი-მეთქი, ვინ ხარ და რა გინდა? ჩქარა!

პოეტმა დუმილი განაგრძო.

თოფი გავარდა.

განგმირული პოეტი შეირხა...

და უცებ ყველაფერი გაჰქრა.

...

ხოლო თეატრის დარბაზში ისეთი შემზარავი ხმა გაისმა, რომ მთელი საზოგადოება ძალაუნებურად ფეხზე წამოდგა. _ იგი დაბალი ტონით დაიწყო და რაღაც უცნაური მისტიური რხევით თანდათანობით უმაღლესზე გადავიდა, და იქაც არ შეწყდა.

- სულიკოოოო...

ეს იყო უიმედო შიშის და უკანასკნელი სასოწარკვეთილების ამოძახილი, რომელიც უთუოდ დაღუპვას მოასწავებდა.

სცენის კუთხეში სკამის ზურგზე გადაქანებული პოეტი ისევ თავის ადგილას იჯდა მაგიდასთან. პატარა სანათურის სინათლე სახეში სცემდა.

სახეზე ყველაფერი გარკვეულად ეხატებოდა, რაც კი გადაწყდა. _ პირი ჯერ კიდევ დაღებული ჰქონდა. ვერ მოესწრო, თუ ვერ გაებედნა დამუწვა. ალბათ, საშინელი ხმის კვალისაც ეშინოდა.

შირმის იქით კი, სადაც საწოლი კუთხის მორთულობა მოჩანდა, პოეტის ხმამ, აი, რა ამბავი დაატრიალა:

ლოგინზე ბავშვი წამოჯდა, შეშინებული თვალები გააღო და პირი სატირლად მოიქცია. მაგრამ მერე უცებ დაამთქნარა, თვალები დახუჭა და მოწყვეტით პირქვე ბალიშში ჩაემხო.

ქალს კი სანთლის ანთება მოესწრო. ხელში დაეჭირა და პერანგამარა, ფეხშიშველი პოეტისკენ გამოქანებულიყო.

ანთებული სანთელი ჩვეულებრივი შუახნის დედაკაცის ნამძინარევ სახეს და კანმოშვებულ გულმკერდს უჩენდა. ეტყობოდა, რომ შიშის გარდა, მისთვის ბრაზსაც პირისახე მოეღრანჯა. უფრო მოჩვენებას ჰგავდა.

- რა ამბავია, კაცო? გაგიჟდი, თუ რა მოგივიდა? ვის ეძახი ამ შუაღამეში? ვინ ოხერი, ვინ ტიალი სულიკო გამოგიჩნდა? ქვეყანას ესმის შენი ბღავილი. ძილს ვინ ჩივის, რომ მიფრთხობ, სირცხვილს სად წაუვიდე!

პოეტი ადგა. შეხედა. მიუახლოვდა. უცნაური თვალებით დააკვირდა. უცებ შეეშინდა ქალის. უკან დაიხია და ხელები გაასავსავა. თან ტუჩები ისე აა-მოძრავა, რომ უთუოდ შეძახება უნდოდა, შორს ჩემგანო.

მაგრამ მალე მოვიდა გონს. ახლა ტკბილად გაუღიმა და ალერსიანი ხმით მიმართა:

- მაპატიე, ჩემო სულიკო. მეტს აღარ ვიზამ.

- ამას შეხედეთ ერთი, რას მიბედავს: მეც სულიკოს მეძახის. ესღა მაკ-ლდა. ვაი სირცხვილო!

დაშვებულმა ფარდამ წერტილი დაუსვა წარმოდგენას.

<u>სიზმარი და სინამდვილე</u>

(მშიერი სტუდენტის ჩანაწერიდან)

I

ყოველი დღე ვათვალიერებ გაზეთების უკანასკნელ გვერდებს. დიდი ყურადღებით ვკითხულობ ყოველნაირ განცხადებას. იქნება, წავაწყდე რაიმე სახეიროს-მეთქი. მაგრამ ბედი არ მწყალობს! არაფერია ჩემი შესაფერი. რამდენი ხნის ვარ, რამდენი ხანია ვსწავლობ, მაგრამ ცხოვრებას ჯერ ჩემთვის

არ გაუღიმია! არ ვიცი, ღმერთმანი, ვის რა დავუშავე. ავი ძაღლივით გადამკიდებია ეს ბედია თუ რაღაცა! საშველს არ მაძლევს! ვის მოვსთხოვო სამართალი?

თუ გინდა, აი, ეხლაც! ჩემი შესაფერი განცხადება არც ერთ გაზეთში არ მოიპოვება. როგორ შეიძლება არაფრის გაკეთება არ შემეძლოს, რა მაკლია? ხელი, ფეხი, თავი, თვალი... ჭკუა... თუ ცოდნა! მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, სამუშაოს მაინც ვერ ვშოულობ და ულუკმაპუროდ ვარ» მართალია, ცოდნაცაა და ცოდნაც, მაგრამ მაინც! რის სპეციალისტად შეიძლება გამოვდგე? კომერსანტ-ვოიაჟორი არა ვარ, ბუღალტერი-კორესპონდენტი არა ვარ, «კონტორჩიკი» არა ვარ, სახლის თუ მამულის გამგე-მმართველი არა ვარ, მებაღე არა ვარ! შვეიცრად, მეეზოვედ, ოფიციანტად მე არ ვვარგივარ. მეტად ინტელიგენტური სახე მაქვს და თანაც სათვალეს ვატარებ, პენსნეს, საშინელი ბეცი ვარ! რა სათქმელია, პროვიზორი მე არა ვარ, ფორმაციის არაფერი მესმის! ტექნიკი, ექიმი, ვექილი!... უკაცრავად, უკაცრავად! ნამეტანი მაღლა აწევა როდია საკადრისი!! ნეტავი სტენოგრაფისტობა მაინც შემესწავლა!

არა, სჯობს, მგონი, ისა ვთქვა, რა ვარ?... ვისაც ეს აინტერესებს, ერთი მიმართოს იმ გიმნაზიას, სადაც რვა წელი დავყავი და იკითხოს, რა შემასწავლეს? ეს ამბავი დედაჩემმა რომ იცოდეს ისე, როგორც მე ვიცი, ცუდად მომეპყრობოდა! «რა ისწავლე, რას შვრებოდი, აბა, რვა წელიწადი სასწავლებელში მყავდი, და ისიც გიმნზიაშიო!! გაგათავებინე სწავლა, არაფერი დამიზოგავს და ახლა არაფერი არა ხარო?» ოღონდაც დედაჩემო, ოღონდაც!!.

განცხადებები ბლომადაა გაზეთებში. ნაირ0ნაირი ჭრელ-ჭრელი!! სტუდენტები რომ უხვად იძლევიან თავიანთ შრომას! მოდი, ძველ დროს გავიხსენებ, და მეც ამ გაჭირვების დღეს წამოვისტუდენტებ, თუმცა სტუდენტი უკვე აღარ ვარ. მაგრამ რა უჭირს ვისარგებლო სტუდენტის სახელით? შუბლზე არ მაწერია რომ სტუდენტი ვიყავი და ახლა აღარა ვარ! რაც შეეხება ცოდნას, რიგით არ უნდა ჩამოუვარდე იმათ ცოდნაში! რუსულად ჩინებულად ვლაპარაკობ, ლათინურსა და ბერძნულს ენებზე კი ახლა არავინ ლაპარაკობს!

სულ სხვაა ფრანგული და გერმანული! თეორია ვიცი, თეორია მიხსნის! უთუოდ! ჰო! ეს თეორია! იქნება ბევრმა არც კი იცის რა არის თეორია!! ახლა კი დავწერ განცხადებას, მივალ რედაქციაში, უკანასკნელ ფულს გადავიხდი მის დაბეჭდვაში. იქნება ამხანაგებმა მასესხონ! _ ამნაირად ვაუწყებ მსურველთ, რომ მე გამოცდილი რეპეტიტორი ვარ _ ფილოლოგი, რომელმაც ოქროს მედალით დავასრულე გიმნაზიის კურსი. მსურს ვიქონიო გაკვეთილები, რომ ჩინებულად ვამზადებ მოწაფეებს ყველა სასწავლებლისათვის, და აგრეთვე სიმწიფის ატესტატზე! მაქვს უმწიკვლო რვა წლის პრაქტიკა! და სხვა. აი, რანაირი იქნება ჩემი განცხადება.

ხვალ დილით ჩემი განცხადება გამოჭიმული იქნება ერთ-ერთ საუკეთესო გაზეთის ფურცლებზე. რამდენი მამა, შვილის აღზრდით გატაცებული, რამდენი ექსტერნი, სწავლა-განათლების მოსურნე, წაიკითხავს ჩემს განცხადებას?

თუ ხარ სადმე, ბედო, გამოჩნდი ახლა!..

არა, მართლა, ხუმრობის გარეშე, ძალიან იმედი მაქვს! იმედი კი!... რა კარგია იმედი!! კარგი იმედის სიკარგეში ყველა დარწმუნებულია, მაგრამ უნდა ვთქვა მაინც, რომ თუმცა ორი დღე არ მისადილია, თუმცა მშიან, მცივა და მწყურიან, თუმცა თავიც მტკივა და ამაღამისთვის ჩემს ლამპაში ნავთი არ მოიპოვება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კარგს გუნებაზე ვარ და ღიღინით დასაძინებლად ვემზადები!!

- მიბოძეთ ლამპა, ნავთი უნდა ჩაგისხათ!

ვაი, სირცხვილო! როგორ გინდა ახლა! ეს მოსამსახურეს სიტყვებია და, ცხადია, მე მომმართავს, მოდი, და, ახლა ნავთის ფული ჩაუჩხრიალე იმას!!!

- ჰა! პაშა, თქვენა ხართ? რა გითხრათ, იცით, პაშა, დღეს მეტად დაღლილად ვგრძნობ თავსა, და ადრე უნდა დავიძინო! ასე რომ... ძვირფასო პაშა, სინათლე დღეს არ მესაჭიროება... თავი მტკივა და სინათლე კი ტკივილს უფრო გამიღიზიანებს!

- სინათლე ტკივილს გაგიღიზიანებს!.. ხა-ხა! ნერვები გქონიათ აშლილი?

- მაშ, მაშ!

ასე, ახლა ბატონი ვარ! ბნელში ვარ, იმიტომ, რომ სინათლე თავის ტკივილს მიღიზიანებს! ხომ შეიძლება ეს ასე იყოს და მე მართალი ვიყვე, ჩემთვის ბნელში დარჩენა სჯობდეს!

ლოგინში ჩავვარდი!

- ჰა! ჰა! ბედო, თუ ხარ სადმე, თუ სწერიხარ სადმე, ამ ორ დღეში ვნახავ შენს ბიჭობას! აბა, დატრიალდი, ღმერთო ჩემო!

მომაგონდა დედაჩემის სიტყვები: «თუ ბედზე გიწერია, შვილო, პატარა, უმნიშვნელო შემთხვევას შეუძლია გაგაბედნიეროს ისე, რომ არც მოელოდეო!»

მართალი ხარ, დედაჩემო! მართალი! მაშინ იქნება არ გეთენხმებოდი, მაგრამ ახლა... სრულიად ხელს ვაწერ შენს ბრძნულ აზრებს!!

ასეთი იყო სინამდვილე.

... ჩამეძინა!..

აი, სიზმარიც, რომელმაც სინამდვილე შეცვალა.

ვითომ გათენდა... მზემ მოცინარი სახით გადმომხედა და რამდენიმე კეკლუცი სხივი ჩემს ფანჯარას სტყორცნა, თითქო მომაძახაო:

«გიხაროდეს!»

ლოგინში რა გამაჩერებდა, წამოვვარდი. ტანთ ჩავიცვი. პირის დაბანა ვერ მოვასწარი, რომ დარეკეს და გოგომ ღია ბარათი შემომიტანა. «მოწყალეო ხელმწიფეო! გთხოვთ მობრძანდეთ ამ თვის... ოთხშაბათს /-" ს. პირად მოსალაპარაკებლად გაკვეთილის შესახებ. ჩემი ვაჟი მეოთხე კლასის მოწაფეა, რომელიც უნდა ამეცადინოთ მათემატიკაში».

მისამართი ცოტა შორს მეჩვენებოდა, მაგრამ სიშორეს რას დავსდევ! მგონი, ბოსტანში ამოვყო თავი! სასწრაფოდ პირს ვიბან, სარკეშიაც ვიხედები! გავუცინე ჩემს თავს... იმანაც გამიცინა!.. კარგადაა საქმე! _ ჩავახველე!... მათემატიკა! ეს ისეთი საგანია, რომ უკანასკნელი ოცი მანეთი ღირს, ა? რა იცი, კაცო, იქნება ამდენს მწარეს იმიტომ მაჭმევდა ცხოვრება, ზედ ეს ტკბილი დამეყოლებინა!

კიდევ დარეკეს! ბიჭო, ბიჭო... ჩემთანაა? გოგოს მოაქვს ბარათი! დავხედე _ კიდევ ერთი მეპატიჟება! ხო, ხო, ხო! წავიკითხოთ: მ.ხ. დასამატებელი გამოცდა ლათინურში, კვირაში სამჯერ!» და სხვ. ესეც მე!... სამართლიანად უნდა მოვიქცე! ჯერ პირველ წერილზე წავალ, მერე რიგ-რიგად! მაშ, სამართლიანობა უნდა! რომ პირველად მეორესთან წავიდე, გაიგებს ვინმე და უზრდელობაშიაც ჩამომართმევს!! ქუდი, პალტო და შურდულივით გამოველ ბინიდან!!... მზემ ახლა უფრო გასაგონად მომაძახა:

- «გიხაროდესო»!

- ჰო, გმადლობ, გმადლობ! მზეო!

თუმცა უჭმელი ვარ, აგერ ორი დღის, მაგრამ მაინც ისე მივდივარ, თითქოს ყოველი ჩემი ნაბიჯი ათას მანეთად იყოს დაფასებული!! მიველ დანიშნულებისამებრ!.. სახლი დიდებულია. ცხადია, ვიღაც ტუზი ცხოვრობს. სწორედ კაცობა აქ უნდა, და მეც მეტად სერიოზული სახით მივადექი კარს. შვეიცარმა მორიდებით დამიკრა თავი! ალბათ კარგი შეხედულება მაქვს... ხუმრობა არ მიყვარს! უპირველესად ყოვლისა, თავის დაჭერა, თავის დაკავება!!

დავრეკე!

- ვინ გნებავთ? _ მომესმა პასუხად ქალის ნაზი ხმა. ამას არ მოველოდი, შვეიცარი განზე გადგა.

- რეპეტიტორი!.. გაიღო კარი.

- მობრძანდით! ქალბატონი ახლავე გეახლებათ! _ მითხრა გოგომ, თითქო მომელოდა. თან იცინოდა, მიღიმოდა... კარგი ნიშანია! ა?

შევედი დარბაზში. უმოწყალოდ მდიდრულად არის მორთული!... აქ ოცი მანეთი რა ფულია?... ორმოც მანეთად უნდა დაფასდეს, მათემატიკა ისეთი საგანია! სად დავჯდე? იქნება, სკამი გვერდზე გამიხტეს და... რა იცი, ყველაფრის უნდა გერიდებოდეს! ცოტაც რომ დავაცილო დასაჯდომს ხომ დავიღუპები კაცი! სკანდალი მოხდება, არ დავჯექი, კედელზე ჩამოკიდებულ რაღაც სურათს დავუწყე თვალიერება.

- გამარჯვება! _ მომესმა. მოვიხედე _ დიდებული ქალი. რა თქმა უნდა,

სწრაფად ფეხები მოვიმარჯვე, მხრები ავიწიე და სალამი მივეცი.

- დაბრძნდით!

- მე გეახელით თქვენი წერ...

- ვიცი, ვიცი!... _ გამაწყვეტინა ქალმა. დალაგებით მამცნო პირობები. ლაპარაკიდან შევიტყვე, რომ განათლებული ქალი იყო.

- პირობა ასეთი არის: 25 მანეთი თვეში და სადილი.

- თუ მოხერხებულად ცნობთ, _ დაამატა ქალმა, და ერთი მადლიანად შემომხედა, _ შეგიძლიათ გადმოხვიდეთ აქ, ჩვენსას! ოთახი ცალკე გექნებათ, სადილიც, რა თქმა უნდა და 20 მანეთი ფულად! ეს თქვენზეა დამოკიდებული, როგორც გინდათ!

გავშეშდი, რა ვუთხრა?

- კარგი!.. კარგი!.. _ ენა დამება! ეშმაკი ვერ მიხვდებოდა რაზე ვამბობდი კარგს, რომ საცხოვრებლად გადმოვდიოდი, თუ იმაზე, რომ ვივლიდი და ოცდახუთ მანეთს დავჯერდებოდი?

- ვინაიდან, _ დავიწყე, _ ბინა უფასოდ მაქვს და ესე იგი... ჩემთვის უფრო მოხერხებულია ვიარო და... დავთანხმდე ოცდახუთ მანეთზე.

- კარგი და პატიოსანი! მაშ ივლით, კეთილი!

- დიახ, დიახ!

- რომელ ფაკულტეტზე ბრძანდებით? _ უცბად მკითხა ქალმა! როგორც ცხელი ტყვია, ისე მეცა ეს კითხვა! სწრაფად ფიქრი აღმეძრა _ ვაი თუ ამაზეა დამოკიდებული ჩემი ბედ-იღბალი-თქო!.. ენამ დამასწრო და წარბშეუხრელად ვუპასუხე:

- ფიზიკურ-მათემატიკურზე...

- ჰო, ეს ხომ ზედგამოჭრილია! რა ეროვნების ბრძანდებით?

- ქართველი!

- სასიამოვნოა! მე ძალიან მომწონან ქართველები. ლამაზები არიან. _ შემომხედა, გამიცინა. _ მართლმადიდებელი ბრძანდებით? _ მხოლოდ ახლა მეცა თვალში; რომ ქალს დიდი ოქროს ჯვარი ეკეთა შიშველ მკერდზე,

ძვირფასი ქვებით მოჭვილი.

«თუ ახლა მიშველა მართლმადიდებლობამ, გავიფიქრე, მაშინ არ გავამტყუნებ საქართველოს იმაში, რომ საუკუნოები იბრძოდა მის დასაცავად! და ამისთვის სისხლს ღვრიდა. ჩანს, რომ დღეს ისტორიაც ჩემკენ არის!»

- დიახ! _ ვუპასუხე დაუყოვნებლივ.

- სარწმუნოებას ალბათ მაინცდამაინც არ აქცევთ ყურადღებას? ა? _ თვალების ცბიერი დაპატარავებით მკითხა ქალმა.

ამაზე დუმილი ვარჩიე. მცდის-მეთქი, გავიფიქრე. მაგრამ დუმილის გაგრძელებაც უხერხული იყო.

- ეს როგორ შეიძლება, ქალბატონო! _ თავის მოკატუნებით წავილუღლუღე.

- ეს მე მომწონს. სარწმუნოების გარეშე ადამიანს ცხოვრება არ შეუძლია. ადამიანი პირუტყვი არ არის.

- რა თქმა უნდა, ქალბატონო.

- უკაცრავად... თქვენი სახელი მითხარით. იცით ძალიან მომწონხართ.

- ეპიფანე.

- მშვენიერია... იშვიათია... მამის?

- ნიკოლოზის ძე.

- ჰო, ეს ხომ მეფურია და ის არის, ეპიფანე ნიკოლოზის ძევ... ნატაშა! _ გასძახა მოსამსახურეს, _ ცხელი ყავა მიართვით სტუმარს!

ვერ მოვასწარი უარის თქმა, რომ მოსამსახურემ ყავა და ნაირნაირი ნამცხვარი შემოარბენინა და თვალის დახამხამებაში პატარა სუფრა გაშალა.

- მიირთვით, ეპიფანე...

- ნიკოლოზის ძე...

- ღმერთო ჩემო, ჩვენი მეფის სახელი როგორ დამავიწყდა... დიაღ, ეპიფანე ნიკოლოზის ძევ. მოიწიეთ აქეთ, ნუ გერიდებათ _ ამ სიტყვებით ქალმა ფეხზე შედგმული ფეხი გადმოიღო, კაბის ქობა გადაიგდო და მუხლებამდე შიშველი თეთრი წვივი გამოაჩინა. ეს, რა თქმა უნდა, უცაბედად მოუვიდა.

უმალვე გაისწორა და ქობა წვივზე ისევ მოხდენილად გადაიფარა! ბოდიში მოიხადა. თავაზიანად მიმიპატიჟა ყავაზე ხელმეორედ.

- ყველაფერი ჩემი ხელით არის დამზადებული, ეპიფან ნიკოლოზის ძევ. მიირთვით... მოიწიეთ აქეთ! ნუ გეშინიათ, არ მოიწამლებით! რა მორცხვი ვინმე ყოფილხართ!.. ეჭვი შემდის, რომ ნამდვილი ქართველი ბრძანდებით...

- კი, ბატონო, ნამდვილი ქართველი!

- მაგრამ ქართველები ხომ გაბედულები არიან... _ აქ მასპინძელს ფეხზე ისევ გადასძვრა ქობა და თეთრი, სხმული წვივი ისევ გამოუჩნდა მუხლის თავამდე... მაგრამ ამ შემთხვევაში არ შეუსწორებია. _ ჰეე, რომ იცოდეთ, რა მოწყენილი ვარ ეს დღეები? ჩემი ქმარი რიაზანშია წასული საქმეზე და ვინ იცის, როდის დაბრუნდება!.. ხმა ვერავისთვის გამიცია, წარმოიდგინეთ. ჰოდა, მიირთვით ყავა, ძალიან გთხოვთ... ეს კი არა სადილადაც დარჩით. ვისაუბროთ... თქვენი მშვენიერი ქვეყნის ამბები მიამბეთ... გამართეთ. მანამდე ჩემი კოლინკაც მოვა, თქვენი მომავალი მოწაფე... ბარემ იმასაც გაგაცნობთ... დარჩით სადილად, ეპიფანე ნიკოლოზის ძევ!

- გმადლობთ დიდად, ქალბატონო. სამწუხაროდ, არ შემიძლია, გაკვეთილი მომელის! _ წამოდგომა დავაპირე.

- მე კი არ გაგიშვებთ! აი, არ გაგიშვებთ! _ ამ სიტყვებით ხელი ჩამავლო მაჯაში. მტკიცედ თქვა: _ თქვენ არ ხართ ქართველი, მატყუებთ... აბა, სად არის ქართული პირდაპირობა, სითამამე და თავხედობამდე მისული გაბედულება, რაც ქართველებს ახასიათებს... არა, არ გაგიშვებთ, სანამ არ დამიმტკიცებთ, რომ ქართველი ხართ!

ამ დროს, ოი საშინელებავ, ჩემმა თვალებმა ნათლად დაინახეს რომ მვირფასი ქვებით მოოჭვილი ჯვარი, რომელიც ქალს გულზე ეკეთა, უცებ ცოცხალ გველად გადაიქცა, დააღო ვეება პირი და ორკაპიანი ენა სისინით გამოჰყო. შემეშინდა.

- აჰა, სად არის თქვენი ქართველური ვაჟკაცობა? ჯვრის არ შეგშინებიათ და გველის შეგეშინდათ! მოჰკიდეთ ხელი, დააღრჩვეთ, გიბრძანებთ.

წამოვვარდი. განზე გამისხლტა სკამი, რომელიც ხრიგინით დაეცა იატაკზე...

გამეღვიძა.

კარგა გათენებული იყო.

ნაღვლიანი ავდექი. ვერ გამიგია, რა იყო წუხანდელი სიზმარი. ვერ ვბედავ იმის თქმას, როს ცუდი იყო. ჩვეულება არ არის ჩვენში სიზმარზე თქვა ცუდიაო. კარგი არ იყო, აშკარაა. გულში ჩუმად ვფიქრობ:

«დამცინა ბედმა, ძილშიც არ მასვენებს, როგორც ჩანს» _ მაგრამ ხმამაღლა ამას არ ვამბობ. იქნება ბედი აქ არაფერ შუაშია და ცილი რომ დავწამო, გაჯავრდება და მართლა დამცინებს. ბედის დაცინვა კი მეტად ძნელი საქმეა. ამაში ყველა დამეთანხმება, ვისაც გამოუცდია.

II

გახსნილი ბარათი მიჭირავს ხელში და ზედ გახარებული სახით დავცქერი. ჩემს განცხადებას უმოქმედნია! ეს უკვე სიზმარი არ გახლავთ! ვატყობ მისამართით, რომ ვიღაცა ქალაქის მთავარ ქუჩაზე ცხოვრობს, რაც ნიშანია სიმდიდრისა! მეც, რა თქმა უნდა, სწრაფად გავსწიე იქითკენ. მივდივარ და ვფიქრობ.

«რასაც ვიტყვი, მოკლედ ვიტყვი! რუსული, როგორ გამიწყრება ღმერთი, და შემეშლება! თვითონ არას ვიტყვი, პასუხს კი მოჭრილად გავცემ ყოველ კითხვაზე! გაკვეთილს გააჩნია! _ შეიძლება ოცდახუთი კი არა, ოცდაათი მანეთი დავაფასო! ხო-ხო-ხო! ოცდაათი მანეთი. რა დიდებულად ვისადილებ! უწინარეს ყოვლისა სადილის აბონემენტს ავიღებ ერთი თვით! საცვალს ვიყიდი! უსათუოდ! პირველი საქმეა საცვალი! მგონია, კარგა ხანია არ გამომიცვლია. ერთი საპონიც... ესეც პირველი საქმეა!... აბანო, რა თქმა უნდა! თავდაპირველად აბანოში უნდა წავიდე! ცოტა ვალებსაც გავისტუმრებ! მოვეწყობი, ერთი სიტყვით და დავისვენებ!»..

ასე ფიქრში რომ ვარ, უცბად ჩამიქროლა გაბრჭყვიალებულმა

ავტომობილმა! «როგორი სადილი უნდა ქონდეს ამის პატრონს? ა?... აი, ტრამვაიც, რამდენი კმაყოფილი სახე ზის შიგ?.. კარგია კმაყოფილ ხალხს რომ ვუყურებ! რაღაც შენდა უნებურად შენც კმაყოფილი ხდები ცხოვრებით. აგერ ეტლიც!.. ვიშ, რა ცხენებია! რამდენი ექნება ჯამაგირი მეეტლეს? რა კარგად აცვია?!.. ჩუ! ის მანდილოსანი მე მიყურებს! _ კარგი ბიჭი ვარ განა? მაშ!»

... რა ამბავია, რომ ყველა მე მიყურებს? ხომ არ შემამჩნიეს რამე?..

მაგრად, ბიჭო ეპიფანე! პირზე ღიმილი გადავიკარი და თამამი ნაბიჯით გავეშურე წინ!.. სახლი №25... ეს არის! შევედი!

- ვინ გნებავთ? _ შემეკითხა შვეიცარი, რომელიც არც ამდგარა ჩემს დანახვაზე! ნეტავი ეს რას ნიშნავს, მაგრამ რატომ უნდა ადგეს ეს შვეიცარი? შენზე უკეთ სჭამს, სვამს... უკეთ აცვია და ახურავს, ვინ გდიხარ შენ, რომ წამოგიდგეს, წამოგეჭიმოს... მე შენი ამბავი ვიცი, და ვერცხლის მანეთს ჩაუდებ ხელში!

მე ესა და ეს კაცი მინდა-მეთქი!

- სტუდენტი ხართ?

- დიახ! წერილით დამიბარეს!

- უკვე აყვანილია მასწავლებელი!

- მაგრამ როგორ მოხდა ეს, როცა მე ვიყავი დაბარებული?! _ გულმოსილმა ვკითხე შვეიცარს!

- თქვენისთანა აქ :? იყო ამ დილით! ალბათ, სხვაც ყავდათ დაბარებული!

- ეს... ეს... უზრდელი ყოფილა შენი ბატონი! ბრიყვი!

- მე არაფერი ვიცი! არა მეკითხება რა!

- უთხარით იმას, რომ მე უზრდელი და ბრიყვი ვუწოდე!

- შეიძლება!... მე არა ვიცი რა!..

ალბათ, შვეიცარს ბევრი არაფერი ქონდა საწინააღმდეგო, რადგანაც, როგორც შევატყვე, ჩემს გინებაზედ ცალი ულვაში აუთამაშდა, თითქოს ესიამოვნაო!.. ჩანს, კმაყოფლი არც ის ყოფილა თავისი ბატონით.

რაღა დამრჩენოდა, დავბრუნდი!

ქუჩაზე ხალხი ისევ ირეოდა. ვის უსაქმობა ეტყობოდა, ვის საქმიანობა! ვის მოწყენილობა, ვის უდარდელობა! ტრამვაი თავის საქმეს განაგრძობდა... პოლიციელი ეგვიპტეს მუმიასავით გაჩერებული იყო შუა ქუჩაში და სულელურად იცქირებოდა აქეთ-იქით! ავტომობილი, ეტლი, ტრამვაი, ველოსიპედი, ქალი, კაცი, დიდი, პატარა ერთმანეთში არეულიყო! ქალაქი, უზარმაზარი, დიდი ქალაქი თავზე დამწოლოდა და სულს მიხუთავდა!

- ჯოჯოხეთი! ჯოჯოხეთი!

ჩემი ბინისაკენ გავწიე... იქნება, კიდევ ვინმე გამოეხმაურა ჩემს განცხადებას! ეს პირველი იყო, თუ სიზმარს არ ჩავთვლით. ის, რომელიც ახლა შინ დამხვდება, იქნება მესამე...

- კი, მაგრამ სიზმარს რას ერჩი, როგორ არ გინდა ჩათვალო? ის, რომელიც ახლა შინ დაგხვდება, მეოთხეა... არც ისე ცოტაა... სიზმარიც ხომ სინამდვილეა, და ბედს ტყუილა ემდური, ჩემო ეპიფანე!

წარსული აწმყოში

მორიგი წვეულება ჰქონდა ბატონიშვილ ლევანს.

სამნი ძმანი იყვნენ ბატონიშვილები: ლევან, დავით და ვახტანგი. უფროსი იყო ბატონიშვილი ლევანი.

სამი ძმაღა დარჩენილიყო იმ ისტორიული გვარიდან, რომელიც ფეოდალური საქართველოს ერთ პატარა, მაგრამ უმშვენიერეს, აწ მაზრადქცეულ კუთხეში მთავრობდა.

თუმცა ამ დიდებული გვარის მთავრული ვარსკვლავი დიდი ხანია რაც ჩამქრალიყო, მაგრამ აწინდელ მის წარმომადგენლებს ეს ისე ეჭირათ, როგორც ნამდვილ მთავრებს შეეფერებოდათ.

ძნელი გასარკვევია, რა იყო მიზეზი _ ტრადიცია, ისტორიისადმი პატივისცემა, თუ უბრალო ზრდილობა, _ მაგრამ მათ სახელს მთელ კუთხეში ისე არავინ ახსენებდა, რომ ზედ «ბატონიშვილი» არ დაეტანებინა.

ასე წარმოიდგინეთ, მაზრის ხელისუფლების წარმომადგენლებსაც კი «ბატონიშვილის» გარეშე არ წამოცდებოდათ მათი სახელი. თვითონ მაზრის უფროსი, ვეება ტანის, გრძელულვაშებიანი და რიხიანი მაიორი, ჩვეულებრივად ასე უწოდებდა მათ:

- «Братя Батонишвилебовы».

ღირსშესანიშნავი იყო უთუოდ, რომ მაზრის უფროსი ამ ორის სიტყვიდან პირველს «ბრანწის» მაგვარად გამოთქვამდა. ყოველ შემთხვევაში რუსულის არმცოდნეთ ეს სიტყვა უმრავლეს შემთხვევაში «ბრანწად» ესმოდათ. მისი წარმოთქმისას მაზრის უფროსი ჩვეულებრივად ცალ ულვაშს ეშმაკურად ააცმაცუნებდა და ისედაც წვრილ, ჭროღა თვალებს საიდუმლო მნიშვნელობით მოჭუტავდა. მაგრამ მაინცდამაინც ნამეტანი აშკარა რომ არ გამოსვლოდა დაცინვა, ზედიზედ მაგრად დაახველებდა და ულვაშის ვითომ ძალაუნებურ ცმაცურს და თვალი ცბიერ მოჭუტვას უეცარ დახველებას დააბრალებდა.

გარეშე ამისა, ბატონიშვილები საყოველთაო პატივისცემას იმსახურებდნენ თავიანთი სიდარბაისლით, მეფური თავდაჭერილობით და იშვიათი ენამჭევრობით.

ყველა ამნაირი და სხვა მრავალი მაღალი ღირსებით განსაკუთრებულად შემკული იყო უფროსი ძმა, ბატონიშვილი ლევანი, ტახტის მემკვიდრე. ძმებიც კი ბაძავდნენ მას, თუმცა ბატონიშვილი დავითი რუსეთსა და ევროპაში ნაცხოვრები იყო, ხოლო ატონიშვილ ვახტანგს ახლო და მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა ქართველი არისტოკრატიის უმაღლეს წარმომადგენლებთან, რომელთაც ბატონიშვილები ენათესავებოდნენ.

ბატონიშვილი ლევანი მაღალი და წარმოსადეგი იყო. მას შნოსა დაახოვანებას მატებდა გრძელი შავი ჩოხა, განიერ მკერდზე აქეთ-იქით ჩამოყოლებული შავი გიშრის მასრებიანი. მასრებს ზემოდან ეფინებოდა ბატონიშვილის სახელგანთქმული შავი წვერი, რომლის შნო და მოყვანილობა მთელი კუთხის თავმომწონე თავადების შურის საგანს წარმოადგენდა.

ბატონიშვილი მუდამ შავ ჩოხას და თეთრ აბრეშუმის ახალუხს ატარებდა.

თავადაც შავგვრემანი იყო. სადა შავბალთებიანი ქამარ-ხანჯლისა და ხმლის ტარება უყვარდა; გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ძველი, საგვარეულო, მორჩილი დამბაჩა, რომელიც ბატონიშვილს მუდამ ზურგს უკან ქამარში ჰქონდა გარჭობილი. დამბაჩა დიდი ხელოვნებით იყო მოხატული ძვირფასი ქვებით. მის ტარს კვერცხისოდენა, სიძველისაგან შეყვითლებული და ხმარებისაგან შეცვეთილი სპილოს ძვლის კოპალი ამშვენებდა.

ბატონიშვილ დავითს უფრო ხშირად ევროპულად ეცვა. თუმცა დროდადრო, განსაკუთრებულად საზეიმო შემთხვევებში, ჩოხა-ახალუხით გამოწყობაც უყვარდა. უფროსი ძმის რიდით ის შავ ჩოხას არ იცვამდა. ხმალს სულაც არ ატარებდა, ხოლო ქამარ-ხანჯალი ფერადი მინანქრით მოკირწყლული და ოქროთი დაფერილი ბალთებით დამშვენებული ერტყა.

რაც შეეხება ბატონიშვილ ვახტანგს, ის ჩოხის ფერს მაინცდამაინც არ არჩევდა. ტანსაცმელს დღეში რამდენჯერმე იცვლიდა, მაგრამ საგარეოდ მუდამ შინდისფერი ჩოხა ეცვა. მისი ოთახი ძველი და ახალი იარაღის მუზეუმს ჰგავდა. ძვირფასი ხმალი და ხანჯალი ჭარბობდა, ისტორიულ პირთა ნაქონი. ხმლებში ერთი ჰქონდა შერჩეული, რომელსაც ჩვეულებრივ ატარებდა. ამბობდა, ალექსანდრე ბატონიშვილის ნაქონი არისო. ხმალს არაბული წარწერა ჰქონდა პირზე. როცა ბატონიშვილს მისი ღირსების ჩვენება უნდოდა, ამოიღებდა, ისე მოღუნავდა, რომ წვერს ვადამდე მიუტანდა და უცებ გაშლიდა, «კეთილშობილი» ფოლადი ამ დროს ისეთ წკრიალს გამოსცემდა, რომ ყველას გაოცებას იწვევდა.

მართლაც, შესანიშნავი ხმალი იყო, _ ბატონიშვილი მით ტყვილა არ ამაყობდა.

წინააღმდეგ დინჯი უფროსი ძმებისა, ბატონიშვილი ვახტანგი ჩქარი და ფიცხი იყო. მასთან ავად გადაკიდება არავისთვის ხელსაყრელი არ იყო.

შესაძლებელია, მაზრის უფროსი თავისი დამცინავი «ბრანწის» ხველებით დაფარვას იმიტომ ცდილობდა, რომ ბატონიშვილი ვახტანგის სიფიცხისა და ხმლის ეშინოდა.

მეტად სწუხდნენ ბატონიშვილები, რომ მთავრებად იყვნენ დაბადებულნი და ვერ მთავრობდნენ, ხოლო მათ საგვარეულო სამფლობელოს სხვა განაგებდა.

თუმცა ვერ მთავრობდნენ ჩვენი ბატონიშვილები და სამთავრო აღარ გააჩნდათ, მაგრამ მაინც მთავრებივით ცხოვრობდნენ. ნამდვილ მთავრებზე უფრო ხშირად ნადიმობდნენ, ასევე ხშირად ნადირობდნენ და მტკიცედ იცავდნენ ძველი ქართული რაინდობის წესებს როგორც შინ, ისე გარეთაც, სიტყვას მეფურ კილოს ატანდნენ და უყვარდათ გასაუბრება რუსთაველის შაირით, თუმცა სხვა მრავალი ძველი და ახალი ქართული წიგნის ნაკითხობასაც ამჟღავნებდნენ, რაც განსაკუთრებულად ბატონიშვილ დავითზე უფრო ითქმის.

.

ბატონიშვილ ლევანის დღევანდელი წვეულება ჩვეულებრივი იყო. ძმებს წესად ჰქონდათ შემოღებული, რომ რიგრიგობით აწვევდნენ სტუმრებს. თავისთავად ცხადია, რომ ბატონიშვილი ლევანის წვეულება გამოირჩეოდა ძმების წვეულებისაგან სტუმრების სიმრავლითა და სუფრის სიუხვით, როგორც უფროს ძმას და მთავრის პირველ მემკვიდრეს შეეფერებოდა.

- ვაშა, ბატონიშვილო ლევან! ვაშა და დიდება ბატონიშვილ ლევანს! _ ერთხმად შესძახეს სტუმრებმა, როცა თვალი გადაავლეს გაშლილ სუფრას, რომელსაც, ჩანდა, ჩიტის რძეც კი არ აკლდა.

- არ დამძრახოთ, დარბაისელნო! _ მკერდზე ხელების დაკრეფით და თავის დახრით მიმართა ბატონიშვილმა წვეულთ. _ როგორც ამ სახლს, ისევ თქვენს ღირსებას უფრო სხვანაირი სუფრა შეეფერებოდა. სულმნათი შოთას უკვდავი სიტყვები, ასე მგონია, ზედგამოჭრილია ჩემზე, ბატონებო:

საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხდების,

ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების!

მერე მის გვერდით მდგომ მეუღლეს თამარს მიმართა:

- ბატონიშვილო თამარ, ბატონიშვილი ლევანი გთხოვს ამ «მოქუხებული» ცის ქვეშაც ისე გაუმასპინძლდე მის სტუმრებს, თითქოს ჩვენს თავზე მზე ანათებდეს...

თამარს გვერდში ედგნენ რძლები _ ქეთევან და გურანდუხტ, ბატონიშვილების _ დავითისა და ვახტანგის თანამეცხედრენი, უწარჩინებულესი თავადების ერისთავისა და დადიანის ასულები. სამთავემ თავის დახრით მოისმინა უფროსი ბატონიშვილის ბრძანება.

ბატონიშვილმა თამარმა წინ წარსდგა ნაბიჯი და სტუმრების რიგს თავით ბოლომდე მზიური ღიმილი მიანათა. მას უმცროსმა რძლებმაც წაბაძეს.

მაშინ სტუმრები მოკრძალებით მიუახლოვდნენ ბრწყინვალე მანდილოსნებს და ხელზე ემთხვივნენ უფროს0უმცროსობის კვალობაზე.

როცა ხელზე მთხვევის ცერემონია გათავდა, ბატონიშვილმა დავითმა წარმოსთქვა:

- ბატონიშვილო თამარ, მზისადარო რძალო ჩვენო, სუფრა გაწყობილია და სტუმრებს მოელის. გთხოვთ, გაგვინათო მისკენ გზა. მოგეხსენება, ბატონიშვილო, რომ სამყაროში ურღვეველი წესრიგი და ჰარმონია მზის წყალობით სუფევს. მთვარეს თუ დედამიწას, ზუალს თუ მუშთარს და მარიხს მიკუთვნებული აქვთ თავიანთი ადგილი სამყაროს დასაბამიდან უცვლელად. შენ ხარ მზე ამ ოჯახისა, ბატონიშვილო თამარ, შენ გეკუთვნის მონიჭება ამ სუფრაზე იმ ადგილისა, რომელიც თითოეულ ჩვენგანს დაუმსახურებია ისტორიაში ჩვენი სამთავრო ოჯახის წინაშე... ველით შენს ბრძანებას, ბატონიშვილო!

თამარმა მოისმინა უგანათლებულესი მაზლის სიტყვები. ის იყო უნდა შესდგომოდა რძლებთან ერთად დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, რომ ლევანის ხმამ შეაყენა იგი.

- ბატონიშვილო დავით, შენი სიტყვა ბრძნული იყო, როგორც შეგეფერებოდა, მაგრამ მაპატიე, თუ ის მთლიანად ვერ მოგიწონო... შენ მხოლოდ დიდნი პლანეტანი დაგვისახელე, ბატონიშვილო, ასე ვთქვათ, ცის

თავადები... მაგრამ სადაც თავადები ბრძანდებიან, იქ აზნაურებიც არიან... შენ კი გამოგრჩა ისინი, ბატონიშვილო... არ დაგისახელებია ასპიროზ და ოტარიდი, მზის მხარის დამამშვენებელნი! რუსთაველს არ დავიწყებია ისინი... მოგაგონებ:

მოდი, ასპიროზ, მაგრე რა...

ან:

ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვისა,

მზე მაბრუნებს, არ გაგიშვებს, შემეყრის და მიმცემს წვასა...

- ცდომილ ვარსკვლავებზე ვითომ აღარ შევაჩერე მაღალი საზოგადოების ყურადღება, ჩემო ბატონიშვილო! _ თავი იმართლა დავითმა.

- ჩვენს აზნაურებს დიდი დამსახურება მიუძღვით ჩვენი ტახტის წინაშე, ბატონიშვილო დავით. ამიტომაც ბრძანდებიან აქ მოწვეულთა შორის... განსწავლულს ისტორიაში ჩემზე უკეთ მოგეხსენება, რომ თავადაზნაურობით იხსენიება ჩვენში მაღალი წოდება ერთიანად... ალბათ, რუსთველის დროსაც ასე იყო, რომ იმ სულმნათმა ასპიროზ და ოტარიდი დიდ პლანეტთ გვერდში ამოიყენა!

- შენს მზეს ვფიცავ, ბატონიშვილო, _ შესძახა უფროსი ძმის სიტყვებით აღფრთოვანებულმა დავითმა, _ ჩვენი გვარის გენია გიბრწყინავს თვალებში: შენი სიტყვებით დღესაც ისე მოხიბლული ვარ, როგორც ყოველთვის! რა გასაკვირია, რომ ყოველივე ჩემზე უკეთ იცოდე, რადგანაც თავად ხარ ხორცშესხმული ისტორია ჩვენი! _ ამ სიტყვებით ის მიუახლოვდა ლევანს და მარცხენა მკერდზე მხურვალედ ეამბორა. მერე სტუმრებისაკენ პირი იბრუნა და დიდის აღგზნებით წარმოთქვა:

- ბატონებო, ვაშა ბატონიშვილს ლევანს! ვაშა და დიდება მას! ქუხილით გაისმა დარბაზში საერთო «ვაშა»!.

აქ თამარიც შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

- ბატონიშვილო დავით, _ უთხრა მან მაზლს, _ მე და ჩემს რძლებს დანიშნული გვაქვს ძვირფასი სტუმრებისათვის ადგილები სუფრაზე...

მოიღეთ მოწყალება, ბატონებო, დაბრძანდით... თქვენი ადგილი, ბატონიშვილო დავით, აი, აქ არის: ბატონიშვილ ლევანის ხელმარჯვნით... ხელმარცხნით მდგარი სკამი ბატონიშვილ ვახტანგს ეკუთვნის... მეტად ვწუხვარ, რომ ის დღეს აქ არ ბრძნდება... თუ თქვენი ნება იქნება, შევუნახავთ კუთვნილ ადგილს.

- ბატონიშვილი ვახტანგი მისმა სიმამრმა, დადიანმა, აწვია სანადიროდ... _ ჩამოართვა სიტყვა მეუღლეს ლევანმა. _ ის ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა. ალბათ, აქამდის გრძელდება დადიანის ნადირობა. მოგეხსენებათ, თუ რაოდენად უყვართ სიძე-სიმამრს ნადირის დევნა. მაგრამ მე მაინც დღეს მოველი ბატონიშვილის დაბრუნებას ყოველ მიზეზს გარეშე, რადგანაც მან იცის ჩემი დღევანდელი წვეულების ამბავი.. აპატიეთ, დიდებულნო, ბატონიშვილ ვახტანგს კადნიერება...

- რას ბრძანებთ, ბატონიშვილო ლევან! ალბათ, მოგვისწრებს ბატონიშვილი... _ ბოდიში მოხადეს სტუმრებმა ვახტანგს.

დასხდნენ, ვახტანგის სკამი ცარიელი დარჩა. ადგილები ისე იყო განაწილებული სტუმრებს შორის, რომ არავის შელახვია თავმოყვარეობა, გვაროვნული ღირსებისა თუ დამსახურების გრძნობა. თავადების რიგი აზნაურებმა განაგრძეს ვიდრე ბოლომდის, სადაც მოწვეული მომღერლები განლაგდნენ.

ბატონიშვილ დავითისა და სტუმრების მოთხოვნით სუფრას დიასახლისიც მიუჯდა, _ მარცხენა მხარეს, ქმარსა და ბატონიშვილ ვახტანგის ცარიელ სკამს შუა. უმცროსმა რძლებმა დაჯდომა არ ინებეს. ფეხზე დარჩნენ და სტუმრების მომსახურება განაგრძეს.

სუფრას ამშვენებდა საგვარეულო საგანძურიდან მოტანილი ძვირფასი აზარფეშები, რქისა და ბროლის ყანწები, ოქროთი და ვერცხლით მოჭედილები, უცხოდ მოხატული დიდი და მორჩილი კუები, ლალითა და იაგუნდით მოკირწყლულები, ისტორიული მნიშვნელობის წარწერებითა და თარიღებით დამშვენებული, კეკლუც ქალივით კისერმოღერებული ძველი ვერცხლის

სურები, _ სხვადასხვა დროს მეფეთა, უფლისწულთა, მთავართა და დიდგვაროვანთაგან ბატონიშვილების წინაპართადმი სახსოვრად მოძღვნილები.

დარბაზში ტრიალებდნენ მსახურებად მოწვეული ყმაწვილკაცები თავადთა თუ აზნაურთაგან, _ მერიქიფენი თუ კერძის მომრთმევნი, მოკლე, ცალკალთა აკეცილი, მოსირმული თეთრი ჩოხა-ახალუხით მორთულები, აბრეშუმის სიფრიფანა ყაბალახებით თავწაკრულები.

მერიქიფეებმა აავსეს სასმისები. სტუმრები მცირედ შეექცნენ უხვად განლაგებულ საუზმეს და ბატონიშვილმა ლევანმა პირველად დაილოცა მომცრო ყანწით.

- ბატონიშვილო თამარ, _ მიმართა შემდეგ მის გვერდით მჯდომ მეუღლეს. _ რა ვქნა, არ ვიცი, სანამდე დავფარო, რომ ჩემს გულს რაღაცა აკლია...

- ბრძანე, ბატონიშვილო!

- ვერ ვხედავ სუფრაზე ჩვენი ოჯახის სიამაყეს, ბატონიშვილო თამარ... ოდითგან ჩვენი ლხინის დამამშვენებელს და მოზიარეს... ვერ ვხედავ ჩვენს «დიდებას», ბატონიშვილო! ხომ არ გვემალება? იქნება, ღარიბ სუფრას გვიწუნებს, არ გვკადრულობს! ჩემს თავს გაფიცებ, გამაგებინე სად ბრძანდება იგი ამდენი ხანი!

«დიდების» ხსენებაზე სტუმრების სახეს ბედნიერების ღიმილი გადაეკრა. სუფრას ცელქი ნიავივით ჩაურბინა სასიამოვნო ჩურჩულმა.

თამარმა თვალი მიმოავლო სუფრას. ვითომ გაუკვირდა, რომ ვერ ნახა ის, რასაც ეძებდა. შეწუხდა ვითომ კიდევაც.

სტუმრები მიუხვდნენ ოინს. სიცილით შეეგებნენ დიასახლისის უწყინარ თვალთმაქცობას.

- ღმერთო ჩემო... ნუთუ დამავიწყდა! ბატონიშვილო ქეთევან, ბატონიშვილო გურანდუხტ... _ ადგომა დააპირა, მაგრამ რძლებმა დაასწრეს. წინ გაშვერილ ხელებზე დასვენებული ორწყრთიანი ყანწი მოართვეს.

ეს იყო ბატონიშვილი ლევანის მიერ მოთხოვნილი «დიდება», რომლის სუფრაზე გამოტანა ასეთი ზეიმით იყო მოწყობილი საზოგადოების გასამხიარულებლად.

ფიცხლად წამოდგა დიასახლისი. თითქოს უმნიშვნელოვანეს რასმე მღვდელმოქმედებას ასრულებსო, რძლებს ყანწი ჩამოართვა და ბატონიშვილ ლევანის წინ წინასწარ მოწყობილ ადგილზე დააყენა, მრგვლად დაღებული ვეება პირით სტუმრებისაკენ მიქცეული.

- ვაშა! _ იქუხა დარბაზმა.

«დიდებას» დარბაზში კერძის მომრთმევი მსახურნი შემოჰყვნენ დაწალიკებით. მათ თავს ზემოთ შემართულ ხელებზე შეყენებული ძველებური ვერცხლის ხონჩები მოჰქონდათ, ნაირ-ნაირი საჭმელებით სავსე.

«ვაშას» ძახილი ჯერ კიდევ არ შეწყვეტილიყო დარბაზში, რომ ბატონიშვილი დავითის აღფრთოვანებულმა ხმამ დაფარა იგი:

მეფეთა შიგან სიუხვე ვით ედემს ალვა რგულია,
უხვსა მორჩილებს ყოველი, _ იგიცა, ვინ ორგულია.
სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია!
რასაცა გასცემ შენია, რაც არა _ დაკარგულია.

წარმოსთქვა ეს თუ არა, იქვე სულმოუთქმელად განაგრძო:

- ბატონიშვილო ლევან, ჩვენი გვარი ღვთით მოწოდებული იყო ერის წინამძღოლად ჭირსა და ლხინში. ასე იყო ძველად. მაგრამ ასე უნდა იყოს დღესაც. შეიძლება დრო გამოიცვალა, მაგრამ არ გამოცვლილა შენი დიდება, ჩვენი კუთხის განმგებლად დაბადებულო, ჩვენო ბატონიშვილო. მტერთან რომ ომი გვქონდეს, შენს გარდა სხვა ვინ იქნებოდა ჩვენი წინამძოლი? მაგრამ დღეს ლხინი გვაქვს შენს ოჯახში, ბატონიშვილო, და ნება მოგვეცი მოგილოცოთ თამადობა.

ერთი კაცივით ფეხზე წამოდგნენ სუფრაზე მსხდომნი. ყოველი მხრიდან

გაისმა:

- გთხოვთ, ბატონიშვილო, გთხოვთ.

ბატონიშვილი ლევანიც წამოდგა.

- ღირსი არა ვარ ასეთი პატივისცემისა, დიდებულნო! _ თქვა მან თავმდაბლად და თავი ოდნავ ჩაქინდრა. ჩანდა, უარის თქმას არ აპირებდა, ოღონდ უფრო მეტ «პატიჟს» ელოდებოდა. მიუხვდნენ. თხოვნა გაუმეორეს. ისიც კი უთხრეს:

- რაკი ბატონიშვილი ხარ ჩვენი, გევალება კიდეც გვემსახუროო...

ამან იმოქმედა.

- თქვენს სამსახურს როგორ გავექცეო, _ ბრძანა ლევანმა და მარჯვნით და მარცხნით თავი დაბლა დაუკრა დიდებულთ ნიშნად მადლობის გამოცხადებისა მისი ესოდენ დიდი ნდობით აღჭურვისათვის.

ამის შემდეგ ყველანი დასხდნენ, გარდა ბატონიშვილ დავითისა. თავდახრილი მიუახლოვდა იგი უფროს ძმას და მოკრძალებით მარცხენა მკერდზე ემთხვია. ცხადი იყო, მან ამით მადლობა გადაუხადა ძმას თამადობაზე დათანხმებისათვის. მაგრამ ამას არ დაჯერებულა. ფიცხლად ჩამოართვა მერიქიფეს ვერცხლის სურა, საკუთარი ხელით პირთამდე აავსო ღვინით «დიდება» და თამადას გაუწოდა. ბატონიშვილმა ლევანმა ყანწი ჩამოართვა და შუბლზე აკოცა ერთგულ ძმას.

მთელი სუფრა კვლავ ფეხზე წამოდგა.

არ გასულა ხანი, რომ დიდებულნი ბატონიშვილ ლევანის წინ გრძელ ჯერში იდგნენ, რათა მკერდზე მთხვეოდნენ და ბატონიშვილ დავითს არ ჩამორჩენოდნენ ერთგულების გამომჟღავნებაში.

რაკი ჩამორჩენა არავის უნდოდა, ცერემონია გაგრძელდა.

გათავდა თუ არა იგი, აღელვებული ბატონიშვილი დაუყოვნებლივ შეუდგა დაკისრებული მოვალეობის ასრულებას.

- დიდებულნო, _ დაიწყო მან ათრთოლებული ხმით. _ ვერ დავფარავ, რომ დიდად ვღელავ... ასე ვღელავ ყოველთვის, როცა «დიდება» ხელთ

მიპყრია... ამ დროს მაგონდება, ბატონებო, ჩვენს ოჯხში დღემდე შემონახული წმინდა გადმოცემა, რომ თამარ მეფეს ხელში სჭერია იგი პირთამდე სავსე, როცა რუქნადინის დამარცხების შემდეგ ბასიანიდან დაბრუნებული ქართველი ჯარისთვის ბრწყინვალე გამარჯვება მიულოცავს... საგულისხმოა, რომ ეს ისტორიული განძი, ეს წმიდათაწმიდა დღეს ჩვენს ოჯახშია დაცული, როგორც სიმბოლო ქართველი ერის მთლიანობისა და მისი ისტორიის უწყვეტელობისა დასაბამიდან ვიდრე აქამდის... დიდება ჩვენს წინაპრებს, რომელთაც ეს «დიდება» ამ ჩვენს კუთხეში დაუცავთ ერის დიდების მარად მოსაგონებლად!

დაამთავრა თამადამ, პურზე ღვინო დააპკურა და «დიდება» პირზე მიიჭდო.

დარბაზში დაირხა საზეიმო «მრავალჟმიერი», რომელიც თანდათანობით ქუხილის ძლიერებას აღწევდა იმის კვალობაზე, თუ როგორ იწვევდა სულ მაღლა და მაღლა ბატონიშვილ ლევანის ტუჩებზე ფართო პირით მიბჯენილი «დიდების» ოქროთი მოსალტული, მოკაუჭებული ბოლო.

ყველა სულგანაბული მისჩერებოდა ბატონიშვილ ლევანს. ყველა განიცდიდა «დიდების» უწყვეტლად დაცლის საზეიმო წუთებს.

ნადიმი გაგრძელდა.

საღამოს მოახლოებისას ბატონიშვილმა ლევანმა ბრძანა ახალი სუფრა გაეშალათ დიდი კაკლის ხის ძირში, რომელიც თავისი გაშლილი ტოტებით ვრცელი ეზოს მთელ ერთ კუთხეს ფარავდა.

მთელი დღე «დიდებასთან» ჭიდილით მოქანცული სტუმრები ახალ სუფრაზე უფრო ისვენებდნენ, ვიდრე სმასა და ჭამას განაგრძობდნენ: ხილს და ტკბილეულს შეექცეოდნენ, დროდადრო პატარა რაკრაკა კულებით ყელს ისველებდნენ.

მომღერლებსაც მობეზრებოდათ ხმამაღლა სიმღერა და დაბალი, ტკბილი ღიღინით ართობდნენ მომლხენთ.

ბატონიშვილ ლევანს არათუ მოსმენა უყვარდა ღიღინის, თავადაც დიდი

ოსტატი იყო ღიღინით სიმღერისა. მას მეტად სასიამოვნო კრინი ჰქონდა, ნაღვლიანად მჟღერავი და სევდიანი. ბატონიშვილის ბედზე მდურვას ამჟღავნებდა იგი. მისი ღიღინი ნამდვილ ტკბობას გვრიდა მსმენელს.

ამ საღამოს ნაღვინევი ბატონიშვილის ხმაში ცრემლი იგრძნობოდა.

ახლობელი მეზობლები თუ შემთხვევით გავლილი ქალი და კაცი ეზოს მუხის მესრის ღობესთან მომდგარიყვნენ და ყურს უგდებდნენ ბატონიშვილის მდრტვინავ ღიღინს.

ბატონიშვილმა დავითმაც ფრთხილად ააყოლა ხმა ძმის ღიღინს, ოღონდ ის კი არ მღეროდა, რუსთველის შაირს ამბობდა ღიღინთან ხმაშეწყობილად:

რა ესმოდის მღერა ყრმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან.
მისივე ხმის სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,
ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატრიდის, ატირდიან,
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან...

აქ უცებ, თითქოს იჭექაო, სადღაც გასროლა გაისმა, არ გასულა ხანი, რომ ეზოში შემოიჭრა გაჭენებული ცხენების თქარათქურის ხმა.

უმალვე შეწყდა ღიღინი. წამოიშალნენ სუფრაზე მსხდომნი.

- ბატონიშვილი ვახტანგის დამბაჩა იყო! _ თქვა ლევანმა.

- ბატონიშვილი ვახტანგია ნამდვილად! _ დაუდასტურა მიხვედრა უფროს ძმას დავითმა.

- დააგვიანა, მაგრამ მაინც მოგვისწრო ბატონიშვილმა! _ გაუხარდათ სტუმრებს.

მოულოდნელი სიხარულით სახეალეწილი ბატონიშვილი გურანდუხტი ფრთხიალით წამოდგა.

ყველამ ალაყაფის კარისკენ გაიხედა.

გაიღო კარი და ზედ შემოსასვლელთან სამმა მხედარმა ჩხრიალით შეაყენა ცხენები: წინ ბატონიშვილი ვახტანგი, გვერდით ორი მხლებელი,

რომელთაც შუაში ერთი მარქაფა ბაჩა ცხენი ეყენათ, კეხზე ყორესავით აზიდული საკიდარით დატვირთული.

- ბატონიშვილი თავის ცხენზე არ ზის! ეს რას უნდა ნიშნავდეს ნეტავი? _ თქვა დავითმა.

- მეცნაურება: დადიანის უნდა იყოს! _ გამოთქვა აზრი ლევანმა.

გურანდუხტმა წამოიძახა:

- ნამდვილად მამაჩემის «მიმინოა», ბატონიშვილო! _ და ალაყაფის კარისკენ გაემართა ქმრის შესაგებებლად.

სადაც დადგნენ შემოსასვლელთან, იქვე ჩამოქვეითდნენ მხედრები, რადგანაც წესი არ იყ ბატონიშვილის ეზოში ცხენდაცხენ შემოსვლა.

მიეგება თუ არა გურანდუხტი ქმარს, მაშინვე ჰკითხა:

- მამაჩემის «მიმინოზე» რატომ ჩამობრძანებულხარ, მბრძანებელო? ჩვენი «არწივი» სად არის?

- «არწივს» ნუღარ მომაგონებ, გურანდუხტ! _ მოკლედ და ნაღვლიანად უპასუხა ვახტანგმა მეუღლეს და ერთ-ერთ მხლებელს უბრძანა, ბაჩა ცხენი კაკლის ძირში წაეყვანა.

ამასობაში ბატონიშვილი ვახტანგის შესაგებებლად ნელა დაძრულიყვნენ ალაყაფის კარებისაკენ მონადიმენი ბატონიშვილ ლევანის მეთაურობით.

გაუსწორდა თუ არა უფროს ძმას, ბატონიშვილი ვახტანგი თავდახრილი დადგა მის წინ. მდაბლად მიესალმა და ბოდიში მოიხადა წვეულებაზე დაგვიანებისათვის. მერე მარდად გადახადა ლეჩაქი ცხენზე აკიდებულ ტვირთს და მოახსენა:

- ბატონიშვილო, დადიანმა ძღვნად მოგართვა, რასაც ამ ცხენზე აკიდებულს ხედავ... თან თავისი წუხილი შემოგითვალა იმის გამო, რომ ძღვენი დღევანდელ შენს სუფრას ვერ დაამშვენებდა დაგვიანების გამო, თუმცა თავად დიდად იყო მოწადინებული ნანადირევი გუშინ მოერთმია... მაგრამ ნადირობამ ოთხი დღე გასტანა ორის მაგიერ... თუ არა ეს მიზეზი, გუშინ უნდა

გხლებოდი.

- იშვიათი ნადირობა გქონიათ სიძე-სიმამრს, ბატონიშვილო, _ ფარული შურით წარმოსთქვა ლევანმა, როცა ლეჩაქახდილი მდიდარი ძღვენი შეათვალიერა. _ თქვენს თავს ვფიცავარ, დიდებულნო, ჩინებული ძღვენია... მისი დაწუნება თვით მეფეს არ შეუძლია! _ მერე თითქოს ცხენზე აკიდებულ ნანადირევს თითოეულად ასახელებსო, რუსთველის სიტყვებით განაგრძო:

ირემი, თხა და კაჭარი, ქარციკი მაღლა მხტომელი!..

მერე გულზე ხელი მიიდო და ბატონიშვილ ვახტანგის წინაშე მდაბლად თავი დახარა: იგი ამით მადლობას უხდიდა დადიანს უხვი ძღვენისათვის.

- რაც შეეხება ძღვენის დაგვიანებას, ეს შესაწუხებელი არ არის. ჩვენი ნადიმი ხვალაც გაგრძელდება. _ ჩაიცინა ულვაშში ლევანმა და ვახტანგს მხარზე ხელი დაადო. _ მით უმეტეს, დღეს შენ არ დაგიმშვენებია ჩვენი სუფრა...

დადიანის გულუხვობით კმაყოფილმა დავითმა თქვა:

- არა მგონია, ჩვენს ბატონიშვილს დადიანისათვის სამაგიეროს გადახდა გაუჭირდეს: არც ჩვენი მთებია დადიანისაზე ნაკლებად მდიდარი ნადირით... მოემზადეთ, დიდებულნო, მალე დიდი ნადირობა მოგველის!

ძღვენი სამზარეულოში გაგზავნა დიასახლისმა. სტუმარ-მასპინძლები ბატონიშვილ ვახტანგის თანხლებით კაკლის ძირში გაშლილ ახალ სუფრას დაუბრუნდნენ.

- ბატონიშვილი ნამგზავრია... მშიერიც ბრძანდება, ალბათ! _ გადაულაპარაკა ლევანმა თავის მეუღლეს და სთხოვა უხვად გამასპინძლებოდა მას.

შეექცა თუ არა საჭმელს ვახტანგი, ლევანმა ჰკითხა:

- თუ გიყვარდე, გამაგებინე, ბატონიშვილო, რამდენად მართალია ის, რასაც აქედან თვალი მოვკარი... «არწივზე» არ ჩამობრძანებულხარ... მართალია?

- მართალია, ცათა სწორო! _ მაშინვე უპასუხა ბატონიშვილმა ვახტანგმა

და ძმას თვალი აარიდა.

- ჰაა... მივხვდი, მგონია! სიმამრს თუ მოეწონა შენი ბედაური, და მიუძღვენი, როგორც სიძეს შეეფერება? _ ჩაჰკითხა ლევანმა.

დავითმა თქვა:

«დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების,

უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.

უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების!

- თუ ასეა, _ ჩამოართვა მას სიტყვა ლევანმა, _ მომიწონებია შენი საქციელი, ბატონიშვილო... მეამა სწორედ. თუ მოეწონა, უნდა გეჩუქებინა კიდეც.

მაგრამ ვახტანგი გულჩათხრობილი ჩანდა და დუმდა.

- ახლა გვითხარი, როგორ მოხდა ეს ამბავი! _ არ დაცხრა ლევანი.

წამოდგა ვახტანგი.

- ასე არ ყოფილა, ბატონიშვილო... _ თქვა მან და თავი ჩაქინდრა.

ყველას გაუკვირდა მისი სიტყვა, გურანდუხტს მოუთმენლობა დაეტყო.

ერთი ხნის საერთო დუმილის შემდეგ ვახტანგმა თვალი გაუსწორა უფროს ძმას და ყველას გასაგონად წარმოსთქვა:

- შემომაკვდა, დიდებულო, ჩემი «არწივი».

თუმცა ამ სიტყვებმა უდიდესი გაკვირვება გამოიწვიეს, მაგრამ არაფერი გამოუმჟღავნებიათ არც ბატონიშვილებს და არც სტუმრებს _ სახეზე გაკვირვების გამოხატვა მათ სიდინჯეს არ შეეფერებოდა.

დუმილი გაგრძელდა. მხოლოდ ბატონიშვილმა გურანდუხტმა ვერ მოითმინა და ლოყაზე ხელი შემოიკრა ტკაცანით.

- ვაიმეო! _ წამოცდა. თამარმა მას ხელი დაუჭირა.

- იყუჩეო. _ დარიგების კილოზე ჩასჩურჩულა რძალს.

საერთო დუმილი გამოწვევა იყო ბატონიშვილი ვახტანგისა: მას უნდა

ეამბნა ყოველივე, რაც «შემომაკვდას» შეეხებოდა.

და ბატონიშვილმა ვახტანგმაც დაიწყო:

.

«გუშინ გვიან დავბრუნდით ნადირობიდან. შორს გაგვიტყუა მთებში ნადირმა... დავბრუნდით დაქანცულები. მშივრებიც ვიყავით, თუმცა ჯიხვის მწვადები არ გვაკლდა მთებშიც. მოგეხსენებათ, შინ გაწყობილი სუფრა მაინც სხვაა. ნავახშმევს ძილი მოგვეკიდა.

«მე გადაწყვეტილი მქონდა «დილაადრიან, უთენია წამოვსულიყავი, რათა ბატონიშვილის დღევანდელი ნადიმისათვის დროზე მომესწრო. დადიანს გავუმხილე ჩემი განზრახვა, უთენია ვაპირებ გამგზავრებას და, ალბათ, ვერ გნახავ-მეთქი, და ნება ვთხოვე გამომშვიდობებისა. მან მიბრძანა:

- რა გაჩქარებს, ბატონიშვილის წვეულებას ისედაც ჩაუსწრებ, რადგანაც «არწივზე» ზიხარ. მზის ამოსვლას დაელოდეო.

«მაგრამ გამომშვიდობების ნება მაინც მომცა.

«გათენებული არ იყო, როცა წამოვდექი. გაფრთხილებული მყავდა მხლებლები, ზეზე დამხვდნენ სამგზავროდ გამზადებულნი.

«ჩუმად, მასპინძლები არ გააღვიძოთ-მეთქი, დავარიგე.

«მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა დავინახე, რომ მთელი ოჯახი ფეხზე იდგა და სახლში დიდი ფაციფუცი იყო.

«თვითონ დადიანი შემომეგება. დილა მშვიდობისა მისურვა. გამიცინა. «- მაპატიე, უზმოდ შენი გაშვების ნება დიასახლისმა არ მომცა, წავიხემსოთ მცირედიო, მიბრძანა.

«უარი არ გამომივიდა. მკლავში მომკიდა ხელი და სასადილოში შემიძღვა. ჩემს მხლებლებსაც უბრძანა მომყოლოდნენ.

«სუფრა გაშლილი დაგვხვდა. ჩემი სიდედრი ქალიშვილებითურთ სუფრას გარს დასტრიალებდნენ. დავსხედით. ცოლისდებმა შუაში ჩამისვეს. დადიანის ხმა მესმა:

«- თავი მოხადეთ ოჯალეშის ახალ ქვევრს, _ უბრძანებდა იგი მსახურთ.

«ვინ მოსთვლის, რა და რა საჭმელი ამშვენებდა სუფრას. «დაიწყო სმა-ჭამა.

«არ გასულა ხანი, რომ ოთახში შემოვიდნენ მზისა და მთვარის დარი ქალები, თვალწარმტაცად მორთულები და მოკაზმულები, _ ნათესავები, მეზობლები, ბატონიშვილ გურანდუხტის მეგობრები, ქალებს რჩეული ვაჟებიც შემოჰყვნენ, გუშინდელი ნადირობის მონაწილენი, ჩემი მეგობარი თავადები. ცხადი იყო, ჩემთან გამოსამშვიდობებლად დაბარებულები იყვნენ. რა თქმა უნდა, სუფრაზე მოიპატიჟეს ყველანი...

«და ამ ალიონზე ისეთი პურის ჭამა, ქეიფი გაიმართა, რომ დიდ წვეულებას უფრო შეეფერებოდა. თვითონ მასპინძელმა ინება თამადობა.

«მოკლე სუფრა გვექნება და თამადობას ამიტომ ვბედავო, _ ბრძანა.

«ეჭვი არ იყო, მაგვიანდებოდა. შევწუხდი. გული თქვენსკენ მიწევდა. მაგრამ რა უნდა მექნა? ბედს დავმორჩილდი... ვგრძნობდი, რომ ღვინოც თანდათან მეკიდებოდა... ოჯალეში, დიდებულნო, ჩვენი ჩხავერის ტოლი ღვინოა...

«მოგეხსენებათ, დადიანი ბრძენი და გულთმისანი კაცია. შემატყო ფარული წუხილი და როცა მზის პირველმა სხივმა ფანჯარაზე დააკაკუნა, მაშინვე წამოდგა. ფეხზე დავდექით ყველანი. დადიანმა ყანწი ასწია და ხმა აიმაღლა:

«- ბატონებო, ჩვენს საყვარელ სიძეს და ძვირფას სტუმარს წუხელ სიტყვა მივეცი, რომ ამ დილით მზის ამოსვლისთანავე გზას დავულოცავდი. ღმერთია მოწამე, რომ მისი ყოფნა ჩვენს შორის უდიდესი ბედნიერებაა ჩვენი ოჯახისა და არასოდეს არ მოგვწყინდება. მაგრამ დღეს ის თავის ძმასთან, ჩვენთვის ყველასათვის სათაყვანებელ ბატონიშვილ ლევანთან არის საზეიმო სადილზე მიწვეული. მისი არ დასწრება არ იქნება... ღვთის გმობას უდრის წყენინება მთავრის მემკვიდრისა, რომელიც თავისი დიდებულებითურთ ჩვენს ბატონიშვილს დღეს თავის სუფრაზე მიელის... დავულოცოთ გზა ჩვენს სტუმარს, ბატონებო!

«ჩემმა სიდედრმა და ჩემი გურანდუხტის დედამ თავი მოიკლა: მასპინძლობის წესს არღვევ, სტუმარს როგორ ეუბნები წადიო?! უსაყვედურა ქმარს...

«- ბატონიშვილ ლევანის მომდურებას ყველაფერი მირჩევნიაო, _ ბრძანა დადიანმა.

«აქ მეც წამოვეშველე სიმამრს... და რა გავაგრძელო, როგორც იქნა, დამთავრდა დილის ეს გრძელი საუზმე...

«საზოგადოება აივანზე გამოიშალა. მეხვეოდნენ, მკოცნიდნენ, გზას მილოცავდნენ, მოკითხვას მაბარებდნენ, მეალერსებოდნენ... კიბეზე დავეშვი... მამაკაცები ძირს ჩამომყვნენ დადიანის მეთაურობით. ქალები გამწკრივდნენ გრძელი მოაჯირის გაყოლებაზე...

«ცხენი-მეთქი, ვუბრძანე მხლებლებს... მათ ვერ მოასწრეს ადგილიდან დაძვრა, რომ დადიანის მეჯინიბეებმა თავლიდან გამოიყვანეს «არწივი». ორ კაცს მოჰყავდა ჩემი ბედაური... აქეთ-იქით ლაგამზე ჩაეჭიდათ ხელები და მაინც ძლივს იოკებდნენ, მიწაზე ოდნავ აკარებდა ფეხებს... ტოკავდა, ქშინავდა, სიფრიფანა ნესტოებს ჭიმავდა, თვალებს აბრიალებდა...

«მის შემხედვარე ვაჟებს შურით სუნთქვა შეეკრათ... მოჯადოებული ქალები განაბულიყვნენ.

«მომგვარეს. მიცნო. წინ დამიდგა. ზურგი შესაჯდომად შემომთავაზა. გადუსადავე. ის იყო უზანგში ფეხი უნდა შემედგა, რომ დადიანი მოეჭრა, მარჯვენა უზანგს ხელი მოჰკიდა დასაჭერად.

«- ნუ ინებებთ-მეთქი, ვთხოვე.

«- სხვა რითი გამოგიმჟღავნო ჩემი სიყვარული, ბატონიშვილო, ძალიან გთხოვ, უარი არ მითხრაო.

«- თუ მიბრძანებ, მხოლოდ იმ შემთხვევაში-მეთქი.

«- გიბრძანებო, _ მითხრა ღიმილით...

«შევჯექი. მათრახის ტარით შემოვიკეცე ჩოხის უკანა კალთა... სადავე მოვზიდე... აივნისკენ დავახვევინე, ბარემ ქალებიც დატკბნენ მისი უფრო

ახლოს ცქერით-მეთქი.

«ამ დროს გავიხედე და ვხედავ: დადიანი და მისი დილის სტუმრები ცხენებზე შემსხდარან და მოშორებით მდგარნი ჩემს დაძვრას ელოდებიან. დადიანს წინ ტვირთაკიდებული ეს ბაჩა უყენია... მივხვდი, რასაც ნიშნავდა.

«მოგვეცი ნება, ბატონიშვილო, ცხენდაცხენ გაგაცილოთ ჩვენი სოფლის საზღვრამდეო, _ მითხრა დადიანმა...

«აივანთან შეყენებულ «არწივს» ოდნავ ქუსლი ვკარი, რომ ერთბაშად მომწყდარიყო ადგილიდან... მართლაც, საოცარი იყო მისი ნახტომი! რომელ ვეფხს არ შეშურდებოდა! აღტაცების ხმა აღმოხდათ ცხენოსნობის ნაცად ოსტატებს.

«მაგრამ... სხვა ხმაც მესმე შემზარავი, «არწივის» კუდის ძირიდან გამოვარდნილი...

«თითქოს ცა მოირღვა და თავს დამემხო. გულის ძგერა შემომაწყდა... აივანზე ქალების «უიმე» გაისმა.

«მყისვე შევაყენე ჩემი შემრცხვენელი. როგორც რისხვა მოვწყდი უნაგირს. ვიშიშვლე ხმალი და თვალის დახამხამებაში ერთი დაკვრით უსინდისოს შუა კისრიდან თავი წავაგდებინე... ითქრიალა სისხლმა...

«ერთ ხანს არაფერი მესმოდა, გარდა გაშმაგებული მოქნევისაგან აწივლებული ჩემი ხმლის რეკვისა, რაც დიდხანს გაგრძელდა... «ცხენებიდან უმალვე ჩამოხდნენ დადიანი და მისი კაცები. მომვარდნენ. «- რატომ ინებეო, _ შეწუხდნენ.

«ჩემმა მხლებლებმა სხვა ცხენი შემომთავაზეს. მაგრამ დადიანმა გასძახა მეჯინიბეთ:

«- ჩემი «მიმინო» მოართვითო ბატონიშვილს!..»

... ასე დაამთავრა ბატონიშვილმა ვახტანგმა თავისი ამბავი.

ერთ ხანს ხმა არავის ამოუღია.

მერე ბატონიშვილმა დავითმა დინჯად წარმოსთქვა:

- ცხენი პირუტყვია, ბატონებო! ბოდიშის მოხდა რომ შესძლებოდა იმ მაღალი საზოგადოების წინაშე, იქნება, ბატონიშვილს ასე სასტიკად არ დაესაჯა ის უბედური...

ბატონიშვილმა ლევანმა კი ხმამაღლა ბრძანა:

- მოართვით «დიდება» ბატონიშვილ ვახტანგს!